

სამეცნიერო სამუშაოები

ГОБЕТКОВЕ
УКРУГГТВО

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE



1970

საგჭოთა სელოვნება



თვებნი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
ზღვითეჭებუნა
ქმნიეოგუნაზი

6

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,
ლიბრატურულ-მხატვრული, მიცენიურულ-თეორიული უზველთვიური შუარნალი

1970



1970 წლის 21 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში ტრიბუნაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეცნევი.



თბილისი, 1970 წლის 16 აპრილი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა.

დიდი ლენინი

დიდი ლენინი! მილიონები წარმოთქვამენ ამ ორ სიტყვას.

ლენინი! — გვარია ერთი კაცის და სახელი პროგრესული სამყაროსი.

ლენინი! — ეს ერთი უკვდავი ადამიანია და უკვდავბაცაა ჩვენი ეპოქის.

ლენინი! — მოწოდებაა სიკეთისა და ბედნიერებისაკენ და ასეთ ძალად დარჩება მარადისობაშიც.

ლენინი! — ფიქრი და მიზანია, შემაერთებ და ხორც-შესხმაა ყველა პროგრესულის, ნოვატორულისა და აღორძინებისა, რაკი ქვეყნიერება მხოლოდ სასიცოცხლოდ გაჩენილა.

მაგრამ, რატომ მოხდა, რომ კაცობრიობა საბოროტოდაც იყო განწყობილი?!

ეს იმიტომ, რომ ადამიანები კლასობრივ ანტიგონისტურ ინსტიქტს ემონებოდნენ და უფრო ერთიმეორის დამორჩილებაზე ფიქრობდნენ, ვინემ დახმარებაზე.

ლენინმა პირველმა შეასხა ხორცი მარქსის მოთხოვნას, რომ მხოლოდ უკლასო საზოგადოების შექმნით მოხერხდებოდა ძველთაგან მოდენილი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ჩვევის მოშლა. ლენინმა პირველმა ჩასცა კლასობრივი მახვილი კლასობრიობის ფეტიშს და სათავე დაუდო უკლასო საზოგადოების ისეთ ინსტიტუტს, სადაც ყველას ეძლეოდა ადგილი მუის ქვეშ, ყველას ეძლეოდა უფლება შრომაზე, განათლებაზე, დასვენებაზე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობაზე, ყველას ეძლეოდა თავისუფლება შემოქმედებაზე, მაგრამ ამას-

თან ყველას ერთმეოდა უფლება სხვის დამცირებაზე, სხვის დამონებაზე, სხვების შრომის მიტაცებაზე, საზოგადოებისაგან განდგომაზე, გამარტობაზე, კოლექტიურობის საზიანო ინდივიდუალობაზე, ჩემი-შენიანობის რეაქციულ ცდუნებაზე.

ლენინმა მთელი თავისი დიდი სიცოცხლე ადამიანებს მიუძღვნა. მან თავისი ცხოვრება ბოროტებასთან ბრძოლას შეაღია, სიკეთის გამარჯვებას მოანდომა.

ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომლის ცხოვრება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითია. მისი მოღვაწეობა მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის განმტკიცების დაუფიყარი ნიმუშია.

საბჭოთა ხალხი, ისე, როგორც მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები, უადრესად დავალებულია ლენინის ცხოვრებითა და მოღვაწეობით, მისი გენიალური შორსმჭვრეტელობით, მისი მიზანსწრაფული მოქმედებით, მისი მოძღვრების კეთილშობილებით, რამაც ბოლო მოუღო მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ადამიანის ადამიანზე ბატონობას და ხელი შეუწყო დამონებული, კოლონიური, ნახევარდა კოლონიური და კლასობრივი ჩაგვრით განაწამები აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის მრავალი ქვეყნის განთავისუფლებას სოციალური და ნაციონალური უუფლებობისაგან.

ლენინის ცხოვრება მთელი მსოფლიოს გონივრული და სამართლიანი განვითარების მიზანს ემსახურებოდა და სწორედ ამას უმაღლეს მას კაცობრიობა. სადაც არ უნდა იყოს, ქვეყნის რომელ კუთხეშიც, ლენინის სახელი ყველა-



ზე ძვირფასი და მშობლიურია. არ არის სხვა უფრო საყვარელი, ვიდრე ლენინი, არ არის უფრო სამართლიანი, ვიდრე ლენინი, არ არის სხვა უფრო პროგრესული, ვიდრე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დიდი ლენინი, რომელმაც შექმნა რა მეფის რუსეთის იმპერიაში განაწამების ხალხების საუკეთესო წარმომადგენლებისაგან, მუშეობისა და გლეხების მოწინავე ადამიანებისაგან დიდი კომუნისტური პარტია, პირველმა მსოფლიოში გაამარჯვებინა სოციალისტურ რევოლუციას, პირველმა სამყაროში საძირკველი ჩაუყარა მუშებისა და ღარიბი გლეხობის სახელმწიფოს, პირველმა შექმნა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება, რომლის ბაგალთით და მხარდაჭერითაც ასე გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მთელ მსოფლიოში.

ლენინმა ცხოველი კვალი დატოვა ძველი და ახალი თაობის ადამიანის ცხოვრებაში. იგი ხალხს ასხოვს, რადგან ხალხი მისი სახელით იბრძვის, შრომობს და ცხოვრობს. ლენინის მოძღვრებამ აღანთა ადამიანები ერთი დიდი მიზნისათვის. ლენინმა აღმართა რევოლუციური თავისუფლების დროშა, რომელიც ახლა ასე მაღლა უჭირავთ საბჭოთა კავშირის ხალხებს, სოციალისტური ბანაკის ხალხებს, იმათ, ვინც გზას უკავავენ და საფუძველს უმაგრებენ დიდი კომუნისტური საზოგადოების საბოლოო გამარჯვებას, პროგრესისა და სამართლიანობის დამკვიდრებას მსოფლიოს ყველა კუთხეში, ყოველი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ამაღლებისათვის.

რითა ასე უძლეველი ლენინური მოძღვრება, რითა პოპულარული მთელ მსოფლიოში, რატომ შეიყვარა, შეისისხლბორცა და თავისი ბრძოლის დროშად აქცია იგი მსოფლიოს პროლეტარულმა, ღარიბმა გლეხობამ, რატომ შეიძულა იგი ჩვენი პლანეტის რაქციულმა სამყარომ, რატომ გამოუცხადა მას ბრძოლა მიწისა და ჩაგვრის მოსურნე იმპერიალიზმმა?

იმიტომ, რომ ლენინიზმი სიცოცხლე, ბედნიერება და მშვენიერებაა.

ლენინიზმი უძლეველია, რადგან იგი არის მილიონიანი მშრომელი მასების მოძღვრება, მუშათა კლასისა და გლეხობის მიზნებისა და მისწრაფებების გამომსახველი, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომავლინებელი. ლენინიზმი იმიტომ არის ასე პოპულარული მთელ მსოფლიოში, რომ იგი თვით ხალხის მიერაა შემოწმებული და მათივე ინტერესებისაგან ასხმული. იმიტომ შეიყვარა, შეისისხლბორცა და საკუთარი ბრძოლის დროშად გაიხსა იგი, რომ ლენინიზმის პროლეტარიატისა და გლეხობის წიაღში წარმოიშვა. იმიტომ შეიძულა ლენინიზმი ჩვენი პლანეტის მტრულმა ძალებმა, რომ იგი მათ ბოროტ ზრახვებს მოქმედების ბოლოს უღებს, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ბატონობის საფუძველს აცლის.

ლენინიზმმა გაიმარჯვა, ლენინის სახელმა ადამიანებს თავისუფლება მიუტანა და შემოქმედებითი ძალები უმარავლა, კაცობრიობა არავისით არ არის ისე დავალებული, როგორც ლენინით, ვინც ხროცი შეასხა მარქსის დიად ჩანაფიქრს, ვინც განავითარა მეცნიერული სოციალიზმის

დაიდი მოძღვრება ახალ ვითარებაში, იმპერიალიზმის ეპოქაში, აზრიანი თავისუფალი ცხოვრების შესაქმნელად, დაიდი კომუნისტური საზოგადოების არსებული შენობის ასაგებად, ყველა ეპოქისათვის და ყველა კონტინენტისათვის არაკავშირი ახალი საზოგადოებრივი ერთეულობით განსტიყვებული წყობილების განსამტკიცებლად.

ლენინისა და ლენინიზმის ეს ცხოველყოფილება ჩაუმტრალ ლამაზად ანთა ყველაგან. — ქალქსა თუ სოფელში, დიდას თუ პატარა ქვეყანაში, სოციალისტურსა თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ყველაგან, სადაც ცხოვრობენ ყოველივეს შემოქმედი მუშათა მასები, ყველა ისინი, რომლებიც მთელს მთელს მსოფლიოში მისდევენ ლენინის მიერ გავრცობილი მარქსის მოწოდების ძლიერსა და საიმედო ხმას — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ლენინიზმის სამშობლო ჩვენი დიდი ქვეყანაა. აქ, პროლეტარული რევოლუციებისა და იმპერიალიზმის ეპოქაში ჩაისახა, გაიზარდა და უძლეველ ძალად იქცა ლენინური მოძღვრება. იგი ერთნაირად ყოვლისშემძლე ძალად იკვინება საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიოს სხვა ხალხების მიზანსა და მისწრაფებას. მოსკოვსა თუ ჰანოიში, კაიროსა თუ ჰავანაში, ბერლინსა თუ ვარშავაში, აზიასა თუ ევროპაში, ავსტრალიასა თუ აფრიკაში, — ყველგან და ყოველთვის ლენინის მოძღვრება ხდება იმ სწორ და საიმედო ისრად, რომელსაც ასწორებენ თავიანთი ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის დროს სათაებს სიკეთე-სიმშვიდი-საკენ თვალმიპყრობილი ადამიანები.

ლენინიზმი ყველა დროისა და ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესულ სწრაფვათა გვირგვინად იქცა. ეს გვირგვინი პირველად ჩვენი ქვეყნის ხალხმა აღამაღლა და ახლაც მას ყველა თავის საკუთრებად მიიჩნევს, რადგან ლენინის მოძღვრება მსოფლიოს ხალხების განმათავისუფლებელ, პროგრესული მოღვაწეობის იდეალურ სათავედ იქცა.

იმპეტო კიდევ უფრო ტრიუმფალურად აღინიშნა მთელს მსოფლიოში დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი. არ მოიძებნება დედამიწაზე ქვეყანა, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საიუბილეო ტალღებს არ შეეღწის. იქაც კი, სადაც ახლაც ფაშისტურ-დემოკრატიული რეჟიმი ბრუნავს მასებს, დიდი ლენინის სახელით მოახლოებული განთავისუფლების იმედის სხივი იტრება და გარდაუკალიდო, როცა დღემდე მგზნავი ხალხები და კლასები საერთო-საკაცობრიო იდეალებით წინ მდგრადლ მავათა შეუერთდებიან.

ამაში ლენინიზმის ცხოველყოფილება. ამაშია დიდი ლენინის მოძღვრების უკვდაობა, ამაშია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმის საკაცობრიო მნიშვნელობა. ამიტომ მიმართა მისალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანამა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრენენგმა:

- ყველა ჩვენს თანამემამულეს — საბჭოთა ადამიანებს,
- ჩვენს ძმებს სოციალიზმის ქვეყნებში, მეგობრებსა და თანამოაზრეებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში.



— იმათ, ვინც აშენებს ახალ, თავისუფალ საზოგადოებას და იმათ, ვინც იბრძვის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

— ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და პროგრესის საქმე.

ეს მისალმება გულში ღრმად ჩარა ყველას, კრემლის ყრილობათა სახალმუშო 1970 წლის 21 აპრილს, დღის 10 საათზე გახსნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეებს, ყველას, ვინც რადიო თუ ტელევიზიით ისმენდა, ყველას, ვინც საგაზეთო ფურცლებზე ამოვიკითხა.

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიული საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ. მოხსენება „ლენინის საქმე ცოცხლობს და ინარჩუნებს“ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

3. ი. ლენინის 100 წლისთავის იუბილეს ზეიმი გადაიქცა ლენინის საქმის გამარჯვების, მისი იდეების, მისი ანდერძის უდიდესი ცხოველყოფილი ძალის დიდებულ დემონსტრაციად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლენინე ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებში ნაჩვენებია ლენინური მოძღვრების ამ დიადი გარდაქმნილი ძალის წყაროები, შეფასებულია საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომელიც მოპოვებულია ლენინის დროშით, ხაზგასმულია პროგრესისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპის აქტუალური ამოცანები.

ლენინმა — მეცნიერული აზრისა და რევოლუციური მოქმედების ტიტანმა — დასახა თანამედროვე საზოგადოების ღრმა სოციალური გარდაქმნათა პერსპექტივა, მოგვცა სიმაჰაციის, სიმტკიცისა და რევოლუციური შემოქმედების უზადლო მავალითი.

ლენინის ჩველთან, მის უკვდავ მოძღვრებასთან დაკავშირებულია ჩვენი საუკუნის ყველა ისტორიული მონაპოვარი — ოქტომბრის რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა სსრ კავშირში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, კოლნაიალიზმის მსხვერველა და ჩაგრულ ერთა განთავისუფლება.

ლენინი ეს არის ჩაგვრისაგან კაცობრობის განთავისუფლების დროშა. ახალი სამყაროს მშენებლობის დროშა, მშრომელთა ინტერნაციონალური მოძრაობის დროშა.

ამ დროშით იბრძვის, იღვწის და აღწევს დიდ მონაპოვარს საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხი. ამ დროშით მოიპოვებენ ნამდვილ თავისუფლებას ყველა სხვა ხალხებიც. ლენინის დროშა, ლენინის მოძღვრება ამის ძალასა და უნარს აძლევს ადამიანებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია პროგრესი, დემოკრატია, სოციალიზმი.

გ. ი. ლენინის 100 წლისთავის ზეიმი შემავაზებულ რადიო-ტელევიზიულ სიგნალში და კულტურის ყველა სფეროში. საერთაშორისო ლენინური პრემიების გადაცემა იქცა მაღლიერების იმ მაღალ საზომად, რაც ასე ღრმად აღიარა მთელმა პროგრესულმა კაცობრობამ. სწორედ ლენინის საიუბილეო საზეიმო დღეებში გადაცემა „ხალხთა შორის შვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ლადივიკ სვობოდას და პოლონელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იაროსლავ იაჟშევიცის.

ლენინური პრემიები მიენიჭათ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არტიტიკტურის დარგში მოღვაწე საბჭოთა ადამიანებსაც, რომელთა შორის არის რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი სიმონ ბაგრატიის ძე ქართლამაც, საბალეტო სპექტაკლი „სპარტაკის“ თანაავტორი ლენინური პრემიები მიენიჭათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის გიორგი კვინიტაძის ძე ჩიქოვანს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ვლადიმერ ნიკოლოზის ძე როინიშვილს და მათს ერეწულ კოლეგას თინათინ ასათიანს, რომლებმაც მოსკოველ მეცნიერებთან ერთად შექმნეს ნაშრომი „ტრეკის ნაპერვკლოვანი გამეგრები“.

საქართველოს მშრომელები ასალი წარმატებებით შეუდნენ ლენინის 100 წლისთავის საზეიმო წელს. ამ დიად თარიღს მიეძღვნა მრავალი მხატვრული ქმნილება. ქართულმა მხატვრებმა მრავალი საიუბილეო გამოფენა, რომელთა საუკეთესო ნაწილი ჩართულია მოსკოვში გამართულ საიუბილეო ექსპოზიციამ. საქართველოს გამომცემელებმა გახსნეს მშვენიერი წიგნები, რომლებიც მიეძღვნა დიდი ლენინს. ლენინის მოძღვრებით აღორძინებული საბჭოთა სამშობლოს კომპოზიტორებმა დაწერეს ლენინისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებები, სიმღერები.

დიდ, შემოქმედებით სიმღერად იქცა ლენინის საიუბილეო წელი. ამ სიმღერების ძლიერი ხმა მთელს მსოფლიოს მოედო და ერთობლივ ჰიმნში გადაიზარდა.

ლენინი — ეს არის ჩვენი სიმღერა.

ლენინი — ეს არის ჩვენი შრომა.

ლენინი — ეს არის ჩვენი ბრძოლა.

ლენინი — ეს არის ჩვენი მშვიდობა და გამარჯვება. ეს გამარჯვება დიდმა ლენინმა მოგვიტანა და კვლავაც ბევრს მოგვტანს, რაკი ჩვენი ხალხი, საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ბანაკის ხალხები, მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებთან ერთად მტკიცედ და განუხრელად ატარებენ დიდი ლენინის დიად მოძღვრებას, — გაქრეს წყველი და აღენთოს ნათელი, დამკვიდრდეს შრომის სიხარული და მოიხსნოს ბოროტების ნაკვალები, იდილის პუშანურობამ და დემოკრატია, გამარჯვების სოციალიზმმა და კომუნისმმა.

დიდი ლენინი ამისკენ მოგვიწოდებს და მისი მოძღვრების ერთგულინი ამ მოწოდებას შეასრულებენ, ლენინის სახელს უკვდავად ამყოფებენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის
სალამოს ხსნის საქართველოს სსრ მწე-
რალთა კავშირის პირველი მდივანი გ.
აბაშიძე.




პოეზიისა და მებრძოლის უორუვი

მშენებლის პარტიის და-
მარსებლის, უდიდესი რევოლუცი-
ონერისა და მოაზროვნის ვლადიმერ
ილიას ძე ლენინის დაბადების 100
წლისთავს მიუძღვნა ამიერკავკასიის
რესპუბლიკების პოეზიის დღესასწა-
ული, რომელიც დაიწყო ბაქოში (18,
19, 20 მარტს), გაგრძელდა ერევან-
ში (25, 26, 27 მარტს) და დამთავრ-
და თბილისში (29, 30, 31 მარტს).
გაზაფხულის ამ მომხიბვლელ დღე-
ებში სამი რესპუბლიკის მრავალრი-
ცხოვანი აუდიტორიის წინაშე მო-

ედგნება და დიდ დარბაზებში, უმაღ-
ლეს სასწავლებლებსა და მსხვილ სა-
წარმოებში გაისმოდა ჭართველი,
აზერბაიჯანელი და სომეხი პოეტების
ბელადისადმი, სამშობლოსადმი, ხა-
ლხთა ლენინური მემკვიდრეობისადმი
მიძღვნილი ლექსები. „ჩვენ, კავკასი-
ელი ხალხები, ძმები ვართ, ოდით-
განვე მხარდამხარ ვდგავართ, რო-
გორც ჩვენი მშობლიური მთები, თა-
ვიანთი ელვარე მწვერვალებით ერთ-
მანეთს რომ განამტკიცებენ და თა-
ვიანთი ფიქრებით ერთმანეთთან არი-

ან შერწყმულნი“ — წერდა სომეხ-
თის დიდი პოეტი ოვანეს თუმანიანი
და ამ სიტყვების კიდევ ერთ ნათელ
დადასტურებად იქცა მომე ერების
ეს დღესასწაულიც.

გულთბილად, დიდი სიყვარულით
შეეგება ჩვენი დედაქალაქი ამიერკა-
ვასიის პოეზიის დღესასწაულის მო-
ნაწილეებს. 29 მარტს თბილისში ჩა-
მოვიდნენ აზერბაიჯანელი და სომეხი
მწერლები. დილით სტუმრებმა და
მასპინძლებმა გვირგვინებით შეამკეს
ვ. ი. ლენინის ძეგლი მისსავე სახე-



ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის საღამო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ლობის მოედანზე. შემდეგ ყვავილები მიიტანეს მთაწმინდაზე. 30 მარტს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა პოეზიის ინტერნაციონალური დილა, საღამოს კი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საღამო პოეზიის დღეების დამაგვირგვინებელ ზეიმად იქცა.

ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა საღამოზე ამ დიადი მეგობრობის აღსანიშნავად.

— არა არის რა უფრო კეთილშობილური გრძნობა, ვიდრე გრძნობა მეგობრობისა, — თქვა საღამოს გასსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. დიდმა ნიჟამიმ და

რუსთაველმა შექმნეს ხალხთა მეგობრობის უკვდავი ძიძნები, მომავალ თაობებს უანდერძეს ეცხოვრათ ძმურად და მეგობრულად. ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში დიდი დეაწლი მიუძღვით მირზა ფათალი ახუნდოვსა და ოვანეს თუმანიანს. დიდი მეგობრობა აკავშირებდა მათ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები უძღვნეს პოეტებმა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას. ამაზე წერდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებსაც თავიანთი ხალხის თავისუფლების პირველ პირობად სხვა ხალხებთან ერთობა მიანდდა...

— ვამაყოთ, — თქვა დასასრულ

გ. აბაშიძემ, — რომ ჩვენს საუკეთესო ლექსებსა და სიმღერებს ვუძღვნით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელს — დიდ ლენინს, ვუმღერით ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

გულთბილი სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი მირზა იბრაჰიმოვი.

...ჩვენი მეგობრობა ლიტონი სიტყვა კი არა, არამედ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შინაარსია... დღეს ამ მრავალსაუკუნოვან, მძლავრ, ურღვევ მეგობრობას შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს.

დიდება მას — ჩვენს მეგობრობას,



დიდება ჩვენს ძმობას! — სთქვა მირ-
ზა იბრაჰიმოვიძე.

ამ დიდი მეგობრობის ღრმა
გრძნობის შესახებ ილაპარაკა აგ-
რეთვე სომხეთის მწერალთა კავში-
რის გამგეობის მეორე მდივანმა პრა-
ცი აფანესიანმა.

...ჩვენ, — თქვა მან, — ერთგულ-
ნი ვართ ჩვენი დიადი და სახელო-
ვანი წინამორბედების ანდერძისა და
ყოველთვის ისე ვიცხოვრებთ, რო-
გორც ისინი გვიანდერძებდნენ.

სალამოზე შთამაგონებლად წა-
იკითხეს საკუთარი ლექსები და თარ-
გმანები პოეტებმა: კ. კილაძემ, ნ. რა-
ფიგიელმა, მ. ფოცხიშვილმა, ა. მირ-
ცხულავამ, ვ. ნორცემა, ზ. ბოლქვა-
ძემ, რ. რზამ, მ. ბარათაშვილმა,
რ. მარგიანმა, ა. გრამამ, ნ. ჩაჩავამ,
თ. შირაზიმ, გ. შახნაზარმა, მ. იბრა-
ჰიმმა, ლ. ნოზაძემ, ვ. დავითიანმა,
ლ. სულაბერძემ, ა. საროიანმა, ლ.

ერაძემ, ჯ. ჩარკვიანმა, ფ. გოჯამ,
ზ. კაპუტკიანმა, ნ. კილასონიამ, ი.
ნონეშვილმა.

ვოკალური ანსამბლის „გორდე-
ლას“ თანხლებით ჩვეული ოსტა-
ტობით წაიკითხეს ლექსები სსრ კავ-
შირის სახალხო არტისტმა ს. ზაქა-
რიაძემ, რესპუბლიკის დამსახურე-
ბულმა არტისტებმა ს. ჭიაურელმა და
გ. საღარაძემ.

სალამოს დაესწრნენ გ. დ. ჯავა-
ხიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. რო-
დიონოვი, მ. ა. გოგიჩაიშვილი, შ. დ.
კიკნაძე, თ. ი. ლოლაშვილი.

იმავე დღეს საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. დ. ჯავახიშვილი და რესპუბლი-
კის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე ესა-
ზნრნენ ამერიკაკავასიის რესპუბლი-
კის პოეზიის დღეების მონაწილე
მწერალთა ჯგუფს. მათ აღნიშნეს,

რომ ასეთი შეხვედრები და კონტა-
ქტები განამტკიცებენ ხალხთა მეგობ-
რობას, შთააგონებენ ახალი მაღალ-
მხატვრული ნაწარმოებების შექ-
მნისათვის.

31 მარტს ამერიკაკავასიის რეს-
პუბლიკის პოეზიის დღესასწაულის
მონაწილენი ეწვივნენ ვ. ი. ლენინის
სახელობის ელმავალსაშენებელ ქარ-
ხანას, გაეცნენ მის საამქრობის,
მშრომლებს. შეხვედრაზე წაიკითხუ-
ლი იქნა ბელადისადმი, სამშობლო-
სადმი მიძღვნილი ლექსები.

სტუმრებმა ინახულეს აგრეთვე
ძველი ივერიის დედაქალაქი მცხე-
თა. ჯვრის მონასტრის, უკვდავი სვე-
ტიცხოველის თაღბქვეშ კვლავ გა-
ისმოდა პოეტური სიტყვა.

ამერიკაკავასიის რესპუბლიკების
პოეზიის დღესასწაული დიდი ტრა-
დიციული მეგობრობის საუკეთესო
დადასტურებაა.

ამერიკაკავასიის რესპუბლიკების პოეზიის საღამო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.



თანამედროვეობის დიდი ხელოვანი, თეატრალური მხატვრობის გამოჩენილი ოსტატი სოლიო ვირსალაძე ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა. ოთხი ათეული წელია, რაც მისი ტალანტი ბრწყინავს საბჭოთა მუსიკალური თეატრების სცენებზე. მის მიერ გაფორმებული საოპერო და საბალეტო სპექტაკლები შესულია საბჭოთა სახვითი და თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში. ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს სოლიო ვირსალაძის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ერთი ქმნილება მაინც, ვერასოდეს დაივიწყებს მის მშვენიერებას.

განუმეორებელ მხატვრულ სრულყოფილებას სოლიო ვირსალაძემ საბალეტო თეატრის სცენაზე მიაღწია. მის შემოქმედებაში სათავეს იღებს არა მარტო თეატრალური მხატვრობის, არამედ თავად საბალეტო ხელოვნების ნოვატორული ძიებები, მისი თანაავტორობით იზადება საბჭოთა ბალეტის ჭეშმარიტად საუკეთესო ქმნილებები. ამიტომ იგი საბალეტო ხელოვნების რეფორმატორად არის აღიარებული.

რითი აღწევს სოლიო ვირსალაძე ყოველივე ამას? მძლავრი და თვითმყოფადი მხატვრული ინდივიდუალობით, იმ მრავალმხრივი ტალანტით, რომლითაც იგი გასცდა სახვითობის საზღვრებს და სინთეტური ხელოვნების რთულ ბუნებას ორგანულად შეერწყა.

სოლიო ვირსალაძის შემოქმედებაში ვლინდება ნიჭიერებათა უნიკალური კომპლექსი, რომელშიც კარმონიულად თანაარსებობენ ღრმა და დახვეწილი ფერწერული აზროვნება, მხატვარ-დრამატურგის მახვილი ხედვა, იშვიათი თეატრალური ალღო, ჭორეოგრაფიული სპეციფიკის საფუძვლიანი ცოდნა, მუსიკალური პარტიტურის პროფესიული აღქმა. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ იგი მოაზროვნე მხატვარ-დრამატურგად, მხატვარ-რეჟისორად, მხატვარ-მუსიკოსად. არსებითად ამ უნივერსალობაშია ს. ვირსალაძის შემოქმედების ცხოველყოფილი ძალა, აქ უდევს სათავე მის ნოვატორულ პოტენციას.

ჯერ კიდევ 30-იანი წლების დამდეგს, თბილისის საოპერო თეატრში მოსვლისთანავე, თვალსაჩინო გახდა ძალზე თავისებური, ვირსალაძისეული ხელწერა. იმ ხანად გაფორმებულ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში ჰეროიკული მონუმენტურობისა და ანაღლებული პოეტური ლირიზმის თანაარსებობამ ცხადყოფს ახალგაზრდა მხატვრის მდიდარი ემოციური ბუნება. მაშინვე გამოვლინდა ს. ვირსალაძის მხატვრული ინტერესების მრავალმხრიობაც. კლასიკური და თანამედროვე, ქართული, დასავლეთ ევროპის, რუსული თუ საბჭოთა საოპერო და საბალეტო მუსიკის მაღალმხატვრული ქმნილებები დღესაც შეუნდობლად აღვიგებენ ს. ვირსალაძის დაუშრეტელ ფანტაზიას.

ქართული საბალეტო ხელოვნების დაბადება ბევრით არის დავალებული ს. ვირსალაძის ნიჭსა და ოსტატობაზე. 1936 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე სამი გამოჩენილი ქართველი ხელოვანის ა. ბალანჩივასი, ვ. ჭაბუკიანისა და ს. ვირსალაძის მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტში დაიბადა პირველი, ჭეშმარიტად ეროვნული ბალეტი „მთების გული“. ს. ვირსალაძემ აქტიური მონაწილეობა

სოლიო ვირსალაძე — ლენინური პრემიის ლაურეატი

მანანა ახმეტელი

ბა მიიღო ქართული საბალეტო ფორმებისა და კოლორიტის დაფუძნებაში. ამიტომ იგი ღირსეულად ინაწილებს ქართული საბალეტო ხელოვნების ერთმედობის სახელს.

ს. ვირსალაძის ხელოვნული ბალეტის განვითარებაში თვალსაჩინოდ ცხადყოფს შესანაშნავი სპექტაკლი ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1957 წ.) და თუ კი ჩვენს სცენაზე შესაძლებელი გახდა შექსპირის ტრანჯის ნებათა უკიდვანოს სამყაროს წარმოსახვა, ამას ს. ვირსალაძის ტალანტსაც უნდა ვუმადლოდეთ. დიდი ს. ვირსალაძის წვლილი საქართველოს ხალხური ცეცვის სახელმწიფო ანსამბლის წარმატებებშიც. მის მიერ შექმნილი კოსტიუმების უმდიდრესი გალერეა საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ იგი ეროვნული თეატრალური კოსტიუმის დიდოსტატად!

სოლიო ვირსალაძე (1945 წლიდან) წლების მანძილზე ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი იყო. იმ პერიოდში ს. ვირსალაძის ოსტატობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. მის მიერ გაფორმებული საოპერო და საბალეტო სპექტაკლები საყოველთაო ყურადღების იპყრობდნენ სტილის ფაქტში შეგრძნებით, ფერთა კარმონით, კოლორისტული თავისთავადობით და რაფინირებუ-



სოლოკო ვირსალაძე.

ლი მხატვრულობით. არსებითად აქ ჩამოყალიბდა ს. ვირსალაძის ლაკონიური და ამასთან ემოციურად ძალზე მეტყველი ხელწერა. ამ სცენაზე დადგმული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბალეტები — „მძინარე მზეთუნახავი“, „ქვის ყვავილი“, „ლაურენსია“, კაბალევესკის ოპერა „ტარასის ოჯახი“ და სხვ.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ს. ვირსალაძე მოსკოვის დიდ თეატრში მოღვაწეობს. გამოჩენილ საბჭოთა ქორეოგრაფთან ი. გრიგოროვიჩთან შემოქმედებით თანამშრომლობაში შეიქმნა საბჭოთა ბალეტის ბრწყინვალე ქმნილებები — „შჩელკუნჩიკი“, „ლევენდა სიყვარულზე“, „სპარტაკი“, „ვედების ტბა“.

ამ სპექტაკლებში ს. ვირსალაძის მხატვრულმა აზროვნებამ ზენიტს მიაღწია. აქ მოხდა მხატვრის მრავალწლიანი ძიებებისა და მონაპოვების შეჯამება, გამომსახველო-

ბითი საშუალებების განზოგადება და კონკრეტიზაცია. კიდევ უფრო ლაკონიური და მეტყველი გახდა მისი ხელწერა, გამყარდა დინამიკური კონტაქტი დეკორაციებსა და კოსტიუმებს შორის. თვალსაჩინო გახდა ს. ვირსალაძის მუსიკალურ-პლასტიკური აზროვნება, მისი ორიგინალური სახეითი კონცეფციების რელიეფურობა და ფილოსოფიურ-პოეტური სიღრმე, აქვე მიაღწია ფერისა და სინათლის დრამატურგიულ გააზრებას.

ყოველივე ეს განსაკუთრებული სრულყოფით აირეკლა ა. ხაჩატურიანის ბალეტში „სპარტაკი“. სწორედ ამ ბალეტით მიიპოვეს ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება სპექტაკლის ბალეტმაისტერმა — ი. გრიგოროვიჩმა, დირიჟორმა — გ. როდუტსკენსკიმ, შემსრულებლებმა — ვ. ვასილიევმა, მ. ლიეპამ, მ. ლავროვსკიმ და ჩვენმა გამოჩენილმა თანამემამულემ სოლოკო ვირსალაძემ.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სიუჟეტო პლენუმი

მბინისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამართა საიუბილეო პლენუმის კონცერტები მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ქართული მუსიკალური ლენინიანა შეიცავს მრავალრიცხოვან ნაწარმოებს. ქართველმა კომპოზიტორებმა სიმღერებში, სიმფონიებში, კანტატებსა და ორატორიებში გამოხატეს თავისი დამოკიდებულება რევოლუციის დიდი ბელადისადმი, მისი უკვდავი იდეებისადმი.

საპლენუმი კონცერტებზე აქლერდა

ლენინის სახელით შთაგონებული ახალი ნაწარმოებები. მათში ჩაქოვილია ღრმა პატივისცემა და სიყვარული საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის მიმართ.

პლენუმის პირველ კონცერტზე შესრულდა ო. თევდორაძის სიმფონია, ა. ჩიმაკაძის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ვლადიმერ ლენინი“ (მ. მაჭავარიანის ტექსტზე), თ. გორდელის „ოდა ლენინს“ (ა. მირცხულავას სიტყვებზე) და ს. ცინცაძის ორატორია „უკვდავება“ (მ. ფოცხიშვილის ტექსტზე).

მეორე დღეს შესრულდა ნ. გუდიავის მესამე სიმფონია, ა. შა-

ვერზაშვილის სიმფონიური პოემა „ლენინელები“, შ. მშველიძის მეოთხე სიმფონია.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი გ. გოცირიძის დირიჟორობით, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კილაძისა და დირიჟორ ს. კორკოტაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო კაპელა გ. ბაქრაძის მხატვრული ხელმძღვანელობით, სოლისტები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ო. კუზნეცოვა, რ. კაკაბაძე, პიანისტი ე. გულისაშვილი.

სამამულო ომის ქმრ

1940 წლის 31 დეკემბერი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი უჩვეულოდ გრავიანდა.

ის იყო დამთავრდა ი. ჭავჭავაძის „მაჭანალი“, რომელიც ქართველმა მსურველმა აღტაცებით მიიღო და განცდილი სიამოვნების საპასუხოდ დამდგმელ კოლექტივს მსურველზე ოვაცია შეაგება. თავდავიწყებით უგრავდნენ ტაშს, სცენაზე მოუხმობდნენ შემსრულებლებსა და დამდგმელ რეჟისორს აკაკი ვასაძეს.

აკაკი! აკაკი ვასაძე! ბატონი აკაკი! თეიმურაზ, თეიმურაზ სიმონიშვილი! თემო! — უხმობდნენ ლურასაბ თათქარიძის როლის შემსრულებელს 20 წლის ჭაბუკ მსახიობს. განსაკუთრებით სისარულს ვერ ფარავდნენ ახალგაზრდები და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, რომელთაც გულწრფელად ახარებდათ მეგობრების ბრწყინვალე გამარჯვება.


მათ ოვაციებით მოხიმეს სცენაზე მთელი შემადგენლობა: მხატვარი ა. თევზაძე, ასისტენტი ვ. ადამიძე, ხორეშანი — დ. წულაძე, ელისაბედი — ა. შიხონოვა, მ. გქელიძე, ბ. ტყეშელაშვილი, ა. კობალაძე და სხვები.

სადილობო მომენტები თითქმის დადასტურება იყო იმისა, რომ დავაგვაცდა ახალგაზრდა აქტივობა თაობა,

მსახიობის უკვდავება

ილია ტატიშვილი

თეიმურაზ სიმონიშვილი — თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, 1939 წელს.



რომელსაც შეუძლია სასახლოდ განაგრძოს ქართული ხელოვნების საამაყო ტრადიციები.

1941 წელი დგებოდა. მაყურებლებმა მხიარული განწყობილებით მიაშურეს თავიანთ ოჯახებს, რომ ახალი წლის დადგომას შეხვედროდნენ. არ ჩქარობდნენ მხოლოდ დამდგმელები, შემსრულებლები და კომისიის წევრები, რომელთაც უნდა შეეფასებინათ სპექტაკლი.

— ხალხი აღფრთოვანებულია სპექტაკლით, ეს უკვე გამარჯვებაა, — გამოთქვა აზრი კომისიის თავმჯდომარემ ბ. გაბაჩაშვილმა.

— დიდებულია, დიდებული, — დაადასტურეს კომისიის წევრებმა: ა. ხორავამ, აკ. ფაღავამ, შ. ალსაბაძემ, კ. პატარიძემ, ი. გაბუნიამ, გ. კიკნაძემ და მ. მრევლიშვილმა.

ტუსტინოვოვი კი, რომელიც სიძუნწით გამოირჩეოდა მსახიობთა ოსტატობის შეფასებაში, გაღიმებული მიუბრუნდა აკ. ვასაძეს და მიულოცა — არ მოველოდი, გულწრფელად ვაღიარებ, არ მეგონა თუ ასეთი წარმატება ექნებოდა ამ სპექტაკლს, — თქვა მან.

აკაკი ვასაძე თეიმურაზ სიმონიშვილს გადაეხვია, მამაშვილურად გადააკოცნა, მერე ყველა შემსრულებელს ხელი ჩამოართვა და დასძინა: თეიმურაზის სულში ყოველთვის ვხედავდი აქტიორის დაგუბებულ ძაღს, დღეს ამ ძაღმ

თავი იჩინა და სწორედ ეს არის წინამორბედი ამ სპექტაკლის ბრწყინვალე გამარჯვებისა. გზა დაველოცით ახალგაზრდა შემოქმედ კოლექტივს. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ხელოვნების დიდ გზაზე, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო! კომისიამ სპექტაკლი კარგზე შეაფასა, ხოლო ლუარსაბის როლის შემსრულებელს — თეიმურაზ სიმონიშვილს დიპლომში ფრიადი ჩაუწერა. კომისიის წევრებისა და ლექტორების წასვლის შემდეგ, ახალგაზრდებმა ერთხელ კიდევ განიცადეს წარმატების სიხარული, ერთმანეთს გადაუხვივნენ და დარბაზისაკენ გაეშურნენ. მათ იქ მშობლები, მეგობრები და მასლობლები ელოდებოდნენ.

იქვე, სავარძელში, ლამაზი პირისახის, შავებში ჩაცმული მანდილოსანი იჯდა, ბავშვზე ღიმი დასთამაშებდა, თვალებით ერთ ადგილს მისჩერებოდა. გონებით კი წარსულს სწვდებოდა. მას გაახსენდა 1924 წელი, გორის გზაზე ყაჩაღების მიერ მოკლული თეიმურაზის მამა. სრულიად ახალგაზრდა ქალი დარჩა 3 პატარა ბიჭით, რომელთა აღზრდას მთელი ენერჯია და ახალგაზრდობა შეალია. მართალია, მას მხარში ამოუდგა თეიმურაზის მამიდა თამარი, მაგრამ ცხოვრება მაინც შირდა. ჯერ იყო და ქუნთრუშამ მოულოდნელად გამოაცალა ხელიდან უმცროსი ვაჟიშვილი, მაგრამ შვილებისადმი პასუხისმგებლობამ ყველა მიწუხარე-



თეიმურაზ სიმონიშვილი სტალინგრადთან ბრძოლების წინ.

ბა გადაატანინა და თავის პატარა ბიჭებს შალვასა და თეიმურაზს ფერიასავით დასტრიალებდა.

ცხოვრება წინ მიდიოდა. შალვამ საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესი ცოდნის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა. თეიმურაზი კი მხოლოდ მე-7 კლასში იყო, როდესაც პირველად თავის მშობლიურ სოფელ შინდისში დრპაპატული წრე ჩამოაყალიბა, თვითონვე გაასცენიურა ხალხური „არსენას ლექსი“ და თანასოფელების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ თეიმურაზის ლტოლვა თეატრისადმი უფრო და უფრო იზრდება. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს სკოლის დრამატული წრე და თეატრისაკენ მისწრაფის. შეუწყებელი დედა ნათესავებს შესჩიოდა: რა ვქნა, რა აიკვირია? მთელი დღე სულ მარჯანიშვილის თეატრზე ლაპარაკობს, ემანდ ღმერთი არ გაუწყურეს და არტისტი არ გამოვიდეს.

ფერეხში წასული ქალი შვილის ხმამ გამოაფხიზლა. უნებლიეთ საათს დახედა და შეწუხდა: ახალი წელი დავედგამომა, ჩვენ კი ისევ თეატრში ვართ; ახალ წელს, შვილი, ყველა თავის სახლში უნდა ხვდებოდეს. — მე ჩემს სახლში ვარ, ჩემი სახლი ეს არის, დედა, თეატრი. ამაზე კარგი სახელი მე არც მინდა, წამომყვიე! თეატრის მეკვლე უნდა გავხდე — უპასუხა თეიმურაზმა, დარბაზის კარი გამოაღო და

თავისი ლამაზი ტემბრით შესძახა: „შემოვდი ფეხი, გწყალობდე ღმერთი“.

ცარიელი კედლების ექიმ გაიმეორა მისი სიტყვები. თეიმურაზი დედას გადაეხედა და ჯვარდინად გადაიკონა, შემდეგ კი ალტაცებით თქვა: დედა, მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი, ჩემი ოცნება ასრულდა. ამაზე ლამაზი, ბედნიერი წელი მე ჯერ არ გამოთენებია.

დღის „შიში“ უსაფუძვლო როდი იყო, თეიმურაზი მთელი დღე მარჯანიშვილის თეატრის კულისებთან იყო ატრუსული. მონადირეებამ თავისი გაიტანა, სცენაზე შეყვარებულმა 16 წლის ბიჭმა მალე მიიქცია უფროსი ამხანაგებისა და რეჟისორების ყურადღება. იგი ჩარიცხეს მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში. თეიმურაზი ხშირად იყო დაკავებული სპექტაკლებში — ეპიზოდებსა და მასობრივ სცენებში. იგი ერთფეროვან როლებშიც კი პოულობდა განსხვავებულ შტრიხებს და ლამაზად ერწყმიდა სპექტაკლის მსვლელობას. ასეთი სითამამე დამწყები მსახიობისა ზოგიერთებს არ მოსწონდათ და უკავრდებოდნენ — შენ მასში მონაწილე ხარ და არტისტობას თავი გაანებო. ერთ-ერთი ასეთი დატუქვის დროს ჩვენს სახელოვანი მამულიშვილი უშანგი ჩხეიძე გამოეკომაგა თეიმურაზს და ახალგაზრდა ასისტენტს ასე მიმართა: „მსახიობი სავარძელი არ არის, რომ სადაც გვენებს იქ დადგა, იგი ცოცხალი მოაზროვნე შემოქმედია მთელი თავისი ადამიანური ხასიათით და სირთულით, ჩვენ სწორედ ასეთებისაგან უნდა ველოდეთ ქართული სცენის მომავალ ვარსკვლავებს და არა გონებაგაყინული მსახიობებისაგან, რომელთა აზროვნება მთლიანად რეჟისორებზეა დამოკიდებული“. შემდეგ თეიმურაზი გვერდზე გაიხმო და დიდხანს ესაუბრა თეატრზე, ცხოვრებაზე, მსახიობის შემოქმედებაზე. ბოლოს თავისი ფოტოსურათი უსახსოვრა წარწერით: „ჩემს საუკეთესო მოწაფეს — თეიმურაზ სიმონიშვილს — უშანგი ჩხეიძისაგან. თბილისი. 1937 წელი“.

თეიმურაზი ამ საჩუქარმა და უშანგისთან მეგობრულმა საუბარმა აღაფრთოვანა. უშანგის გამოეშვიდობა, თუ არა, თავის მეგობარ გიორგი შავჯანისთან გაქანდა, კიორხე შემოეხვია, გადაიკონა და დიდი სიხარული გაუხიარა.

თეიმურაზ სიმონიშვილი თეატრალურ ინსტიტუტში გადასვლის შემდეგაც არ ტოვებდა მარჯანიშვილის თეატრს. იგი დიდი ხალხის მიზნობა ინსტიტუტიდან თეატრის სამუშაოდ. მხოლოდ თეატრი ასულდგმულზედა ჰბატუნს. განსაცვიფრებელი მუყაითობა, შრომის დიდი უნარი, საკუთარი თავისადმი მკაცრი ნომოხიენელობა, მაღალი ნიჭი, მონდვებულები გიჟობა, მეგობრებისადმი უზაღო ერთგულება, თეიმურაზ სიმონიშვილს ყველაასათვის საყვარელ და მისაბამ ახალგაზრდა მსახიობთა რიგში აყენებდა. ჯერ ინსტიტუტი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მის მომავალ მოღვაწეობაზე მსყველობდნენ, კერძოდ კი — რომოდ თეატრში იმუშავებდა. ორივე თეატრში (მარჯანიშვილისა და რუსთაველის) ხელგამოშლილი ელოდებოდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობს. მან ჯერ კიდევ ინსტიტუტში ყოფნისას მიიქცია თეატრალური საზოგადოების ყურადღება. მისი ლუარსაბ თათქარიძე („მაჭანკალი“), თავადი ონოფრე

ხარაძე (გ. ერისთავის „დავა“) და სხვ. დღესაც ბევრს ახსობს.

თეიმურაზმა 1941 წლის 21 ივნისს მიიღო დიპლომი და ფრენა-ფრენით ავარდა ჰავაგაძის აღმართზე. დედა და მამიდა ორივე ერთად გულში ჩაიკრა, მერე ცალ ქუსლზე შემოტრიალდა, სოფელური საცვევო ჩამოვარდა და მამინცე გაუჩინარდა, რათა თავისი დაუოკებელი სიხარული მეგობრებისთვისაც გაეხიარებინა.

„სიხარული და ცრემლი ერთად დაგვატყდა თავს, — იგონებს მისი თანაკურსელი და ბიძაშვილი ქეთინო ილიას ასული ფიცხელაური, — ვუვიმობდით ინსტიტუტის დამთავრებას და ვუწხდით მეგობრებთან დაცილებას, რომელნიც ომის ქარცეცხლს უნდა შეებოდნენ. ჯარში წასვლის წინ თეიმურაზმა სურვილი გამოთქვა: მიინდა ჩემს თეატრებსა და ინსტიტუტს ერთხელ კიდევ გადავავლო თვალი. ცოტა მოგვიანებული იყო, მაგრამ მაინც გავედით ქუჩაში. მარჯანიშვილის თეატრთან შევდექით. მის კედლებს ხელი გადაუსვა, როგორც ცოცხალ არსებას, ლოყა მიადო და მიეფურა. მერე უცებ მოსწყდა ადგილს. ალბათ ცრემლები გადმოსცივდა და არ უნდოდა ჩვენითვის ეჩვენებინა. რუსთაველისაკენ დავეშურეთ, ინსტიტუტში შეიხედა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, აქ ჩემი სულიც ტრიალებსო, თეატრის შესასვლელთან ხულები გაშალა და ხმაძალა წამოიძახა:

„უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
კამე, რაირივად ძნელია“.

მოტრიალდა და ცრემლნარევი თვალებით გვეითხრა: ჩემი ამხანაგები წაივდნენ, მეც მათთან ერთად ვიბრძოდებ, სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ მიმძიმს უთეატროდ, ძალიან მიმძიმსო. გამოშვებდობებისას ისევ მან გაგავამხნევა. ნუ გეშინიათ, რკინის პერანგს ჩავიცვამ და ისე ვიბრძოდებ, რომ ტყვია არ მომეკროს და ჩემს საყვარელ თეატრს კვლავ დაგვბრუნდეთ. ომის ქარცეცხლმა დაამსხვრია მისი ოცნება. მას შემდეგ იგი აღარ გვიხანავას“.

თეიმურაზს შეეძლო სამხედრო კომენდატურაში დარჩენილიყო სამუშაოდ, მაგრამ უარი თქვა: თეატრალური ინსტიტუტიდან წამოსული ამხანაგები თითქმის ყველა ერთად ვართ — თითოერთივე ვახტანგი, დემეტრავილი გაბო, ავალიანი ბორისი, გოგეშვილი ვახტანგი, ტყეშელაშვილი ბორისი, უგულავა ირაკლი, მქედლიშვილი ვახტანგი. მე იმით ვერ მიატოვებ, სადაც ისინი იქნებიან, მეც იქ ვიქნები, ვეც არ იყოს, რასან თეატრში მუშაობა არ დამეკლდა, ისევ ფრონტზე ყოფნა მირჩევნია, რომ სამშობლოს დაცვაში მეც ჩემი წვლილი შევიტანო.

თეიმურაზმა და ზემოთ ჩამოთვლილმა მისმა ამხანაგებმა გორკის ოლქის ქ. მურომის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრეს და ოფიცრის წოდებით წაივდნენ ფრონტზე.

ფრონტმა დაქსაქსა ჩვენი გზა-კვალი. სხვადასხვა შენაერთებში გაგვანაწილეს და ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შევიტყვევთ ვის რა ბედი ეწია, — იგონებს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგეშვილი, — ხო-

ლო თეიმურაზი, ეს დაუდგარი, უარესად თავისებური, უწმინდესი გრძობის ახალგაზრდა, მთის წყაროსავით სუფთა გულის ბიჭი — ჩემი კარგი მეგობარი იყო. ჩემი მეგობარი-მეუტი. ჩემი კი არა, ყველას მეგობარი იყო. დიას, თეიმურაზთან დამეგობრება ინსტიტუტის ყველა სტუდენტს სურდა და არა მარტო სტუდენტობას, ლექტორებიც აშკარად გამოთქვამდნენ ამ სურვილს. ის იყო განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, უსარმასური მონღოლებისა და თავის პროფესიაზე ფანატურად შეყვარებული. ვერასოდეს ვერ ჩახავდით მას უსაქმოდ გაჩერებულს ან მოსივინეს. თუ თეიმურაზი ვინცეს ესაუბრებოდა, მის ირგვლივ სტუდენტთა მიელი დავის მოგროვებოდა — უსათუოდ ისეთ რამეს იტყვის, ჩვენც გამოვავადებთ როდისმეო. მისი საუბარი უფრო კამათის ხასიათისა იყო, მუდალ შეტყობის მოზიცივა კვავა და საჭიროების დროს პოლემიკაში ისე პოზუენილად გამოიყენებდა რომელიმე მეცნიერის ან ცნობილი პირივნების გამოთქვამს, რომ გული სიამაყით გვევსებოდა.

ერთხელ მეგობრები რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. ინსტიტუტის შენობას რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, ჩვენი აღუდიტორია განათებული იყო. ვიფიქრეთ, ალბათ შუქი დარჩა ვინმესო. ბორის ტყეშელაშვილმა (ფრონტზე დაიღუპა) თქვა: თუ გინდათ დაგეინიძლავებით, რომ მანდ ახლა „სიმონიანთ“ ბიჭი ვარკიობსო. აბა იმის მეტი ახლა მანდ ვინ იქნებო. გაბო დემეტრავილი არ დაე-

თეიმურაზ სიმონიშვილი ლურსაბის როლში.



თანხმა, თეიმურაზს ახლა მანდ რა უნდაო. ავედით აუღი-
ტორიაში და ვხედათ — მარტოკა გადიოდა რეპეტიციას.
მან ერთი კი შემოგვხვდა და თავისი საქმე განაგრძო. ჩვენ
აუღიტორია უხმოდ დავტოვეთ და უღდეგის სიმაპითი
გავიმსჭვალებოთ მის მიმართ. დიწყო სამამული ომი და
ჩვენ ყველანი ომში წავიდით. პირველი საბრძოლო ნათ-
ლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქ. ორიოლში მივიდეთ,
როდესაც ვერმინდებმა ჩვენი უმლონები დაბომბეს. ომმა
დაამსხვრია ჩვენი ახალგაზრდული ოცნებები...

1967 წელს — ინსტიტუტის დამაარებელი 25 წლისთა-
ვან დაკავშირებულ საღამოზე — ბევრი ჩვენი ამხანაგი
მოვიგონეთ. მათ შორის: ბორის ავალიანი, ვახტანგ მჭედ-
ლიშვილი, თეიმურაზ სიმონიშვილი, ვახტანგ თითბერიძე,
ბორის ტყემალაშვილი და სხვანი. მივიღე მუგუნი ცრემ-
ლად იღვრებოდა, როდესაც მათი გვარები ამოიკითხეს.
ვახტანგ მან გახსენებაზე კვავდა თვალები დაწანა, ხმა
გაქანდა. შემეცნა და ეს გულმართლი ვაჟაკი, რომ დაღუ-
პული მეგობრების გახსენებით გულს ტკივილი მივაყენე,
მაგრამ...

სახელმწიფო პრემიის ორჯონი ლაურეატმა, საბჭოთა
კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი გასაძე შემდეგი ჩანა-
წერი გაგვიკეთა: „თეიმურაზ პანტელეიმონის ძე სიმონი-
შვილი, ეს დაუვიწყარი სტალინტია ჩემთვის, არა იმიტომ,
რომ პირველი, უშუალოდ დასავსე, სისხლ-ხორცის შემ-
ხმელთა ღურასბის სახისა ილია ჭავჭავაძის ცნობილ „იპო-
ცია ადამიანში“; ინსტიტუტის სადიპლომო სპექტაკლში,
რომელსაც მე ვგვამდ; არამედ, როგორც ჭაბუკი, ყველას-
თვის საყვარელი ამხანაგი, თავისი საქმის ფინანტიკოსი,
რაც საინდარი იყო იმისა, რომ მისგან ნამდვილი სიამუ-
დო, პროფესიონალი მსახიობი დადგებოდა და ყოველთვის,
როცა მის უღმოდ შეწყვეტილ ცხოვრებას გავისხენებ სა-
მამული ომში, ერთი გამოუთქმულ მწუხარებას განვიციდ.
ალბათ ასე გამყვება ჩემს თეიმურაზზე ფიქრი, მანამ სი-
ცოცხლე მიწვრია“...

თეიმურაზი სამხედრო სასწავლებლიდან პირდაპირ მო-
წინავე ხაზზე მოხვდა მე-16 მოქმედი არმიის შემადგენ-
ლობაში, რომელიც ფაშისტთა გააფრთხეულ შეტევებს იგა-
რიებდა მოსკოვის მისადგომებთან. 5 თვის განმავლობაში
იგი ფრონტის წინა ხაზიდან არ გამოსულა, მანამ შეტე-
ვით ბრძოლებში მძიმე ჭრილობა არ მიიღო.

სემიპალატინსკის პოსპიტლიდან, განკურნების შემდეგ,
თეიმურაზი კვლავ წინა ხაზზე მიდის, ამჯერად უკვე
სტალინგრადის დასაცავად, სადაც სამკვდარი-სასიცოცხ-
ლო ბრძოლა წარმოებდა ორ უღდეგს არმიას შორის. თეი-
მურაზს სხვა მებრძოლებთან ერთად უკიდურესად ძნელ
და რთულ პირობებში უხდებოდა სტალინგრადის დაცვა
პარისსტაინის ფაშისტებისაგან, რომლებიც მოსკოვთან და-
მარცხების შემდეგ რეაბილიტირებას სტალინგრადში აპი-
რებდნენ. ბრძოლის ამ ურთულეს პირობებშიც კი თეიმურა-
ზი არ კარგავდა ოპტიმიზმს და თეატრისადმი ფანატრ-
კურ სიყვარულს. მის მიერ ღედისადმი გამოგზავნილ წე-
რილებში ვკითხულობთ: „ჩემო საყვარელო დედა. ვიცი,
რომ ჩვენი დარდით ღამეები არა გძინავს, მაგრამ მერწმუ-
ნე, სიმართლე არასდროს არ მარცხდება და გამარჯვებამი

ეჭვი არავის არ გვეპარება. მართალია, გერმანული ფა-
შისტები გაყოფებულ მგლის ხროვასათო შემოგვეხვივნენ,
მაგრამ განა დამხვედრი მომხტომს როდისმე გაქცევა.
ფაშისტები სტალინგრადის მისადგომებთან უღდეგს მატე-
რიალურ და ცოცხალი ძალის ზარალს განიცდიან. გერმა-
ნილებმა ვეიარ იაღეს მოსკოვი, მით უმეტეს ვერ აღებენ
სტალინგრადს. დედა, ეს სტალინგრადია, სტალინგრადი.
იმ დღეს ჩვენი მეზობელი სანგრებისაკენ გადავირბინე —
ღაღე, „ურმული“ შემომესმა. ვიფარე, აქ, სადაც ახლოს,
ჩვენებმა ვეიარ იაღეს-მეთქი. გვიმანა არ მიმტყუნა. გა-
ვიარე და დავინახე ორი შავგვერმანი ბიჭი დაზვის ტყვია-
მფრქვევს წმენდა. ერთმანეთს გამოვემცნაურეთ, ერთი
ტრინჩისიდან იყო, მეორე გორელი. რასა იქო, როგორა
ხართ-მეთქი. რასა ვიქო და ფაშისტებსა ვცვლავით. ისეთი
მხნე და იმედინი თვალები ჰქონდათ, რომ ასეთი ხალხის
დამარცხება შეუძლებელია.

ასე, ჩემო დედა, ჩემი ჯავრი ნუ გეძნება. იწამე, რომ მეც
და ჩემი მამა ვალვაც უწნებელი დავიბრუნდებით, მანამდე
კი როცა ძალიან მოგენატრო, თეატრში წადი რომელიმე
დადგამაზე, რომელშიც მე ვიღებდი მონაწილეობას. სპექ-
ტაკლი დარდს შევიმსუბუქებს და გულს გადააყოლებ. სხვა
არა იყოს რა, იქ ჩემი სულიც ტრიალებს. იყავით კარ-
გად. გაოცებთ ყველას. განსაკუთრებით შენ და მამიდაჩემ
თამარს. თქვენი თეიმურაზი, 1942 წლის 16 ოქტომბერი“.

ეს წერილი უკანასკნელი აღმოჩნდა. 15 ოქტომბრის გერ-
მანულთა ერთ-ერთი შეტევის მოგვრებისას № 102,0 სი-
მაღლესთან თეიმურაზი გმირის სიკვდილით დაეცა იმ
დროს, როდესაც იგი თავის მებრძოლებს ამხნევებდა — არც
ერთი ნაბიჯი უკან. № 102,0 გეოგრაფიული სიმაღლე ეს
ის ადგილია, რომელსაც ლიტერატურაში მამას ყორანი
უწოდებს, სადაც ჩაესვენა ფაშისტის მზე. დღეს ამ ყორა-
ნის აღმოსავლეთ დაქანებაზე სტალინგრადის მებრძოლთა
ახსელის უკვდავსაყოფად აღმართულია განუყოფელი
მემორიალი. ეს თავისებური „წიგნი წიგნი“ მოგაიხსენებს
მკაცრი დროის გმირულ ეპოპეაზე, საბჭოთა მებრძოლების
გმირობაზე, მათ მამაცობაზე, გამძლეობაზე, ნებისყოფა-
ზე. არ შეიძლება აუღლებებლად შესხედო საბრძოლო დი-
დების დარბაზში. ამ პანთეონის ცენტრში ანთია მართლი-
ული ცეცხლის ღამპარი. დიდებული ცილინდრის ფორმის
დარბაზი გაბრწყინებულია ოქროსფერი სმატით. მის
კედლებზე ვალვავებულ 34 მოზაიკურ დროშაზე ამოკვეთი-
ლია 7200 დაღუპული გმირის სახელი. ერთ-ერთ მათგან-
ზე — საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის აღზრდი-
ლი და ხელოვნებაზე ფანატრიკურად შეყვარებული თეი-
მურაზ პანტელეიმონის ძე სიმონიშვილის გვარსაც ამოიკით-
ხათ.

თეიმურაზის მოხუც დედას არ უჩვენეს შვილის დაღუპ-
ვის ბარათი. იგი მისი დაბრუნების იმედით სულდგმუ-
ლობს. ჩაივლის რუსთაველის თეატრის წინ, შესხედოს თე-
ატრის კედლებს და თვალებში შვილის სურათი ელანდ-
ება, ალბათ დედა კატინას (კვატერინეს) ამ ნარკვევის
ყველა ადგოლსაც არ წაუკითხავნ. იქნებ ასე სჯობია?
ელოდის დედა შვილს, ელოდის!

თ ე ა ტ რ ი ს
წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ



პეტრე უშიკაშვილი.

პეტრე უშიკაშვილი და ქართული თეატრი

გიორგი კრაწაშვილი

ბანათლმბუკი, ერუდირებული ლიტერატორი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და კრიტიკოსი პეტრე უშიკაშვილი ქართველ სამოციანელთა იმ შესანიშნავ პლეადას ეკუთვნის, რომელიც სათავეში ედგა ჩვენში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაჩაღებას, ქართული თეატრის დაარსებასა და სხვა მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ საზოგადო საქმეთა მოგვარებისათ-

ვის ბრძოლაში პეტრე უშიკაშვილი დიდი ილიასა და აკაკის მხარდამხარ იღვწოდა. მისი ჩუმი საქმიანობა შეუმჩნეველი არ რჩებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ამ მეგობარადღებებს.

განსაკუთრებით ხაზგასმულია პ. უშიკაშვილის დიდი ღვაწლი ქართული თეატრის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. სხვა რომ არაფერი გაცეცთებინა ამ მრავალმხრივ მოღვაწეს, იგი მაინც დარჩებოდა ვალმობილი თავისი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მას ფანატურად უყვარდა

ქართველი ერი და ცხოვრების მიზნად მხოლოდ მისი უკეთესი ბედნიერებისათვის ზრუნვა მიაჩნდა. უმიკავშილმა თეატრალური კრიტიკოსის მეტად რთული მოვალეობა იკისრა და ნახევარი საუკუნის მანძილზე გულწრფელად ემსახურა ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეს.

როგორც თბილისი, 1850 წლის 2 იანვარს გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს. მიძინებული ქართველი ერისათვის ეს მოვლენა სახალხო ზეიშად გადაიქცა, თეატრის დაარსების ამბავი მიელ საქართველოს მიედო.

„ძმო პეტრე... ძალიან მოხარული ვარ, რომ მესმის ქართული ტრუპის დაარსება, თუ კარგათ შეიყვანეს საქმე, იმედია მოუვიდებელ საჭიროებად შეიქნის ქართული წარმოდგენა და თეატრი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საზოგადოების განათლებაზე და თვითონ ლიტერატურაზე და ნაწილად — წერს ალ. ცაგარელი პეტრე უმიკავშილს, მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობდა.

თავად რევუზ ერისთავი, ბატონიშვილი მარიამი, თბილისის თეატრების დირექციის განმგებელი ვ. ა. სოლოგუბი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ თეატრის დაფუძნებას.

„ხელოვნების თვალსაზრისით, — ამბობს სოლოგუბი, — გახსენებდა არ შეიძლება ქართული თეატრის მსახიობების ჯგუფზე და შურის გაღებაც კი შედგებოდა მისთვის. ქართული თეატრის ისტორია, როგორც ცნობილია, ძალზე სამწუხაროა, მსახიობთა ჯგუფი შედგენილია ველურებისაგან. 3 თუ 4 პისა, რაც მათ გაითამაშეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უმჯობესია, ქართული თეატრი დაიხუროს და მის ნაცვლად ვერეთ წოდებული „ბალაგანი“ დაფუძნდეს, სადაც კამბაზები და მიმასები გამართავენ თვალსასერიო წარმოდგენებს“.²

სოლოგუბის ცინიზმი ქართულ წარმოდგენებზე მსახიობთა უსუსურობიდან არ მომდინარეობდა, არამედ ქართველებს მიმართ ეგოისტური დამოკიდებულების ნაყოფი იყო. სოლოგუბს ამინებდა რუსული წარმოდგენების მაყურებელთა დაკარგვა, რაც შემოსავალს შეამცირებდა. მან იცოდა, რომ ქართველი საზოგადოება მონატრებული იყო მშობლიურ ენაზე ამტკველებელ სცენას და ყოველმხრივ ცდილობდა, ხელ შეეშალა მისი განვითარებისათვის.

ქართული სცენის პირველი მერცხლები „კოტე და ელენე ყიფიანები, ოლია და ლიზა ყაზბეგები, იასე ნათაძე, ი. მელიქიშვილი, ნიკ. ნიშნაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ბაბო ავალიშვილი, პეტრე უმიკავშილი“³ სოლოგუბელმა შოგინისტებმა ველურად მონათესა და გესლონი რევუპტით შეზავებული მირინი ასხურეს, მაგრამ თეატრის პირველ მოღვაწეთა ნათქმევად ისტორიამ დღემდე შემოინახა, ხოლო მათი „ნათლის“ სოლოგუბის გვარი კი ჩრდილივით გააქრო.

მიმედ გზა განვლო პირველმა ქართულმა თეატრალურმა დასმა. თბილისის თეატრის შემოები ხელშეკრულებით ქონდათ აღებული რუს და ოტომანულ იმპერატორების. ქართულ დასს ძალზე დიდი თანხა უნდა გადაეხადა შენობის საშენებლად, რასაც უსახსრობის გამო ხშირად ვერ ახერ-

ხებდა. მსახიობებს არ გააჩნდათ საჭირო ტანსაცმელი, არ ქონდათ სარეპერტიციო ოთახი. გარდა ამისა, დასში ირიცხებოდნენ სხვადასხვა ადგილის მომსახურე ენთუზიაისტები, რომელნიც უდროობის გამო ვერც კი სწავლობდნენ როლებს. მსახიობ ქალთა მონახვა ხომ პრობლემა იყო. ამიტომ, უმწურო მდგომარეობაში ჩაყარდნულმა დასმა 1856 წელსმდე ძლივს მიიტანა სული და ბოლოს შეწყვიტა არსებობა, თუმცა მისი აღდგენისათვის ზრუნვა კვლავაც არ ასვენებდა ქართველ ინტელიგენციას. დიმიტრი ყიფიანი, ოლია ჭიჭიკავაძე, აკაკი წერეთელი, ნინო ორბელიანი, რაფელ ერისთავი, პეტრე უმიკავშილი სთავაზუნი ჩაუდგნენ თეატრის განახლებას საქმეს და „ლიტერატურული საღამოების“ გამართვით ხელი შეუწყვეს ქართული სცენის არდადეგს.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენი ხალხის ისტორიაში იწყება შემობრუნების ხანა როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ, ისე კულტურულ სფეროში; ამავე პერიოდში გადაწყდა ჩვენი ეროვნული თეატრის საბოლოოდ ჩამოყალიბების საქმე.

„ვინ იყო მიზეზი ამ ბრწყინვალე ტაძრის საძირკვლის ჩაყრისა და დაფუძნებისა; ვინ იყო ამ უძვირფასესის მოძღვარი, მასწავლებლის ცხოვრების გამოშხატვლის დაყენებისა?

ეს ის კაცი იყო, რომელსაც ძლიერის თავისი სულთ ესმობდა მნიშვნელობა სცენისა, თავისი მგრძნობელის და მსჭვრეტლის გინებით, პოეტის გულით აღფრთოვანდა მისი სასმახურისათვის; ეს ის კაცი იყო, რომელმაც ყოველი თავისი ნიჭის ძალა, თავისი მყვანდინებობა, ჯაფა, გამბედაობა და საკუთარი მოსვენება დასდვა ამ ტაძრის სასმახურად. ამ ღვაწლისათვის პირველად გამოვიდა საყვარელი მწერალი, უკვდავი გიორგი ერისთავი ამ ოცდახუთმეტი წლის წინად... ან როგორ გამოვიდა?... უამხანაგოდ დრამატის მწერლობაში, უამხანაგოდ თეატრის ხელოვნების ცოდნაში, უამხანაგოდ შრომაში... გამოვიდა ერთი სიტყვით უამხანაგოდ, როგორც უდაბნოში მიმეზარებოდეს გზის უცოდველ მოგზაური! არც წარსულის დროის კვალი ჩანდა სასცენო რამე მუშაობისა, არც ახლა ფეხის გამოდგმის დროს ყველა თანამშრომელი... დიდებე შენის სულის სიმტკიცესა უკვდავი გიორგი...“⁴ — წერს უმიკავშილი ქართული ეროვნული თეატრის დამაარსებლის — გიორგი ერისთავის შენახებაზე. ამ წერილში ნათლად ჩანს არა მარტო სირთულე, რაც წინ ედგებოდა გიორგი ერისთავს ამ ღირსეულ საქმეში, არამედ თვით პეტრე უმიკავშილის სიყვარული ერისთავის თავდადებული ადამიანისადმი.

კრიტიკოსი ასევე მადლიერების გრძნობით იხსენიებს ვორონოვიცს: „დიდება იმ მმართველის სიბრძნეს, რომელიც საზოგადოების ძილის დროს ხელს უწყდებს მარტოდ გამოუსულ მუშაკს (გ. ერისთავს გულისხმობს — გ. კ.) ქვეყნის სასარგებლოდ ხელოვნების ასარჩევს“.⁵

გიორგი ერისთავისა და ვორონოვიცის გარდა თეატრის დაარსებას ხელი შეუწყო აგრეთვე ერთმა არაჩვეულებრივმა გარემოებამაც, ვინმე იოსელიანმა (ჩინით მაიორმა) 300 თუმანი გადასცა ბანკს თეატრის აღდგენისათვის. ეს ვე-

ბერთლა თანხა იყო, რომლის მსგავსი საჩუქარი არ ახსოვდა არც ერთ საზოგადო წამოწყებას.

ნანატრი დღეც დადგა. „1879 წლის 5 სექტემბერს ქართულმა მუდმივმა დასმა მაყურებელს უჩვენა ბარბარე ჯორჯის პიესა „რას ვეძებდი, რა ვიპოვე“. ეს არის ოფიციალური თარიღი, — წერს ი. გრიშაშვილი, — ამის შემდეგ გაქრა „ქართული სცენის მოყვარე“ და მოთამაშეს „ქართული მსახიობი“ ეწოდა“.

ამრიგად, ქართული თეატრის დაარსება 1850 წლის 2 იანვარს მიხდა, ხოლო მუდმივი დასის ჩამოყალიბება — 1879 წლის 5 სექტემბერს. ქართული სამსახიობო ხელოვნების განვითარებას სწორედ ამ თეატრმა დაუღო მყარი საძირკველი. მან უდიდესი როლი ითამაშა როგორც ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებლის, ისე თავისუფლებასმოყვარულ ქართველ ხალხში ეროვნულ-პატრიოტული გრძობების გაღვივებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში. და ბოლოს, მისი მემკვიდრეობით ჩვენმა თეატრალურმა ხელოვნებამ მსოფლიო აღიარება პოვა.

აი რას წერს პ. უმიკაშვილი 1879 წლის „ივერიის“ 69-ე ნომერში: „ამ საქვეყნო ნაწარმოებში (მხედველობაში აქვს თეატრი — გ. კ.) ყოველ ერს თავისი ძეგლი დაუდგამს და კვლავაც დადგამს. უელის, ჰზრდის, ამშვენებს და ადიდებებს... ამგვარი ძეგლის აგება მოახერხა ჩვენმა ერმაც. მართალია დიდი გაჭირვებითა და ხელმოკლეობით, დიდს ჭაბუნჯეობით, ცრემლითა და მწუხარებით მოუხდა მისი აგება, მაგრამ მაინც კი დასდგა ეს ძეგლი და დღეს ყველანი ვეუბრებით ამ ნაღვაწევს“...

პ. უმიკაშვილს თეატრი მეტად ფართო ასპარეზად ესახებოდა. იგი „ივერიის“ იმავე ნომერში წერდა: „მასში უნდა გამოიყვანოს ჩვენი კენესა გულისა და ნაქარგუც, ჩვენი ოცნება მომავლის ბედნიერების მოპოვებისათვის. მინდა მან დაგვიბრუნოს დაკარგული, დაგვისხნას ნაკლოვანებისა და ნაკლებულობისაგან. გაგვიწმინდოს ეკლესიასგან გზა სიარული-სათვის, აგავამალოს ზნეობითა და ქონებით, გაგავახსნეს და ღონე გაგაბეროს მოქმედებისათვის“.

როგორც ვხედავთ, უმიკაშვილს შესანიშნავად ესმის თეატრის მნიშვნელობა, რომ ხელოვნება ხალხს უნდა გამოადგინოს, ანამდებელი ჯაფა და მუდამ დღიური წვალებდა საჭირო.⁷ არც ის ავიწყდება, რომ გარჯისათვის არაფერს მიიღებს, მაგრამ, როგორც თვით აღნიშნავს — „ყოველი სარგებლობა ზომ ფულით და ვეწლად არ უბრუნდება კაცს“.⁸ მას სწამს, რომ „ხელოვნება, სხვადასხვა უკვდავია!“ სწორედ ამ რწმენით ემსახურება კრიტიკოსი თავის საქმეს.

როგორც ვცნობ, ხალხის კენების მიზეზი დაკარგული თავისუფლება იყო. უმიკაშვილს ძირითადად თეატრის დაარსება იმისათვის სურდა, რომ სცენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხმაშემალი ტრბუნად გადაეკცია. იგი კარგად იცნობდა ხელოვნებას, თვითონაც ბევრჯერ ყოფილა მოჩადებული თეატრის შემოქმედების შესანიშნავი ძალით და კარგად იცოდა, რომ სცენა დიდ სამსახურს გაუწევდა ქართველი საზოგადოების გამოფხიზლებას, მათი პატრიო-

ტული გრძობის გაღვივებას. ამიტომ იყო, რომ მან სიწმინდის დაცვის, მისი თვითმყოფადობის აუცილებლობის საკითხი დააყენა პიესაში „მისანი“, რომელიც 1880 წელს დაიდა ქართულ სცენაზე. უმიკაშვილმა ეზოებს ენით გამოათქმევინა საბრძოლვეს (მთავარი მოქმედი გმირია პიესაში) თავისი ნაზრდები:

„ვიმ, რა მიყვარს ამ კერასთან ჯდობა! კვრა წმინდა რამ არის!... ოჰ, რაღედენ სიბრძნე შეგინდა აქა: ანაკვერჩხალი ძეგსს ან ხელს ნუ ახლავ, როგორ წმინდად ჩაიწვას და რა თვითი, სპეტაკი ფერფლი დასდვას!... ახა ახლა აურთი (ურეგს) ის სპეტაკი ფერფლი სადლა? აირია ნაცარში, სიმავე შეჭყავა, გამავედა... ეს ნაკვერჩხალი იმ ცაცხა ჰგავს, რომ მყუდროთა ცხოვრობს, ხალხში არ ერევა და სპეტაკობას არ ჰკარგავს. მაგრამ რაკი ხალხში გაერვა, ადამიანთან საქმე დაიჭრას, წაივინდა მისი საქმე. გამავედა ვითარცა ნაცარი ესე“.⁹

უმიკაშვილი დადებითად აფასებს საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს, მაგრამ მხედველობიდან არ რჩება ის გარემოება, რა გასაჭირშიც ჩაყარდა ქართველი ხალხი ცარიზმის პირობებში. იგი თავიდანვე დგება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ არ გვერდით, მაგრამ არ არის ბრმა, სტიქიური ბრძოლის მომხრე, ამ საჭირობოტო პირობების გადაჭრისათვის იგი დიდ როლს ანიჭებს ადამიანთა მაღალ შეგნებას, მათ სათანადო გათვითმობიერებას, რამაც საზოგადოებისათვის სწორედ თეატრს უნდა გაეწვია დიდი დახმარება. თეატრსეც უნდა დაეცვა აგრეთვე რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად სკოლებიდან და სიყვებულეებიდან დევნილი ქართული ენა. სცენა გვერდში უნდა ამოსდგომოდ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას. პ. უმიკაშვილმა იცის, რომ ენის სიწმინდის დაცვა ერის სიწმინდის მთავარი ნიშნისათვისა და ილიასთან ერთად ირჩვის ამ პირობების გადასაწყვეტად, რასაც ნათლად ადასტურებს მისივე სიტყვები:

„ესლა რომ ჩვენ ენაზე შკოლები გვეწოდნენ... ღვთის წყალობა იქნება“.¹⁰

პეტრე უმიკაშვილი საზოგადოების წინსვლის ერთ-ერთ დამაბრუნებელად მიზუნდა ხალხის გონებრივ მშუღედულობას თელის და სურს თეატრი საგანმანათლებლო კერად, აღზრდის სკოლად გადააქციოს.

„ვის მიჰყავს ყმაწვილი წინ? — მიმართავ კრიტიკოსი საზოგადოებას, — შკოლას — რა არის შკოლა, თუ არა ისევ ის თეატრი, საცა ისტატი აქტიორია და ყმაწვილები თეატრში მსხდომარე მსმენელები“.¹¹

უნდა აღინიშნოს, რომ უმიკაშვილი თეატრის საგანმანათლებლო როლს ძალზე მაღლა აყენებს და ლიტერატურასთან შეპირისპირებისას, მას პრიორიტეტსაც კი ანიჭებს. მისი სიტყვით „სცენა უფრო ცოცხალია სურათებით, ცოცხალის სახეებით, ხელოვნების ყოველი ღონით მშუღრული ვიციანტავს ცხოვრებას; მწერლობას კი თავის იარაღად მხოლოდ ლიტონი სიტყვა, ბეჭდვა აქვს. ეს უპირატესობა არამც თუ ჩვენის ცხოვრების გარემოების მიზეზით არის, ყველგან ასეა“.¹²

(გაგრძელება 22-ე გვერდზე).



პუშკინის სახელობის თეატრის მთავარი მხატვარი ვ. შაპორინი გამოფენის განხილვაზე.

მხატვარი ტ. სელვინსკაია და მსახიობი ა. სემიონოვა.



რუსეთის

პარზი ტრადიცია არსებობს რუსეთისა და საქართველოს თეატრალურ მხატვრებს შორის. ისინი ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ეცნობიან ერთმანეთს შემოქმედებით საქმიანობას, აწყობენ გამოფენებს, მსჯელობენ და კამათობენ თანამედროვე თეატრალური მხატვრობის აქტუალურ პრობლემებზე, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თეატრალური მხატვრობის, არამედ, საერთოდ, თეატრალური და სახეითი ხელოვნების განვითარებისათვის.

ახლახან კი სრულიად რუსეთისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს მხატვართა კავშირისა და ხელოვნების მუშაკთა სახლის თაოსნობით მოეწყო რსფსრ თეატრალური მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, რამაც ფართო საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე გამოფენის განხილვაზე.

თეატრალური მხატვართა გამოფენაზე

რუსეთის მხატვრებმა თეატრალური ესკიზების სახით გამოფენაზე საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს, რომელთა შორის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებით, ხელოვნათა ორიგინალური ხედვით გამოირჩეოდნენ ე. სტენბერგის („უსმინეთ მაიაოვსკის“, თეატრი ტაკანაზე), ნ. ზოლოტაროვის (მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრი), ი. სოსუნოვის (ლ. გინზბურგის „უსკრული“, ლიტერატურული თეატრი), ტ. ელიავას (გ. ლორკას „ბერნარდ ალბას სახლი“, ქ. პეტროზავოდსკის თეატრი), ს. ბენედიქტოვის (მ. გორკის „ფსკერზე“, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდია) და სხვათა ესკიზები.

გამოფენის დასასრულს მოეწყო მათ ნამუშევართა გან-

ხილვა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. იგი ფართოდ შეეხო რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ ურთიერთობას, მათ მეგობრულ თანამშრომლობას, ცნობილ თეატრალურ მხატვართა შემოქმედებას.

სტუმართა მხრიდან სიტყვებით გამოვიდნენ მხატვრები ვ. შაპორინი, ტ. ელიავა, ტ. სელვინსკაია, რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი ლ. ზაიცევი. თეატრალურ მხატვართა შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა თეატრმცოდნე ელენე კვიციანი, რეჟისორებმა ოთარ ანდრონიკაშვილმა და მ. გვიმყრელმა, რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარმა მხატვარმა გ. ცერაძემ, მხატვრებმა თ. კუკულაძემ, თ. თავაძემ და სხვ.



სადღესოდ კრიტიკოსის მიერ მიღებული დასკვნის პირდაპირ გაზიარება, რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, რადგან ხელოვნების ამ ორი, სრულიად განსხვავებული სპეციფიკისა და შესაძლებლობის მიქონვ დაზარის შეპირობიერებისას მრავალ ფაქტორს უნდა მიეცეს ყურადღება.

პ. უმიკაშვილი შესანიშნავად იცნობდა თეატრისა და ლიტერატურის სპეციფიკურ თავისებურებებს, მაგრამ თუ სასცენო ხელოვნებისადმი რამდენადმე გაუწვდომელი აზრს გამოთქვამდა, ეს მხოლოდ იმდროინდელი ცხოვრების აუცილებლობით იყო გამოწვეული. მას სურდა საზოგადოება დაეინტერესებინა თეატრით.

თეატრს პ. უმიკაშვილი ცხოვრების სარკედ თვლიდა, რომელშიც მაცურებელს უნდა ენახა რეალური სინამდვილე, ამაღლებული მსახიობის ოსტატობით. „ეს თვალწინააღმოსავლელი ცხოვრება დავაფიქრებ, გავგაზიანებინებს, გავაზიარებინებს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ნაკულუვენებას. ეს აღძრავს ჩვენში მსჯელობას, მსჯელობას შეფაჩევს. აი პირველი სარგებლობა“¹³ წერდა „დროშაში“ ერთ-ერთი შინაური წარმოდგენის ნახები განხილვის 3. უმიკაშვილი. ამიტომაც მიესალმებოდა ახალი წარმოდგენის გამართვას, თბილისში იქნებოდა იგი, თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში. თეატრისათვის „შრომას თუ შეეჩვია ჩვენი მასხრის, სოფლის თუ ქალაქის საზოგადოება, — აღნიშნავს კრიტიკოსი, — მრავალ საქმეში ფეხს წინ წადგამს და თავს დააღწევს უფერულ, უაზრო, უსრუხველ ცხოვრებას“¹⁴.

სცენისმოყვარე ენთუზიასტა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების იშვიათობისა და მათი ყოველმხრივი კამერულიობის მიუხედავად, უმიკაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ, რადგანაც მათში ხედავდა ხალხის ლტოლვას მუდმივი თეატრის დაარსებისაკენ. გარდა ამისა სურდა შინაური წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავალი სხვა საკვლამოქმედო საქმისათვის გამოეყენებინა. აი, რას წერს უმიკაშვილი ამის შესახებ „დროშაში“:

„ჩვენ ბევრი საჭიროება გვაქვს, მაგალითად, ჩვენში ბევრი ობოლი და ღარიბი ყმაწვილები არიან, ჩვენს შილებში და ნათესავებში, რომელთაც არამც თუ მაღალ სასწავლებელში, არამედ გიმნაზიაშიც სწავლა უჭირდებათ სიღარიბის გამო. ბევრჯერ მათი შემწეობა გვინდა, მაგრამ რადგანაც ცოტანი ვართ. ცოტა ფულის მიგრირებით ხელი ვერ გავვიმართავ. ერთი ორი კაცის მეცადინეობით ვერა გაკეთდება რა. როდესაც ბევრნი ვიქნებით, მაშინ კი შევძლებელია“¹⁵.

პ. უმიკაშვილი ერის განსწავლაში ხედავდა იმ ძალას, რომლითაც ქართველ ხალხს უკეთესი მომავალი უნდა გამოეჭადა. ამიტომ ანიჭებდა თეატრს ლიტერატურასთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას.

თეატრს და ლიტერატურას დარჩენია ერს „გულისტკივილის გამომოქმედება, თავისი წინსვლის იარაღად, თავისი ოცნების აღსაბუქდავად. ვისაც ჩვენში გული უცემს, საზოგადოებრივი ძარღვი არ დაბუქდება, თავისი ტკივილის გრძნობა შერჩნება, ნასწავლი იყვეს თუ უსწავლელი, ყველას ესმის, ინსტიტუტად მაინც, დღევანდელი მნიშვნე-

ლობა თეატრისა და ლიტერატურისა. ის მეგობარნი იქნებიან ვე და მისთვის შრომას ეწევა“.

თეატრის რეპერტუარის შერჩევას პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რაც მაცურებლის აღზრდისა და მისი მოზიდვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიანდა.

„დროშა, — წერდა უმიკაშვილი, — ჩვენმა მწერლობამ ყურადღება მიაცვიოს სათეატრო პიესების წერასა, ანუ თარგმნასა. ეს იქნებოდა ძალიან შესაბამისი რამ ჩვენის ლიტერატურისათვისაც და სცენისათვისაც. ქართულ სცენას გამოცოცხლება უნდა და ეს უნდა მოხდეს თანაოდა შექმულ-ბელაია. აი, ამ შემთხვევაში თავისიანი კაცი, თეატრისათვის მშრომელი ყოველ დონისძიებას იხმარდა ახალი პიესების მოპოვებისათვის“¹⁶.

კრიტიკოსის მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ თეატრს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის და ინტელექტის მაცურებელთან ჰქონდა საქმე.

„მეტად ძრელი საზოგადოება: აქ ხედავთ იმისთანა კაცებს, რომელთაც პარიზისა და პეტერბურგის თეატრები მოუვლიათ, უნახავთ დრამატული სცენები, ოპერები, აქვე არიან ტვილისის იტალიურ ოპერებზე და რუსულ დრამატულის წარმოდგენებზე აღზრდილი ნაწილი, აქვე ხედავთ კარგა შესაძენვე ნაწილს მაცურებელთა, რომელთაც ჯერ არა თეატრში, ცირკში არ უვლიათ, რომელთაც დარბაზში შესვლა-გამოსვლა და ჯდომაც ვერ ეგერნებათ, რომელნიც სპექტაკლის დროს მანურბონენ, კისკისებენ ხანგრძლივ და თადარიგით, მოგონალ კვეს ან ჩურჩხელს აღძვენ. ხელში ძუძუწოვარა ყმაწვილები უჭირავთ“¹⁷.

ამ სურათის მიხედვით ძნელი არ არის წარმოდგინდით, თუ რა საპასუხისმგებელი და რთული ამოცანის წინაშე იდგა ქართული სცენა. პ. უმიკაშვილი აღტყვეობს წერდა იმ შემთხვევებზე, როდესაც მუშა ხალხი ისწრაფვოდა სპექტაკლებისაკენ და თავს ანებებდა ლოტოს თამაშს, ურთიერთმტრობას და ლოტობას.

„ამ მუშა-ხელოსანთაგან ყოფილა შემთხვევა არა ერთი, რომ თეატრისათვის თავგამოდებული ყოფილა, როგორც ადრე მუშტიკრივისათვის და ღვინის სმისათვის“. მათგან ხშირად აღსენია უმიკაშვილს: „თეატრში წავიდა, დროსაც გავატარებთ და შევასაც ვისწყვლით“.

მაგრამ უმიკაშვილს თეატრი აცოცხლებდა როდი ეს-მოდ. მან კარგად იცოდა, რომ ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნება იყო და მას ზნეობრივ-აღმშრდელითი შემოქმედებისთან ერთად ესთეტიკური სიამოვნებაც უნდა მიენიჭებინა მაცურებლისათვის. მან თავის თავზე გამოსცა-და ხელოვნების შემშრტიკო ძალა და გიმნაზიის წლებიდანვე ისე შეეფიქრა და შეეისხლხორცა თეატრს, რომ უმისოდ სიცოცხლეს უშინაზროს არსებობად თვლიდა.

კრიტიკოსი შთააგონება ყველას, რომ „თეატრი ისეთივე საჭიროება ყოველი მოზრდელი ქალაქისათვის, როგორც ხიდი, ფარანი, სისუფთავე, ჯანმრთელობა და სხვადასხვა... უთეატროდ ქალაქის საზოგადოება ყოველთვის ზნეობით და-ბლა დგას და დაბალი ინსტიტუტები რჩება, ვიდრე თეატრი-



ანი ქალაქის სასოფალოება¹⁸, რადგან ხელოვნება ადამიანის მგრძობიარე სულზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. იგი თავგამოდებით მოითხოვდა ქუთაისში თეატრის აგებას და მმართველობას მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა.

უმიკაშვილმა თავისი შესხედულება ადამიანის ცხოვრებაში ხელოვნების ესთეტიკური როლის შესახებ ჩამოაყალიბა წერითი „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, კრიტიკოსზე დიდი გავლენა მოუხდენია იტალიური ოპერის პირველად ხილვას, რომლისგან მიინიჭებულ ესთეტიკურ განცდას მოთხოვნილებად უქცევია მისთვის სცენის ხილვა. სცენა „გვაკყარებს მშვენიერებას“, კეთილს, გვაკეთილშობილებს და პატიოსან მოქმედებას ინსტიქტურ და არა ნაძალადეგ მოთხოვნილებად გვიხდის¹⁹.

ანაკალები საყურადღებოა უმიკაშვილის მოსაზრებანი თეატრალური ხელოვნების ისეთ კომპონენტებზე, როგორც არის: გრიმი, ჩაცმულობა, მიმიკა, დეკლამაცია, დეკორაცია, მუსიკა და სხვ. ყველა ეს გამოსახვის საშუალებებია და თვითულ მათგანს თავისი ფუნქცია აკისრია თეატრში. ლიტერატურული ნაწარმოები დრამატული ხელოვნების კუთვნილება რომ გახდეს, თეატრის ყველა ჩამოთვლილმა დეტალმა ერთად უნდა მოიყაროს თავი, ერთ მიზანს დამეორჩილოს. ამიტომ ეწოდება თეატრს სინთეზური ხელოვნება და ამით მოქმედებს იგი შთამბეჭდავად ადამიანთა გრძნობა-გონებაზე. ამ მხრივ მეტად საინტერესოა პ. უმიკაშვილის ფელეტონი, რომელიც მას დაუწერია მოლიერის პიესის „ცოლის შერთვევინების“ ცუდად წარმოდგენის გამო. კრიტიკოსი არაპროფესიონალური დასის მიერ პიესის წარმატებლად დადგმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტანსაცმლის არასწორ შერჩევას ასახელებს:

„წარმოიდგინეთ, — წერს უმიკაშვილი, — რომ მოლიერის აჩემებულ პიესაში „ცოლის შერთვევინება“ სგანარულს ძველი მარკიზის ტანისამოსის მაგიერათ აცვია ჩვენი შვეიცარიის მსგავსი ტანისამოსი და ცრუ ფილოსოფოსებს მარფურიოზს და პანკრასს რაღაც თათრული დერეჟის ტანისამოსი აცვიათ და ბერის სკუფია ხურაბთ თავზე. ფრანგუზი

რომ მოგვეყანათ, იტყოდა, ეს მოლიერის პიესა კი არაა ტანისამოსის საბაღაბანო თამაშობისათვის გადაკეთებული მოლიერიაო²⁰. მართლაცადა, დღეს ჩვენთვის წარმოდგენილია ოტელიო — ფრაკით, იაგო — ქართული ჩოხით, ან დეზდემონა — მაღალყლოანი ჩექმებით. ასე სწორად ვერ აღვიქვამთ შექაბირის გენიალურ ნაწარმოებს, რადგან უმიკაშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გარეგანი შესხედულება თითქმის კარგად გამოხატავს შინაარსს პიესის აღსრულები-სას“.


როგორც ვხედავთ, მოცემულ ფელეტონში ავტორი მეტად თავისებურად, მაგრამ საკმაოდ სწორად აყალიბებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აუცილებლობის პრინციპს, ურომლისდაც ესა თუ ის სასცენო მოქმედება სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

პ. უმიკაშვილი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შესტიკულაციას. ვერ ურიდებოდა, როცა მეტყველება არ იყო შესტის სინქრონული. სამწუხაროდ, ეს მაშინდელი თეატრის სენი ყოფიდა, ამას ადასტურებს მსახიობ კოტე ყიფიანის მოგონებაც: „ბევრი იმისთანა არტისტი არის, რომელმაც წესიერი სიარულიც არ იცის და არც მიხვრა-მოხვრა აქვს. ზოგმა არ იცის, რა უყოს თავის ხელებს“²¹.


სასცენო ხელოვნების ამ ნაკლს ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები: ქართულ ეროვნულ თეატრს მაშინ არ გააჩნდა ტრადიცია. იგი დაარსებიდან სულ რაღაც ათიოდ წელს ითვლიდა. საქართველოში არ არსებობდა არავითარი სასწავლებელი მსახიობ დაოსტატებისათვის. თეატრს არ აკავდა რეჟისორი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ერთადერთი საშუალება მსახიობთა დახელოვნებისათვის იყო რუსი და იტალიელი მსახიობების შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება, რაც, ცხადია, დიდ შედეგს ვერ გამოიღებდა და ქართული თეატრიც დღითი დღე უამრავ მაყურებელს ჰკარავდა.

უმიკაშვილი საქმიანი რჩევებითა და შენიშვნებით ეხმარებოდა მსახიობებს, დროულად აღმოუფხვრათ ესა თუ ის (გაგრძელება 26-ე გვერტზე).


პ. უმიკაშვილის ესკიზი პიესისათვის „მისანია“.



რუსეთის
თეატრალურ
მსახურთა
გამოფენაზე



„ბენარდ ალბას სახლი“. დეკორაციის
ესკიზი (პეტროზავოდსკის ფინური დრა-
მატული თეატრი).



„უსმინეთ შაიკოვსკის“. დეკორაციის
ესკიზი (თეატრი ტავანჯე).

„რომეო და ჯულიეტა“. დეკორაციის ეს-
კიზი (სვერდლოვსკის ოპერისა და ბალე-
ტის თეატრი).



„ბორის გოდუნოვი“. დეკორაციის ესკი-
ზი (სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დან-
ჩენკოს თეატრი).



ნაკლი: „ეურჩევთ ქ-ნ ჩერქეზიშვილისას ხელ-მკლავების გაშლასა და მოძრაობას ყურადღება მიაქციოს და სულ ერთ სახელ არ ათამაშებდეს და არ შლიდეს“²² — წერს „ივერაში“ უმიკაშვილი. ასევე მიუთითებს იგი მსახიობ გამყრდილძეს, გრძობათა მშველვარება მისრა-მოსხრით ჩაფიოდ გამოსახოს.

როგორც ვიცით, მსახიობი შუამავალია დრამატურგსა და მსყრდელს შორის. მან წარმოადგინა შინაარსი დაუმხინჯელთა, სრულყოფილად უნდა გადაცეს მსმენელს. მასზე დამოკიდებული ავტორის ნაწარვეის მსყრდელამდე მიტანა, ხოლო სახე რომ უფრო დასამახსოვრებელი და შთაბეჭდილო გახადოს, მსახიობმა უნდა გამოიყენოს თეატრალური ხერხები. ეს რომ შეძლოს, იგი უნდა ფლობდეს გამოსახვის საშუალებათა მიერ არსენალს. უმიკაშვილი გრძობდა, რომ მეტისმეტად ძნელი იყო სცენაზე დამაჯერებლობის მიღწევა და მოუწოდებდა მსახიობს, რაც შეიძლება ბევრი ემუშავათ თავის თავზე, რადგან კ. ყიფიანის თქმით „მიხერა-მოსხრა ბუნებრივად არ ეძლევა კაცსა, ვარჯიშობით ეძლევა“²³.

მაგრამ როლის გახსნისათვის მხოლოდ ტანსაცმლის სწორად შერჩევა და ფესტიკულაციის დახვეწა არ კმაროდა. საჭირო იყო ასევე სასცენო მეტყველების გაუმჯობესებაც. დრამატულ თეატრში პირველადი მაინც სიტყვაცა და თვით უსიტყვო მოძრაობაც კი მსახიობისა ან სათქმელის შესავალს წარმოადგენს, ან თქმულის ლოგიკურ გაგრძელებას. ამ საკითხს ეძღვნება უმიკაშვილის წერილი „მეაფიო სცენაზე“.

„ჩვენი თეატრის მოყვარენი სცენაზე როლებს ისევე ლაპარაკობენ, როგორც შინა. თუ რაიმე განსხვავებაცა, განსხვავებაც არის, რომ მსყრდელნი წამ-და-უწოდ გაიძახიან „მალღოა“, ყურადღებას არ აქცევენ, რომ დიდ ზალში, დიდ ხალხში სიტყვა იკარგება, ძლივს მიაღწევს, რადგან ხმამ საკმაო გზა უნდა გაიაროს ყურამდის და ამასობაშიც დაძალოს მცირე ხმაურობა ხვედისა, ცხვირის დაცემინებაცა, კანის შრილობა და სხვა ამისთანებისაგან ატეხილი, რომელიც ყოველთვის შეუწყვეტელია კრებულ ხალხში... გამოითქვს ხომ უარესი აღარ შეიძლება, ნახევარი სიტყვა ისმის და ნახევარი ჰქრება. ეს ნაკლებანება საერთოდ ყველას ეტყობა“²⁴ — წერს უმიკაშვილი.

უმიკაშვილს მხოლოდ ამ გავებით არ აინტერესებდა სიტყვის სწორი გამოთქმა. მსახიობს სცენიდან უნდა ესწავლებინა საზოგადოებისათვის „ის ლამაზი, დაწმენდილი, მკაფიო და მეტყველი ენა, რომლითაც შუა ქართული გამოთქმულია“²⁵.

გარდა ჟურნალ-გაზეთებში კრიტიკული წერილების გამოქვეყნებისა, პეტრე უმიკაშვილს, როგორც „დრამატული საზოგადოების“ წევრს, თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა მშობლიური ხელოვნების განვითარებაში. იგი ემხარებოდა არა მარტო მსახიობებს, არამედ რეჟისორებს, გრიმორებს და თვით პარიკმანერებსაც კი. ამის დასაბამებლად ვაქვეყნებთ ეს-

კის, რომელიც რეკვიზიტორისთვის მოუშადადებდა უმიკაშვილს, რათა სწრაფად შეერჩია მსახიობისათვის ტანსაცმელი.

თეატრში რეკვიზიტორის მოვალეობასაც უმიკაშვილი ასრულებდა. იგი სცენაზე კითხულობდა საკუთარ ჩანახატებს წერდა პიესებს. წარმატებით იდგმებოდა მისი „მისინა“ ხოლო პიესით „საზოგადოება“ საზოგადოება უშუალო მოწმე გახდა პირველი თეატრალური დასის ფუნდამენტი, მსახიობთა პირველი, გაუბედავი ნაბიჯებისა იმ დიდი სცენისაკენ, რომელსაც შემდეგში უსადო ტალანტით დაჯილდოებულმა კოტე მარჯანიშვილმა უკვდავების გვირგვინი დაადა.

უმიკაშვილი თეატრაკავი იყო ქართული თეატრის მტრებისადმი, ხოლო განუზომლად აფასებდა მათ, ვინც მშობლიურ ხელოვნებას ალაღად ემსახურებოდა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ უმიკაშვილის დღემდე გამოუქვეყნებულ სიტყვას, წარმოთქმულს ქართული თეატრის წევრებისა უბიძისთან დაკავშირებით გ. ერისთავის სამარესთან:

„ჩვენი მოჭირანაულევი გიორგი. შენს უგრძობოდ გვაშს ყვეაილ-გვირგვინებით ამკობს შენი საყვარელი ქვეყანა გულის გამოსაქმელ გლოვის ნიშნად. მეც შენს ძველ ამხანაგს მინდა გულისა მონაცემ ვაგებით გამოვთქვა, რაც შენი სასიცოცხლო საგანი იყო.

რა იყო ეს საგანი? განა ეს ფილოლოგია ან არქეოლოგია იყო, ისტორია ანუ ბუნებითი მეცნიერება, პოეზია ანუ სცენა, ლექსები ან ფელეტონები? ყველაფერი იყო და ეს ყველაფერი ერის საგანს ეკუთვნოდა, ერის საფუძველ დედააზრისაგან მომდინარეობდა.

შენი დედააზრი იყო ზრუნვა ჩვენი ქვეყნის და ხალხის ბედისათვის, ბედნიერებისათვის, მისი წინსვლისათვის.

ორი კვირის წინად 50 წლის თეატრის და ლიტერატურის დღესასწაული გადავიხადეთ იმის ნიშნად, რომ მიძინებულმა ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოიღვიძა. გამოიღვიძა ჩვენმა აზრმა და შეგნებამ, რომ არ შეიძლება უზრუნველობა, არ შეიძლება საზოგადოება და ხალხი უზრუნველად დარჩეს საცა ათასი კენჭა მოისმის და ცრემლი იღვრება, საცა ქვეყანას მზრუნველი არ ყველბა თვით საზოგადოებაში და ხალხში განა იქ როდისმე საერთო ბედნიერება დამყარდება?

გავიღო ნახევარ საუკუნეში საერთო ქვეყნის ზრუნვის გამოთქმული აღმზრდელი და მწრთნელი შეიქნა ჩვენი მწერლობა. ვისაც გული ერისი, ამ საერთო საქვეყნო ზრუნვით თუ არის შეპყრობილი, ის არის დღეს ქვეყნისაგან მოღვაწედ ცნობილი. მისი გაკეთებული საქმეა ნაყოფიერი, აღმზრდელი და ქვეყნის აღმამარე. მეცნიერება და ხელოვნება, პოეზია და სცენა, ყოველგვარი ხელობა და ადამიანის მოქმედება მაშინ არის მაღალანი და სიკეთით შემცობილი, თუ ამ საზოგადო ზრუნვის ცეცხლშია გატარებული. უამისოდ არც განათლებას, არც ხელოვნებას და მწერლობას, არც არავითარ დამაინის საქმეს არაფერი ფასი არა აქვს, მკვდარია.



დღეს საერთო გლოვა ამოწმებს ქვეყნისათვის შენს მზრუნველობას. შენ იყავი მოუცილებელი მზრუნველთაგანი და შენი ნამუშევარი მას ემსახურებოდა თითქმის ორმოც წელს. შენი სიცოცხლე და ნამუშევარი გვეუბნება, რა ასარგვზედაც გინდათ იმოქმედეთ, ოღონდ საერთო კეთილდღეობის და სიკეთის ზრუნვა გქონდით ძვალ-რბილში გამჯდარი და ის გყავდეთ სულ წინამძღვრად.

მიჭირნახულე გიორგი, შენი სულის წუხილი იქნება დამშვიდდეს დღეს. საერთო გლოვაში მოისმის ერთი ხმა, რომ ქვეყანას ცოტა ჰყავს მედგარი მოჭირნახულე, მოისმის მასწავლებელი, რომ გამრავლდეს ჩვენში ქვეყნის მზრუნველი. ეს გლოვა და ეს ნატვრა აღმზრდელია ჩვენში ზრუნვის აზრისა. ეს გლოვა უნდა შეიცვალოს მხურვალე სურვილად საქვეყნო ზრუნვისა და მოქმედებისათვის.

შვიდობით ჩვენ მოჭირნახულე, ჩვენო მომამკვე. შენი ხანძრულივი ჭირნახული თავდება იმით, რომ ჩვენში განამტკიცებს მზრუნველობას იმ საერთო აზრისათვის, რომლისთვისაც გინდოდა გვეცხცლა. შვიდობით უდროოდ გამჭრალო სიცოცხლე²⁶.

როგორც ვხვდეთ, მთელი შინაარსი სიტყვისა გამსჭვალულია ღრმა მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით. მასში შეფასებულია არა მარტო გიორგი ერისთვის ღვაწლი,

არამედ საქართველოს ცხრასასანი წლების ვითარება და მისი როლსახელა ის მიზანი, რისთვისაც უნდა ეზრუნა ყოველ ქართველს.

თუმც უმიკავშილი თეატრს გამოყენებითი თვალსაზრისით უყურებს, მაგრამ მისი უტილიტაროზმი იმდროინდელი ცხოვრების მოთხოვნათა აუცილებლობის პრინციპშია გადატეხილი. ამდენად, გამართლებულად მიგვაჩნია კრიტიკოსის შეხედულებანი სასცენო ხელოვნებაზე.

უმიკავშილი განმანათლებელთა პოზიციას იზიარებს, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ უშლის ხელს მოვლენების რეალისტური ხელოვნების თვალთახედვით შეფასებაში, საყურადღებო დასკვნების გამოტანაში. სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი თეატრალური მემკვიდრეობა მოღვაწისა, რომელიც ეპოქის მოთხოვნილებების ცვცხლით იწვეოდა, ეს-მოდა ხალხის გულისტეკილი და ცილობდა, მისი სავალი გზა „ეკლისაგან განეწმინდა“.

გაანართლა უმიკავშილმა დღიურის ერთ-ერთ ფურცელზე ჭაბუკოვაში მინაწერი სიტყვები: „მე ბევრი რამა მაქვს ასასრულებელი მამულისათვის“. მართლაც, ბევრი სიკეთე მოუტანა თავისი სამშობლოს ამ უპრეტენზიო, უანგარო მიღვაწემ. თვისი ნაყოფიერი შრომით იგი უფლებამოსილ მონაბედედ გვევლინება, რომელსაც ღირსეული ადგილი უნდა დაეთმოს დიდი ილიას თანაგარსკვლავედში.

შენი მუხებო:

1 უმიკავშილის არქივი (1879 წლის 9 დეკემბრის წერილს ალ. ცაგარელ „საბას“ ფსევდონიმით აწერს ხელს).
 2 ი. გრიშაშვილი, „ავექსენტი ცაგარლის კომედიები“, 1936 წ., 33-8.
 3 ი. გრიშაშვილი, „ავექსენტი ცაგარლის კომედიები“, 1936 წ., 33-9.
 4 უმიკავშილის არქივი (წერილი უსათაუროა. მისი თარიღია 2 იანვარი 1850-1885 წ.წ. იგი წაკითხული იქნა 1885 წ. ქართულ თეატრის 35 წლის დღესასწაულის დღეებში ე. გრიშაშვილის სტრასბურის წინ. კითხვულბდა კოტე ყიფიანი დასის დასწრებით).
 5 უმიკავშილის არქივი.
 6 ი. გრიშაშვილი, „ავექსენტი ცაგარლის კომედიები“, 1936 წ., 33-11.
 7 ჰ. უ. „აღღვანადლო კრება“, „ივერია“, 1889 წ., № 71.
 8 ჰ. უ. „ქუთაისის თეატრის შენობა“, 1886 წ., „ივერია“ № 135.
 9 უმიკავშილის არქივი, კომედი „მისინა“.
 10 უმიკავშილის არქივი. „პირადი დღიური“, 1881 წლის 1 იანვრის მინაწერი.
 11 მ. პეტრიძე, „შეერთებული შრომა ჩვენი ლიტერატურისათვის“, კრებული, 1872 წ., № 8-9, გვ. 258.
 12 ჰ. უ., „ქართული თეატრი“, „ივერია“, 1885 წ., გვ. 107.

13 ჰ. უმიკავშილი, „ქართული შინაური თეატრი“, „დროება“, 1870 წ., № 34.
 14 ჰ. უ. „ივერია“, 1889 წ.
 15 ჰ. უმიკავშილი, „ქართული შინაური თეატრი“, „დროება“, 1870 წ., № 34.
 16 ანისხატისუნელი, „თბილისში გაიერება“, „დროება“, 1870 წ., № 8.
 17 ჰ. უ. „ქართული თეატრი“, „ივერია“, 1885 წ., გვ. 129.
 18 ჰ. უ. „ქუთაისის თეატრის შენობა“, „ივერია“, 1886 წ., № 135.
 19 ჰ. უ., „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, „ივერია“, 1889 წ., № 213.
 20 ანისხატისუნელი, „აზნაფული სოფელში. ქალაქის თეატრი...“ „დროება“, 1869 წ., № 40.
 21 კოტე ყიფიანი, „მოგონებები, წერილები“ თბ., 1964 წ., 33-48.
 22 ჰ. უ., „ქართული თეატრი“, „ივერია“, 1888 წ., № 218.
 23 კოტე ყიფიანი, „მოგონებები, წერილები“, 1964 წ., გვ. 48.
 24 ჰ. უ., „მკაფიო სცენაზე“, „დროება“, 1879 წ., № 129.
 25 იქვე.
 26 უმიკავშილის არქივი.



ალექსანდრე

შავერზაშვილი

მირა ფიჩხაძე

40-იანი წლების დამდეგს მკაფიოდ გამოვლინდა ქართული საბჭოთა მუსიკის ინდივიდუალური თავისებურებანი, ნათელი იყო მისი პერსპექტივებიც. საბჭოთა მუსიკის მაღალ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობა საკუთარი შემოქმედებითი გზების ძიებას შეუდგა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ალექსანდრე შავერზაშვილიც.

იგი გამოჩენილი კომპოზიტორისა და პედაგოგის ანდრია ბალანჩივაძის კლასში აღიზარდა. ა. ბალანჩივაძემ ეროვნული საკომპოზიციო სკოლა შექმნა, მან მრავალ მუსიკოსს მისცა შემოქმედებითი საგზაური. მისი პედაგოგიური მეთოდის ძირითადი პრინციპი იყო — მუსიკოსთა მხატვრული ინდივიდუალობის გამჟღავნება. ა. ბალანჩივაძე ახალგაზრდობისაგან მუდამ მოითხოვდა მაღალ პროფესიულ დონესა და ერუდირებას. იგი განსაკუთრებით აფასებდა ამ თვისებებით აღჭურვილ მოწაფეებს. ამ მხრივ ალექსანდრე შავერზაშვილი დიდ სიმპათიებს იმსახურებდა.

ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში თვალ-

საჩინო იყო ალ. შავერზაშვილის მხატვრული ინტერესების ფართო სფერო. იგი გატაცებით მუშაობდა სხვადასხვა ჟანრებში: ბალეტი, სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი, კამერულ-ვოკალური ჟანრი.

ადრინდელი პერიოდის შემოქმედებაში აშკარად ჩანდა პროფესიულად მომზადებული მუსიკოსი, მაგრამ ამ ნაწარმოებებს აკლდა ეროვნული ხასიათი, კავშირი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციებთან. იმ ხანად იგი განიცდიდა პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის შემოქმედებით გავლენას, განსაკუთრებით მუსიკალური ენის მხრივ. რადგან ახალგაზრდა კომპოზიტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი, ამიტომ ეს გავლენა ზოგჯერ მიმბაძველობით ხასიათსაც ატარებდა. შემდგომში ალ. შავერზაშვილი სხვაგვარად მიუდგა თანამედროვე საბჭოთა მუსიკის მიღწევებს და შემოქმედებითად ითვინეს მათ.

1950 წელს ა. შავერზაშვილმა მოსკოვში დიცივა საკან-

დიდატო დისერტაცია თემაზე: „შ. შველიძის „ზედადურე“ და გრ. კილაძის „განდევნილი“, მათი როლი ქართული სიმფონიური მუსიკის განვითარებაში“. ამ საინტერესო ნაშრომში საფუძვლიანად იყო გარჩეული აღნიშნული ნაწარმოებები. ავტორმა გააშუქა აგრეთვე ეროვნული სიმფონიური ჰუმის ფორმირებისა და განვითარების პროცესი.

თავიდანვე მრავალმხრივი იყო ალ. შავერზაშვილის სა-მოღვაწეო ასპარეზი. იგი აქტიურად იყო და არის კიდევ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში. კარგა ხანია, რაც იგი საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრია და ნაყოფიერად მუშაობს ამავე კავშირის სხვადასხვა სექციებში.

ალ. შავერზაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ჯერ თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და IV მუსიკალურ სასწავლებელში, ამჟამად იგი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია და საკომპოზიციო კათედრის გამგე. მასთან ეუფლებოდნენ საკომპოზიციო ტექნიკას ბ. კვერციანი, ვ. აზარაშვილი, ნ. ვაჟაძე, ი. ბობოხიძე, ნ. გიგაური, რ. ქარუხნიშვილი, შ. დავიდივი, მ. ბერიკაშვილი და სხვ.

ალ. შავერზაშვილის შემოქმედებას ნაყოფიერება ახასიათებს. იგი მუდამ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობითა და სერიოზული დამოკიდებულებით თავის პროფესიის მიმართ. არსებითად, ამან განაპირობა მაღალი პროფესიონალიზმი, თვალსაზირო საკომპოზიციო ტექნიკა და განსწავლულბა, რაც კომპოზიტორის შემოქმედების საუკეთესო მხარეებად არის აღიარებული.

ქართულ საბჭოთა მუსიკაში თავიდანვე მტკიცედ დამკვიდრდა კანტატა — ორატორული ჟანრი. მასში ჩვენი სიანადიდლის მნიშვნელოვანი მოვლენები აისახა. მათალია, ეს ჟანრი საბჭოთა პერიოდში დაიბადა, მაგრამ მისი საფუძვლები უნდა ვეძებთ მდიდარსა და მრავალფეროვან ქართულ საუნდო მუსიკაში, რომელშიც გამომსახველი იყო ჩვენს ხალხის პატრიოტული სულისკვეთება, ეპიკური სიდიადე და ყოფაცხოვრების სურათებიც. ქართული ისტორიულ-კანტატური ჟანრის საუკეთესო ნიმუშები შექმნეს კომპოზიტორებმა შ. შველიძემ, ა. მაჭავარიანმა, ა. ჩიმაკაძემ, ო. თაქაძემ, ვ. ლაღიძემ. მათმა შემოქმედებამ ერთგვარი ბიძგი მისცა ალ. შავერზაშვილსაც. მან შექმნა კანტატები — „კომინ სამშობლოს“, „ჩემი სამშობლოს სიმღერები“, ორატორია „დიდება ოქტომბერს“.

კანტატას „ჩემი სამშობლოს დღეები“ საფუძვლად დაედო ა. მირცხულავას ლექსების კრებული „ჩემი ოცნება“. კრებულში გაერთიანებულია ლირიკული, ეპიკური, ქართული და დრამატული ხასიათის ლექსები. ამიტომაც, კომპოზიტორმა კონტრასტული დრამატურგის პრინციპი აირჩია. კანტატა ლირიკულ-ეპიკური ტილია, რომელშიც ხატოვანი ქართული სურათები და პასტორალური ეპიზოდებია წარმოდგენილი.

კომპოზიტორმა კანტატას „სიმღერები“ უწოდა. მართლაც, ავტორი მელოდიური სასიმღერო ფორმების საშუალებით ხსნის ნაწარმოების შინაარსს. მასში კონტრასტული

დაპირისპირების პრინციპი თავისებურად არის გამოყენებული. იგი არ ქმნის შინაგან დრამატურგიულ კონფლიქტს, არამედ აპირისპირებს განწყობილებებს, ხასიათებს, ნაწარმოების ნაწილებს. ჟანრის ამგვარი გააზრების სხვა ნიმუშებიც არსებობს ქართულ მუსიკაში. მათ შორის საუკეთესოა კომპოზიტორ ალ. მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“, რომლის მხატვრულ პრინციპებს უახლოვდება ა. შავერზაშვილის კანტატა.

ამავე ხანებში ალ. შავერზაშვილი ქმნის კვარტეტს „ჩემი თემებზე“. მასში ქართულ მუსიკაში აშკარად ჩანდა ეროვნული მუსიკის ინტონაციური სფეროს გაფართოების ტენდენცია. ალ. შავერზაშვილის კვარტეტში გამოყენებულია ჩახური ხალხური მუსიკის მელოდიები, რომლებმაც მოხიბლეს კომპოზიტორი ლირიკული უშუალოდ და გამომსახველობით. ნაწარმოებს საფუძვლად დაედო მონოთემატიზმის პრინციპი.

ალ. შავერზაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვოკალური მუსიკის ტანრებსაც. იგი რომანსების, მასობრივი და საესტრადო სიმღერების ავტორია. გატაცებით მუშაობდა იგი კინომუსიკის ხასიათაც. ყველაფე ამან საფუძველი შეუშადა კომპოზიტორის მოღვაწეობას მუსიკალური თეატრში — ოპერეტა „აღლუმი“ და ოპერა „ოლიაპოს მეფე“.

აღსანიშნავია, რომ ქართული ოპერეტა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იღებს დასაბამს. განსაკუთრებულ განვითარებას მან საბჭოთა პერიოდში მიაღწია. ქართულში საბჭოთა კომპოზიტორები დიდის ინტერესით მოღვაწეობენ ამ ჟანრში, მათ შორის არის ალ. შავერზაშვილი. ოპერეტა „აღლუმი“ საფუძვლად დაედო ვ. გულის პეესა, რომლის სიუჟეტი ტრადიციულ სენეკურ ინტრიგებზეა აგებული. ალ. შავერზაშვილმა, ერთის მხრივ, თავი დააღწია ლიბრეტოს სტატიკურბას, მეორე მხრივ, ცალკეულმა საკვანძო მომენტებმა დაკარგეს სიმწკავე და ილუსტრაციულ-აღწერილობის ხასიათი მიიღეს. ოპერეტაში შერწყმულია ჟანრულ-ყოფითი, კომედიური და ლირიკული ეპიზოდები. ავტორმა გამოიყენა საყოფაცხოვრებო მუსიკალური ფორმები: ვალსი, მასურკა, ხალხური „შაირი“, რომანსი და ა. შ. ამ ოპერეტის ცალკეულმა ნორმებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და საყოფაცხოვრებო ესტრადაზე აქდერდნენ. ასეთია, მაგალითად ლევანის რომანსი, იგი ცნობილია „მთაწმინდის ყვავილების“ სახელწოდებით.

ალ. შავერზაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 50-60-იანი წლები. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა დამახასიათებელი სტილისტური ნიმუშები, შეიქმნა კომპოზიტორის შემოქმედების საუკეთესო ნაწილი, მათ განსაზღვრეს ალ. შავერზაშვილის ადგილი ქართული მუსიკის განვითარებაში.

სინიჭივის პერიოდის შემოქმედებაში წამყვანი ხდება ორი საწესი — ჯანრულ-ყოფითი და ლირიკულ-ფსიქოლოგიური. ისინი ერთდროულად ეთვისებიან ურთიერთს, აღრმადრებენ ნაწარმოებთა აზრობრივ შინაარსს.

ამ პერიოდში შეიქმნა ალ. შავერზაშვილის შემოქმედ-

ბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები — ტრიო ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ჩელოსათვის. მასში ავტორმა გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, გამოავლინა თავისი მსოფლმხედობა.

40-50-იან წლებში აღმაშენებლას განიცდის ქართული მუსიკის კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრი. ქართველმა კომპოზიტორებმა თამამად წარმართეს ამ ჟანრის დემოკრატიზაციის პროცესი და საინტერესო იდეური და მხატვრული პრობლემები წამოაყენეს. შექმნა ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშები: ნ. გულდაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი, ს. ცინცაძის კვარტეტები და საკვარტეტო მინიატურები, ალ. შავერზაშვილის საფორტეპიანო ტრიო.

მაღალი შეფასება მისცა ალ. შავერზაშვილის ტრიოს დიმიტრი შოსტაკოვიჩმა: „ჩემს თავს ნებას მივცემ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ა. შავერზაშვილის ტრიოზე. მას, უდაოდ, გააჩნია ღირსებები. განსაკუთრებით აღენიშნება — იგი არ იქცევა ტრადიციის ტყვედ. ტრიო უმჭევლად ელგებური უნდა ყოფილიყო, ვინმეს სსონისადმი მიძღვნილი, ოდესღაც მეც ასე დავუწერე ჩემი ტრიო, ლევიტინმაც, რახმანიზომაც. შავერზაშვილმა გადალახა სამგლოვიარო საზღვრები და დაწერა სიციხის სავეს, ნათელი და ხალისიანი ნაწარმოები, რასაც მე ვუწოდებ ვულგარულ ვულგაჲ“.

შოსტაკოვიჩის მიერ აღნიშნული სახელე და ოპტიმისტური სულისკეთება განაპირობა ხალხური მუსიკის წყაროსთან სიახლოვეს. ალ. შავერზაშვილმა საინტერესოდ გამოიყენა ხალხური მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციები. ტრიო ოთხნაწლიანია, თვითუღი ნაწილი თავისებურებით გამოირჩევა, ამასთან მთლიანად შთანფერისა და ფორმის მხრივ.

ტრიოს თავიდანვე შეჰყავს მსმენელი განწყობილებათა ლირიკულ-დრამატულ სამყაროში. ემოციურობითა და ენერგიულობით გამსჭვალული პატარა შესავალი განსაზღვრავს I ნაწილის ტონუსს. უფრო მეტიც, მას შეიძლება მთელი ციკლის ეპიგრაფი ვუწოდოთ. მასში განზოგადებულია ტრიოს იდეური შინაარსი. იგი შესავალშივე აშხადებს სახეებს, განცდილებას, განწყობილებებს...

I ნაწილის მთავარი თემა — ცნობილი ხალხური სიმღერის „ნეტავი გოგო მე და შენ“ მელოდიაზეა აგებული. იგი მრავალჯერ გამოუყენებიათ ქართველ კომპოზიტორებს. ალ. შავერზაშვილმა იგი თავისებურად გაიარა — ლირიკულ ხალხურ მელოდიას ექსპრესიულ-დრამატული ხასიათი მისცა. II თემას ნახი ლირიკის სფეროში შევყავართ. განვითარების პროცესში კომპოზიტორი ამძაფრებს I თემის ხასიათს, პომოფორული მელოდია პოლიფონიური ელემენტებით მდიდრდება, I ნაწილი ნათელი, ხალისიანი განწყობილებით მთავრდება.

ტრიოს II ნაწილი — სკერცო ხალხური ცოფის ჯანრულ სურათს წარმოისახავს. ცვეკვა „ქართული“ რიტმით არის გამსჭვალული ტრიოს ყოველი ნაწილი. ტრიო ისე მთავრდება, რომ კომპოზიტორს კიდევ რჩება სათქმელი, რომელსაც მომდევნო ნაწილში განაგრძობს.

III ნაწილს კომპოზიტორმა კანცონა უწოდა, იგი ლირიკულ-დრამატული ხასიათისაა და მძაფრ კონტრასტზეა აგებული. კანცონა შინაარსითა და სახეებით I ნაწილს უახლოვდება. მასში ლირიკულ-ინტიმური საწყისი ხალხურ-ჯანრულ საწყისს ერწყმის. მუსიკაში ვხვდებით ხალხური საკვარტეტო — ჩონგურისა და ფანდურის უფერადობის იმიტაციას. მთლიანობაში ეს ნაწილი ადამიანის ფაქიზ განცდილებას და გრძნობებს გადმოსცემს. ფინალი კვლავ ხალისიან მხატვრულ სახეთა სამყაროში გვახედებს. მავრულ ტონალობაში, ტრანსფორმირებულად ქლერს მთავარი თემა — „ნეტავი გოგო მე და შენ“.

ამ ნაწარმოებმა დამსახურებული წარმატება მოუტანა ავტორს. ერთხმად აღინიშნა მისი ღირსებები — სტილისტური ერთიანობა, მუსიკალური დრამატურგიის სიმწკრივე და მთლიანობა.

შემდეგ კი ალ. შავერზაშვილმა მიმართა მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე რთულ ჟანრს — ოპერას. მისი არჩევანი შეჩერდა მ. ბარათაშვილის პოპულარულ პიესაზე „მარინე“. ოპერა დაიდგა თბილისში და რუსულ ენაზე შესრულდა მოსკოვში საკავშირო თეატრალური ანსამბლის მონაწილეობით. მის შესახებ ასეთი აზრი გამოითქვა: „სასიხარულია, რომ რემიკურ ჟანრში, რომელიც არც თუ ისე მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოირჩევა, ასეთი ნაწარმოები შეიქმნა...“ ან „ავტორი უბრალოდ წყვეტს რთულ პრობლემებს...“ და ა. შ.

მაგრამ მასში, ისევე როგორც მრავალ საბჭოთა ოპერაში, კვლავ წამოიჭრა საოპერო ლიბრეტოს აკადგიანობის საკითხი. მართალია, მ. ბარათაშვილმა ლიბრეტოში გადმოიტანა პიესის წამყვანი სიუჟეტური ხაზი, მაგრამ მთელ რიგ ეპიზოდებში თავი ვერ დააღწია სიტუაციის ხედპირობობასა და სქემატურობას. განსაკუთრებით ხელოვნურად გამოიყურებოდა ლიბრეტოსა და ოპერის ფინალი. მოქმედება, ძირითადად, პირველ ორ მოქმედებაში განვითარდა, IV მოქმედება კი, სასოფლო-სამეურნეო რამოფენის სცენა, სტატიური გამოვიდა. იგი მხოლოდ დროებით გამოაცოცხლა ორი მოხუცის დაკარგვის კომიკურმა ამბავმა. ოპერის მუსიკალური დრამატურგია მისდევს ორი ძირითადი საწყისის — ლირიკული და კომიკური პარალელური განვითარებას. ნაწარმოები აგებულია დასრულებული სცენური სიტუაციებისა და ვოკალური ეპიზოდების თანმიმდევრობის პრინციპით, იგი ტრადიციული საოპერო ფორმით არის დაწერილი. სადა და უნაოლაო ოპერის მუსიკალური არს. მიუღლი რიგი ეპიზოდები გამოირჩევა ნათელი ლირიკითა და კეთილი განწყობილებით.

50-იანი წლების დამლევს ალ. შავერზაშვილი ქმნის საფორტეპიანო კვინტეტს, რომელიც ამტკიცებს კომპოზიტორის დანტეტრესებას კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრებში.

40-50-იანი წლების ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკისათვის დამსახურებელი იყო ჯანრულ-საყოფაცხოვრებო თემატიკა და ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის ათვისების ტენდენცია. 50-იანი წლებიდან კი ჩნდება

ღრმა ფსიქოლოგიური სახეებისა და ფილოსოფიური განზოგადებისაკენ ლტოლვა. ყოველივე ამან აღძრა ახალი გამოშსახველობითი ხერხებისა და, საზოგადოდ, ახალი მუსიკალური სტილის ჩამოყალიბების პროცესი. ქართულმა კომპოზიტორებმა ახალბურად სცადეს გადაეჭრათ ხალხური მუსიკალური ტრადიციების გათვყენების პრობლემაც. ამ გზას დადგნენ კომპოზიტორები ალ. შავერზაშვილი (საფორტეპიანო კვინტიტი), ს. ცინცაძე (IV კვარტიტი) და რ. გაბიჩავაძე (კვარტიტი).

ალ. შავერზაშვილის ტრიო და კვინტიტი, საერთო თვისებების მიუხედავად, ორი განსხვავებული ხასიათის ნაწარმოებია. ტრიოში წამყვანია ლირიკულ-დრამატული და ჟანრული საწყისები. იგი ოპტიმისტური სულიკაცებით გამსჭვალული ნაწარმოებია. კვინტიტში კი ლირიკულ-ფსიქოლოგიური სახეებია წამოწყული. მას მონიერებატრისპირის პრინციპი უღვსს საფუძვლად. ციკლის ოთხივე ნაწილი ერთიანი ფსიქოლოგიური ხასიათის კონცეფციით არის გაერთიანებული.

კვინტიტის ძირითადი აზრი შესავლის თემაშია კონცენტრირებული. იგი უნისონში ჟღერს და პირველად ადაქტიონი გამოჩნდება. ისევე როგორც ტრიოში, ეს თემაც ნაწარმოების ეპიზოდურად შეიძლება მივიჩნიოთ (იგივე ხერხია, მაგრამ სხვაგვარია მისი არსი). მას პირქუმი ხასიათი აქვს, აღსავსაა ეჭვებით, დაბაბულობით, დუმიტარებულ შთაბეჭდილებას სტოვებს: მის საფუძველზე აღმოცენდება მომდევნო ნაწილებების თემები, იგი სხვადასხვაგვარ ტრანსფორმირებას განიცდის.

პირველი ლირიკულ-დრამატული ნაწილი ნაღვლიანია. ამ განწყობილებას ვერ შევცდის ის ნათელი თემა, რომელსაც უყურად გათვალა და შემდეგ აღარც გამოიწიოთა. ეს განწყობილება კიდევ უფრო ღრმავდება შესავლის დაუმთავრებელი მოტივის განვითარებით. მან არ გაუანტა ეჭვები, არ დაასრულა აზრი. მონათესავე ლირიკულ-ფსიქოლოგიურ I და III ნაწილებს შორის მოთავსებულია ჟანრულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის სკერცო — კოლორიტული, ხასხასა. შესავლის ტრანსფორმირებულმა თემამ სრულად შეიცვალა იერი — ახალ გარემოცვაში იგი სულ სხვა სამოსში გამოეწყო. მას ცვლის კომპოზიტორის მიერ გზავნილებითა და პროფესიულად გადამუშავებული ხალხური „პერი“.

კვინტიტის III და IV ნაწილებში კიდევ უფრო ღრმავდება ლირიკულ-ფსიქოლოგიური შინაარსი. ნაწარმოების კლდში კვლავ გაისმის შესავლის დაბაბულები მოტივი — შეკითხვა.

ალ. შავერზაშვილის შემოქმედების ეს ხაზი — ფსიქოლოგიური თემა — შემდეგში სხვა ნაწარმოებებშიც ვლინდება. ნაწილობრივ სავილიონი კონცერტში და ოპერებში „ოიდიპოს მეფე“ და „ახალ ნაპირთან“ (ლ. ქაჩაიას „თავადის ქალი მთავარს“ მიხედვით). მათ შორის განსაკუთრებით საუკრამისოა ოპერა „ოიდიპოს მეფე“. სოფოკლეს ნაწარმოებს არა ერთი კომპოზიტორი მიერ აღუდგენია ოიდიპოსის შემადრწუნებელი ტრაგედიათ, ვნებათა სიმძაფრით, სახეების სკულპტურულობითა და პლასტიკურობით. ალ. შავერ-

ზაშვილმა მიმართა დ. გაჩეჩილაძისა და პ. ქავთარაძის თარგმანებს. მას ძალიან მოსწონდა დ. გაჩეჩილაძის ემოციური და დინამიკური თარგმანი. დადებითი თვისებები გააჩნია პ. ქავთარაძის თარგმანსაც. ამ ორი თარგმანის საფუძველზე თვით კომპოზიტორმა შეადგინა ოპერბუტო, რომელიც 5 ეპიზოდისაგან შედგება და მთლიანობით გამოირჩევა. კომპოზიტორის ჩანაფიქრით ოპერა შეუწყვეტლად უნდა შესრულდეს. ამიტომ, ოპერის პირველი საკონცერტო შესრულებისას მიზანშეწონილი არ იყო მისი ორად გაყოფა, რამაც მას დაუკარგა მთლიანობა.

ბუნებრივია, სოფოკლეს ტრაგედიაში ძალზე რთული ამოცანების წინაშე დააყენა კომპოზიტორი. მას ერთნულნი მუსიკის საშუალებებით უნდა გაეხსნა ნაწარმოების დღეაზრი, სახეები, ერთი პასუხი“ (ჟურნალი „სოვეტსკაია მუზიკა“). იგი წერს „თითოეული კომპოზიტორი თავისებურად აღიქვამს ლიტერატურულ ნაწარმოებს, თავისებურად ესმის იგი, ამას სრული უფლება აქვს სურვილისამებრ გაიანზროს და ლიტერატურულ ქმნილებამ იპოვოს მისთვის ყველაზე მახლობელი“.

კომპოზიტორმა გამოავლინა საკუთარი დამოკიდებულება სოფოკლეს ტრაგედისადმი. ეს შესაძლოა უსაყვედურნი კიდევ, მაგრამ გავისხნოთ მოსტაკოვიჩის წერილი: „სამი შევითვალა — ერთი პასუხი“ (ჟურნალი „სოვეტსკაია მუზიკა“). იგი წერს „თითოეული კომპოზიტორი თავისებურად აღიქვამს ლიტერატურულ ნაწარმოებს, თავისებურად ესმის იგი, ამას სრული უფლება აქვს სურვილისამებრ გაიანზროს და ლიტერატურულ ქმნილებამ იპოვოს მისთვის ყველაზე მახლობელი“.

ალ. შავერზაშვილმაც სოფოკლეს ტრაგედიაში მიავნო მახლობლს და თავისებურად გაიანზრო იგი. ყველაფერი მიმართულია ოიდიპოსის ტრაგედიის გახსნისაკენ. დანარჩენი პერსონაჟებიც ამ ამოცანის გადაწყვეტას დაუმორჩილა.

ოპერის თითოეულ ეპიზოდში თანმიმდევრულად იხსნება თემების მმართველის შინაგანი სულიერი სამყარო. ოიდიპოსის ვოკალური პარტიკაც თანდათან სულ უფრო დრამატული ხდება. კომპოზიტორის თქმით, — მას ძალზე ეცოდება ეს კეთილშობილი და ძლიერი ადამიანი, რომელიც საშინელი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა. კომპოზიტორს სურს თანადრძინება აღძვას მსმენელშიც. მისი ოიდიპოსი მოკლებულია გარგნულ ეფექტურობას, პომპეზურობას, ავტორი ცდილობს დაახტოს გონიერი სახელწიფო მოღვაწისა და ძლიერი ნების ადამიანის პორტრეტი. ოპერის ერთ-ერთი ლეიტ-მოტივი სწორედ ოიდიპოსის სახის თვისებების გამოვლენას ემსახურება. შემდეგ ოიდიპოსი-მეფე თანდათან კარგავს სულიერ სიმშვილესა და ძალაუფლებას, ამიტომ ეს ლეიტ-მოტივი ტრანსფორმირებას განიცდის.

I ეპიზოდში ხდება ოიდიპოსის სახის ექსპონირება. იგი პერიოდულ-ლირიკულ პლანშია წარმოდგენილი. II ეპიზოდში ღრმავდება ლირიკული საწყისი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოპატესტთან სცენაში (ოიდიპოსის არიეტა აიღოს აკომპანიმენტი და მათი დუბტი). შემდეგ კი ოიდიპოსის სახე განვითარების ახალ ფაზაში შედის. იგი თანდათან რწმუნდება ჩადენილ დანაშაულში, კარგავს სულიერ

სიმშვიდეს და ძალაუფლებასაც. III ეპიზოდში იგი დაეჭვებული და განრისხებულია (სცენა კრონთან „წიდი, გამ-შორდი“). ამავი ოიდიბოსი თანდათან კარგავს მეფურ მე-დიდურობას, ბედმა იგი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

მეოთხე ეპიზოდმა დაასრულა იოკასტეს ბედი, მესუთემ — ოიდიბოსისა. ოპერის ფინალი გამსჭვალულია წამოძახი-ლებით, ქრომატიზმებით, წყვეტილი ფრაზებით, ტონალურ-ნი მერყეებით. ოიდიბოსის ვოკალურ პარტიაში აღარ ის-მის ლირიკული სიტობა. აღსრულდა! კომპოზიტორმა მიგ-ვიყვანა ტრაგედიის დასასრულთან.

ოპერის მუსიკალურ დრამატურგიაში განვითარების მო-ნოთემატური პრინციპია გაბატონებული. მაგრამ ეს სრუ-ლიადაც არ აღარბეებს მას, პირიქით, ჰკრავს და მთლია-ნობას ანიჭებს ოპერას, გარეგნულად მკაცრი, ზოგჯერ ასე-ტური მუსიკა დაძაბულია.

კვანძი ოპერის საორკესტრო შესავალშივე იკრება. მას-ში ყრულ, ფარულად ჟღერს ბოროტების თემა. მას დიდი დრამატურგიული და იდეური მნიშვნელობა ენიჭება. ეს თე-მა ჩნდება ოპერის კულმინაციურ მომენტში, როგორც სიმ-ბოლო დანაშაულისა და მისაგებელისა. ბედისწერის პირქუ-ში თემა ოთხი ბგერისაგან შედგება, დაბალ რეგისტრში ჟღერს, ყველგან თან სდევს ოიდიბოსს. იგი დრამატულ სი-ტუაციასთან კავშირში ცვალებადობას განიცდის. უმოძრაო, ტლანქი და შეშარავი ულმობლად იჭრება ოიდიბოსის ფსიქოლოგიურ სამყაროში და სათანადო რეაქციებს იწვევს.

ოპერის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია ანტიკაქტი პა-საკალია (IV ეპიზოდის დასასრულს), რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა ავტორის პოლიფონიური ოსტატობა. მასში ბედისწერის თემის გამჭოლი განვითარებით მიიღება ოპე-რის მძლავრი კულმინაცია. აღსანიშნავია, რომ წმინდა პო-ლიფონიური ფორმების გამოყენება თანამედროვე ოპერებ-ში იშვიათად ხდება. ა. შავერზაშვილისათვის სამაგალითო იყო შოსტაკოვიჩის გენიალური პასაკალია ოპერიდან „კა-ტრინა იზმაილოვა“. პასაკალიაში გადიშლა ოიდიბოსის მშფოთვარე სულიერი სამყარო.

ოპერაში ხალხი აქტიურად მონაწილეობს. იგი თანაუ-გრძობს ოიდიბოსს, მის ჭირსა და ლხინს იზიარებს! ოპერა


იწყება და მთავრდება საკუნდო-მასობრივი სცენებში კულ-მინაციურ მომენტებში თვალსაჩინოა ხალხის ქმედობას. ოპერაში მამაკაცთა გუნდები ჭარბობს, რაც მკაცრ, ვაჟა-კურს ხასიათს ანიჭებს მას. გუნდები ორგვარია: ქმედით, დინამიური, სადაც კომპოზიტორი უზვად იყენებს პოლი-ფონიურ ფორმებს და პოლიფონურ ქორალებს.

საკუნდო სცენებში განსაკუთრებით გამოვლინდა ა. შა-ვერზაშვილის მუსიკის ეროვნული თვისებები. ასეთია პირ-ველი ეპიზოდის მამაკაცთა ქორალი, ქალთა ლირიკულ გუნდი — ლოცვა. და ბოლოს, ყველაზე დიდი, ტრაგედიის ცენტრალური კულმინაცია — ორმაგი საკუნდო ფუგა, სა-დაც აშკარად გაისმის ძველი ქართული ტირილის ინტონა-ციები. ამ მხრივ საინტერესოა ეპიზოდი ფინალში, როდეს-საც დაბრმავებული ოიდიბოსი კრეონს საყვარელ ბავშვებს უტოვებს — რაოდენ სვედიანად ჟღერს გურული „ნანანა“, რომლის განწყობილება შეესაბამება სიტუაციას. „ოიდიბო-სის“ საკუნდო ეპიზოდებში კომპოზიტორმა განმოიყვანა ქა-რთული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი პოლიფონიური ელემენტები.

ოპერაში უმთავრესად სიმღერის მელოდიურ-დეკლამა-ციური სტილი ბატონობს. ეს კი ნაკარნახევი იყო თვით ეანრის — მუსიკალური ტრაგედიის სპეციფიკით. ოპერა „ოიდიბოს მეფე“ უდავოდ ახალი ეტაპი იყო ა. შავერზაშ-ვილის შემოქმედებაში.

აღ. შავერზაშვილი სამაგალითო ნაყოფიერებით მოღვა-წეობს მუსიკალური ხელოვნების ყველა დარგში. ჭეშმარი-ტად მისაბაძია მისი ენერგიულობა და ენთუზიაზმი, ერუ-დიცია და პროფესიონალიზმი. კომპოზიტორის შემოქმე-დებითი შემკვიდრებობა მდიდრდება ახალი ნაწარმოებებით. უკანასკნელ ხანებში შეიქმნა მეორე საფორტეპიანო ტრიო, რომელიც წარმატებით შესრულდა რუსეთის რამდენიმე ქა-ლაქში. კომპოზიტორთა IV პლენუმზე აქედრდა მისი ახალი სიმფონიური პოემა „ლენინელები“, რომელიც ვ. ი. ლენი-ნის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.

ფართო და საინტერესოა აღ. შავერზაშვილის შემოქმე-დებითი გეგმები.



შეოქმედახითი
პ ო რ ტ რ ე ტ ი



პლატონ კაკაბაძე

მოქალაქის დიდება და ტრაგედია

ამირან ცამციშვილი

დიდად ნიჭიერი მომღერლის პლატონ კაკაბაძის (1860-1895) ხანმოკლე ცხოვრება შ. კაუშაძის ხატოვანი წვლით „ფანტასტიკურ ნოველას“ გავს. დღეს ამ იშვიათი დრამატული ტენორის მსმენელი, მისი წარმატებების მიწვეულ ალარავინ შემოგვჩა. მაშინ ხმის ჩამწერი აპარატურაც არ არსებობდა. ამიტომაც პლ. კაკაბაძის ნიჭსა და ოსტატობაზე მხოლოდ იმდროინდელი საგაზეთო სტატიები, თანამედროვეთა მოგონებები, პირადი წერილები მოგვიხსნობენ. მათში ჩაწერილი ქება-დიდება გულისტკივილს იწვევს მომღერლის მივიწყების გამო. იქნებ პლატონ

კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავზე მაინც აღვადგინოთ მისი სახელი და ჩვენს საზოგადოებრიობას გავაცნოთ ამ მაღალი კლასის მომღერლისა და აქტიორის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

პლ. კაკაბაძე ეროვნული ხელოვნების ასპარეზზე უეცრად ამობრწყინდა და ასევე უეცრად გაქრა. ეს იყო ქართული მუსიკის გარიჟრაჟზე. ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორები მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ერ. ჯაბადარი და სხვები მხოლოდ მაშინ იწყებდნენ მოღვაწეობას. ისინი იღვწოდნენ ეროვნული მუსი-



მილანელი მომღერალი ა. კოსტანიანი ოპერაში „დემონი“.

კისა და, სახელდობრ, ქართული ოპერის შექმნისათვის, ოცნებობდნენ ისეთი მაღალი რანგის შემსრულებლებზე, როგორც პ. კაკაბაძე იყო.

პლატონმა მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო მუსიკალური ნიჭი და შესანიშნავი ტემბრის სმა. განსაკუთრებით საამოდ მღეროდა მომღერლის დედა — სოფიო ბადათურია.

მშობლებმა დაწყებითი განათლება პლატონს ხონში მიაღებინეს და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრებაშიც შეუწყვეს ხელი. შემდეგ თავად ჭაბუკმა აირჩია არტისტული კარიერა და მთელი ცხოვრება მუსიკის შესწავლას შეაღია. ამ მხრივ მას დიდი დახმარება გაუწიეს ფილიმონ ქორიძემ და მელიტონ ბალანჩივაძემ. ჯერ კიდევ ქუთაისში მუსიკით გატაცებული პ. კაკაბაძე მათ ეხმარებოდა ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანაში. თან სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას სწავლობდა, ხმასაც ავარჯიშებდა. მ. ბალანჩივაძე და ფ. ქორიძე ახალსებდნენ ნიჭიერ ჭაბუკს. მელიტონს იგი კონცერტებზე გამოჰყავდა და კონ-

ცერტმეისტრობასაც უწევდა. ხოლო ფილიმონმა, ქუთაისში ხარაზიშვილების თეატრში ოპერა რომ დადგა, სპექტაკლში გამოიყვანა.

1890 წელს პ. კაკაბაძემ კონცერტები გამართა ქუთაისში, სოხუმში, ხონში. ცოტაოდენი ფული მოაგროვა, მუსიკალური განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა და კონსერვატორიაში ჩაირიცხა. აქაც მელიტონ ბალანჩივაძე იყო მისი მფარველი, ბინაც თავისთან მიუჩინა.

ერთი წლის შემდეგ ასლობლებისა და მეგობრების რჩევით შეგულიანებულმა ახალგაზრდამ პეტერბურგის საიმპერატორო თეატრს მიმართა. ცნობილმა რუსმა მომღერლებმა ლეონიდ იაკოვლევა და ივანე მელნიკოვმა მოუსმინეს, მაღალი შეფასება მისცეს და საიმპერატორო თეატრის დირექტორ ვსევოლოჟსკისთან უშუამდგომლეს. მან კომისია გამოჰყო და გამოცდა დაუნიშნა.

გამოცდამ წარმატება მოუტანა. პლატონს სტიპენდია დაუნიშნეს თვეში 100 მანეთის რაოდენობით. მ. ბალანჩი-

რუსული დრამის ცნობილი მსახიობები — ძმები ადელგეიმები.



მილანელი მომღერალი სამარკო ონეგინის როლში.

ვაძე იგონებდა, რომ პლატონის პეტერბურგში აკაკი წერეთელიც ეხმარებოდა.

პეტერბურგში პ. კაკაბაძე წარმატებით გამოდიოდა საქველმოქმედო სადამოებსა და კონცერტებზე. 1891 წლის ნოემბერში გახუთდა „ივერიის“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან წერდა: „სკულითა და გულით ვისურვებ, რომ ბატონ კაკაბაძის საქმე დაუბრკოლებელიც ვისულიყოს, როგორც თავისთავისა, ისე მისი ქვეყნის სასახლოდ და კარგად გამოყენებისის ის ძლიერი ხმა, ბარატონის მსგავსი მაღალი Tenore di forza, რომელიც იმასა აქვს. ქართულეში პირველი მაგალითი იქნება, რომ ბ-ნი კაკაბაძე ასეთი საზოგადოდ დიდად იშვიათის ხმით გამოვა სამუსიკო მოღვაწეობის ასპარეზზე“.

მომღერალი ინტენსიურად იზრდებოდა, ოსტატებოდა. პეტერბურგის მუსიკალურ წრეებში ერთსულვინად აღიარეს მისი იშვიათი ნიჭი და პერსპექტიულობა. 1893 წლის ქართველი მომღერალი საიმპერატორო თეატრის შუამდგომლობით, სახელმწიფოს ხარჯზე, მილანში მიაგზინეს. მილანში იგი სამ წელს მეცადინეობდა პროფესორ სებასტიანო რონკონის, გეორგ სამარკოსა და სხვა გამოჩენილი მუსიკოს-პედაგოგების ხელმძღვანელობით.

მილანში დაიხვეწა და მთელი ძლიერებით აცდერდა პლატონ კაკაბაძის ხმა. მალე, იტალიაში ქართველ მომღერალს მრავალი მეგობარი და თაყვანისმცემელი გაუჩნდა. განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი გამოჩენილ მომღერალს პეტროს ბატორეს, ხელთახალ დელ აროს, ემილია სარტორი კარემინს, სოქნე ვეკალის დელ ბეგლას ამირჩაიანს და კოსტანთანს, ცნობილ რუს მსახიობს რობერტ ადელევიმს, მეცნაბეს ცოცკასა და სხვ.

ბარატონიდან და სურათებზე წარწერებიდანაც ჩანს როგორ უყვარდა და აფასებდნენ კაკაბაძეს თაყვანისმცემლები. გეორგ სამარკოს საკუთარი პორტრეტი მიუძღვნია პლატონისათვის წარწერით: „იშვიათი ნიჭის არტისტს და ძვირფას მეგობარს — ბატონ კაკაბაძეს“.

რობერტ ადელევიმი ერთ-ერთ ბარათში ამხნეებდა კოლეგას და სასარგებლო რჩევას აძლევდა: „თქვენ განვიზრახეთ მანდ მუდრა. ძალიან კარგი იზამთ. მოიკრიბეთ ძალღონე და იმოქმედეთ. თამაშზე მაინც და მაინც ნუ იფიქრებთ... მთავარია ხმა, რომელიც თქვენ კარგი გვეთ, მათა-სადავე წარმატებაც უმჯობესად გექნებათ. ოღონდ გაბეღულად. მთელი სულითა და გულით გასურვებთ წარმატებას“.

ერთი წლის თავზე იტალიელ პედაგოგებთან გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ, მილანის ერთ-ერთ თეატრში შედგა პ. კაკაბაძის დებიუტი, ეს იყო მისი ბრწყინვალე არტისტული კარიერის დასაწყისი, შემდეგ იტალიის ქალაქებში გამოდიოდა „იმერლის“ ფსევდონიმით. შესანიშნავად მღეროდა პირველ პარტიებს — „ფუსტისში“, „ფეაორიტი ქალში“, „კამენში“ და სხვ. ხოლო 1895 წლის აპრილში საუკეთესო საოპერო არტისტად აღიარებული და იტალიის მუსიკალურ წრეებში ცნობილი „იმერლი“ რუსეთისაკენ გამოემგზავრა. „ივერიის“ კორესპონდენტი მილანიდან თანამეამულეებს სიხარულით აუწყებდა: „ამ დღეებში პე-

ტერბურგს გავისტუმრეთ ბატონი კაკაბაძე. სამი წლით იყო გაგზავნილი პეტერბურგის სათეატრო დირექციის ხარჯით გალობაში გასაგარჯიშებლად. დღეს კი დაასრულა თავისი საქმე და პირველი დებიუტი საადრეოდვე ექნება მარიამის თეატრში. ამ ყმაწვილ კაცს შესანიშნავი ტენორი აქვს და იმეფა მალე სასლესად გაითქვამს“.

თანამედროვეთა გადმოცემით პ. კაკაბაძე მრავალმხრივ განსწავლული და განათლებული კაცი ყოფილა. არტისტულ კარიერასთან ერთად პლატონს განზრახული ჰქონია მშობლიური სიმღერების შეგროვება და ჩაწერა. მელიორ ბალანჩივაძესთან ერთად იგი ქართული ოპერის შექმნაზე ოცნებობდა და სცენაზე ქართველი გმირების განსახიერებას ნატრობდა. მაგრამ არ დასცალდა დიდი ნიჭი მშობლიური კულტურის წინსვლისა და აყვავებისათვის მიუძღვნა.

1895 წლის აპრილში მილანიდან დაბრუნებისთანავე პ. კაკაბაძეს პეტე ჰურგის საიმპერატორო თეატრში დებიუტი დაუწყო. ასალგაზრდა ქართველი მომღერლის მისვლამ რუსეთის სკუეტესო თეატრში, რომელიც სახელგანთქმული მსახიობები მოღვაწეობდნენ, დიდი ხენსაცა გამოიწვია. ცხადია, აეატონის ძველი, უკვე მოდიდან გასული მომღერლები დიდად არ გაახარა ასეთი სამუშაო კონკურენტის გამოჩენამ და ზოგიერთი მტრულად შეხედა.

დებიუტი საბედისწერო აღმოჩნდა. სცენაზე გამოსვლის წინ კაკაბაძე ცუდად შეიქნა და ხმა ჩაწყდა. დებიუტი ჩაიშალა, ამ ამბავს დიდი მიოქმა-მოიქმა მოჰყვა, ამბობდნენ, ახალგაზრდა მსახიობი შურით აღვსილებმა მოჰმალეს და დეგნა... მოულოდნელად მარცხმა თავგარი დასცა ახალგაზრდა მომღერალს და იგი იმ დროისათვის უკურნებელმა სენმა შეიპყრო. ტუმბერკულოზით დაავადებული პლატონი აწლობებმა სამშობლოში ჩამოიყვანეს, მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა, რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. ხონში დაბადებული იქვე დაკრძალეს. მალე მისი საფლავი ულმობელი ტაროსის სათარეზოდ იქცა, ნათესავები და ადარავის ახსოვს პლატონი. 31 წლის ასაკში ჩაიფარვლა მისი გაუფურჩქნელი ნიჭი.

მ. ბალანჩივაძე ხშირად პატივისცემით იგონებდა ნამოწაფარს და თვალცრემლიანი ამბობდა: „პლატონ კაკაბაძის სახით საქართველომ დაკარგა საუკეთესო, დიდი ნიჭის პატრონი მომღერალი-მუსიკოსი. კოსტანთან, იტალიის ოპერის არტისტი, რომელიც ქუთაისში საგავტროლად იყო ჩამოსული, ჩემთან იგონებდა კაკაბაძეს, როგორც ძლიერი და კარგი ხმის პატრონი. საქართველომ, — ამბობდა იგი, — პლატონის სახით დაკარგა ნიჭიერი და შესანიშნავი ხმის პატრონი არტისტი“.

პ. კაკაბაძემ ბევრი განუხორციელებელი ოცნება, ფიქრი და განზრახვა ჩაიტანა სამარეში. საოცრებელი ჩაჯარდა მ. ბალანჩივაძეც, რომელსაც პლატონი თავისი ოპერის პირველ შემსრულებლად ეხმარებოდა. კაკაბაძეს არ დასცალდა საქართველოში მოღვაწეობა, მაგრამ მისმა არტისტულმა ნიჭმაც უთუოდ, მისცა ცტამული ქართული ოპერის შექმნას.

ნიჭიერი ხელოვანი

(რეჟისორ არშაკ ბურჯალიანის
დაბადების 90 წლისთავი)



არშაკ ბურჯალიანი

გაგან ოვანესიანი

სომხეთის სსრ ხელოვნების და-
მსახურებელი მოღვაწე არშაკ სერ-
გის ძე ბურჯალიანი დაიბადა 1879
წლის 26 დეკემბერს ასტრახანში.

1896 წელს, როგორც კი დაამთავ-
რა ასტრახანის რეალური სასწავლე-
ბელი, უმაღლესი განათლების მისა-
ღებად მოსკოვში გაემგზავრა, მაგ-
რამ იგი უფრო თეატრალურმა ხე-
ლოვნებამ გაიტაცა და მთელი ორი
წლის განმავლობაში კ. ს. სტანის-
ლავსკის მიერ ჩამოყალიბებული ხე-
ლოვნებისა და ლიტერატურის ამხა-
ნაგობის წევრი იყო. ამის შემდეგ
იგი სადაც კი იმყოფებოდა (პეტერ-

ბურგი, პარიზი, მოსკოვი, ღონის რო-
სტოვი...) თეატრალური ხელოვნების
სიყვარულით ცხოვრობდა. მუშაობდა
ხან მსახიობად, ხან რეჟისორად.

საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარებისთანავე იგი
თბილისში ჩამოვიდა და რეჟისორად
დაიწყო მუშაობა სომხურ თეატრში.

მშობლიური თეატრის განვითარე-
ბისა და აყვავების საქმეში ბურჯა-
ლიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის.
ენტუზიასტი, პასუხისმგებლობის
მაღალი გრძნობით დაჯილდოებული
ხელოვანი, ყველგან — ერევნის სუნ-
დუკიანის სახელობის, თუ სპენდია-

როვის ოპერისა და ბალეტის, თბი-
ლისის სახელმწიფო სომხური დრამა-
ტიკული, თუ მოზარდ მსახურებელთა
თეატრი იყო ეს, დაუმრეტელი ენერ-
გიით, პრინციპულობით, სამაგალითო
დისციპლინით ირენდა თავს.

ცნობილი მხატვარი მარტივოს სა-
რიანი თავის მოგონებაში ასე აფა-
სებს ბურჯალიანის მოღვაწეობას:
„იგი ზედმიწევნით იყო დაუფლებუ-
ლი მშობლიური ხალხის უძველეს
კულტურას და თამამად შეგვიძლია
განავაცხადოთ, რომ გულით ატარებდა
სომეხის ხალხის სულიერ საგან-
ძურს“.

დღესაც ტკბილად იგონებენ ბურჯალიანის მოღვაწეობას ერევნის სუნდუკიანის სახელობის თეატრში. მან თავისი ბრწყინვალე რეჟისორული ნიჭით გზა გაუკაფა ამ თეატრს მაღალი ხელოვნებისაკენ. მის მიერ სცენაზე განხორციელებულმა უ. შუქსპირის „ჰამლეტმა“, ნ. გოგოლის „რევინზორმა“, დ. დემირჯიანის „გულადმა ნაზარმა“ და სხვა პიესებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.

გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრის სახელგანთქმულმა მსახიობებმა — ა. ავეტისიანმა, დ. მალიანმა, ვ. ვალაშვილმა, პ. ნერსეიანიმა, გ. გაბრიელიანიმა, გ. ჯანიბეგიანიმა და სხვებმა ბევრი რამისწავლეს ბურჯალიანისაგან. სამართლიანად აღნიშნავს თეატრმცოდნე საბირრიხავეი, რომ „ბურჯალიანი ზედმიწევნით კარგად ფლობდა რეჟისორის სპეციალობას, მისი დვივი იყო პიესაში ლიტერატურული ენით გადმოცემული მასალის თეატრალური ენითა და საშუალებებით ამეტყველება“.

არმაკ ბურჯალიანი იყო ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთ-ერთი დამარსებელთაგანი და მისი მთავარი რეჟისორი. ნიჭიერმა ხელოვნმა აქაც გამოამჟღავნა პროფესიულობა, ფაქიზი გემოვნება, რითაც დიდი მასხური გაუწია ახალფუხვადგმულ ოპერის თეატრს. აქ მან წარმატებით დადგა ოპერები: სპენდიაროვის „ალმასტი“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, შ. გუნოს „ფაუსტი“, ჯ. პუჩინის

„ჩიო-ჩიო-სანი“, პ. სტეფანაიანის „გულადი ნაზარი“ და სხვა.

ბურჯალიანი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისში სტ. შამშიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორად. მამინ სომხურ თეატრს საკუთარი შენობა არა ჰქონდა. წარმოდგენები იმართებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში. მისმა დადგმებმა მოხიბლა არა მარტო სომეხი მაყურებელი, არამედ ბევრი ქართველიც. ბურჯალიანს ახლო მეგობრობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ რეჟისორებთან და მსახიობებთან — კოტე მარჯანიშვილთან, სანდრო აბეტელიანთან, აკაკი ხორავასთან, უშანგი ჩხეიძესთან, გიორგი დავითაშვილთან; მხატვრებთან: ი. გამრეკელთან, მ. იაკულოვთან, ს. ალაჯანოვთან, მ. არუტჩიანთან და სხვებთან.

თბილისში მან დადგა შექსპირის „ოტელო“, „ვენეციელი ვაჭარი“ (მხატვარი ი. გამრეკელი), ფაიკოს „პორტფულიანი კაცი“, ა. შირვანზადეს „მორგანის მსახალი“, ს. ბაღდასარიანის „სისხლიანი უდაბნო“ და სხვა.

ბურჯალიანი მუდამ სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა მსახიობების აღზრდას, მისი ხელმძღვანელობით ჰაიარტანთან (სომხეთის ხელოვნების სასწი) გაიხსნა სტუდია. შემდგომი ამ სტუდიის ზოგიერთი კურსდამთავრებული სომხური თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა.

თეატრალურ საზოგადოებაში ერთ-

ხანს გაერცხლებული იყო აზრი, თორქოს ბურჯალიანს ჰქონდა მხოლოდ დრამატული პიესების ხორცშესხმის დიდი უნარი, კომედიებისა კი შედარებით ნაკლები. მაგრამ ეს აზრი საბოლოოდ გაქარწყლდა.

ბურჯალიანი დიდი ოსტატი იყო აგრეთვე მასიური სცენების განხორციელებისა. იგი ამბობდა: „ნამდვილი თეატრალიზმა მამინა, როცა მაყურებელი ყოველ წამს გრძნობს მსახიობთა კოლექტიურ ოსტატობას“.

გარდა სომხური თეატრებისა, ა. ბურჯალიანი მთავარ რეჟისორად მუშაობდა აგრეთვე ერევნისა და თბილისის აზერბაიჯანულ თეატრებში. ამ თეატრების კოლექტივები და მაყურებლები დღესაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ რეჟისორსა და მის მიერ ამ თეატრებში დადგმულ სპექტაკლებს „რღვევა“, „ანზორი“, „ჰამლეტი“, „სისხლიანი უდაბნო“, „უღანაშაულო დამნაშავენი“ და სხვ. ფასდაუღებელია სცენის დიდი ოსტატის ბურჯალიანის დამსახურება აზერბაიჯანული თეატრების წინაშე. ამიტომ მის სახელს არასოდეს არ დაივიწყებენ აზერბაიჯანული ხელოვნების მუშაკები და მისი მხურვალედ მოსიყვარულე ხალხი, — წერს ცნობილი რეჟისორი ალი შაჰბაბალო.

1943 წელს ბურჯალიანი ავად გახდა. მიუხედავად ამისა იგი მაინც თეატრზე ფიქრობდა, გვემებს აწყობდა, მაგრამ აღარ დასცალდა დაბრუნებოდა საყვარელ საქმეს. 1946 წლის 4 სექტემბერს იგი გარდაიცვალა.





ოთარ ლითანიშვილი

ამაღლებული განცდით


ნანა ჩაჩუა

მაგიდასთან დახრილა სპორტული აღნაგობის კაცი. მას ჩაფიქრებული სახე და ჭაბუკის მფოცნეებ თვალები აქვს. ერთხანს ნახაზებს ჩაჰკირკიტებს — რაღაცას ხაზავს, შლის, ასწორებს, კვლავ ხაზავს და შეუსვენებლივ უსტვენს ხმადაბლა, გატაცებით. ერთხანს ასე გრძელდება, მერე სახე უნათდება, ნაპოვნია კიდევ ერთი აუცილებელი შტრიხი, კიდევ ერთი სიხაზე. იგი დაუღალავე შემოქმედებითი ძიების, მომქანცველი შრომის შედეგადაა მოპოვებული.

ასეთია ქალაქის მთავარი მხატვრის ოთარ ლითანიშვილის ცისმარე დღე, — დაუღალავე შემოქმედებითი ძიება და მიღწეულით გამოწვეული სიხარული, ის განსაკუთრებული და ამაღლებული განცდა, რომელსაც მხოლოდ თავდადებული შრომით მოპოვებული გამარჯვება ანიჭებს ადამიანს. ასეთი სიხარული მას ბევრჯერ განუცდია თავისი

46 წლის მანძილზე, როგორც მოქალაქესა და ხელოვანს.

ახალგაზრდა არქიტექტორმა პირველი გამარჯვება სოხუმის მთაზე მისასვლელი გზის გასაყვანად მოწყობილ კონკურსში მიიპოვა, უფრო მოგვიანებით რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ამავი სიყვარულისა“ გააფორმა და დიდი წარმატება ხვდა წილად. როგორც მხატვარმა ახალი სიტყვა თქვა დეკორატიულ ხელოვნებაში, ასე წერდა 1959 წელს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“. უფრო გვიან ოთარ ლითანიშვილს დიდი წარმატება ხვდა მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს მოსკოვში. გაზეთი „პრავდა“ განსაკუთრებით აღნიშნავდა მხატვარ-გამფორმებლის დიდ მუშაობას, რომელმაც უმაღლესი პრიზი და სივლემები დაიმსახურა ქართული კულტურის დღეების მხატვრული გაფორმებისათვის.



სტადიონი „კავაზაჲ“ ტოკიოში, მისი ავტორის, არქიტექტორ მურატას ავტოგრაფით.

ოთარ ლითანიშვილი ქართველ შემოქმედთა იმ სახელოვან თაობას ეკუთვნის, რომელთა იარაღით ხელში გმირულად დაიკვეს სამშობლოს თავისუფლება გერმანელ ფაშისტებთან სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლაში...

ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როდესაც ადამიანს საშუალება ეძლევა უკეთ შეიცნოს საკუთარი თავი. გაიგოს რას წარმოადგენენ მის ირგვლივ მყოფი ადამიანებიც, დგება მომენტი, როდესაც ირღვევა დროის ჩვეული დინება და ადამიანი აღმოჩნდება საბედისწერო გამოცდის წინაშე, მკაცრია ეს გამოცდა... და ვინც მას ვაჟაკურად დახვდება, გაბედულად აღმართავს ხელს ბოროტების წინააღმდეგ, უფლება აქვს ამაყად ზეაწიოს თავი, სინდისის ქვეჩის გარეშე შეხედოს ადამიანებს.

ომის დაწყების პირველსავე დღეებში, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ო. ლითანიშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. რამდენიმე თვე სამხედრო სკოლაში დაყო, შემდეგ კი შეუპოვარი ბრძოლების მონაწილე იყო ომის უკანასკნელ დღეებამდე. მერე კვლავ მშვიდობიანი შრომა და სწავლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე...

1949 წლიდან ოთარ ლითანიშვილი სოხუმის საპროექტო სახელოსნოში მუშაობს რიგით არქიტექტორად, საპროექტოს მმართველად, სოხუმის მთავარ არქიტექტორად.

ამ პერიოდიდან დაიწყო ოთარ ლითანიშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობა. მან დააპროექტა მრავა-

ლი ღირსშესანიშნავი ნაგებობა, პროფკავშირების სახლები ქალაქ სოხუმში, საცხოვრებელი სახლები კელასურის რკინიგზის სადგურთან და სანატორიუმები.

მისი შემოქმედებითი ზრდის ნაყოფია თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის შენობის პროექტი, რომელშიც თანამედროვე არქიტექტურა შესანიშნავად ერწყმის ეროვნულ მხატვრულ ელემენტებს. ბევრი გამომგონებლობა და ოსტატობა იყო საჭირო, რომ იმ შეზღუდული საშუალებებით, რომლებიც ავტორებს გააჩნდათ, შექმნათ ქართული მუსიკალური კომედიის სრულყოფილი თანამედროვე შენობა. ო. ლითანიშვილმა არქიტექტორ მაჭარაშვილთან ერთად უსასყიდლოდ, მინიმალური სახსრებით შექმნა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის შესანიშნავი ნაგებობა.

არქიტექტორებთან ჯორბენაძესთან და ჭ. ჭუბარბაძესთან ერთად შექმნა ფიროსმანის გალერეის პროექტი. ეს თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობა გორგასალის ქუჩაზე ორგანულად ერწყმის თბილისის ძველ უბანს, აბანოების გუმბათებს და ნარიყვას სილუეტს.

მოგვიანებით ნ. ჯორბენაძესა და ბ. ბაქრაძესთან ერთად იგი ქმნის რუსთაველის მემორიალს თბილისის ზღვაზე, რესტორნებს „მარანი“ და „საჭაშნიკო“ მცხეთაში. ასდგენს მსკოვის კინოთეატრ „თბილისის“ რეკონსტრუქციას, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში აფორმებს სპექტაკლებს „მე ვხედავ მუსს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიო-

1932 წლის ზაფხულში ქ. ბათუმში ჩატარდა რუსთაველის თეატრის გასტროლები ცნობილი ქართველი რეჟისორის ა. ვ. ახმეტელის ხელმძღვანელობით.

ეს გასტროლები დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში. ამით საფუძველი ჩაეყარა აჭარაში ქართული პროფესიული თეატრის შექმნას. ამავე წელს პარტიული და საბჭოთა ორგანიზების გადაწყვეტილებით რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში ჩამოყალიბდა აჭარის სექცია. სამსახიობო კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებულ ახალგაზრდებს შორის იუსუფ კობალაძეც ჩაირიცხა ამ სექციასში.

იუსუფ ბათუმში მანამდეც იცნობდნენ. იგი ხშირად ანსახიერებდა სცენაზე ეპიზოდურ როლებს სხვადასხვა პიესაში.

ახალგაზრდებს დიდ სიამოვნებას გვევრიდა იუსუფის გვარის ამოკითხვა აფიშებში, წითელი ფანქრით წრეს შემოვაკლებდით ხოლმე, რომ წასაკითხად უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო.

მასობურ, 1932 წლის 25 აგვისტო იყო, საღამოს ათ საათზე ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ბათუმის საღურის ბაქანზე ესერიობდით. მაშინ ეს მოდაში იყო. ყველა მატარებელს ახალგაზრდობა აცილებდა და მშვიდობის გზას უსრუვებდა. თბილისის მატარებლის გასვლის წინ, რამდენიმე წუთით ადრე, ბაქანზე იუსუფი გამოვიდა შეგრუბული ლოკინითა და ჩემოდნით. მე მაშინვე მივედი მასთან და ვკითხე, საით მიემზავრები-მეთქი; მან მიპასუხა: „მივიდვარ თბილისში, რუსთაველის თეატრის სამსახიობო სტუდიაში.“ ძალიან გამიხარდა და იუსუფი ოჩხამურამდე გავაცილე. ქობულეთის სადგურს რომ მივუახლოვდით, ბაქანზე მურად ხინიკაძე შემოიჭრა. ხელი ჩამოვართვი, გზა მშვიდობისა ვუსურვე და მატარებელიც დაიძრა. ისინი დიდხანს იცქირებოდნენ ვაკონის ფანჯრიდან. ერთმანეთს ხელის ქნევით ვეშვიდობებოდით.

გამოჩენილი მსახიობი

გაიღოდა თვეები. სტუდიაში ბათუმელი ახალგაზრდების წარმატებების ამბები გვეცმოდდა.

1933 წლის საზაფხულო არაღვეგებზე სტუდენტები ბათუმში ჩამოვიდნენ დასასვენებლად. ისინი მონდომებს იჩენდნენ თავიანთი ჯგუფის ახალი კადრებით შესავსებად. ამავე წლის აგვისტოში, ბათუმში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, რომელმაც მუსიკალური სასწავლებლის ძველ შენობაში ჩაატარა გამოცდები და რამდენიმე ახალგაზრდა შეარჩია სტუდიაში ჩასარიცხად. ესენი იყვნენ აწ განსვენებული ესედ ცივაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნუნუ თეთრაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლილი აფხაზავა, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. სარჯველაძე, სამამულო ომში დაღუპული ჯემალ დევაძე. მათ შორის მოხვდით მეც. თუმცა მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ერთ ხალამოს ბაქანზე ი. კობალაძესა და მ. ხინიკიძის აგიტაციაზე გასჭრა და მეც აღმეძრა სურვილი მსახიობი გაემხარეებინა. სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ სრულებით ვერ განვსაზღვრე, სცენას თავისებური ნიჭი სჭირდებოდა, რომელიც მე არ გამაჩნდა. 1933 წლის პირველ სექტემბერს ჩვენ უკვე რუსთაველის თეატრში ვიყავით.

პირველი გაკვეთილი ჩავიგიტარა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ვანო ლალიძემ, ხოლო სუთ სექტემბერს, დღის 11 საათზე, მოვისმინეთ სანდრო ახმეტელის ლექცია. ამ დღი რეჟისორის ნახვას სასოებით ველოდებოდით. საღამომით ვესრუბოდით სპექტაკლებს. ნათლად ვიგრძენით, რომ ამ ერთმა წელმა მნიშვნელოვნად გამოაწროთ ჩვენი თანასოფელები: იუსუფი, მურადი, კ. გობალიძე, ისვენდერ კაკიციშვილი და სხვები. ისინი უკვე მნიშვნელოვან ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ იუსუფი შესანიშნავად ასრულებდა ნირარის როლს აფიოგენოვის პიესაში „ზაგუმკი“.

მან იმთავითვე გამოავლინა აქტიური ნიჭი. სტუდიის დამთავრებისას აჭარის ჯგუფმა რუსთაველის თეატრში მომავლად ორი დედგმა: კ. გოლიდონის „სასტუმროს დიასახლისი“, სადაც იუსუფი ასრულებდა კავაფის როლს და გ. მდიუნის „ბრმა“. აქ იუსუფი თამაშობდა თეთრგვარდიელი ოფიცერის, ცალხელა სერჟეი რაჩკოვსკის როლს. ორივე როლი იუსუფმა უმაღლესი არტისტული შემართებით განახორციელა და აღიარებულ იქნა სრულყოფილი, ჩამოყალიბებული პროფესიონალ მსახიობად.

1937 წლის 11 მარტს ჩვენ უკვე აჭარაში გამოვემგზავრეთ. 18 მარტს თეატრის ძველ შენობაში, საზეიმო

იუსუფ კობალაძე

ვიტარებაში გაიხსნა სეზონი ორივე ზემოთ დასახელებული წარმოდგენით. ანელა გამოქვამა წარმატებისა, რაც იუსუფს ხვდა წილად ბათუმის მაყურებლებში კავაღერისა და სერგეი რაჟოვსკის როლების შესრულების დროს. მნახველები გაატყა იუსუფის გარდასახვის უნარმა. მის მიერ შესრულებული როლები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ. მაყურებელმა სწორედ ამაში დინახა მისი აქტიორული ღირსება.

მე ამ სპექტაკლებში ვასრულებდი ფაბრიციუსისა და კომისრის როლებს და მქონდა ბედნიერება, ზოგიერთ სცენაში შევხვედროდი იუსუფს. ის თავის პარტნიორს სცენაზე აიძულებდა ასულციო იმ არტიკულ სიმაღლეზე, რაზეც თვითონ იმყოფებოდა.

იუსუფის მიერ განხორციელებული ყველა როლი მეტყველებს მის დიდ სამემსრულებლო ოსტატობაზე; სწორედ ამან განაპირობა ის წარმატება, რაც იუსუფს წილად ხვდა „ოიდიპოსის მუფის“ განსახიერების დროს. იუსუფ კობალაძის მიერ განხორციელებული ოიდიპოს მეფე ქემპარტ შედევრად უნდა ჩაითვალოს.

სცენაზე მოღვაწეობის გარდა, მე კარგეული წლების მანძილზე ვმუშაობდი იუსუფთან ერთად თეატრის დირექტორად და სწორედ ამ პერიოდში უფრო ღრმად შევიცანი

იუსუფის, როგორც მსახიობის, უმრავლესი დაფრწმუნდი, რომ ის ამავე დროს საუკეთესო მოქალაქეცაა.

თეატრის კოლექტივის სურვილით ხელმძღვანელობამ საქ. სსრ სახალხო არტისტის არჩილ ჩხარტივილის ძველი დადგმის, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ აღდგენა გადაწყვიტა. აღდგენა დაევალა მთავარი როლის შემსრულებელ იუსუფ კობალაძეს. იუსუფმა ცოტა დაიმორცხვა, უარის თქმაც კი დააპირა, მაგრამ დავითთანხმებით და დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. უმოკლეს ვადაში წარმატებით გაართვა თავი დავალებას და დიდ აქტიორულ ნიჭთან ერთად რეჟისორული უნარაც გამოთავა. იუსუფ კობალაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან სპექტაკლში შეიყვანა ორი ახალი მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი: საქ. სსრ დამსახურებული არტიტი ლილი აფხაზავა—მუხეინარი, ბაზა—ჭაჭარის ასპრ და მსახურებული არტიტი იუსუფ ზოიძე. მათ როლებს წარმატებით გაართვეს თავი და ამით ახალი ფურცელი ჩასწერეს თავიანთ შემოქმედებით დღიურში. ეს უდავოდ იუსუფ კობალაძის, როგორც რეჟისორის, დიდ წარმატება იყო.

ასეთი ეპიზოდები ძალანა ხშირია იუსუფის შემოქმედებით ცხოვრებაში. იუსუფის მიერ განსახიერებული როლები: კავაღერი, რაჟოვსკი, ას-

ლანი, ქელემათი, პეტრე ბაგრატიონი, არსენა, ბაზა, ოიდიპოს მეფე და მრავალი სხვა, ნათეს ფენს მის მსახიობურ ტალანტს, ამ როლებს დღესაც სიყვარულით ივონებს ქართველი მაყურებელი.


იუსუფი კარგი მოქალაქე და შესანიშნავი ამხანაგია. ყოველთვის გამოირჩევა ამხანაგებისადმი თბილი, კეთილი დამოკიდებულებით. მინდა მოვიგონო იუსუფის ცხოვრების ერთი ეპიზოდი: იუსუფს თეატრის ხელმძღვანელობასთან უსიამოვნება მოუვიდა. ინციდენტი იმდენად გამწვავდა, რომ იუსუფი იძულებული გახდა თეატრი დაეტოვებინა, ჩვენ, მისმა ამხანაგებმა ვერ გამოვიჩინეთ საკამო პრინციპულობა და სადავო საკითხი შვიდობიანად ვერ მოვაწესრიგეთ. თუმცა ზემდგომი ორგანოების ჩარევით საქმე მალე მოწესრიგდა და ჩვენს სათაყვანებელი მსახიობიც ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ თეატრს.

ამხანაგები იუსუფს მისი გადამეტებული გულუბრყვილობისა და ზოგ შემთხვევაში ბუტიობის გამო სასიყვარულოდ დიდ ზავს ეგვიძლი და ამით გამოჟნატავდით ჩვენს სიყვარულს მისადმი.

1966 წლის დეკემბერს იუსუფს გადაუსადეს დაბადებიდან 60 წლის აღსანიშნავი იუბილე. ეს თარიღი გადაიქცა საერთო ზეიმიად. იუსუფს ჯერ კიდევ შესწევს ძალა ემსახუროს ქართულ თეატრს, მის საყვარელ მაყურებელს, რომელმაც ესოდენ დიდად დააფასა იუსუფის ამავე ქართულ თეატრის წინაშე. თბილისში, აჭარის ხელგონებისა და კულტურის დეკადის დროს, სსრ კავშირის სახალხო არტიტიმ ააკვი ხორავამ იუსუფს უთხრა: „მე ვნახე შენი ოიდიპოსი, გოლოცავ ამ დიდ გამარჯვებას, მე ბევრ რამეს ვისწავლი შენგან“.

შესანიშნავი მსახიობი იუსუფ კობალაძე ქართული სცენის სიამაყეა, რომელმაც პირველმა გაუღო სცენის კარი აჭარის მიერ წარგზავნილ ახალგაზრდობას სამსახიობო კვალიფიკაციის დასასუფლებლად.

ზ. ლლონაძე.



ვახტანგ

ჩალთისპირელი

ნუნუ მესხი

სამქტაკლის დაწყებას წუთები-
ლა აკლდა. სცენაზე გასვლის წინ
ლადო მესხიშვილი სამსახრობო ფო-
იეში გამოვიდა. სახელოვან მსა-
ხიობს ყველამ მორიდებით დაუთმო
გზა. მან კი ალერსიანი ღიმილით
კუთხეში მჯდარი პატარა ბიჭუნა
ხელში აიყვანა და თამაში დაუწყო.
ზარი მესამედ ჩამოერეკეს, ფოიე და-
ცარიელდა. სცენაზე გასვლის დრო
ახლოვდებოდა. ლადომ აღარ იცოდა
ვისთვის გადაეცა ბავშვი. უცებ ჯი-
ბიდან ოქროს საათი ამოიღო, ბავშვი
კუთხეში დასვა, ხელში საათი მის-
ცა და გავიდა. მაყურებელთა ტაშის
გრილმა ბიჭუნა შეაკრთო, მაგრამ
მაშინვე გამეფებულმა სიჩუმემ დაამ-
შვიდა და თამაში განაგრძო.

მოქმედება დამთავრდა, კულისებ-

ში კვლავ ტაშის გრილმა გამოაცოცა
დიდებული მსახიობი. იგი ჯერ კი-
დეც როლის ბურუსში იყო გახვეული,
რომ ბიჭუნას ცელქობა შეამჩნია და
გამოერეკა. ამ დროს ბავშვის დედაც
შემოვიდა. იგი ერთხანს შეწუხებული
შეჰყურებდა ლადოს ხელში ოქროს
ქეწკვზე ჩამოკიდებულ, ნამსხვრევ-
ბად ქეცულ ოქროს საათს.

თეატრი, ლადო მესხიშვილთან
პირველი შეხვედრა და ეს შემთხვევა
სამუდამოდ დარჩა მატარაქების
ოჯახის მოსაგონებლად.

პატარა ბიჭუნა ვახტანგ ჩელთის-
პირელი იყო.

ვახტანგის მამა — ვიქტორ მატა-
რაძე თავის დროისათვის საკმაოდ
ცნობილი მსახიობი იყო. ი. გრიშაშ-
ვილის ცნობით: „მას მთელი საქარ-

თველო მოვლილი ჰქონდა თავის პა-
ტარა დასით, მოგზაურობდა ჩვენს
დაბა-სოფლებში და ყველგან სიყვარულს
და სიხარულს იმსახურებდა.
ვახტანგის დედა — ნინო სოლომონის
ასული იმერლიშვილი სოფელ შილ-
დიდან იყო. ვინაიდან შილდას ჩა-
მოუღის მდინარე ჩელთა, ვახტანგ
მატარაძემ ჩელთისპირელი აირჩია
ფსევდონიმად. მალე მატარაძეების
ოჯახი თელავიდან თბილისში გად-
მოვიდა საცხოვრებლად.


დედ-მამის გათიშვის შემდეგ ვახ-
ტანგი თბილისში, მამიდასთან, რჩე-
ბა და იქვე დეზულობის პირველდაწყე-
ბით განათლებას. მამიდას ქმრის —
ბუკინისტ სოსიკო მერკვილიაძის ოჯახ-
ში იკრიბებოდნენ მწერლები, საზო-
გადო მოღვაწეები. მათგან პატარა

ვერცხლის ზარნიშით შემოისირმა, იგი საუკეთესო მამა და მეგობარია თავისი შვილების — ნუნუსი და გივის. ნუნუ მატარაძე თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ პასუხისმგებელი მდივანია, ხოლო გივი ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი.

ფოთში ყოფნის დროს ვახტანგ ჩელთისპირელი ვაჟთა გინმაზიაში განაგრძობს სწავლას. იმ დროს ფოთის ნავსადგურის მთავარ ბოცმანად მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის ძმა, ვლადიმერი, იგი მთელ თავისუფალ დროს მის მიერ დაარსებულ საბავშვო თეატრს ანდობებდა, რომელიც მალე გადაიქცა ფოთის ახალგაზრდობისათვის კულტურის კერად. თეატრით გატაცებული, ერთ დროს შორეული ნაოსნობის კაპიტანი, მოსწავლეთა ძალეებით დგამდა ზღაპრულ ფეერიულ სპექტაკლებს, რომლებსაც მუსიკალურად აფორმებდა ამჟამად მუსიკათმცოდნე პროფესორი პავლე ხუჭუა. გინმაზიაში სწავლასთან ერთად ვახტანგ ჩელთისპირელი რამდენიმე სეზონის განმავლობაში მუშაობდა ამ თეატრში. 1922 წელს კი იგი სამუშაოდ გადავიდა ფოთის რკინიგზის მუშათა კლუბთან არსებულ დრამატულ კოლექტივში, სადაც რეჟისორ-ხელმძღვანელად ქართული თეატრის ძველი მსახიობი ნიკოლოზ ჩაგუნავა ითვლებოდა.


1924 წელს ფოთში ჩამოყალიბდა მუდმივი პროფესიული დასი, რეჟისორად დინიშნა რესპუბლიკის სახალხო არტისტი იუზა ზარდალიშვილი. საბავშვო თეატრთან შედარებით, სადაც ყველაფერი გარეგნული ეფექტით ბრწყინავდა, იუზა ზარდალიშვილის თეატრი სერიოზული პროფესიული თეატრი იყო. საბავშვო თეატრში ვლადიმერ მარჯანიშვილი პატარა მსახიობებს უწვითარებდა ფანტაზიას, გემოვნებს, სილამაზისაკენ ლტოლვას. იუზა ზარდალიშვილი მსახიობებს ასწავლიდა სხვად ქცევის საიდუმლოებას.

ფოთის თეატრებში მუშაობამ შემდგომში დიდი როლი ითამაშა ვ. ჩელთისპირელის, როგორც მსახიობის,



„ხარტაანთ კერა“.
ზურია ხარტელი — ვ. ჩელთისპირელი.


„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.
ავეტიპა — ვ. ჩელთისპირელი.



ვახტანგი ისმენდა შინაარსიან საუბრებს.

ამ დროს ვახტანგის დედა ფოთში ცხოვრობდა, მამა კი საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა. 1918 წელს ვექტორ მატარაძე ფოთში ყოფნისას შემოსვლით შეხვდა ვახტანგის დედას. დედამ სთხოვა შვილი მასთან გაეზაგნა. ვახტანგს დედის სიყვარულმა დასძლია და მარტლდმართო გაემურა მშობლის სანახავად, კითხვა-კითხვით მიაგნო დედის სამსახურს, რომელიც მოლარედ მუშაობდა, მოულოდნელად თავი სალაროში შეჰყო და საყვარელ დედას ნაცნობი ღიმილი შეაგება.

ასეთი იყო ვახტანგ ჩელთისპირელის ბავშვობა. ახლა კი ხანდაზმულობის ასაკში, როცა მისი თმა



„ვაზის ტირილი“.
გოთა — ვ. ჩელთისპირელი.

ფორმირებაში, მან პირველად აქ შედგა ფეხი ქართულ სცენაზე და 40 წელი მის ტრფიალში გაატარა. შემდეგ ჩელთისპირელი მცირე ხნით მუშაობს თბილისის წითელი არმიის ქართულ თეატრში, (კინორეჟისორ მანაგაძესთან ერთად) აგრეთვე სიღნაღის, ველისციხისა და ჭიათურის თეატრებში.

ვახტანგ ჩელთისპირელი 1933 წელს თელავის სახელმწიფო თეატრში მოვიდა და თან მოიტანა თეატრალური ხელოვნებისადმი უანგარო სიყვარული, მსახიობმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება თავისი ხავერდოვანი ხმით, ლამაზი ტემბრით, მკაფიო დიქციითა და სცენური კულტურით. მსყურებელთა სიყვარულმა, გამოცდილმა რეჟისორებმა და მაღალკვალიფიციურმა კოლექტივმა გამოზარდა და გამოაწოთო ვ. ჩელთისპირელი, როგორც სცენის ოსტატი. მაგრამ ვერაჟინ შესილებს ადამიანისაგან კარგი მსახიობის შექმნას, თუ თვით მსახიობში არ იქნება ბუნებით მომადლებული ნიჭი.

1937-1968 წლებში ვ. ჩელთისპირელი შეთავსებით მუშაობდა თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-სარეხი ფაბრიკის მუშათა კლუბთან არსებულ თვითმოქმედი დრამატული კო-

ლექტივის ხელმძღვანელ რეჟისორად. მან გამოაცოცხლა მუშათა კლუბი, დრამწერეში აქტიურად ჩაებნენ ახალგაზრდები. მზრუნველი რეჟისორის მუყაითი შრომის შედეგად დამწყვეტი თვითმოქმედი კოლექტივი ავიდა პროფესიული თეატრის დონემდე. მუშათა კლუბის აფიშებში ცხადებოდა ისეთი სპექტაკლები, როგორც არის ლაგერენიის „რღვევა“, გუნიას „და-ძმა“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და სხვა. ვ. ჩელთისპირელი იყო არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ აღმზრდელი. მის მიერ აღზრდილმა მსახიობებმა მსყურებელში მოიპოვეს პოპულარობა და სიყვარული. ვ. ჩელთისპირელი თვითონვე იყო დეკორატორი, მხატვარი, მკერავი, განმანათლებელი, გრემიორი და მოკარსანე. მრავალი შემოქმედებით გამოარჯვება უზემიბა დრამატულ კოლექტივს. ადგილობრივი თუ რესპუბლიკური პრესა ქების რეცენზიებს უძღვნიდა მათ სპექტაკლებს.

1963 წლის 29 აპრილს ზემოთ აღინიშნა თელავის ძაფსახვევ-სარეხი ფაბრიკის კლუბთან არსებული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის არსებობის 25 წლისთავი. იუ-

ბილემ მრავალი მილოცვა მიიღო დრამწერეს ულოცავდა თეატრალურ საზოგადოება, ხალხური შემოქმედების სახლი, აგრეთვე ჩვენი ცნობილ მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარაიძე და სხვები.

ამ დრამატულმა კოლექტივმა მრავალ წარმატებას მიაღწია — საკავშირო, რესპუბლიკურ, თუ ადგილობრივ დათვლიერებაზე მოიპოვა საპატიო ადგილები. დიდი ოქტომბრის 51 წლისთავისადმი მიძღვნილ დათვლიერებაში იგი გახდა ფესტივალის ლაურეატი. ფაბრიკის დრამატულ კოლექტივი სამართლიანად ამასობისთვის შემოქმედებითი ისტორიით მუშათა სცენაზე განხორციელებულმა 100-ზე მეტმა დადგამმა რაინის მშრომელთა საყვლელთათ მოწონება დაიმსახურა.

სამამულო ომის პერიოდში, — ივონებს დრამწერის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, ამჟამად პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ამირან გულაშვილი, — სოფელ ივალთოში ჯავახიშვილის „ნორჩი გმირი“ იდგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბილეთი წინასწარ იყო გაყიდული, სპექტაკლი 10 საათზე დაიწყო, ვე-

ლოდებოდიტ გლეხების სამუშაოდან დაბრუნებას.

სამივე მიქმედება მაყურებელთა შემახილებითა და ოვაციებით ჩატარდა. სცენაზე გერმანელი ფაშისტების გამოჩენას მაყურებელი ისეთი მელდარებით ხვდებოდა, რომ შიში გვიპყრობდა — ავირთებული ხალხი სცენაზე არ ამოსულიყო. უკანასკნელი მიქმედება ძალზე დაძაბა, ნორჩმა გმირმა სიცოცხლე გასწირა, ფაშისტებით სავსე ოთახი ააფეთქა. გამხეცვულმა მტრებმა მოკლეს გმირის დედა, ამ სცენაზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგა, ყველა წყველას უთვლიდა გერმანელებს.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი დარბაზს არ ტოვებდა. კლუბის კარებთან კი დარჩენილი ხალხი ბოზოქრობდა. კულისებში შემოვიდნენ კოლმურწუნობისა და საბჭოს თავმჯდომარეები. მათ ხალხის სახელით სპექტაკლის გამეორება ითხოვეს. ვ. ჩელთისპირელი ამაოდ არწმუნებდა, რომ სპექტაკლის გამეორება შეუძლებელი იყო, მაგრამ მათმა დაჟინებულმა მოთხოვნამ გასტარა. სპექტაკლი განმეორდა. ღამის პირველ საათზე სასწრაფოდ გაიყიდა ბილეთები

და მეორე სპექტაკლი უფრო მეტი აფიოტაჟით ჩატარდა.

დაქანებული მსახიობები სახლში ღამის 4 საათზე დაბრუნდნენ, დილის 5 საათზე კი ყველა დაზგასთან იდგა და არც ერთს არ გამოუთქვამს დადღობით გამოწვეული უკმაყოფილება. ვ. ჩელთისპირელმა დილითვე მიაკითხა თავის მსახიობებს, მზრუნველობით ჩამოუარა ყველას და მშობლიური გრძობით შუბლზე აკოცა.

ფაბრიკის ხელმძღვანელობა, მუშა-მოსამსახურენი და დრამატული კოლექტივის წევრები დიდად აფასებდნენ ვ. ჩელთისპირელის თავადებულ შრომას, მის დამსახურებას მუშათა თეატრის კოლექტივის შექმნასა და დავაყვავებაში.

რემბრანდტმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოძებნა თავისი აღრინდელი შედევრები, მტვერი გადაწყვინდა და თქვა — ამ ქვეყნად ტყუილად არ მიცხოვრიაო.

მხატვარს, კომპოზიტორს, მწერალს, მოქანდაკეს, საშუალება აქვთ მომავალ თაობას დაუტოვონ თავიანთი ნაწარმოებების ორიგინალები. მსახიობები ჯერჯერობით ამას მო-

კლებული არიან. მხოლოდ თეატრის მატანე არის გარდასული დიდების უტყუარი საბუთი, მხოლოდ კალამს, ისიც არასრულყოფილად, ძალუძს აღწეროს თეატრის ისტორია.

ამ მხრივ თელავის სახელმწიფო თეატრი ბედნიერია, ვ. ჩელთისპირელი სისტემატიურად აწარმოებს თეატრის მუშეუმიის საქმეს, არაერთხელ მოგუყვანივართ ალტაცებამი მის მიერ მოწყობილ გამოფენებს, ასობით ჟურნალში სათუთად აკინძულ დოკუმენტურ მასალას.

თელაველი მაყურებელი დიდი თეატრალური ტრადიციის მქონეა. პირველი ქართული პროფესიული თეატრი თელავში ერეკლე მეფის სამეფო კარზე შეიქმნა. როგორც ცნობილია, ამ თეატრს ჰყოლია მუდმივი დასი თავისი მუსიკოსებით. ერეკლე მეფის თეატრში იდგებოდა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური პიესები. ამ თეატრმა ხელი შეუწყო ქართული დრამატურგიის აღორძინებას.

ასეთი უძველესი თეატრალური ისტორიის მქონე კახეთმა ქართულ თეატრს გამოჩენილი სცენის ოსტატები შესცინა. კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ამბეტელის, ვანო სარაჯიშვი-

„შელა და ყურბანი“.
ეზობე — ვ. ჩელთისპირელი.



ლის, სანდრო ინაშვილის, ვასო გოძიაშვილის, ვახტანგ ტაბლაშვილის, მჭედლოშვილის, მიხეილ ყვარულაშვილის, მერი ნაკაშიძის მშობლიური კახეთი სწორედ ისეთ მსახიობს უნდა დაწერდნენ, რაგორც ვახტანგ ჩელთისპირელია.

ვახტანგ ჩელთისპირელის ხელოვნებას, ცრემლთან და სისარულთან ერთად, მისი ალალი გულიდან გადმონადენი სისხლიც ურევია. ამიტომ აესილა დღეს თეატრის დარბაზი, ამიტომ გუგუნებს თანახანი კახური მრავალკამიერი, ამიტომ მოსულან მისალოცად საქართველოს ყოველი მხრიდან.

თელავში თეატრალური ხელოვნების განვითარებას მეტწილად შენობის უქონლობა აფერხებდა. ძველმა თეატრალურმა და საზოგადო მოღვაწემ — მიხეილ ხერხეულიძემ, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხელმძღვანელობდა თეატრალურ საქმიანობას თელავში, ხელი შეუწყო მუდმივად დასის არსებობასა და წარმოდგენების მატკეპტურად გამართვას. 1925 წლის 28 ივნისს თელავში სახეივოდ გაიხსნა თეატრის შენობა, ამ დღეს თბილისიდან მოიწვიეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთელი კოლექტივი. ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კონსტანტინე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მათ წარმოადგინეს ესპანელი დრამატურგის ლოპე-დე-ვეგასის „ცხვრის წყარო“.

თეატრის გახსნის შემდეგ ადგილობრივ თეატრალურ კოლექტივს სათავეში ჩაუდგა მიხეილ ხერხეულიძე, რომელმაც 1925 წელს გახსნა პირველი სეზონი. ეს თეატრი განვითარდა და სულ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრის მოკლების უფლება მიიღო. ვ. ჩელთისპირელი ამ თეატრში 1933 წელს მივიდა. ამ დროისათვის იგი უკვე ჩამოყალიბებული და დასრულებული მსახიობი იყო.

დღესაც ასსოვს მკაფიურებს ვ. ჩელთისპირელის პირველი სპექტაკ-

ლი — კარლო კალაძის „ხატიჯე“, რომელშიაც სწრაფი ზაქარიაძის, ბუხუტი ზაქარიაძისა და მერი ქორელის გვერდით ვ. ჩელთისპირელი ჯგერის როლს ასრულებდა. შემდეგ სპექტაკლებში ვ. ჩელთისპირელი სწრაფი ზაქარიაძის დუბლიორი იყო და ანსახეიერება გულბათის როლს. „ეს იყო ბრწყინვალე ანსამბლური სპექტაკლი, — იკონებს პატივცემული მიხეილ ზურაბიშვილი, — სადაც ყველა მსახიობი ერთნაირი სიძლიერით განასახეიერებდა ლალი არწივივით დაუდგროველ ქართველ მითელთა ბობოქარ ბუნებას“.

ვ. ჩელთისპირელის გმირები იმითმ გვიზილავენ და გვატყვევებენ, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი, ცხოვრებისეული დამიანები არიან, ვ. ჩელთისპირელი ამათუ იმ გმირის ხასიათის გამოსაცნობად არ ცდილობს გარკვეული ეფექტებით იმეოხატოს მისი ბუნება, იგი ღრმად იხილვდა გმირის სულში, მისი ცხოვრებით იმსჭვალვდა და მთელი განცდით ახერხებს სხვად ქცევას. სცენური სიმართლე, გულწრფელობა — აი, რა არის მსახიობის ძირითადი თვისება.

ვ. ჩელთისპირელი დიდი დიაპაზონის მსახიობია, საკმარისია გადავხედოთ მისი როლების არასრულ რაობა, რომელიც 20-ზე მეტს ითვლის, სადა მდებარეობს მისი გმირების ხასიათების მრავალფეროვნებაში. ბრძენი, მაგრამ მახინჯი ეზოპე და რევოლუციონერი გოდუნი „რდევნი-დადნი“, ყაფიანი „ნაცარქეპიაში“ და დღეიანი „უდანაშაულოდ დამამავენში“, დესანტისი „ურიელ აკოსტაში“ და საკაენი „საკაენის იონებში“ სრულიად განსხვავებული ხასიათებია. მისი გმირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ასაკით, ხასიათით, გარეგნობით, ეპოქითა და მდგომარეობით, მიუხედავად ასეთი საპირისპირო ტიპაჟისა, მსახიობს თავი ერთი ხასიათის არ დაუკლია თავისი ნიჭი და უნარი, რათა თითოეული მათგანი არ ყოფილიყო ერ-

თიმოროს ან ამ როლის შემოქმედი მსახიობის მსგავსი.

გაკვიდა 60 წელი, აქედან 40 მსახიობმა თეატრის ქერქვეშ გაატარა. ვ. ჩელთისპირელი თეატრში მხოლოდ მსახიობი არ იყო. სამამულო ომის პერიოდში (1943-1946 წწ.) იგი თეატრის დირექტორად და მორიგ რეჟისორად მუშაობდა. მის გუგუნის მივლი რიგი დადგმები: ერისთავის „სამშობლო“, შალვას „ვერაგობა და სიყვარული“, ცაგარლის „ხანუმა“, ნახიძის „მაკარი ქალიწილები“, ბუხუტიშვილის „აჩაქუნი“ და სხვ.

ვ. ჩელთისპირელი, როგორც რეჟისორი, საინტერესო და საყურადღებოა, მისი დადგმების რეჟისორული ინტერპრეტაცია ორიგინალურია. ნაწარმოების იდეის გამოსაკვეთად იგი ნათელ მიზანსცენებს მიმართავს. მისი დადგმები გამორჩევა კარგი გემოვნებით...

მაგვი დაფასდა, ხალხმა შეიყვარა და აღიარა თავისი კუთხის პირში, დარბაზიერი და ნიჭიერი ხელოვანი. იგი წლების მანძილზე არჩეული იყო თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოვდა მედლით დიდ სამამულო ომში მამულის შრომისათვის, 1950 წელს კი ქართული თეატრის განახლების 100 წლისათვან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი სიგელით დააჯილდოვა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით — მას მიენიჭა ჯერ რესპუბლიკის დამსახურებული, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდებანი. მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ყუვარდ ხალხს, დამსახური მისი პატივისცემა და აღიარება.

მან 40 წელი ქართულ სცენაზე პატიონსად განვლო, დღეს თავის სასელოვან ოუბილევუ ერთიორად იმკის თავის ნაღვაწს, როგორც ღვაწლისილი მსახიობი, რეჟისორი, თეატრის მემკვიდრე და საზოგადოებრივი საქმის მსევეური და სამეკაჟი ადამიანი.



კობა გურული თავის სახელოსნოში.

კობა გურული

ლიდა ზლატკევიჩი

ლიტონზე ჭედვის უძველესი ხელოვნება! მან სახელი გა-
უთქვა საქართველოს უხსოვარი დროიდანვე. ახლა კი ამ
ხელოვნებამ ახალი სიცოცხლე შეიძინა ოსტატთა მთელი
პლედის ბრწყინვალე შემოქმედების სახით.

თანამედროვე ჭედურობაზე დღეს ბევრს წერენ და ლა-
პარაკობენ, ძალზე საინტერესო და მართებულ შეხედულე-
ბებს გამოთქვამენ. მაგრამ სტატიათა უმრავლესობის ავტო-
რები ჯერ მის „პატრიარქს“ ირაკლი ოჩიაურს მოიხსენიე-
ბენ ხოლმე, მერე ჯგუფს ექვსი-რვა სახელიდან და გადადი-
ან ლითონზე პლასტიკაში მიმდინარე საერთო პროცესების

დახასიათებაზე. თითქმის არ გვხვდება ჭედურობის ცალკე-
ული ოსტატებისადმი მიძღვნილი სტატიები. ეს მხატვრები
კი, საერთო აღიარებით, ძალზე ნიჭიერნი, ნათელი ინდივი-
დუალობის, საკუთარი ხელწერის მქონენი არიან. და თუმცა
ქართული ჭედურობის აღორძინების დასაწყისი სულ ახლო
წარსულს მიეკუთვნება, უკვე მომწიფდა საკითხი თითოეუ-
ლი ამ ოსტატის შემოქმედების ანალიზისა.

ამჟერად კობა გურულს შევვებით. ძალზე საინტერესო,
მკაფიო, თავისებური მხატვარია იგი. კობას შემოქმედება
აზრთა და სახეთა მუდმივი ცვალებადობა, მუდმივი ძიება,

რომელსაც სხვადასხვა გზებზე გადაჰყავს მხატვარი. ამიტომაც არის მისი დიაპაზონი ასე ფართო. ყოველივეში, რასაც ქმნის, იგი აქვსთ მისთვის ნიშანდობლივ მძლავრ ძალასა და ღრმა აზრს.

კობა გურული 1930 წელს დაიბადა ზესტაფონის მახლობელ სოფელ საქარაში. თორმეტი წლის ბიჭუნა იმერული თიხიდან ძერწავს ნაცნობ ადამიანების სახეებს, მწერალთა პორტრეტებს, ცხოველთა ფიგურებს. მეცხრე კლასის მოსწავლე იყო, როცა მისმა ნამუშევრებმა ყურადღება მიიქცია ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზე თბილისში.

1951 წელს კობა თბილისის სამხატვრო აკადემიაში შედის ქანდაკების ფაკულტეტზე. სწავლობს ჯერ შოთა მიქაძის, ხოლო შემდეგ კოტე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, უახლოვდება ნიჭიერ, საკუთარი გზის მაძიებელ ასპეგაზრდებს — ელგუჯა ამაშუკელს, მერაბ ბერძენიშვილს, გიგი ოჩიაურს...

აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს იწყება კობა გურულის დამოუკიდებელი შემოქმედებითი გზა, გზა აღსაყვამე შეუყვანებელი შრომითა და ძიებით, აზრთა და ფიქრთა ჭიდილით, მიკვლეულის სიხარულითა და მიუღწევველი გულისტკივილით.

კობა გურული უჩვეულოდ მრავალმხრივია. იგი წინააღმდეგობრივც კი ჩანს, მუდამ იბრძვის, ამავე დროს დიდი მხატვრული კულტურის შემოქმედია, ღრმად იცნობს მსოფლიოს ხელოვნებას და, პირველ ყოვლისა, ქართველად რჩება, მშობლიურია მისთვის ყოვლანაშ მახლობელი. ამიტომაც არის ღრმად ეროვნული მისი ნახატები, რომელშიც ქართველ ოსტატთა ტრადიციებმა გაცოცხლებული. კობას ყოველი ქმნილება აღბეჭდილია ავტორის მძლავრი ტალანტით, მისი ნამუშევარი შეგიძლია შეიცირო გროფის გარეშეც, თითოეული ჭედური ფურცლის კუთხეში რომ სვამს ხოლოდ მხატვარი.

კობას შემოქმედების პირველი პერიოდი — ლითონის შესაძლებლობათა ძიებაა. აკადემიაში ჭედვის ტექნიკას არასწავლიდნენ და მოქანდაკეები თვით ეუფლებოდნენ მას, ეცნობოდნენ უძველეს ჭედურ ნაწარმოებებს. ჭედურღრმის ალორძინების გზაზე ახალ შინაარსთან ერთად ისინი ქმნიდნენ არა მარტო ახალ ფორმებს, არამედ ახალ ტექნიკასაც. ამ გზით მიდიდა კობა გურულიც. მისი პირველი ნამუშევრები მცირე ზომისაა, მშვიდი, ტალღოვანი ხაზებითა და თემის გრაფიკული გადაწყვეტით გამოირჩევა. შემოქმედი თავის ძალეებს ცდის ქალთა სამკაულებშიც. სულ მალე კი ასრულებს საშუალო სიდიდის პანოებსაც ინტერიერთათვის. თანდათან ეუფლება ნაირგვარ ჭედურ მასალას: სპილენძს, ოქროსს, რკინის, ცდის მათზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდს — ჭედვას, გამოწვას, შეწამლვას. ლითონი თანდათან ემორჩილება ოსტატს და ამტკიცებს თავის უმდიდრეს შესაძლებლობებს. კ. გურულს უკვე აღარ აკმაყოფილებს თემის გრაფიკული გადაწყვეტა, მასში მოქანდაკის სულისკვეთება ილღიძებს. ლითონს ხომ მშვენივრად შეუძლია გადმოსცეს მოცულობა. იწყება მოცულობითობის, სკულპტურულ გადაწყვეტათა ძიება ლითონზე პლასტიკაში. გურულის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს რომ უქვითოს, ზოგჯერ ლი-

თონის ფონს ვერც კი ხედავ — თითქოს თქვენს წინაშე სამაგწომილებიანი ქანდაკებააო.

ჭედური ფორფიტის გადაცეცვამ დაზგური ხელოვნების ნაწარმოებად ფართო შესაძლებლობები გადაშალა მხატვრის წინაშე. როგორ გამოიყენა იგი გურულმა? რთული იყო ჭედური პანოსათვის დეკორატიული დანიშნულების ჩამოტელება. ძალზე დიდია ლითონზე პლასტიკაში დეკორატიულობის ტენდენცია და მოქანდაკეც გაიარა ეს ეტაპი როცა ქმნიდა პანოებს მატისის პრინციპებზე, მაგრამ ამ ადრინდელ პანოებზე ჭედური ისრავების აზრის სასიხარუასკენ, სამყაროს საკუთარი აღქმის გადატანისაკენ ლითონში. ასე შემოდის მის შემოქმედებაში ქალის თემა. ქალთა სახეებში მოქანდაკე ხსნის სამყაროს მშენიერებას, ღამაზს საყვინის ცხოვრებაში. ჩნდება თემები: ქალი და ზღვა, ქალი და მზე. ეს უკანასკნელი ესმინება ძველქართულ მითოლოგიას, მზექალას კულტს, როცა მზეს ქალის სახით გამოსახავდნენ. ეს ადრინდელი პანოები ძალზე ლირიკული, პლასტიკურად ნარნარი, პარბოზიული და მშვიდია. მათში ჩაქსოვილი ფილოსოფიური აზრია — ბუნებისა და ადამიანის პარმონია, სამყაროს მშენიერება. ამასთან ერთად მხატვარი ისწრაფვის მოძრაობის გადმოცემისაკენაც. პანოში „მოგონება ბაკურიანზე“ (მოსულები უბოლოდ ალუმინი) მოთხილამურე ქალის მსრბოლი ფიგურაა გამოსატკული. მოძრაობა გადმოცემულია ტალღოვანი, მშვიდი და რიტმული ხაზებით. „ზაფხული მოცინებაში“ გამოსატკულია ზღვის სანაპიროზე ბურთით მოთამაშე ქალები.

გურულის ნახტავებში ასახავს აპოვებს ფოლკლორულ მოტივებს. „შვიდ გურჯაანელში“ (თითბერი) კომპოზიციის პირიპირტული გადაწყვეტა მთელ სკენას დინჯ მინაგან მოძრაობასა და რიტმულობას ანიჭებს.

ყველა ეს ნამუშევარი ზუსტი, მკაფიო ნახატითა და დეტალების ფაქიზი დამუშავებით გამოირჩევა. გურული შესაინაშავდა ფლობს ნახატს. იგი ხშირად ისე იწყებს ლითონზე მუშაობას, რომ წინასწარ არც აკეთებს ნახატს ქალაღლებ.

მოქანდაკის ადრინდელ ნაწარმოებებში, ფილოსოფიურ გააზრებასთან ერთად, იგრძობა დეკორატიული საყვინის მხატვარი მალე ამბობს უარს ოთხის მოხარავე დეკორატიულ პანოებზე. მის წინაშე დგება მრავალი ასალი პრობლემა, რომელსაც იგი შემდგომ ნამუშევრებში სწევტა. ვიწრო კამრული სამყარო აღარ ათამაყოფილებს შთაგონებულ ტემპერამენტულ მხატვარს. გურული ისწრაფვის დიდი ფორმებისაკენ, მთელი სმით მეტყველებსისაკენ. ამოცანები, რომელთაც იგი აქამდე წყვეტდა, მცირე ხდება მისი ძალის შესაძლებლობისათვის. თანამყოფივე ეპოქა მულეჯერ საზოგადოებრივი მოვლენებით მის ხელოვნებასაც უფრო მნიშვნელოვანი მხატვრული პრობლემებისაკენ მიმართავს.

სწორედ ამ ეტაპზე თანამედროვე ქართული ჭედურობა ხახუნე ხასიათს, სოციალურ მნიშვნელობას იძებს. გურულის შემოქმედებაც ამ ხანისათვის ყალიბდება, იკვეთება მისი ინდივიდუალური ხელწერა, ოსტატობის თავისებურებანი.

1963 წლის მიყვანება კ. გურულის პირველი მონუ-

მენტური ჭედურობა, რომელიც რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „პოეზიის საღამოსათვის“ შესარულა. სცენის უკან ფარდის წინ (ავტორი ბ. ბერძენიშვილი) ჯაჭვებზე იყო ჩამოშვებული დიდი ჭედური ფირფიტა, რომელიც პოეტსა და მუხას გამოხატავდა. ფირფიტა მძლავრად იყო განათებული და მაყურებელს იზიდავდა. მასზე იკითხებოდა აზრი ხელოვნების მარადიულობის შესახებ, ხალხის ცხოვრებაში მისი უდიდესი როლის შესახებ. ამ ჭედურობაში გამოვლინდა დიდი ენემტივი, რომელიც კობა გურულის შემოქმედების სახეს განასრულებს: ბრწყინვალე ფორმა, ზუსტი ნახატი, ნათელი ეროვნულობა და ღრმა ფილოსოფიური აზრი.

ამ ხანიდან უაღრესად ნაყოფიერია კობა გურულის შემოქმედება, რომელიც ორი მიმართულებით — მონუმენტური და დაზგური ჭედურობის სახით ვითარდება. ოსტატი უკვე სრულყოფილად ფლობს ლითონს, მისთვის აღარ არსებობს სინფიქსები. ერთადერთი პრობლემა, რომელზედაც იგი ბევრს მუშაობს, არის ფერის გადმოცემის პრობლემა. მოგანდაკემ მას მიუძღვნა ბოლო წლების მრავალი ნამუშევარი და წარმატებითაც გადაჭრა.

გურულის მეორე დიდი მონუმენტური ნაწარმოებია თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ფოიეს გაფორმება (1965 წ.). თეატრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ფოიე სრულიად ახლებურად უნდა გადაწყვეტილიყო. შემსახველის მოპირდაპირე კედელს განკუთვნილი იყო კომპოზიციისათვის, რომლის თემასა და მასალას ეროვნული ხასიათი უნდა გადმოეცა, ამ მხრივაც ეწევენინა თეატრის სახეს.

პანოს სიუჟეტად მოქანდაკემ „ავთანდილის სიმღერა“ შეარჩია „ვეფხისტყაოსნიდან“. ვფიქრობთ, ამაზე შესაფერის სიუჟეტს იგი ვერც მიაკლდედა. ჯერ ერთი, იგი ძალზე უხდება ამ პანოსათვის განკუთვნილ ადგილს, ამავე დროს, ხაზს უსვამს თეატრის ეროვნულ ხასიათს და ხელოვნების როლს, თვით ხელოვნებათა იმ სინთეზსაც კი, როგორცაც მუსიკალური კომედია წარმოადგენს.

ამ პანოს განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას ხელი შეუწყო ფოიეს გაფორმებამაც მთლიანად. შიფერისაგან გაკეთებული ჭერი, ვარსკვლავებით მოციმციმე ნათურებით, ღამის ილუზიის ქმნის და ამ ცის ქვეშ ცხუნვე ახსენებელი ჭაბუკი თავისებურად რეალურ, ცოცხალ შთამბეჭდილებას ტოვებს. მოქანდაკემ შეძლო ლითონში გადმოეცა გაქვნილების ცხენის მჩქეფარე დინამიკაც, ღრმა ლირიზმიც და ხელოვნების ძალაც, რომელიც ცხოველებსაც კი იმორჩილებს.

პანოს კომპოზიციის მკაცრადაა გაწონასწორებული ყველა ნაწილში. მხედრის ზემოთ, მარჯვნივ, ტოტუსე ბულბული ზის — ეს ლირიკული საწყისია. ქვემოთ ფრინველთა მეფე — არწივი ძალას, ძლიერებას განასახიერებს. მარცხნივ — ძუ ვეფხვია თავისი ლეკვებით, მათ თავზე კი მზე ბრწყინავს — სამყაროს სიცოცხლის შთამბეჭერა. ყველა და ყოველივე ავთანდილის ნაღვლიან სიმღერას უსმენს.

პანოს მონუმენტური ძეგრალობა ახასიათებს, იგი უკვე ფოიეში შესულიდანვე იქცევა ყურადღებას და ამავე დროს არაჩვეულებრივად ზუსტად და ფაქიზად არის დეტალებში

დამუშავებული. გასაოცრადაა გადმოცემული მოძრაობა და ცალკეული ფრაგმენტები — მედალონი თიანეთის გამოსახულებით ავთანდილის მკერდზე, ორნამენტებით მორთული ცხენის უნაბიერი, რომელზეც თითქოს ძვირფასი ქვები ბრწყინავს. რუსთაველის ეპოქის სული იგრძნობა მთელ ამ სცენაში, ჩვენმა თანამედროვე მხატვარმა რომ ლითონში განასხვეულა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პანოს ნაწილების ოსტატური კომბინაცია. იგი რამდენიმე ფერსილასთან შედგება, მაგრამ მთავარიცაა ღრმა გააზრების წყალობით ისე კარგადაა ერთმანეთთან შერწყმული, რომ ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ნამუშევარში მკაფიოდ გამოვლინდა მხატვრის შესანიშნავი ოსტატობა, პანო თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი — იმდენად დაძლეულია ლითონზე ჭედვის უძნელესი ტექნიკა და კომპოზიციის სირთულე.

ფოიეს გარდა კ. გურულმა მუსიკომედიის კაფეე შეამკო. ეს არის ფორნი, რომელიც სულ სხვა პრინციპითაა გადაწყვეტილი. თქმა ისევე ხელოვნებაა, მაგრამ კომპოზიციის სხვაგვარია. თუ პანოში ყველა ნაწილს ერთ ცენტრალურ თემას ექვემდებარება, ფორნიში სახვია ფერფლები თითქოს, რომელიც თვითთული საკუთარ თემას ასხამს ხორცს. კომპოზიციის ძალზე შეესატყვისება ფორნის სპეციფიკას. ჭაბუკები დღოთი, ჩანგზე დამკვრელი ქალები, მსახიობები ნიღბებით და ფიგურათა შორის ინტერვალში ყურნის მტვნიანი — ყოველივე ეს განასახიერებს ხელოვნების და შრომის ურთიერთკავშირს, ცხოვრების უსასრულო ცვალებადობას.

შოთა რუსთაველის რვაჯი წლის საიუბილეოდ კ. გურულმა გააფორმა ივალთის შესახველი ჭეჭერფოლაზე წყაროსთან ჩამომდარი რუსთაველია გამოსატული. თავისი პოემით ხელში, იგი თითქოს ესალმებათ შემომსვლელთ. ძნელა ჩამოთვლავ კი ყველა მონუმენტური ნამუშევარისა, რომელიც კ. გურულს ბოლო წლებში შეუქმნა მტვნიანი ირაკლი ოჩიაურთან ერთად მან გააფორმა სადგურსტაციო მსოფლიო დილოში და ს.ქართველის პავილიონი იზმირის მსოფლიო გამოფენაზე (1967 წ.).


უნდა შეგვიხსენოთ თბილისადა „შოთა რუსთაველის“ ინტერიერის გაფორმებამაც, რომელიც ოჩიაურმა და გურულმა ერთად შეასრულეს. აღსანიშნავია თვით გაფორმებისათვის შერჩეული პრინციპი — გურულის კომპოზიციისათვის რომ არის ნიშანდობლივი. ეს არის ისტორიზმის პრინციპი. გაფორმება იწყება მითოლოგიური სიუჟეტების ციკლით, რომელშიც დარბაზის — „არგონავტები“ ჭედურ ნამუშევრებს ედგობ საფუძვლად. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ეგვიპტისაღანი კომპოზიციის „მედვას მოტყევა“. იგი რამდენიმე ფრაგმენტისაგან შედგება და საოცრად დინამიკურია. ნახატის სისუსტე და სიმეცხვე, მხატვრული ჩანაფიქრის უნაკლო ხორცმესხმა, ხაზების რაღაც არაჩვეულებრივი სისუსტე და სიღამაზე აჯადოებს მნახველს.


რუსთაველის თემა, რომელიც მუდამ იზიდავდა და ადლებდა გურულს, არ შეიძლება არ გამოხატულიყო თბილისად „შოთა რუსთაველის“ გაფორმებებში. მხატვარმა რამდენიმე კომპოზიციის შექმნა. ფილოსოფიური ძეგრალობითა



კ. გურული.
სტუმართმოყვარე მასპინძელი.

შედგას მოთაყვება. გემ „შოთა რუსთაველის“ გაფორმების ფრაგმენტი.





ჩურჩხელების დამზადება.



შენ ხარ ვენახი.

და ორიგინალური გადაწყვეტიტი ძალზე საინტერესოა „რუსთაველი და ვეფხვი“. კომპოზიცია აგებულია სპირალთა რთულ და უჩვეულო გადახლართვაზე, რომელსაც ქმნის პლასტიკურ მოცულობათა, ფორმათა და ხაზების ერთმანეთთან კომპოზიციური ურთიერთკავშირი.

რუსთაველის გამოსახულება აქ ეხმარება პოემის ერთ-ერთ ეპიზოდს — ტარიელის შებნის ვეფხვთან. მხატვარი აქ უღარ ამბობს პიეტის ტრადიციულ გამოსახვაზე და რაინდულ საწყისს უსვამს ხაზს. იმ რაინდულ საწყისს, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი ეთმობა მის პოემაში. რუსთაველს საბრძოლო სამოსი აცვია, სახე ბრძენისა აქვს, ვეფხვი კი მის აზრთა გაქანების სიმბოლოდ გვესახება.

სრულად სხვა ინტერპრეტაცია აქვს პიეტის სახეს ოთხ ენაზე გამოსული „ვეფხვისტყაოსნის“ ლითონის გარეკანზე. აქ რუსთაველი ბრძენი მიხეცია, ცხოვრების მიერ დიდდასმული. მისი სახე დიდად შთაბეჭედავი და პორტრეტულად გამომსახველია. ფორმის სრულყოფილება, პიტლებების უფაქიხესი დამუშავება გამოარჩევს ამ ქმნილებას, რომელიც ნათლად მოწმობს, რომ პორტრეტის ჟანრი, ჭედურობის სპეციფიკის მიუხედავად, ამ დარგშიც ძლეულია.

რუსთაველის თემა აღედრდა მუსიკალური სალონის გაფორმებაშიც, რომლისთვისაც გურულმა შესარულა კომპოზიცია „მომღერალი თინათინი“. მჯდომარე ქალის ფიგურა მაღალი რელიეფითაა დამუშავებული და მოცულობათა სისავსის სრულ შთაბეჭდილებას ქვია. რამდენიმე ჭედური ნამუშევრით მორთო მოქანდაკემ აგრეთვე „ფორმობანის დარბაზი“.

კ. გურულის ახალი შემოქმედებითი ძიებები გამოვლინდა თობოპალ „აჭარას“ გაფორმებაში, რომლის იდეური ჩანაფიქრია სიციხის, შრომის ხალისი, სიკეთე და სიყვარული. უკვე თობოპალის შესასვლელიმ მგზავრებს ეგებება ჭედური ფილა, რომელზეც გამოხატულია თასი, ტოლჩა და მზე — სტუმართმოყვარეობის, სასიამოვნო დასვენების სიმბოლო. შესატყვისად არის გაფორმებული მუსიკალური სალონი, ვესტიბული მოსამსახურე პერსონალისათვის, რესტორანი.

ამ პანოებში სრულიად ახალი მხატვრული ხერხები გამოყენებული. მხატვარი ისწრაფვის ლითონში აჩვენოს ადამიანის ყოვლისმძლე ძალა, შრომითი შემაერთება. ბარელიეფი ხან დაბალია, ხან პორელიეფს უახლოვდება, ზოგჯერ მრგვალ ქანდაკებაშიც გადადის. იმისათვის, რომ სიღრმის შთაბეჭდილება შექმნას, გურული შეფერავს კიდევ რელიეფს. იგი ქმნის უკიდურესად განზოგადებულ სახეებს, შეგნებულად არ უსვამს ხაზს რაიმე ინდივიდუალურ ნიშნებს. ადამიანებისა და ცხოველების ფიგურები შემოსაზრულია მხოლოდ კონტურით, მაგრამ ეს მონახაზი საყვარად გამომსახველია, იგი სრულყოფილად გადმოსცემს ამა თუ იმ მოძრაობას, დაბალულს თუ მუხუბულს, ზუსტად გადმოსცემს სასიათა და ტაიურ თავისებურებებს. კომპოზიციების დახვეწილობა და პარმონიულობა, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი, ატყვევებს მნახველის თვალს.

ძალზე თავისებურია შრომის თემის გადაწყვეტა პანოში

„მევენახე“ (თითბერი). მკაცრი, მოღოლილი სხეულ-მუსკული თვალებით, მის ზემოთ ყურძნის მტვენი აკიდა. თავზე მუზარად, ხელში კი ფარი უჭირავს. ეს იმ შორეული წარსულის მევენახეა, როცა გლეხები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და ხელში მაცილი აეღოთ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ შემოსეული დამპყრობების წინააღმდეგ. პანოში განსახიერებულია მშვიდობიანი შრომის დაცვის იდეა და ამ თვალსაზრისით ნაწარმოების თემა ძალზე თანადროულია.

შრომის თემა სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას იღებს გურულის შემოქმედებაში, სადაც უშუალოდ შემთხვევაში არა შრომის პროცესს უხედავთ უშუალოდ, არამედ მის ნაყოფს, მიღწევებს. ნაწარმოების ქვეტექსტში უღრესი პიონი ადამიანის შრომითი შემაერთებისადმი, მისი მოღვაწეობისადმი, ორიგინალურია ამ თემის გადაწყვეტა „კახეთის მუზეუმი“ (თითბერი) გამოხატვაზე. მრგვალი ხაზები ფორფიტა მუხვ წარმოსავს. ფორფიტის ცენტრში მანდაზმული მვენახის სახე გარემო ყურძნის მტვენებით. აზრი ნათელია: ადამიანი, მისი შრომა და მზე — ერთი მოტივანობაა. როგორც უკვე აღნიშნა, გურული ბევრ თავის ნამუშევარში ასახავს მუხვს, მაგრამ სხვა ნაწარმოებებში თუ მზე კომპოზიციის ნაწილია, აქ მთელი კომპოზიცია მუხვ წარმოდგენს მისი მაკოსტუმული სნივითილებით.

უკანასკნელ წლებში გურული ფართოდ და ნაირგვარად წყვეტს ქალის თემას. შემოქმედების პირველი პერიოდის ტანერწყვა, სპორტული აღნაგობის ქალებს სცვლიან უფრო ჩასვენილი, მძაფრი ფიგურები. ქალთა სახეებს სიტყვარი იყენებს, როგორც ფილოსოფიურ ჩანაფიქრთა მხრატ-შესასხმელად, ისე ფორმალურ ამოცანათა, განსაკუთრებით, ფერის პრობლემის გადასაწყვეტად. თვით ფორმის გამოკვეთისას მოქანდაკე გადმოსცემს ფერთა მიღვ გამას, აწარმოებს ლითონის შეფერვას სახეილავი ნათურის შემოქმედებით. ქალთა სახეების ძერწვისას იგი იყენებს მოქილ, ადვილად სხმარ ლითონს, რომელიც შესაინშნავად გადმოსცემს სხვადასხვა ელფერს, გადასვლებს. ზოგჯერ პანი ერსა და იმავე სახელწოდებას ატარებს: „მწოლავი ქალი“. მაგრამ ქალთა სახეებისა და ნაწარმოებებში ჩასქოპილი აზრის მხრივ ეს ქმნილებები სრულიად სხვადასხვაა. პანოში „რევა და სიყვარული“ ქალი მოცემულია სამყაროსთან ერთობიანობაში. იგი ზის თავისებურ პოზაში, ირგვლივ ტალღები ტულაუნებენ, მის ფეხებთან კი თევზები დაცურავენ, ქალის სახეზე მკაფიო ნაკეთება ვერ წაიკითხავთ, (ეს გურულის ბევრ ნამუშევრას ასახავს). იგი მხოლოდ მისაზრულია მკვეთრი ხაზით, მაგრამ მთელი იერი ქალისა აღსავსეა არაჩვეულებრივი მიმხილვაობითა და ძალით, იგი სამყაროს ყველაზე მშვენიერ ქმნილებად წარმოგვესახება.

მოქანდაკე ვიწვენებს ქალის ბუნების სიმდიდრეს, მრავალმხრივობას, სიბრძნეს, ღრმა გრძობის უნარს, შემოქმედებითი ნიჭიერებას. პანოში „ჩანგზე დამკვრილი“ შთაბეჭედავითაა გადმოცემული დამკვრილის შთაგრება, შემოქმედებითი აღტყინება. ქალს თვალები მიუღწევია, თავი უკან გადაუგდია, ჩამოშლილი თმები თითქოს ქარს გადაუყრია მხრებზე. იგი მოლიანად გაუტყცინა პანეებს, რომელ-



საც თავისი გრძელი და მოქნილი თითებით აქლერებს ჩანგზე.

პანოში „გამოღვიძება“ რთული, ეპიკური სახეა შექმნილი. აქ განსახიერებელია ქალის განთავისუფლება საუკუნოებრივი ძილისაგან, ჩაგვრისგან. მასში იღვიძებენ სულიერი და ფიზიკური ძალები, იღვიძებს საკუთარი ძალების რწმენა. განბლავთ ლამაზი ზურგისა და ჩამოქნილი ხელების ღია ლაკონური ხაზები, მაღალი, მოღერებული ყელი და სქელი თმის ტყერი. ამ ნაწარმოებში გაოცება იწვევს ავტორის მიერ მასალის სრულყოფილი ფლობა, მოცულობის, შექირდილის, ფერის გადმოცემის ოსტატობა. მასში უკვე წმინდა ფერწერული ხერხები გამოყენებული და ამავე დროს გადაწყვეტის სიმკაცრე და ლაკონურობა ხაზს უსვამს პანოში ჩაქსოვილ ღრმა აზრს.

კობა გურულის ჭედურ ნამუშევრებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პორტრეტს. მოქანდაკემ შექმნა ისტორიულ პიროვნებათა პორტრეტების ციკლი — შოთა რუსთაველი, თამარ მეფე, ბექა და ბექმენ ოპიზარები, აგრეთვე თანამედროვეთა პორტრეტები.

რუსთველიანას ციკლში შოთა წარმოდგენილია ხან ყრმა პოეტად, რომლის თავს ზემოთ, კუთხეში მზე კაჟაშვებს, ხან ბრძენ და შინაგანი კეთილშობილებით აღსავსე მოხუცად, რომლის სახესაც განცდილის კვალი ატყვია.

მეფური დიდებულებითა აღბეჭდილი თამარის იერსახე წელამდე მოცემულ მის პორტრეტში (თითბერი). მისი მოხდენილი ფიგურა, პროფილში მოცემული სწორნაკვეთიანი სახე, ზემოთ აწვილი ხელი მოხაზულია მოქნილი, მშვიდი ხაზებით. პორტრეტი შეგნებულად რამდენადმე არქაიზებულია, მასში ჩაქსოვილია სამართლიანობის, სიბრძნის იდეა. თამარი თითქოს განსჯის ცხოვრებას. უძველეს ხატთან აქვს რაღაც საერთო მის ეპიკურ სიმშვიდეს, სტატიკურ პოზას, მთელს იერს.

კ. გურულის პორტრეტულ შედევრად მიმაჩნია მისი ავტოპორტრეტი, ძალზე მეტყველი და ინდივიდუალურად მკაფიოდ დახასიათებული. მასში მოცემულია სახე მადიბეული, ბობოქარი შემოქმედისა, რომელიც ხელოვნებით სულდგმულობს. ეს ქმნილება, რამე აზრით, არა მარტო მისი ავტორის შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ქეორისობის საეტაპო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. ეს „ავტოპორტრეტი“ მეტყველებს ლითონზე პლასტიკის ჯერ

კიდევ ბოლომდე გამოყენებულ უდიდეს შესაძლებლობებში, იმაზე, რომ ლითონი წარმოადგენს ისეთსავე მასალას ფსიქოლოგიური გამომსახველობის მისაღწევად, როგორც ტილო, ბრინჯაო თუ მარმარილო.

რა თქმა უნდა, აქამდე თქმულით სრულიადაც არ ამოიწურება თემათა, სახეა წრე, მხატვრული ხერხები, რომელთაც გურული იყენებს. აქ თავალი მივაღწევთ მხოლოდ ყველაზე მკაფიო მიმართულებებს მის შემოქმედებაში. ხელოვანის დიდ ინტერესს იწვევს ისტორიულ-რევოლუციური თემაც, მაგრამ ის უმთავრესად სკულპტურული ნაწარმოებებითაა წარმოდგენილი. ჭედურობიდან საინტერესოა „ნასაკირალის განთიადი“. ეს არის პანო, რომელზეც მამაკაცის სამი, სიმბოლურად გადაწყვეტილი ფიგურაა გამოხატული: „მოწოდება“, „რწმენა“, „ეჭვი“. ზოგიერთი ნამუშევარი აღმოსავლეთის გამოღვიძების თემასაც ეძღვნება. ასალო თეგები და ინტერესები ყოველდღიურად იბადება და შემოქმედიც მთელი გატაცებით მუშაობს მის ხორცმესასხმელად. კობა გურულს ფართო შემოქმედებითი გეგმები აქვს. ამჟამად იგი მუშაობს მონუმენტურ ჭედურ ციკლზე წყალთა მეურნეობის სამინისტროს სასახლისათვის, რომლის აგება განზრახულია თბილის-რუსთავის გზაზე. ამ პანოში ცენტრალური ფიგურა იქნება ქალის სიმბოლური სახე, რომელიც სტიქიაზე ადამიანის გამარჯვებას განასახიერებს.

ქანდაკებისა და ლითონზე პლასტიკის სინთეზის საინტერესო ნიმუში უნდა მოგვცეს ნაქალაქების მისაღამოთან ობელისკის გაფორმებამ, რომელიც კ. გურულმა ჭედური რელიეფით უნდა შეამკოს.

კობა გურულის შემოქმედებამ დიდი ინტერესი და აღიარება დაიმსახურა არა მარტო მშობლიურ რესპუბლიკაში, არამედ მოსკოვსა და ლენინგრადში, ვარშავასა და იზმირში, პარიზსა, ბერლინსა და მონრეალში. მან საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მხატვრული აზროვნებისა და ოსტატობის მკაფიო თავისებურებით, საკუთარი ხელწერით. კ. გურული მონუმენტური განხრის შემოქმედია. მის ხელში ლითონის პატარა ფირფიტა კი მონუმენტურ ძღვერადობას იძენს. გურულისეული სახეები დიდებული და მძლავრია. ისინი მიიღო ხშით მოუწოდებენ წინსვლისაკენ, მომავლისაკენ, განადიდებენ სამყაროს, ადამიანის სილამაზეს, მის შრომას მზიურ მიწაზე.

„საქართველო ხალხურ სიმღერებში“

ჯეირან ტუხაშვილი

ლადო გუდიაშვილი.

გრამფირფიტების კომპლექტის „საქართველო ხალხურ სიმღერაში“ გარეკანი.



ხალხური სიმღერების გამოქვეყნების დიდად უწყობს ხელს გრამფირფიტები. მათი საშუალებით ქართულმა მუსიკალურმა ფოლკლორმა მხურვალე თავყანისმცემლები შეიძინა საბჭოთა ქვეყნისა და უცხოეთის მუსიკის მოყვარულთა შორის. ისინი დაინტერესდნენ ჩვენი სიმღერების შინაარსით, ისტორიით, სპეციფიკით... წამოიჭრა ქართული ხალხური სიმღერების ახალი ფორმით წარმოდგენის აუცილებლობა. ეს ამოცანა ახლახან წარმატებით გადაიჭრა. თბილისში გამოიცა ფრიად საყურადღებო ანთოლოგია-გრამფირფიტების კომპლექტი — „საქართველო ხალხურ სიმღერებში“. ანთოლოგიის ავტორია ცნობილი მუსიკისმცოდნე პროფესორი პავლე ხუჭუა.

ანთოლოგიას ახლავს ცნობარი, რომლის წინასიტყვაობაში აღნიშნულია ნაშრომის მნიშვნელობა — გააცნოს მსმენელს ქართული ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების ტექსტულური შინაარსი, მათი წარმოშობის ისტორია, ჟანრულ-თემატური, კილო-პარამონიული, რიტმული, პოლიფონიური და მელოდიური თავისებურებანი.

ანთოლოგია წარმოდგენილია ჩანგრძლივი დაკვრის სამი გრამფირფიტით, ამ ფირფიტებზე განლაგებულია სასიმღერო შემოქმედების ორმოცდარვა ნიმუში.

ცნობარი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა გამოცემული და სამ თავს შეიცავს: I თავი — მოკლე ისტორიული ცნობები, II თავი — ქართული ხალხური მუსიკა და III — განმარტება, ანოტაციები და თარგმანები (რა თქმა უნდა, II თავს ამ დიდი საკითხის ფართოდ გაშუქების პრეტენზია არა აქვს. ეს მოკლე ისტორიული ცნობებია ქართული ხალხური მუსიკის შესახებ და საესებით ანართოვს კიდევ თავის დანიშნულებას). რუსულ და ინგლისურ ცნობარებში მოცემულია თითოეული სიმღერის ქართული ტექსტის ტრანსლიტერაცია რუსულად და ლათინურად, იქვეა პოეტური ტექსტის პუკარული თარგმანი (რუსულ და ინგლისურ

ენებზე). ავტორმა განგებ არ მიმართა ადვილტურ პოეტურ თარგმანს, რადგან გართიმვა ერთგვარ გადახრას გამოიწვევდა სიმღერის შინაარსიდან. მისი მიზანი იყო თარგმანში მეტ-ნაკლები სიზუსტით დაეცვა ქართული ტექსტების მსატრული გამოთქმები. ქართულ ცნობაში ავტორმა მოათხოვა მის მიერ სალიტერატურო ქართულთა გაწყობილი სვანური და მეგრული სიმღერების ტექსტები.

ანთლოგიაში ყოველი სიმღერა პირველქმნილი სახით არის წარმოდგენილი — ყოველგვარი დამუშავების, შესწორებების, რედაქტირების გარეშე, ე. ი. იმგვარად, როგორც წასაღწევი მღერინი. ეს კი მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარებს შესაძლებლობას აძლევს ჩასწვდენენ ხალხის წიაღში დაბადებულ ხალხს შემოქმედებას, ყოველგვარი სტილიზაციის გარეშე წარმოდგენილ მუსიკალურ კულტურას.

ანთლოგიაში შესული სიმღერები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ ქართული მუსიკალური ფოლკლორის განრულ მრავალსახეობას. აქ არის დიადი, ეპიკური, ამბლებული და ომბიანი ქართულ-კახური სიმღერები; დინამიური და ცეცხლოვანი, მრავალმნიშობის მხრივ უნიკალური გურული სიმღერები; დინჯი და უშფოთველი — რაჭული; კეთილშობილი მეგრული ლირიკული სიმღერები; ლადი და ხალისიანი — იმერული; დიდუნებოვანი, გოლიათური ბუნების სვანური სიმღერები.

ანთლოგია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპით არის აგებული: ჯერ მოცემულია უძველესი საკულტურ-რიტუალური სიმღერები. ისინი საუკუნეების სიღრმეში იღვებენ სათავეს. ამ მხრივ საინტერესოა წარმართული ხანის ბრწყინვალე ნიმუშები: უძველესი სვანური საგალიბელი „ლილე“ (ჰიმნი მზეს) და რიტუალური „კვირია“, მიძღვნილი ნაყოფიერების კულტისადმი). აქვეა ქრისტიანული ეპოქის საწესო სიმღერები: „ალილო“, „ჴონა“, ქართული საკვლესო მუსიკის შესანიშნავი ქმნილება „შენ ხარ ვენახი“, უძველესი გმირულ-პატრიოტული „მუმლი

მუსასა“. საზეიმო სიმღერა „თამარის დროშა გაშალეს“, პატრიოტული — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, ლაშქრულის ტიპის გურული ისტორიული სიმღერა „ხასანბეგურა“, „ალიფაშა“, რეგულაციამდელი პერიოდის „სიმღერა სიმონა დილიძეზე“ და სხვ. საბჭოთა პერიოდის სიმღერებიდან — „მისაღმება თბილისი“ (მესტიერული), „აი კახეთი“ (ი. ნონევილის ტექსტზე), მეგრული საკოლმეურნეო, აფხაზური „შრომის სიმღერა“ და სხვ.

ანთლოგიაში დაცულია ჟანრობრივი კლასიფიკაციის პრინციპიც. მასში შრომის სიმღერებიდან შესულია: „ურმული“, „გელესე და გელესე-ნამგალო“, „ოროვლა“, „ოლია“ — ძველებური მეგრული სიმღერა. საწესო-საყოფაცხოვრებო სიმღერებიდან:

„იანანა“, „დიდა ვოი, ნანა“, საწესო წილო „კუჩხი ბედინერი“ და „ვისია, ვისია“. სუფრული სიმღერებიდან დიდებული ქართულ-კახური — „მრავალკამიერი“, „ჩაქრული“, დარბაისლური კახური სიმღერა — „მაშვიკაკაბი“, მრავალმნიანი გურული სიმღერა — „ჩვენ მშვიდობა“, „იმერული მგზავრული“, ეპიკურ-გმირული — „გუშინ შვიდნი გურჯანელი“ და საყოველთაოდ ცნობილი ლირიკული სიმღერა „გაფრინდი, მავი მერცხალო“.

წარმოდგენილია აგრეთვე სატრფიალო სიმღერები: „დიდა ვოი ნანა“, „ნეტავი გოგო“, „თებრნე მიდის წყალზედა“, „მოსვეის ქალი“. სახუმარო სიმღერებიდან: ქართლური — „ცოლი გამიდიდგულდა“, „ცანგალა და გოგონა“, სვანური —

„ურმული“.



„ბუბა ქაქუჩელა“, აჭარული -- „განდაგან“, იმერული -- „სატრფიალო“ და სხვ. გულდასაწყვეტია, რომ ანთოლოგიაში არ მოხვდა მშვენიერი სიმღერა „წინ წყარო“.

ხალხური ინსტრუმენტული მუსიკის ნიმუშებიდან ანთოლოგიაში შეუსულია სოლო პიესა „ჩონგური“, „კაკლის ტოტი“ -- გარმონისთვის დაირის თანხლებით.

აქვეა აფხაზური და სამხრეთ ოსეთის სასიმღერო ფოლკლორის საინტერესო ნიმუშები; ბალადური ტიპის აფხაზური „სიმღერა კლდეზე“, „შრომითი წრიული სიმღერა-ცეკვა“ და სამხრეთ ოსეთში ფართოდ გავრცელებული სახუმარო სიმღერა „ჩებენა“.

ქალაქური ფოლკლორი წარმოდგენილია დიდი აკაკის ლექსზე შექმნი-

ლი სიმღერით „სულიკო“ და ქუთაისური „სალამური“.

ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ქალაქური სიმღერებიც. „ორთავ თვალის სინათლეც“, „ციცინათელა“, „ოპ, მთვარე, მთვარე“, „შევიწვია ტანჯავა-ვაებას გული“, „ლუქუნა წვიმა“ და მრავალი სხვა. ურიტო არ იქნებოდა ანთოლოგიაში ნიხევედის დიდი რომელიმ მათგანი მაინც, რაც მსმენელს უფრო ფართო წარმოდგენას შეუქმნიდა ჩვენს ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორზე. სასურველი იყო ანთოლოგიაში შესულიყო თუშ-ფშავ-ხევსურთა არქაული ნუსხიკალური კულტურის თითო-ორთა ნიმუში მაინც. ეს სიმღერები დაღინტერესებს ადრეაღდენ მხატვრული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ხალხური სიმღერების დაილექტუ-

რი თავიებურებებისა და მხატვრული ქმნილი სიწმინდის დაცხსნაში პროფ. პ. ხუჭუაძემ მოიწვია ცნობილი შემსრულებელ-სოლისტები და კომპოზიტორები. სახელდობრ, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამასხურებელი ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო კავება განსულ კახისში დირიჟორობით, თბილისის ტრანსპორტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ხელმძღვანელი ამირან ქარსელაძე, სოხუმის მაიაკოვსკის, სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და სხვ.

სიმღერები მაღალხარისხიანად ჩაწერა თბილისის ხმის ჩამწერმა სტუდიამ. ფირფიტები დაამზადა მოსკოვის გრამფირფიტების ქარხანამ. გამოსცა საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ და თბილისის გრამფირფიტების საქლამა.


ანთოლოგია მხატვრულად გააფორმა სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატმა ლადო გუდიაშვილმა. გამოჩენილმა ხელოვანმა ეროვნულ-სული და მალალი გეოგენბა ჩააქოთა ანთოლოგიის შვიდ ფერში შესრულებულ გარეკანში და ოც გრაფიკულ სურათში. განსაკუთრებით სახოვანია „მუმილი მუხასა“, „ჩაერულოს“, „სულიკოს“, „ლილესა“ და სხვა სიმღერებისათვის ოსტატურად შესრულებული ილუსტრაციები. ანთოლოგია გამოცემულია ცხრა ათასი კომპლექტით (თითოში სამ-სამი ათასი). იგი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ანთოლოგია ეროვნული მუსიკის პოპულარიზაციის შესანიშნავი საშუალებაა. დიდ მადლობას იმსახურებს პროფ. პ. ხუჭუაძეს პატრიოტიკული, პროფესიული და მოქალაქეობრივი დეაწლი. იმედია, რომ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის მიერ დაწვებულ დიდ საქმეს ასეთივე პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით გააგრძელებენ სხვა ქართველი ფოლკლორისტები. ეროვნული ხალხური მუსიკა მსგავსი ანთოლოგიების შექმნის ფართო საშუალებას იძლევა.

„დიდი ვოი ნანა“.



მ ი ხ ე ი ლ
ვ ა შ ა ძ ე



სერგო ჭეიშვილი

1923 წელს ჭიათურის მუშათა კლუბში იანგო აფთალი-
დმა დრამატული წრე ჩამოაყალიბა. დასადგმელად შერ-
ჩია ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. მუშაობას შეუდგა...
წრის წევრთა ყურადღებას გულმოდგინებით და სიბეჯითით
იპყრობდა 14 წლის მიხეილ ვაშაძე, რომელიც მიკიტინის
ბიჭის, შაქროს, როლს აშაადებდა. დეკემბრისათვის სპე-
ქტაკლი მზად იყო და საგასტროლოდ გიგუას როლის ერთ-
ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი — ალექსანდრე იმედა-
შვილი მოიწვიეს.

ეს იყო ალ. იმედაშვილის პირველი საგასტროლო ჩასვლა
ჭიათურაში და პირველი კურთხევა მიხეილ ვაშაძის აქტიო-
რული შესაძლებლობებისა... მიხეილი ბავშვური მიამიტო-
ბით ტკბებოდა ალ. იმედაშვილის სცენური ხელოვნებით და
როგორ წარმოიდგენდა, რომ თითქმის ორი ათეული წელი
მის გვერდით მოუხდებოდა ყოფნა, მისი პარტნიორი და
დღეობრივი გახდებოდა...


1926 წელს მიხეილმა ჭიათურის ცხრაკლასიანი სასწავ-
ლებელი დაამთავრა და პირდაპირ თეატრს მიაშურა (მას
სომ სცენისმოყვარის სამწლიანი სტაჟი და შესრულებული
როლებიც გააჩნდა). თეატრის ხელმძღვანელმა პავლე ფრა-
ნგიშვილმა შენიშნა ჭაბუკის თეატრისადმი დიდი სიყვარუ-
ლი და უწყოყმანოდ ჩარიცხა დასში.

მას შემდეგ ბრძოლითა და შფოთით სავსე ორმოცდასამი
წელიწადი გავიდა... და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ
ორი სეზონი გაატარა უჭიათუროდ (1931-32 — ქუთაისში,
1934-35 — ხაშურში), დანარჩენი ორმოცი წელი ჭიათუ-
რის თეატრს შეაღია... იყო მსახიობი, რეჟისორი, დირექტო-
რი და, რაც მთავარია, ყოველთვის დიდი პატრიოტი და
ჭირისუფალი იმ სცენისა, რომელზედაც აიდგა ფეხი და
დავაჟკაცდა.

მის არქივშია თბილისიდან მიღებული დეპეშა: „დაგვი-
დასტურეთ ოფიციალურად თქვენი ჩვენთან მუშაობა, ერთი



საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრობის
სამსახური



„ცხოვრება კაცისა“. საბა — ნ. ჩაჩანიძე, ბასა — მ. ვაშაძე.

თვის შეგებულებაზედ თანახმა ვართ. გვიდებამედიანობაზედ... დიახ, ლეგენდარული უშანგი ჩხიძე იწვევდა მარჯანიშვილის თეატრში სამუშაოდ (ამ დროს, 1933 წლის შემოდგომაზე, უშანგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო). 5 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში უ. ჩხიძემ განაცხადა კიდევ, რომ „დასი შევსებულია შემდეგი მსახიობებით: ვერიკო ანაფარიძე, ალექსანდრე გომელაური, შაქრო გომელაური, კატე დაუშვილი მისიელ ვაშაძე, მისიელ სარაული, ხათუნა ჭიჭინაძე, ივლიტა ჯორჯაძე, აკაკი ხინთიბიძე.“ ამ დიდებულ წრეში მოხვედრა იოლი არ იყო, მაგრამ იოლად ვერც ჭიათურის თეატრი დათმო.

„ჩემს თეატრთან ერთად დავეყვავიდი, როგორც მსახიობი,“ წერდა მისიელი 1939 წელს („ჭიათურის მაღალთელი 28. IX). მართლაც, ჭიათურის თეატრში აღიზარდა იგი მისი ერთადერთი უნივერსიტეტი ცხოვრება იყო. სპეციალური განათლებაც კი არ მიუღია, რადგან საამისო დრედა პირობები არ ჰქონდა... 1934 წლის 5 აგვისტოს ჭიათურის გაზეთმა საგანგებოდ აუწყა მკითხველს, რომ ჭიათურის თეატრის მსახიობი მისიელ ვაშაძე „ადგილობრივ ხელისუფლების შუამდგომლობით საქართველოს განსახკომმა მიაღწინა მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში...“ ქალაქის საბჭომ დაუნიშნა სტიპენდია 150 მანეთი...“ ასეც იყო წავიდა კიდევ, მოსკოვშიც ჩავიდა, სწავლაც დაიწყო, თეატრალური მოსკოვის მაჯისცემასაც ეზიარა, მოიხიბლა და უკანვე დაბრუნდა... მოულოდნელმა ტრავმამ (გარდაცვალა შვილი), დიდმა მწუხარებამ, უამრავმა წერილმანამა სა-

„ოტელი“. იაგო — მ. ვაშაძე.



ზრუნავმა, ცხოვრებისეულმა დაბრკოლებებმა მიხეილს შესაძლებლობა არ მისცეს მოსკოვში წასულიყო (უფრო გვიან, 1949-50 წლებში, როცა იგი თეატრალურ სფეროში საკმაოდ ცნობილი იყო, საკვალიფიკაციო კურსები გაიარა ლენინგრადში).

ოცდაათიან წლებში მოხდა საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი პრინციპების შემუშავება და განმტკიცება, როცა ძველი თეატრალური ნორმები ახალ მოთხოვნათა შესაბამისად იცვლებოდა, შემზადა ნიადაგი სცენაზე სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებისათვის.

ცდება, ვინც ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიას მარტო თბილისის თეატრალური ცხოვრების აღწერითა და ანალიზით საზღვრავს. რაგინდ ღრმა და მეცნიერულიც არ უნდა იყოს ეს ანალიზი, ამგვარად შექმნილი სატურია მაინც ცალმხრივი და არასრული გამოჩნდება, რადგან ის იქნება მხოლოდ თბილისის თეატრალური ცხოვრების ისტორია და არა მთელი ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, შემოქმედებითი ძიება და ჭიდილი, თბილისიდან დაშორებულ ბევრ თეატრში ისეთსავე პრინციპულ დონეზე მიმდინარეობდა, როგორც თბილისში. მიმდინარეობდა არა დედაქალაქის თეატრების მიბაძვით, არამედ ცხოვრების კარნახით.

ამ ბრძოლაში ჭიათურის თეატრი ყოველთვის ეპოქალურ-პროგრესული იდეების მედროშედ გამოდიოდა. ჭიათურის მუშათა თეატრის ფესვები ჩაისახა გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაღაროებში მომუშავე მუშათა კლასის სოციალ-



„აბრაკუნე ჭიმჭიმელი“. აბრაკუნე — შ. ვაშაძე, პეპელა — ნ. ერიაშვილი.



„სამანიშვილის დედინაცვალი“. არისტო — გ. ტყაბაშვილი, პლატონი — შ. ვაშაძე.



პოლიტიკური გამოღვიძებისა და აქტივობის პერიოდში 1906-1907 წლებში, როცა შალვა დადიანმა ნახევრად პროფესიული დასი შეადგინა, მას უკვე ჰქონდა არა მარტო ხელოვნების, არამედ პოლიტიკური ბრძოლების ტრადიციებიც.

ამ ტრადიციებიდან იშვა 1921 წელს ჭიათურის მუშათა თეატრი, რომელიც 1926 წლიდან უკვე ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენდა. სოციალისტურმა საზოგადოებამ თეატრს სერიოზული იდეოლოგიური და ესთეტიკური ფუნქციები დააკისრა. ამ წლიდან ჭიათურის თეატრი ერთი დღითაც არ ჩამორჩენია დიდ თეატრალურ ცხოვრებას, ხშირად ქუთაისის თეატრთან ერთად ტრასაც აძლევდა მასზე ასაკოვან და მოზრდილ თეატრებს... და ამაში პავლე დრამატურგთან, თეატრი ნეკრუძისთან, ალექსანდრე იმედაშვილთან, სოფრომ ცომიაისთან, გრიგოლ ტყაყაძისთან და სხვებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ ვაშაძესაც.

ჭიათურის თეატრმა ათი წლის მანძილზე (1926-1936). 70 პიესა დადგა, გამართა 1090 წარმოდგენა, მოემსახურა 336 000 მაყურებელს. რეპერტუარში ჰქონდა საბჭოთა დრამატურგების თითქმის ყველა პიესა, ამასთანავე გამოავლინა ნიჭიერი დრამატურგთა ახალი თაობა: გიორგი მიძინავანი, ვიქტორ გაბისკირია, გიორგი გაბუნია და სხვები... წარმატებით დადგა ევროპულ და რუს კლასიციოსთა პიესები: „ოტელი“, „ჰიროფული ცოლის მოჩაჯულება“, „ოიდიპოს მეფე“, „უდანაშაულო დანაშაუენი“ და სხვ. სცენური სიციცხლე დაუბრუნა თითქმის მივიწყებულ ქართულ კლასიკურ კომედიას „ხანუმა“, კვლეა განხორციელდა სცენაზე კოქე მესხივილის „რუსთაველი“ (შალვა დადიანის ახალი რედაქციით), ფართოდ გააღო კარი მოძვე რესპუბლიკების უახლეს დრამატურგიულ მიღწევებს და სხვ.

და თითქმის ყოველ დადგმაში იყო დაკავებული მიხეილ ვაშაძე. მის მიერ შესრულებული როლები ორას ორმოცდაათს აღემატება.

მიხეილ ვაშაძე, როგორც მსახიობი, თვითნაბადი შემოქმედი, მეტად კოლორიტული და ორიგინალური. არაეის ჰაკას, არც რომელიმე სკოლის ზეგავლენას განიდიის. მან თავისი ნიჭითა და სიბეკითით შექმნა საკუთარი სკოლა, შეიმუშავა თავისი სტილი, სცენაზე ცხოვრების განსაკუთრებული მანერა. მის მიერ წარმოქმნილ ფრანსას გამორჩეველ შემუშვდარად, რადგან სიტყვას მხოლოდ ის წარმოთქვამს ამგავრად; მის მოძრაობას თან ახლავს ხმელთაშუა მისიარულე მფხლავურის რაღაც განსაკუთრებული მანერა. ყოველი ახალი სცენური სახის შესაქმნელად პოულობს მხოლოდ ამ სახისათვის საჭირო ფერებს, ნიუანსებს. ერთხელ გამოვიყენებოდი დეტალით თუ ხერხი არასდროს გამოვიყენებია, ამიტომ მსახიობის დამლუბველი შტამში მისთვის უცხოა. მისთვის უცხოა ყალბი პათოსი, ვერც ე. წ. „ყოფით რეალიზმს“ (სცენაზე საოჯახო ტონით ლაპარაკსა და ჩურჩულს) ეგუება. სცენაზე ცხოვრების ვაშაძისეული სიმართლე წმინდაა, ჯანსაღი რეალიზმის მწვერვალებიდან მიედინება.

მიხეილს სამავალითო ზომიერების გრძობა აქვს — მასში პარმონიულადაა შერწყმული ჭეშმარიტი თეატრალის თავშეკავებული ტემპერამენტი და რომანტიკული ალველებლობა.

ჭიათურის თეატრის ყოველი მსახიობი თითოეულ სპექტაკლში ხშირად ორ როლს თამაშობდა. მიხეილ ვაშაძე ალექსანდრე იმედაშვილის პარტიოთი იყო „ოტელიო“ (იაკოს თამაშობდა), დუბლიოთი „ოიდიპოს მეფეში“ (ოიდიპოსს განასახიერებდა), მეორე დღეს ყვარყვარე თეატრის ცხოვრებით ცხოვრობდა სცენაზე, მერე კი პეტრარქოს მათრახს ატყაფუნებდა, ხოლო მომდევნო საღამოს აპლატონ სამანიშვილის, ან დარისპან ჭარხიძის კომიკურ ტრაგედიას განაცდევინებდა მაყურებელს.

ამან გამოუმუშავა გარდასახვისა და მრავალპლანაინების დიდი უნარი. მ. ვაშაძის მიერ შესრულებული ერთი ყიდის როლებიც კი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

თუ როგორ მუშაობს როლზე — მოვლსმინით თავად მიხეილ: პირველ რიგში ესწავლობ ავტორის ბიოგრაფიის მის შემოქმედებით მიმართულებას და მსოფლმხედველობას. რეჟისორთან ერთად ვეძებ გმირის სასიათსა და განსაკუთრებულ ნიშანდობლივ თვისებებს. ყველაფერს ამას ჩემს თავში გადავამუშავებ, ვმუშაობ სიტყვის დახვეწაზე, ამის შემდეგ ვიწყებ როლის უშუალო განხორციელებას.

სცენაზე მხატვრული სახის რაციონალური მარცვლის ძიება, კვლევა და შერჩევა ფერებისა, ამოცნობა სახის იდეურ-ფილოსოფიური სუბსტანციისა და მისი გამოსახვისათვის აუცილებელი ფორმის, სხვა სახეებისა და კომპონენტების ურთიერთობის დადგენა მეტად რთული გზაა, რაც მითითხვის სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს, დიდ ლაბორატორიულ მუშაობას და ანალიზს, ემპირულ დაკვირვებას და სხვა, რითაც სცენური სახის გამოკვეთის პროცესი მეცნიერულ კვლევა-ძიებას ემსგავსება, ხოლო მსახიობი — მეცნიერა. ამას ადასტურებს რეალისტური თეატრების დღისისტატა შემოქმედება.


დიდ ქართულ რეჟისორს ვასო ყუშიბაშვილს უყვარდა თქმა — ხელოვნებაში თითქმის ყველა ამერიკა აღმოჩენილია, მაგრამ ყოველი ნამდვილი ხელოვანი ხელახლა აღმოაჩენს მას და მხოლოდ შემდეგ აღწევს წარმატებას. ამ ნათქვამში დიდი სიღრმეა. ნამდვილი ხელოვანი სხვისი აზრებისა და სხვათაგან დადგენილი ჭეშმარიტებით არასდროს კმაყოფილდება. ის თავის აზრს იქმნის სამყაროზე, საგნებზე, მოვლენებზე. ჭეშმარიტების აღმოჩენა ხშირად უფრო იოლია, ვიდრე მისი პროპაგანდა. მწერალი, მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტების პროპაგანდისათვის, ყოველგვარ მხატვრულ ხერხს იყენებს, საინტერესო ხერხებს გამოიხატავს, მკითხველისთვის მწერალი მაშინ არის საინტერესო. მსახიობიც ამ გზით მიდის — „ყოველთვის ვცდილობდი ჩემს მიერ შექმნილი ახალი სახე ყოფილიყო წრფელი, გულში ჩამწვდილი, მას სიხარული და კმაყოფილება მოეტიანა როგორც მაყურებლისათვის, ისე ჩემთვისაც, როგორც

აქტიორისათვის“ — წერდა მიხეილ 1939 წელს (გაზ. „ჭიათურის მადარეული“ 28. IX). და მართლაც, მიხეილ ვაშაძის მიერ ქართულ სცენაზე შექმნილი თითქმის ყოველი სახე იყო და არის გულწრფელი, გულში ჩამწვდომი, მას სიხარული და კმაყოფილება მოჰქონდა და მოაქვს მაყურებლისათვის, ამასთანავე მ. ვაშაძე სწვდებდა ნაწარმოების ღრმა ფილოსოფიურ აზრს და მას მაყურებლისათვის მისაწვდომს ხდის.

მ. ვაშაძე 40 წელიწადია აცოცლებს სცენაზე ქართველი კაცის ზოგად-ეროვნულ სახეს, რომელიც ხან ისტორიული წარსულის რომანტიკული გმირია (ლევან ქვაბულიძე), ხან ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხკაცი (არსენა ოძელაშვილი), ხან ბრძენი წინაპარია (შოთა რუსთაველი), ხან კიდევ ჩვენი თანამედროვე (შალა — ვ. გაბისკირიას „მთი ამბავი“, ბასა გუჯაბიძე — გ. ხუბაშვილი „ცხოვრება კაცისა“ და სხვ.). და მაინც, მიხეილ ვაშაძის ნათამაშვე როლებში არის ერთი რიგი, რომელთა ელვარება ძვირფასი თვლებივით ამშვენებს მის აქტიორულ გეორგიას. ესენია პ. კაკაბაძის გმირები: ყვარყვარე („ყვარყვარე თუთაბერი“), მანუჩარი („კოლმეურნის ქორწინება“), ქრისტესტორე („ცხოვრების ჯარა“), დ. კლდიაშვილის გმირები: პლატონი („სამანიშვილის დედინაცვალი“), დარისპანი („დარისპანის გასაჭირი“), პორფირ ბიაშვილი („ქაშუაძის გაჭირვება“) და ფილიპე („ირინეს ბედნიერება“). კლასიკური რეპერტუარიდან — იაგო („ოტელიო“), პეტრუჩიო („ჭირვეული ცოლის მიტოვება“), პატენი („ადვოკატი პატენი“), თანამედროვე დრამატურთა ნაწარმოებებში: ასკალონი (ვ. კანდელაკის „ერთ-ხელ დახოცლები“) და სხვ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მ. ვაშაძის მიერ შექმნილი ზოგიერთი სცენური სახე რამდენიმე ათეული წელია ცოცხლობს, სეზონიდან სეზონში, თაობიდან თაობაში გადადის... 1932-33 წლების სეზონში დადგმული „ყვარყვარე თუთაბერი“ 1967 წლამდე იყო თეატრის რეპერტუარში... 1938 წელს გათამაშებული „სამანიშვილის დედინაცვალი“ დღესაც თეატრის რეპერტუარშია. ასევე ოცდაათი წელია ცოცხლობს მ. ვაშაძის პლატონის უსაზღვრო და რამატიული და კოლორიტული სახე. 1963 წელს ჭიათურის თეატრის კოლექტივმა ყვარყვარე თუთაბერის სცენური სიციცხლის ოცდაათი წლისთავი აღნიშნა. ეს უპირველდნობ შემოხვევა ქართული თეატრის ისტორიაში.

მ. ვაშაძის პლატონ სამანიშვილმა და ყვარყვარე თუთაბერმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს ტრუფში და ყველგან მოწონება დაიმსახურეს. 1959 წელს მ. ვაშაძე თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში, მიიწვიეს ყვარყვარეს როლის შესასრულებლად. თავდაპირველად დაგეგმილი იყო ორი წარმოდგენა, მაგრამ დედაქალაქის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა მას და დამატებით კიდევ ორი წარმოდგენა დაინიშნა. მ. ვაშაძე ორი რეპეტიციით შევიდა რუსთაველითა სპექტაკლში და თბილისელ მაყურებელზე დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა.



„ყვარყვარე თუთაბერი“. ყვარყვარე — მ. ვაშაძე.

ნა. აი რას წერდა ამის გამო გაზეთ „თბილისის“ რეცენზენტი: „მ. ვაშაძემ ყვარყვარეს როლი განსხვავებულ, თავისებური გააზრებით წარმოგვადგინა. სახეს აქმნის ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით. მის გმირს ახასიათებს მოქმედების სრული თავისუფლება და რაღაც ჰედონური ტკობა საკუთარი ბედით (წარმოდგენის მეორე ნახევარში)... ფრანკის წარმოქმნის თავისებურად მანერამ, დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის დამახასიათებელმა ინტონაციამ (რომელსაც ვაშაძე დიდი სიფრთხილით იყენებდა), სახეს ერთგვარი სიმსუბუქე მიანიჭა. მ. ვაშაძემ ეს კოლორიტი ნიჭიერად გამოიყენა, როგორც გარკვეული ფერ ყვარყვარეს პორტრეტის დასახატად... მსახიობს ყვარყვარე სასვებით რეალისტურად გაუაზრებია. მიმართავს პიპერბოლას, გროტესკს, რომლისადმი ამგვარ მიდგომაში მ. ვაშაძე ბოლომდე თანმიმდევრულია“ (14. V—59 წ.).

ვაშაძის ყვარყვარე თუთაბერი, რუსთაველის სახელობის თეატრის მამინდელი ხელმძღვანელი დ. ალექსიძე

მისალოც ადრესში (რომელიც თეატრის ვებგვერდი აფიშაზე დაწერილი) წერდა: „ვისურვებთ, ძვირფასო მიხეილ, რომ თქვენი ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ რუსთაველის სცენაზე, სადაც თქვენ ნიჭიერად განსახიერეთ ყვარყვარე თუთაბერის სახე, დაიწყოს ახალი ერა თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში, რითაც თქვენ ახალ შექმნებს ჩასწერთ ქართული თეატრის ისტორიაში და ეს, იმედია, მოხდება ჩვენს, რუსთაველის თეატრის სცენაზე, ჩვენს კოლექტივში“.

ეს დასმი სამუშაოდ არაოფიციალური მიპატივება იყო. ამას დივიდიანური საუბარები მოჰყვა, მაგრამ მიხეილმა გულთბილობისათვის დიდი მადლობა გადაუხადა კოლექტივსა და მის ხელმძღვანელობას და რადგან „აქაურობა მისაწორ-მოსაწორა“, ცალკე თავის „მასწავლებელს“...

ჭიათურის თეატრის კოლექტივი სამაგალითო იმით, რომ ათეულ წლებით ინახავს კარგ სპექტაკლს, კარგ სცენურ სახეს. იქნებ ამანაც განაპირობოს ის ფაქტი, რომ მ. ვაშაძის მიერ შექმნილ აქტიურულ სახეთა გალერეაში ბევრია „ხანდაზმული“, ათი, თხუთმეტი წლის როლი. ეს მონაპოვარია ქართული თეატრისა და სპეციალური კლუბის საგანს წარმოადგენს.

მიხეილ ვაშაძემ რეჟისურაშიც გამოავლინა ნიჭი, ქართულ სცენაზე რამდენიმე ათეული პიესა დადგა და ყოველ დადგამაში იგრანდიზადა ცხოვრების ღრმა ცოდნა, სცენის ილუზორულობა წვდომისა და მსახიობთან მუშაობის დიდი უნარი. იგი თანაბარი ძალით სძლედა ქართულ კლასიკას (ნ. შუკუაშვილის „სულელი“ და სხვ.) თანამედროვე დრამატურგიას (ვ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“, ი. ვაჭარის „რეალი“, გ. ბერიძის თეატრის „ტირთვის ქვეშ“, მ. ჯაფარიძის „უფათბურის ასული“, კ. სიმონოვის „ასეც იქნება“, არაქსიმანის „ტყეები შრიალებენ“), უცხოურ კლასიკას („ადოკატი პატლენი“ და სხვ.) ნაყოფიერად მუშაობდა დრამატურგთან, მხატვართან, კომპოზიტორთან. მისი, როგორც რეჟისორის, განსაკუთრებული თვისება მაკაფიო აზროვნება, სცენის ფართობის რაციონალური გამოყენება, ვაშაძის გააზრებული მიზანსცენები პლასტიკური და ლაკონური. იგი ხშირად სხვა თეატრებში კომპრომიტირებულ პიესებს სიცოცხლეს ანიჭებდა.

მიხეილ ვაშაძის რეჟისორული მოღვაწეობა ცალკე თემაა. მიგრე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მასზე, როგორც რეჟისორზე, მოვიტან რამდენიმე ამონაწერს, უკომენტაროდ, მრავალრიცხოვანი რეცენზიებიდან:

„პიესა „ჭამიაბერის ასული“ თეატრის კოლექტივისაგან შესანიშნავად არის დადგმული, რაც გამოიხატება სახეთა სწორ გაგებასა, გახსნასა და ასახვაში... დიდ მადლობას ვუცხადებ დამდგმელს — მ. ვაშაძეს განსაკუთრებული და გულწრფელი სპექტაკლისათვის. მადლობელი ვარ მილიანდ მიოელი კოლექტივისა“ (მ. ჯაფარიძე „ჭიათურის მადარბოლი“ 30. I — 1945 წ.).

ჭიათურის თეატრის კოლექტივის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან ყველა საშუალება ინხარა, პიესა „ტირთვის

ქვეშ“ მაღალ მხატვრულ დონეზე აყვანა. ამ პიესის დამდგმელმა მ. ვაშაძემ იღვრება დივიდი და მხატვრულად სერულმწილი სპექტაკლი მოგვცა (გიორგი მდივანი, „ჭიათურის მადარბოლი“ 13. VII — 1945 წ.).

„ადოკატი პატლენის“ პრემიერის მფორედღეს გ. მდივანი წერდა მ. ვაშაძეს: „სპექტაკლის შემდეგ ვეღარ განბნობ, ძალიან ნასამაიმუნები და კარგი შთაბეჭდილებით დანებდი სახლში. ძალიან ცოცხლად და შეუნელებელი ინტერესით მიდის სპექტაკლი, ერთი სიტყვით, მორიგი გამარჯვებაა, როგორც პირადად თქვენი, ისე მთელი თქვენი კოლექტივისა... დამარჩენს რეცენზიაში ვიჭვირო... მთელ თქვენი პატივისცემული მეგობარი გ. მდივანი. 19. I. 45 წელი“ (ბარათი მ. ვაშაძის არქივში) და სხვა მრავალი...“

მიხეილ ვაშაძე უკვე ბაბუაა. მანამდე ვერაფერმა აცდუნა ჭიათურის თეატრის სცენასთან შეზღუდული ხელთმანი, შეილივილემა კი დასძლიეს — თბილისში გადმოიბირეს... თუმცა მარტო შეილივილების ბრალიც არ ყოფილა, ამაში დიდი წვლილი მის მეგობარს გრიგოლ ტყაბაძესაც მიუძღვის... თითქმის ორმოცი წელიწადია ისინი ერთად იბრძოდნენ ჭიათურის თეატრის ღირსებისათვის, მათ შემოქმედებით საღამოსაც კი ერთად უხდიდნენ.

ავად გახდა გრიგოლი... ცალად დარჩა უღელში მიხეილი და დანებდა შეილივილების სურვილს, თბილისს მოაშურა, დიდმული გახდა...“

უთეატროდ ვერ გასძლო — მარჯანიშვილის სახელობის თეატრს მოაკითხა და უკვე მოასწრო მეზობნის კოლორიტული როლის შექმნა კ. გამახურდიას „მოვარის მოტაცებაში“, ითანაშა კირილე მღვდელი ა. გუწისის „ყარამან ყანთელაქში“ და კოჩია — შ. დადიანის „გუშინდელნი“... მ. ვაშაძის ნიჭი და შრომისმოყვარეობა უთუოდ დაამშვენებს მარჯანიშვილის თეატრის სცენას.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ორ გადამღებ ჯგუფში მიიწვიეს. ეპიზოდებზე დაავაჯე ვ. ტაბლიაშვილმა „დიდოსტატის მარჯვენაში“, შ. მანაგაძემ „დედის ბედში“ (ადრე „მამულეში“ ხეიჩას მამა ითამაშა, „განგაში“ — არჩილი), ჭიათურის თეატრს კი მაინც ვერ ივიწყებს — ხანდახან ჩაიღეს და პლატონ სამანიშვილის თამაშობა... ხმა-მალა ამბობს: თუ რამე მაქვს კარგი, იმიტომ მაქვს, რომ კოლექტივი იყო კარგი... რაც კუდი მაქვს, სწორედ ის მაქვს, რასაც კოლექტივი ვერ მოერია ჩემში... სცენაზე და ცხოვრებაში ბევრი სიმწერისა და სიტკბოს შემოვლები ბედს და ვმუდურის — საზოგადოებამ მრავალჯერ დააფასა მისი ამგებებება: 1950 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა, 1965 წლის იანვრიდან კი საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებას ატარებს.

არა, ჯერ მისთვის ფარდა არ დახურულა, წინ ჯერ კიდევ დიდი გზა ფინალურ მონოლოგამდე... დიდი ხანია მარჯანიშვილის თეატრის სცენა ელოდება დავით კვლია-შვილს...

თეატრში გატარებული სსრკ-ობა



დimitრი თავაძე.

სვეტლანა მამულაშვილი

თეატრალური მხატვრების შემოქმედების შესწავლა დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ქართული საბჭოთა თეატრის დიდმა ფუძემდებელმა — კოტე მარჯანიშვილმა, სანდრო ახმეტელმა და სხვა ქართველმა რეჟისორებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ დეკორაციულ მხატვრობასაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თეატრში მხოლოდ ერთი ქართ-

ველი პროფესიონალი მხატვარი — ვალერიან სიდამონ-ერისთავი მოღვაწეობდა, შემდგომ პერიოდში კი ქართველ თეატრალურ მხატვართა მთელი პლეადა მოგვევლინა, რომლებმაც დეკორაციული მხატვრობა ახალ სიმაღლეებზე აიყვანეს.

ამ შესანიშნავ მხატვართა პლეადას ნიკუთუნება საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დიმიტრი თავაძე, რომელსაც თავისი მოღვაწეობის 40

წლის მანძილზე 150-ზე მეტი საბჭოთაული აქვს გაფორმებული.

დ. თავაძე დაიბადა 1911 წელს სოფელ ზემო ხეთში (ჩოხატაურის რაიონი), საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1926 წ. ქუთაისში.

დ. თავაძე, როგორც თეატრალური მხატვარი, ორმოცი წლის წინათ გამოჩნდა შემოქმედებით სარბიელზე. მოღვაწეობა დაიწყო შ. რუსთაველის სახელობის თეატრში. იმ დროს თეატრს ხელმძღვანელობდა ცნობილი

ქართველი რევისორი სანდრო ახმეტელა.

1926 წელს თავაძე ჩაირიცხა თბილისის სახმატრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე. პარალელურად მუსიკალის სახელობის თეატრში მუშაობდა მსატყარ ირ. გამრკველის ხელმძღვანელობით ჯერ შვიგროდად, შემდეგ რევისორის თანაშემწედ, ხოლო 1930 წლიდან — თეატრის მსატყარად. შემოქმედებითად მისი ჩამოყალიბება ემთხვევა სწორედ იმ დროს, როდესაც რუსთაველის სახელობის თეატრში აღიარებული იყო გმირულრომანტიკული სტილი.

დ. თავაძის ნამუშევრების პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინ საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო, ნათელი მსატყრის ნიჭი და ის დუდალავი შრომა, რომელიც მას წლების მანძილზე გაუწევია. გამოფენამ ერთხელ კიდევ დავგარწმუნა მის დიდ ოსტატობაში, დეგანახა ის დაუცხრომელი ძიება, რომელსაც იგი ეწევა სახეობი ხელოვნების ერთერთ საინტერესო და რთულ დარგში — თეატრალურ მსატყრობაში. „როტულია და საპატიო ემსახური თეატრს და იყო მისი მაღალი მსატყრული ღირსების მსატყე, მაგრამ თქვენ ეს ბრწყინვალედ შეასრულეთ“, — წერდა საქართველოს სსრ სახალხო მსატყარი ლადო გუდიაშვილი.

გამოფენამ პრესის მაღალი შეფასება და საზოგადოების დიდი მოწონება და მისახსურა.

დ. თავაძის შემოქმედებას ძირითადად ახასიათებს გამომსახველობითი საშუალებების ლაონიზმი, ფორმის სიმკვეთრე და თეატრალური პირობითობა. თავის ნამუშევრებში დიდი ოსტატობითა და ფანტაზიით ამდღერებს დრამატურგის, რევისორის, მსახიობის ჩანაფიქრს და უფრო მისაწვდომს ხდის მას მასურებლისათვის. მსატყრის მიერ მიღებული დეკორაციულ გადაწყვეტაში უხვად არის გამოთენებლობა, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის რევისორს სცენაზე პლასტიკური მიზანსცენების დაწყოებაში. დ. თავაძე განსაკუთრებულ

ყურადღებას უთმობს პიესის ჟანრულ მხარეს, მისი დეკორაციები ყოველთვის ქმნის გარკვეულ განწყობილებას და კარგად შეესატყვისება დრამატურგის ჩანაფიქრს. მაგალითისათვის შეიძლება გადავსახელებინავ ფლტატრის „ესანდელი მღადელი“, პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“, ს. კლიდაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუბაბერი“, ი. ვაკელის „საქმიანი კაცი“, გ. ხუხაშვილის „ხუჯის შვილები“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, კ. გოლოდონის „სასტუმროს დიასახლისი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“ და სხვა.

დ. თავაძის შემოქმედება შეიძლება დავით რამდენიმე პერიოდად პირველი პერიოდი იყო 1930 წლიდან 1935 წლამდე, როცა სცენაზე გაბატონებული იყო კონსტრუქტივიზმი. ამ პერიოდში მთავარ ყურადღებას აქვეყდენდნ მოხეხებული მოედნების, ქალაქისა და სოფლის პიუხაქუის სკულპტურულ-მოცულობით ვადმოცემა. ამ დროის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია უ. შექსპირის „ოტელიო“ (განხორციელებული კიროვანადის დრამატულ თეატრში), პ. სამსონიდის „სალტი“, გ. შატერვაძის „დუმნანი“. ამ სპექტაკლებიდან უნდა გამოვყოთ „სალტი“. აქ მსატყარმა ორიგინალურად, სადა და გამომსახველად ვადმოსცა დასავლეთ საქართველოს საკოლმურნეო პიუხაქი. სცენაზე მოჩანს გუხებისა და ფრთიების რელიეფი, რომელსაც აერთიანებს პარიზი გამოვიტეხი 12-მეტრიანი ხიდი, ხიდს ქვემოთ ჟებირების მწიგნობლობა გაშლილი. კოლმურნეები ახალ ინდუსტრიულ სოფელს აწებებენ. დეკორაცია განტვირთულია ყოფითი დეტალებისაგან. ასეთ გარემოში მიზანსცენების განლაგება, კოლმურნეობის საერთო კება შეტად საინტერესოა და მიმოიდეკლი.

მეორე პერიოდი მოიცავს 1935-1954 წლებს. ამ დროისათვის აქტუალური ხდება კონსტრუქციისა და ფერწერული დეკორაციების შერწყმის საკითხი. ამ წლებში. დ. თავაძის საბჭოთა კავშირის თეატრებში ბვერი

სპექტაკლი აქვს გაფორმებული ამათან გამოვყოთ რამდენიმე: სკლიდაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, გ. მიდინის „ალკაზარი“, ს. კლიდაშვილის „გმირთა თაობა“, ს. მოვანიძის „მოატრეხილუე“, ვ. დარასელის „კვიციქე“, კ. გოლოდონის „ორი ბატონის მსახური“, ბ. ჩინკოვის „გამარჯვებული“, არ. დილუდა ჯ. გუის „დრმა ფსევდო“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, კ. პატარაის „უნა უჩარდია“, ვ. ვიშნევსკის „დაუეწყარი 1919 წელი“, ი. ტაჭვაძის „ოთარაანი ქვირთი“, ი. ლუბუას „პატიკა“ და სხვა.

„შემოდგომის აზნაურების“ (1935 წ. რუსთაველის სახ. თეატრი). სცენურ გადაწყვეტაში დ. თავაძე გვევლინება დასრულებულ თეატრალურ მსატყარად. ამ დადგმის ასლებურ მსატყრულ გადაწყვეტა ახალი სიტყვა იყო იმდროინდელ საბჭოთა დეკორაციულ ხელოვნებაში.

სცენაზე წარმოდგენილი ძველი იმერეთის ტიპიური სურათები. დაკრებული ბოძის ხიდი, წნული ორიღებები, ჭიშკარი და სხვა, რომლებიც განუწყვეტელ მოძრაობაში არიან და სცენის შუაში უმოძრაოდ დაკრებული სხვადასხვა ფერის ქსილეუდ განლაგებული სახლების მკვეტებით, იმერეთის მთიანი რელიეფის სრულ შთაბეჭდილებას ქმნიან.

ამ დეკორაციებში მსატყარი სატრულის, კომიკურის გამოვლენის დიდუნარსაც ავლენს. ნახევრად წიქრული საყდარი, იმერული ოდა, ჭიშკარი და ორბოზე გადაწყვეტილი თავაძიკუდაზიკობის გამომსატყველ ელემენტებად არის წარმოდგენილი. ასევე გადაწყვეტა და სცენის დინამიკა განპირობებს ს. კლიდაშვილის „შემოდგომის აზნაურების“ კომედიურ ხასიათს.

1949 წელს დ. თავაძემ რუსთაველის თეატრში გამოვრმა ი. მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები“, რომელიც მოგვიხიბობდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მიმე ხვედრულ, სახლვარგავთ ძველი ქართულკულტურის ძეგლების დაცვაზე. პიესის მრავალმოქმედებანია. მსატყრის წი

ნამე რთული ამოცანა დგას. საჭირო გახდა ცალკეული სცენების გაფორმება ისე, რომ დროის ნიშნები და მოქმედების ადგილი ისტორიული სიზუსტით ასახულიყო. დ. თავაძემ ბრწყინვალედ დაასძლია ეს ამოცანა. პირველ აქტში ვხედავთ ქართული იდის აივანს, მარჯვნივ განლაგებული იყო სამეურნეო იარაღები, მარცხნივ — ქართული ჩუქურთმებით შემკული ხის კარები, აივანზე — ქართული ვაზი. ამით მხატვარმა ხაზი გაუსვა, რომ სახლი ნამდვილ ქართულ მიწაზე იდგა.

საინტერესოა მეთხვე მოქმედების ფინალი. სცენაზეა ნახევრად დაწვერილი ეკლესიის აფსიდი, მის კონქში სასწაულით გადარჩენილი წმინდანთა ფრესკები და ქართული ჩუქურთმებით შემკული ნანგრევები, რაც მხატვარს ფერწერულ გამაში გადაუწყვეტია. კედლის ნაპრალოში მოჩანს ცის ლაფვარდი, რაც თავისუფლებისაკენ, სამშობლოსაკენ ადამიანთა მისწრაფების სიმბოლოს წარმოადგენს.

კომპოზიციის ცენტრში მოთავსებული იყო მიმე ქვის ჯვარი და საულავის ქვა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა იმ გულსტივილს ქართველების ბედზე, პიესაში რომ იყო გამოხატული.

მხატვარი არ ტვირთავს სცენას ზედმეტი დეტალებით, არჩევს მხოლოდ აუცილებელს, სწორად განსაზღვრავს ნაწარმოების ხასიათს, ეპოქის სულის და აღწევს სცენურ სიზარითებს.

1951 წელს ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვების“ დეკორაციული გაფორმებისათვის დიმიტრი თავაძეს

სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

შესამე პერიოდი დ. თავაძის შემოქმედებაში 1954 წლიდან მოყოლილი დღემდე გრძელდება. ამ პერიოდის დეკორაციულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხატვრის მაღალ ოსტატობას, გამოხატვის უშუალობას, ახალი სცენური საშუალებების, ახალი ტექნიკის ათვისებას.

ამ პერიოდში შექმნა დ. თავაძემ ჯ. ფლტერერის „ესპანელი მღვდელი“, ლ. ქიჩაილის „ტარიელ გოლუა“ და „გგადი ბიგვა“, მ. ბარათაშვილის „მარინე“ (იგი დაიდგა კიევის ლესია უკრაინკას სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში), ალ. აფხაიძის „არაგველები“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“, გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილები“, მ. ჯაფარიძის „ბელურა“, უ. შექშპირის „მაკბეტი“ (განუსოხიცილებელი დადგმა) და „მეთორმეტე დამე“, არზიანის „უკანასკნელი მასკარადი“, გ. მდივნის „შენი მამა მამა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და სხვ.

ჩამოთვლილი დადგმებიდან აღსანიშნავია ჯ. ფლტერერის „ესპანელი მღვდელი“ და პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“. მათში ნათლად ჩანს რეჟისორისა და მხატვრის შეთანხმებული მუშაობა. ყოველივე ზომიერად, მხატვრული ტაქტით და მაღალი ოსტატობით არის გაკეთებული. „ესპანელი მღვდლის“ დეკორაციები თავისი მასშტაბითა და კონსტრუქციული გადაწყვეტით გასაო-

ცარ შთაბეჭდილებას ახდენს; ცალკეული სცენები ისეა შეკრული, რომ ერთ მთლიან დანადგარს წარმოადგენს და არქიტექტურული ანსამბლის შთაბეჭდილებას სტოვებს. ქალაქის თეთრად შეფერილი შენობები, მოწითალო კრამიტი და ყვავილებით მორთული გარემო მივანინძნებს ესპანეთის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქზე, სადაც გათამამდება მხიარული სცენური ინტრიგები. კარგად მოფიქრებულმა დეკორაციებმა გამაძაფრეს პიესის კომედიური ხასიათი და ხელი შეუწყო მოქმედების ტემპსა და რიტმს.

პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“ მრავალსუბათიანია და წააგავს კონსცენარს. მხატვარმა სცენების ხშირი ცვლადობის უკეთ გამოყენების მიზნით გამოიყენა კინორეჟისორის მკურნებლად სამოქმედო მოედანი დარბაზს დაუკავშირა. მოედანი მრავალსაფეხურიანია და შედგება სამი ბაქანიისაგან. დეკორაციები გადაწყვეტილია შავ ფერში.

სცენის მოედანი ხან სასამართლოს დარბაზს წარმოადგენს, ხან ქალაქის გარეუბანს, ხან რკინიგზის სადგურის ბაქანს, ხან კი მათ ინტერიერებს. ყველაფერი ლაკონურია და კონსტრუქციული. სცენაზე არ არის არც ერთი ზედმეტი დეტალი.

დიმიტრი თავაძე საქართველოს მხატვართა კავშირის ერთ-ერთი მდივანი და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარია. თავისი შესანიშნავი შემოქმედებით მას ჭეშმარიტი წვლილი შეაქვს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.



საბავშვო თეატრის 50 წლისთავი

მიმდებარე ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა საბავშვო თეატრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ორმოცდაათი წლის წინათ ა. ლუნაჩარსკის ინიციატივით მოსკოვში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მოზარდ მყურებელთა თეატრი.

მაღე მოსკოვის მაგალითს მიბაძეს მოკავშირე რესპუბლიკების სხვა ქალაქებმაც. მიუხედავად თეატრალური კულტურის დიდი ტრადიციებისა საქართველოში, მოზარდ მყურებელთა თეატრის დაარსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1927 წელს თბილისში გაიხსნა ჯერ მოზარდ მყურებელთა რუსული, შემდეგ კი ქართული თეატრიც. თეატრებს ხელმძღვანელობდნენ ამ საქმის დიდი ენთუზიასტები ნ. მარშაკი და ა. თაყაიშვილი.

ახალი თეატრების ორგანიზატორებს უძნელდებოდათ მუშაობა — არ ჰქონდათ სპეციალური შენობა, არ ჰყავდათ პროფესიონალი მსახიობები, არ გააჩნდათ შესაფერისი რეპერტუარი, სასცენო ტექნიკა, სადადგომი თანხები. მაგრამ ყველაფერს სძლევდა თეატრის კოლექტივის ენთუზიაზმი, სასცენო ხელოვნებისა და მყურებლის სიყვარული.

მოზარდთა რუსულ და ქართულ თეატრებში ამჟამად თავმოყრილია მსახიობთა და რეჟისორთა ნიჭიერი ძალეები. იდგმება მაღალმხატვრული სპექტაკლები. ეს თეატრები ჩვენნი ნორჩი თაობის იდეური და ესთეტიკური ფორმირების მძლავრი კერაა.

ამას წინათ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიშართა საბჭოთა საბავშვო თეატრის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. დვალისვილიმა.

მოსვენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტამ.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაცემ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გამრეკელმა, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. ფოფხაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარემ ნ. ჩა-





საბავშვო თეატრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პრეზიდენტი.

ჩავამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტიმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, თბილისის სკოლების მოსწავლეებმა.

ი. გამრეკელმა სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები გადასცა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თ. ლენინაშვილს და მოზარდ მაყურებელთა რუსული

მაყურებელთა დარბაზში.



თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თ. აბაშიძეს. საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა რესპუბლიკის მოზარდ მაყურებელთა თეატრებისა და თოჯინების თეატრების შემოქმედებითი და ტექნიკური მუშაკების დიდი ჯგუფი.

რესპუბლიკის საბავშვო თეატრებში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა 17 მუშაკი, მათ შორის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. აგეშიძე, ე. აგალაროვა, ა. კირკიტაძე, მსახიობი ე. თოდუა და სხვები.

საღამოს მეორე განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახალხო მხატვრულმა თეიმთოქმედმა კოლექტივებმა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ნ. რომელაშვილმა, ი. ბერაძემ, ნ. ენუქიძემ, ნ. კავსაძემ, მ. მეტრეველმა, ნ. ცარციძემ, ქ. შანშიაშვილმა, ბ. მაისურაძემ ბავშვური მომხიბვლელობით და უშუალოებით შეასრულეს ვოკალური ნაწარმოებები (პედაგოგები საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ციციონ ციციშვილი და ალექსანდრა ჯანელიძე). კარგად შეასრულა ცეკვა „აჭარული“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა (ქორეოგრაფი რ. ჭოხონელიძე). საღამოს საერთო მხატვრული ხელმძღვანელი იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნოდარ ჩხეიძე.

ნორჩმა ტალანტებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს.



ქართული წიგნის მეგობარი

კონა მიქაძე

მრავალწლოვანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუჯდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემა. გარდა ძირითადი პროფილისა — გამომცემლობები და პოლიგრაფია — მასში შედის აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, ეპტრობის („საქუიანი“), მშენებლობის, მომარაგება-გასაღების, ტრანსპორტის, კულტურის და სხვა დარგები.

კომიტეტს უშუალოდ ექვემდებარება 14 სამეურნეო ორგანიზაცია. იგი ხელმძღვანელობს მთავარპოლიგრაფიკულ-ვის სისტემის 85 პოლიგრაფიულ საწარმოს, „საქუიანის“ 206 სავაჭრო ორგანიზაციას, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში არსებულ სტამბასა და რაიონული გაზეთის რედაქციებს, სულ 400-ზე მეტ საწარმოსა და ორგანიზაციას. ეს მშრალი ციფრებიც კი ნათლად მეტყველებენ ბუჯდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაობის სირთულეზე და მის დიდ მნიშვნელობაზე ქართული ბუჯდვითი სიტყვის საქმეში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განყოფილებას წარმოადგენს საეკემო-საფინანსო განყოფილება. აი სწორედ ამ განყოფილების მუშაობაზე, მის უფროსზე, იყენებო ზოსიმეს ძე აბზიანიძეზე გვინდა ვიამბოთ.

წლოვანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდა არ არის, ვერც მოხუცს ვუწოდებთ, რადგან გული ახალგაზრდული ენერგიით უცემს და ყოველ ახალ წამოწყებას, ყოველ ახალ დავალებას ახალგაზრდული შემართებითა და პასუხისმგებლობით ეცილება.

ჭაბუკობის წლები მან ქუთაისში გაატარა. სწავლობდა

ქუთაისის ყოფილ სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში რომლის დირექტორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გამორჩენილი პედაგოგი იოსებ ოცხელი, სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობდა ასევე ცნობილი მოღვაწე და მწერალი სილოვან ხუნდაძე. აქ, ამ გიმნაზიაში, ისწავლა და შეიყვარა ჭაბუკმა მშობლიური ენა და ლიტერატურა, ქართული ხელოვნება.

1918-23 წლები ბობოქარი წლები იყო საქართველოსათვის. ქუთაისის ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ჩაბმული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსებისათვის გაართლებულ ბრძოლაში, ეწაფებოდა მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას. ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, ქართველ და რუს მწერალთა ნაწარმოებების გმირთა ლიტერატურული გასამართლებები, საჯარო დისკუსიები.


ა. აბზიანიძე სამრეწველო ეკონომიურ ტექნიკუმში სწავლის პერიოდში აქტიური წევრი იყო სასწავლებელში არსებული ლიტერატურული წრისა, რომელიც სხვა ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად მხატვრულად გაფორმებულ ხელნაწერ ჟურნალს „ლამპარს“ უშვებდა. მისი რედაქტორი იყო ა. აბზიანიძე. ჟურნალი მკითხველთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობდა. ა. აბზიანიძე რედაქტორობდა აგრეთვე მეორე ხელნაწერ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალსაც „მზე“. ამ ჟურნალებში ქვეყნდებოდა ა. აბზიანიძის ლექსები და მოთხრობები. ახლაც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, იგი საითუად ინახავს ამ ჟურნალების შემორჩენილ ეგზემპლარებს, როგორც საწვკვარ რელიკვიას.

1923-27 წლებში ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი თეატრალური ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ ქართული სცენის ცნობილი მსახიობები: იუზა ზარდალიშვილი, ვალერიან გუნია, ანდრო მურუსიძე, მიხეილ გელოვანი, შალვა ხონელი, თინა ღვინიაშვილი, დუდე ძნელაძე, ჭიჭიკო აბაგელია და სხვ. ქუთაისის სცენაზე იდგმოდა პიესები: „სამშობლო“, „პარიზის ღარიბ-ღატაკი“, „ორი თბოლი“, „ჩაბრული ზარი“, „უკვდავება“, „დამხრალი წალოტი“, „შეივალ აოსტა“, „ოტელი“, „მეფე ლირი“, „სამეფაროს მთავარი ლევანი“, „და-ძმა“ და სხვ.

ა. აბზიანიძე ქართული თეატრის, ქართველი მსახიობების დიდი მოტრფიალე და თავყენისმცემელი იყო. ის და მისი ამხანაგები დაზოგილი გაპიკებით ყიდულობდნენ ბიულეთებს და ქანდარავს მღვანნი, თვალანთებულნი, მჭეხარე ტაშით აჯილდოებდნენ საყვარელ მსახიობებს, ცხოვრობდნენ მათი გმირების ცხოვრებით და ცდილობდნენ სცენაზე ნახაზი საყვარელი გმირებისთვის მიემატათ ცხოვრებაში.

1928 წელს ა. აბზიანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ამავე დროს მუშაობდა დაიწყო ამიერკავკასიის რადიოცენტრში დირექტორად. იგი ხშირად ხვდებოდა და ეცნობოდა გამოჩენილ მსახიობებსა თუ მწერლებს, რომლებიც იწვიათი და სასურველი სტუმრები იყვნენ ხოლმე ამიერკავკასიის რადიოცენტრისა.

ივენგო აბზიანიძე.



აქ ეკენო ა. აბზიანიძე დიდ ხელგონათ — სანდრო ინა-შვილს, ლეონ ისეკიას, ნიკო ქუმსიაშვილს, დავით ბადრიძეს, ვკატერინე სოხაძეს, დიმიტრი მჭედლიძეს, სერგო გოცირიძესა და სხვებს.

ამიერკავკასიის რადიოცენტრში ბოჭიას თვეში ერთი ან ორი საათი ეთმობოდა. პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარული ჭაბუკი მღელვარებით ელოდა იმ დღეს, როცა კვლავ შეზღუდვებოდა და მოგრძალებით ესაუბრებოდა თავის საყვარელ პოეტებს გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილს, ს. აბაშელსა და სხვებს.

რადიოცენტრში ა. აბზიანიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა აღმრიცხავ-ინფორმატორად, რადიოგაზეთის მასობრივი მუშაობის განყოფილების მდივანად, მიმოიხილავედა იშრომელთა წერილებს, შემდეგ კი რედაქცია სათანადოდ იყენებდა მას თავის გადაცემებში. იყო რეპორტიორ-ორესპონდენტიც — აკეთებდა რეპორტაჟებს რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებზე.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ა. აბზიანიძემ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო სუბტროპიკულ მეურნეობათა საკავშირო ინსტიტუტთან, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ასპირანტურა დაიხურა.

1934 წლიდან ა. აბზიანიძემ სარეწაო საბჭოს ერთ-ერთ საწარმოო კავშირში მგეგმავე-ეკონომისტად დაიწყო მუშაობა. შემდეგ კი დაინიშნა ამავე დაწესებულების საეკგემო-სააღრიცხვო სექტორის გამგედ.

დღი სამამულო ომის დროს ა. აბზიანიძე, როგორც საეკგემო-სააღრიცხვო სექტორის გამგე, ყოველდღიურ კავშირში იყო ამიერკავკასიის ფრონტის საინტენდანტო სამმართველოსთან, რომელიც ფრონტს ამარაგებდა.

სპეციალური დაკვეთების წარმატებით შესრულებისათ-

ვის ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ 1942 წელს საწარმოო კავშირის ხელმძღვანელ მუშაკებს, მათ შორის ა. აბზიანიძეს, გამოუცხადა „საბრძოლო მადლობა“, ომის დამთავრების შემდეგ კი ა. აბზიანიძე დაჯილდოვდა მედლით „სამამულო ომის პერიოდში მამაცური შრომისათვის“.

1943 წელს ა. აბზიანიძე გადაიყვანეს საქართველოს სარეწაო-კოოპერაციის რესპუბლიკურ საბჭოში, შემდეგ კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციის სამმართველოში, ჯერ საეკგემო-ეკონომიურ, შემდეგ კი საეკგემო-საფინანსო განყოფილების უფროსად. არჩეული იყო რესპუბლიკური საბჭოს პლენუმის წევრად და კოოპერაციის უმაღლესი ორგანოს, გამგეობის წევრად. ამ სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ზემდგომი ორგანოების მიერ ა. აბზიანიძე დაჯილდოებულია „საქართველოს სსრ საწარმოო კოოპერაციის წარჩინებულის ნიშნით“ და მრავალი სიკვლით.

მინისტრთა საბჭოს საეკგემო კომისიაში მუშაობისას, გარდა ოპერატიული საეკგემო საქმიანობისა, ა. აბზიანიძემ მოამზადა ვრცელი ნარკვევი „საქართველოს სსრ შრომითი რესურსების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, რომელიც მოიწონეს საკავშირო ორგანოებმა და ერთ-ერთ ნაწილად შევიდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსურ გეგმაში.

სხვადასხვა დროს ა. აბზიანიძე საეკგემო-საწარმოო განყოფილებისა და საეკგემო-საფინანსო სამმართველოს უფროსად მუშაობდა გეოლოგიურ-საძიებო რესპუბლიკურ კანტორაში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოში (შრომისა და

(დასასრული 74-ე გვერდზე).




ნანა რომელაშვილი.

საკანკაო
თეატრის
ორგანიზაციის
წლისთავი

ცეკვა «პატრული» ბიონერთა სსახლის ქორეოგრაფული ჯგუფის შესრულებით.



მარცხნიდან — ნ. რომელაშვილი, ნ. ცა-
რციქე, მ. მეტრეველი, ნ. კავსაძე, ი. ბე-
რაძე.



ბადრი მაისურაძე



ხელფასის დაგეგმვის განყოფილების უფროსად). ყველგან, სადაც კი ის მუშაობდა, გამოირჩეოდა საქმის ცოდნითა და სიყვარულით. ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას.

1964 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუჯდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი. კომიტეტის მამონდელი თავმჯდომარე მამია მეგრელიშვილი გულდასმით არჩევდა შესაფერ კანდიდატურას საგვემო-საფინანსო განყოფილების უფროსის თანამდებობისათვის. და მან სწორედ ა. აბზიანიძეს შესთავაზა ეს თანამდებობა 1965 წელს.

და აი, ა. აბზიანიძე ქართული ლიტერატურის, ქართული ბუჯდვითი სიტყვის საქმეს ერთგულად ემსახურება. მართალია, მის გვარს ვერც ჟურნალზე და ვერც წიგნზე ნახავთ, მაგრამ მათი გამოცემის საქმეში უთუოდ აბზიანიძესაც მიუძღვის თავისი წვლილი, მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებაში ტარდება დიდმნიშვნელოვანი სამუშაო ათასობით სხვადასხვა დასახელების წიგნის გამოშვების მატერიალურ-საფინანსო ბაზის უზრუნველსაყოფად. იგეგმება ცალკეულ გამოცემლობათა წლიური და კვარტალური საწარმოო საფინანსო პროგრამები მოცულობის (თანხებში), ტირაჟისა და სასტამბო ანაბეჭდ ფურცელთა რაოდენობის მიხედვით.

განყოფილება ანალიზს უკეთებს ცალკეულ გამოცემლობათა მიერ წიგნებზე დაწესებული ნომინალის სისწორეს. კომიტეტი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ყოველწლიურად უწესებს სარედაქციო-საწარმოო სამტატო პერსონალს, ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. განყოფილება ყოველკვარტალურად იხილავს სახალხო მეურნეობის გეგმით დაწესებულ დავალებათა შესრულების ანგარიშებს და სახავს ქმედით კონკრეტულ ღონისძიებებს ბუჯდვითი სიტყვის კომიტეტის სისტემის მიერ წლიური, თემატური, საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულებისათვის. ა. აბზიანიძე არჩეულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუჯდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრად.

1967 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ა. აბზიანიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის წოდება.

დღეს იშვიათად თუ ნახავთ ოჯახს, სადაც წიგნს საპატიო კუთხე არ ჰქონდეს მიჩენილი. ა. აბზიანიძის სახლში კი გაგოცნებთ წიგნების სიუხვე და მრავალფეროვნება, მათ შორის მრავალ უნიკალურ წიგნს ნახავთ, ბევრია ავტორის ან გამოცემლობის საჩუქარი.

ა. აბზიანიძე სიამაყით დაგათვალისწინებთ ავტორგაფიან წიგნებს, გაგიოხარებთ თავის შთაბეჭდილებას წიგნების ავტორზე, კარგ ლექსს წეპირადაც გეტყვით, შემდეგ თქვენს აზრსაც სიამოვნებით მოისმენს მათზე.

ასეთია აივნეტო აბზიანიძე — ერთი მრავალთაგანი, უჩინარი მსახური ქართული წიგნის, ქართული ბუჯდვითი სიტყვისა.

სელოვნების

უკველესი ხანის


გაიოზ ჯავახიშვილი

საქართველო რომ უძველესი კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერათაგანია, მტკიცდება, უპირველესად ყოველივესა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის მეცნიერული შესწავლით. საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩენილია, რომელთა დიდი ნაწილის მეცნიერული კვლევა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. უძველესი ხანის, კერძოდ, ნეოლით-ენეოლითური კულტურის შესწავლა ყვების განსაკუთრებაში მიმდინარეობს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. უძველეს ნამოსახლარებსა და სადგომებში მოპოვებულია მრავალრიცხოვანი საინტერესო მასალა, რომელთაგან ზოგი შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ უძველესი ხანის ერთ-ერთ საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უნიკალურ ძეგლზე, რომელსაც 1958 წელს მიაკვლია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ დავით თუშაბანიშვილის ხელმძღვანელობით ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდის ტერიტორიაზე. ეს გახლავთ ნეოლით-ენეოლითური ხანის გამოკვაბული-სადგომი, რომელიც მდებარეობს მდინარე ჯრუჭულას ხეობაში, მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან დაახლოებით 70 მეტრის სიმაღლეზე.

ნიმუხები

გამოქვაბულიდან



გამოქვაბულში მელიების უამრავი სროთა, ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს მისთვის „სამელე კლდე“ წეურქვედათ. ჭიათურის რაიონი, საერთოდ, მდიდარია კარსტული წარმოშობის გამოქვაბულებით, სადაც დადგენილია პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების უტყუარი ნიშნები. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ძველი ქვის ხანის იარაღები: წვეტანები, საჭრისები, საფხეკები, დანები და სხვ.

„სამელე კლდე“ წარმოადგენს უფრო მოგვიანო ხანის ძეგლს, სადაც უკვე ჩასახული იყო წარმოებითი მეურნეობა. როგორც კაქის, ისე ძვლის, რქის და ქვის იარაღებს აქეთ უფრო დახვეწილი და სრულყოფილი სახე. ასე მაგალითად, ქვის გახეხილ-გაპრიალებული სათოღისებური და სატეხისებური იარაღების დამუშავების ტექნიკა იმდენად მაღალ დონეზე დგას, რომ დღესაც განცვიფრებას იწვევს.

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო დანიშნულების ინვენტართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თიხის კვირისტაგები, რომლებიც დაკავშირებული უნდა იყოს სელის კულტურის ჩასახვა-განვითარებასთან, მაგრამ აშეჯრად ჩვენ მათ ვიზილათ როგორც ხელოვნების ნიმუშებს.

„სამელე კლდის“ ზედა ჰორიზონტებში, 1,30-3,10 მეტრის სიღრმეზე ოცდაათამდე კვირისტაგია ნაპოვნი; თიხა გამოშვარია. ფორმებით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან თანამედროვე კვირისტაგებისაგან. მათი უმრავლესობა

შემკულია სხვადასხვა ორნამენტით; ზოგ მათგანზე დატანებულია სხვის მსგავსად განლაგებული წიწვოვანი და წერტილოვანი ჭდეები, ხოლო ზოგიერთზე — ზომიორფული და ასტრალური გამოსახულების მსგავსი ორნამენტი. როგორც ჩანს, ენეოლითური ადამიანი კვირისტაგების დამზადებისას ზრუნავდა მის არამარტო პრაქტიკულ დანიშნულებაზე, არამედ ესთეტიკურ მხარესაც აქცევდა ყურადღებას და ფანტაზიის მიხედვით მათ სხვადასხვა ორნამენტით ამკობდა. აღმოჩენილი კვირისტაგები მიეკუთვნება ენეოლითურ ხანას და თარიღდება ძვ. წულთარისქვის IV ათასწლეულით.

კვირისტაგების ასეთ სიმრავლეს და, რაც მთავარია, ორნამენტაციის ნაირსახეობას არ ვხვდებით დღევანდის ცნობილ ამ პერიოდის არამარტო საქართველოს ძველებში, არამედ, საერთოდ, ამიერკავკასიის ძველებშიც.

ხელოვნების ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე იმავე გამოქვაბულში აღმოჩენილი ცხოველის ძვლისგან ნაკეთები იარაღები: სადგისები, მახათები და საპრიალებლები, რომლებსაც, სავარაუდოა, სმარობდნენ თიხის ტურტლის ზედაპირის გასაპრიალებლად და პირის მოსაკეთებლად.



ქეთინო შოშიაშვილი. ცეკვა თოჯინათი.



ცეკვა „აქარული“.

საგაგაშვი
თეატრის
ორგანიზაციის
წლისთავი



ნუგზარ ენუქიძე.

ცეცხლზე «პარული».





საქართველოს
წიგნების კავშირი

სოხუმის
თეატრში

ღ ი რ ს ე უ ლ ი

გ ზ ა

ლერი ალიმონაკი

ნიკოლოზ მიქაშავიძე ჯერ კიდევ ბავშვი ეზიარა სამსახიობო ხელოვნებას და აი, თითქმის თორმეულახუთი წელია მშობლიურ თეატრს ემსახურება. ამ ხნის მანძილზე მსახიობმა ქუთაისისა და თბილისის, ველისციხისა და სოხუმის თეატრების სცენაზე ორასამდე როლი განასახიერა და საინტერესო სახეები შექმნა.

ნიკოლოზ მიქაშავიძე დაიბადა 1909 წლის 15 სექტემბერს ქუთაისში. იგი ადრე დაობლდა და საცხეებით პატარას მოუხდა ცხოვრების ჭაპანის ზიდვა. მეოთხე კლასიდან გამოსული ბავშვი მოჯამაგირედ უდგებდა კერძო მწარმოებელს ქუთაისში, ხოლო შემდეგ აბრეშუმის პარკას-

რობ ფარდულში და მოწამეთას კირის ქარხანაში მუშაობს მუშად. ერთხანს მჭედელთანაც კი უმუშავანია შეგირდად. შენი შრომითი სტაჟი დაბადების დღიდან უნდა ითვლებოდესო, — ეხუმრებიან ნიკოს მეგობრები.

პატარა იყო ნიკო, როცა თეატრმა გაიტაცა. ეუბებისა და აიგნების „მსახიობი“ ხშირად შეპარულა ქუთაისის თეატრში და გამოჩენილ მსახიობთა — იუზა ზარდალიშვილის, ნუცა ჩხეიძის, ალ. იმედაშვილისა და სხვათა ბრწყინვალე თამაშით აღტაცებულს დაშვები თეთრად უთენებია. ხოლო მას შემდეგ, როცა ნიკო კომკავშირის რიგებში მიიღეს და ქუ-

თაისის ერთწლიანი პარტიული სკოლა დამთავრა, იგი მშენებელთა კლუბის დრამატული წრის აქტიურ წევრი ხდება. ამ კლუბიდან ნიკო „ნამდვილ“ თეატრში მიიყვანა მისმა ახლობელმა, ახალგაზრდა დრამატურგმა მიხეილ გოგიაშვილმა. ეს გახლდათ 1924 წელი. ნ. მიქაშავიძემ გოგიაშვილის პიესაში „იმერიადა“ მიიღო სცენური ნათლობა, სადაც მან წყლის გამყიდველი ბიჭის ეპიზოდური როლი განასახიერა. იმ დღის შემდეგ ნიკო სცენას აღარ მოშორებია.

1928 წელს ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის დახმარებით, დაარსდა სატირის თეატრი „წითელი ეშმაკუნები“. ნ. მიქაშავიძე ამ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი გახდა. სამწუხაროდ, თეატრმა დიდხანს ვერ იარსება და თბილისში გასტროლების დამთავრებისთანავე დაიშალა. უმუშევრად დარჩენილ მსახიობს ბედმა გაუღიმა; სწორედ იმ ხანებში წარმოებდა ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის მოზარდ მაცურებელთა თეატრის დასის ახალი ძალებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებით, შეესება. მსახიობ გიორგი დარისპანაშვილის რეკომენდაციით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე თაყაიშვილმა ნ. მიქაშავიძე ყოველგვარი გამოცდის გარეშე ჩარიცხა დასში. პირველად ამ თეატრის სცენაზე ნიკო მიქაშავიძემ განახორციელა მეზღვაურის ეპიზოდური როლი ოგნევის „პაიკაბაში“. ჩინელი ოფიცირის დასამასოფრებელი იერსხე შექმნა მან პიესაში „მორეული გზით“, საინტერესო იყო მისი მთავარი „პაცანა“ შალვა დადიანის „პოთე კუსპარაში“. მსახიობს ეს როლი კარგად გამოუვიდა და მოკლე ხანში დასში ნიჭიერი აქტიორის სახელი მოიპოვა. მის მიერ შექმნილი იერსახეები ახალგაზრდა მაცურებელში მოწონებით სარგებლობდა.

ნ. მიქაშავიძეს მოკლე ხნით ველისციხის თეატრში მოუხდა მუშაობა, სადაც იგი თითქმის ყველა სექტაკლში მთავარი როლს ასრულებდა. აღსანიშნავია ამ თეატრის სცენაზე მის მიერ განასახიერებული აპრაკუნე

ჭიმში იმეღი იონა ვაკელის ამავე სახელწოდების პიესაში. ნიკო მიქაშა-ვიძეს აპრაკუნეს ისეთი შთამბეჭდავი სახე შეუქმნია, რომ ადგილობრივმა მაყურებელმა მას ცხოვრებაშიც კი „აპრაკუნე“ შეარქვეს.

1934 წელს ნ. მიქაშავიძე კვლავ თავის მშობლიურ თეატრს უბრუნდება; ხოლო 1936 წლის 10 ავისტოს საქართველოს ალკე თბილისის კომიტეტის დადგენილებით ამზანაგებთან ერთად შემოქმედებით მივლინებული ჯაფარიანი მოსკოვსა და ლენინგრადში, საიდანაც იგი მდიდარი შთაბეჭდილებით ბრუნდება.

ამავე პერიოდში თეატრმა განახორციელა გუგა ნახუცრიშვილის პიესა „ეცეცის ხაზუხე“, რომელიც საქართველოში კომკავშირის არსებობის ოცი წლისთავს მიეძღვნა. პიესაში ასახულია ახალგაზრდობის გმირობილი ბრძოლა საქართველოში მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. აღნიშნული ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგან ბორის ძნელაძე, რომლის გაბედული, უშიშარი და გმირული ხასიათი შესანიშნავად გამოიჭრება ნ. მიქაშავიძემ. მას ამ სახის სწორად გასახსნი დაქსნარწნი თბილისში მცხოვრები ბორისის ახლობლები, რომლებთანაც მსახიობს როლის დამუშავების პერიოდში ურთიერთობა ჰქონდა. აი რას წერდა შ. ბუაჩიძე ნიკო მიქაშავიძის მიერ განსახიერებულ ამ როლზე: „...ბორის ძნელაძის უდაოდ საინტერესო სახე შექმნა ნ. მიქაშავიძემ. ამ მსახიობში უშთაურესად დასადასებელია მისი გულწრფელობა, უბრალოება. ნ. მიქაშავიძე თამაშობს ძალდაუტანებლად და ალაგ-ალაგ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს“ (გაზ. „კომუნისტი“, 21.XI. 1938 წ.).

ამავე სეზონში ნ. მიქაშავიძეს წარმატებით შეუსრულებია კეცხოველის როლი გ. ნახუცრიშვილის კე. ბ. გამრეკლის პიესაში „ლაღო კეცხოველი“. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობმა შესანიშნავი რეჟისორის ალ. თაკაყვილის ხელმძღვანელობით მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე ბევრი საინტერესო სა-

ხე შექმნა. მაყურებელთა სიყვარულსა და სიმათათის იმსახურებდა გულწრფელი, დამაჯერებელი და უშუალო საშემსრულებლო ისტატობით; იგი მიმზიდველი ფერებით ხატავდა თავის გირჩებს; თავისებურად ხორცის ასხამდა, სულს შთაბრავდა განსასახიერებელ პერსონაჟს.

1939 წლიდან ნ. მიქაშავიძე სოსუმის დრამატულ თეატრში გადადის სამუშაოდ. აქ განასახიერა მან გიგი ჩოლოყაშვილის როლი აკ. წერეთლის „პატარა კახში“. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო საკმაოდ ახალგაზრდა იყო, მან როლი საუკეთესოდ დასძლია და რეჟისურის ქებაც დაიმსახურა. გახუთ „სოვეტსკაია ახსნა-სი“ (№ 256, 2.XI, 1940 წ.) მ. თავკელიშვილი წერდა: „დინჯ, კეთილშობილ, გაზრდილის მოსიყვარულე და უმწიგნლო პატრიოტის — პატარა კახის გამზრდილის, გიგი ჩოლოყაშვილის როლს ასრულებდა ნ. მიქაშავიძე. მან შესძლო შესაფერი ტონების განმოკენა და ჩამოაყალიბა ამ პერსონაჟის მიმზიდველი სახე. როდესაც ის ამბობდა მონოლოგს: „გადგლობთ ღმერთო, რომ ამას შემსაწარა, ამას ელვად მოხუცი გივი“ და სხვა, მაყურებელს მსახიობის გულწრფელობის სჯეროდა“.

ნიკო მიქაშავიძის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს მის მიერ ანანიას უღერებად რთული და საპასუხისმგებლო როლის განსახიერება ალ. სუმბათაშვილის „დალაგში“, რომელიც რეჟისორმა სერგო ჭელიძემ საამილო ომის პერიოდში დადგა. ჯერ კიდევ მოუწიფებელი მსახიობისთვის ამ როლის დაკისრება სახიფათო იყო, მაგრამ მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს როლი ნ. მიქაშავიძემ ძირითადად დასძლია და მაყურებელს მოწონებაც დაიმსახურა. „ახალგაზრდა მსახიობმა ნ. მიქაშავიძემ თავისი ზრდა გვიჩვენა ანანიას მიმწინეოროლის როლის შესრულებაში“ — წერდა ი. ხინჯელი გახუთ „სახბოთა აფხაზეთში“ (4.IV 1943 წ.).

სოსუმის თეატრის სცენაზე ნიკო მიქაშავიძემ წარმატებით განასახიერა დათიელას როლი შალვა დადიანის პიესაში, ნაპერწკლიდან“ და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა თავსებდებული დამცველის, პატრიოტის მასწავლებლის — ბეჟანის მიმზიდველი სახე ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვეში“. ი. მოსაშვილმა, რომელიც პრემიერას დაესწრო, საჯაროდ განაცხადა, რომ მსახიობს ნ. მიქაშავიძის მიერ ბეჟანის როლის შესრულებას ახასიათებდა გულწრფელობა და უბრალოება, რომ ყოველი მისი სიტყვა მაყურებლის გულს ესალმუნება და სათანადო ემოციებს იწვევს. ამავე ავტორის პიესაში, „მისი ვარსკვლავი“ ნიკო მიქაშავიძემ შექმნა მოხუცი მწყემსის, იასე უსტიაშვილის შთამბეჭდავი სახე, რომელიც ერთ-ერთ უსაყვარეს როლს წარმოადგენს მსახიობისთვის. თეატრმცოდნე ალ. ბურთიაშვილი ამ როლის შესახებ წერდა: „მეტად გულწრფელად ასრულებს მენერდობის მწყემსის იასე უსტიაშვილის როლს მსახიობი ნ. მიქაშავიძე. ის ნაღვლებად გაჰყოლია ძველთაძველ დაკანონებულ ერთგვარ შტამებს, როცა ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა როლების განსახიერებისას მსახიობები ზედმეტად ხაზს უსვამენ, აყალიბებენ ამ კუთხის მცხოვრებთა მტკიცელების თავისებურებას“ (გაზ. „კომუნისტი“, 5.I, 1951 წ.).

ძნელია ყველა იმ როლის განხილვა, რომლებიც ნიკო მიქაშავიძეს განუხორციელებია სოსუმის თეატრში, მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ: პროფესორი კარელ კრატოვი (სობოკოს „ასი მილიონი“), ბელზად უსტა (ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“), სიტკომი (მის. მრეგელოშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“), რუსთა ელჩი (ი. მოსაშვილის „გზა მომავლისა“), ქსანტე (ფიგეირედოს „მელია და ყურძენი“), გელა (აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“), მედოესკი (დარასელის „კოკიცი“), მეფე (მ. ჯაფარიძის „ლაშქარი“) და მრავალი სხვა.



„მისი ვარსკვლავი“. ისე — ნ. მიქაშვიდი.

მისი დეაწლი ქართული თეატრის წინაშე ღირსეულად დაფასდა: 1954 წელს ნიკო მიქაშვიდეს მიენიჭა აფხაზეთის სახალხო არტისტის, ხოლო 1961 წელს კი — საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებანი. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ნიკოლოზ მიქაშვიდი, შესანიშნავი კურნალისტიც არის. მისი მოღვაწეობა ამ დარგში მაშინ დაიწყო, როდესაც იგი პიონერულ ორგანიზაციაში ერთ-ერთი კვლის გაზეთის რედაქტორი და აქტიური თანამშრომელი გახდა. შემდეგ იგი იყო გაზეთ „მუშას“ მუდმივი კორესპონდენტი, მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა „კომუნისტში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „მოჯამაგირის მხაში“, „კოლექტივიზაციაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემაში. მის კალამს ეკუთვნის ათობით სტატია და რეცენზია სათეატრო ხელოვნებაზე, თეატრის ისტორიაზე, ცალკეულ დადგმებზე. საქართველოს სხვადასხვა გაზეთში ხშირად შეხვედებით აგრეთვე ნ. მიქაშვიდის საინტერესო წერილებს სპორტზე, ტურისტულ ლაშქრობაზე, რომლის უშუალო მონაწილე და, ხშირად, ხელმძღვანელიც თვითონ არის. მის კალამს ეკუთვნის მეტად საინტერესო გამოკვლევა: „პლასტუნკელი ქართველები“, რომელიც შეეხება ადღერის რაიონის ქართულ სოფელს პლასტუნკას და მის მცხოვრებლებს. პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნ. მიქაშვიდი 1957 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ნ. მიქაშვიდი დღეს სოხუმის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია და ისევ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. ვუსურვოთ დეაწლმოსილ მსახიობს კვლავ ახალი როლებით გაეხარებინოს მაყურებელი, კვლავაც ახალგაზრდული ენთუზიაზმით ემოდგაწეოს საზოგადოებრივ სარბიელზე.



„ჩაბირული ქვები“. ბეჯანი — ნ. მიქაშვიდი.

ს ა ს ე ლ ო ვ ა ნ ი დ რ ა მ ა ტ უ რ ბ ი

ელენე შაფათავა

„მე უშიშესი ცხოვრების
ეკლის შთა გადავიარე;
ვშველოდი გზის გაგნებაში,
გულმართალ აღამიანებს,
ვიცან სოფლის ცვალებადობა
და სიბრძნე გავიზიარე,
ხმა იღუშალი შესმოდა —
„სულ წინ ისწრაფე, იარე!“

ეს თითქმის ავტობიოგრაფიული სტრიქონები ეკუთვნის
ჩვენს გამოჩენილ პოეტსა და დრამატურგს სანდრო შანში-
აშვილს — მწერალს, რომელიც ყოველთვის გულმართალ
აღამიანებთან იყო და არის; მწერალს, რომელიც თავისი
პატიოსანი კალმით არა მარტო დაუღალავად ემსახურე-

ბოდა ხალხს, არამედ მასთან ერთად ქმნიდა კიდევ ახალ
ცხოვრებას.

„ჩემი ჩონგური ღრმად შეეთვისა
ხალხის სიხარულს და მწუხარებას...
ვმღერი რაინდულს, შორს ჩვენგან მხდალი!
ბრძოლის ველზედაც გავალ თუნდ მარტო,
ოღონდ სხვას მივცე მე მომავალი
და ცხოვრებაში გზა წარუგმართო.“

სანდრო შანშიაშვილი ჭაბუკობიდანვე პირდაპირი და
მართალი იყო. სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას იგი
ისე ჯიქურ ამჟღავნებდა ათეისტურ განწყობას, რომ მე-
ოჯე კლასამდე ძლივს მიაღწია. სამაგიეროდ, დიდი მონ-

დომებით სწავლობდა სამხატვრო სკოლაში ცნობილ ოსტატ სიკარ შმერლინის ხელმძღვანელობით და განსაკუთრებით კარნატურაში იჩენდა ნიჭს. მაგრამ ერთი წლის თავზე უსასრულოდ გამო სანდრო იძულებული გახდა შეეწყვიტა მეცადინეობა. შემდეგ იგი მიიპარეს ქართულ გიმნაზიაში, სადაც სიცხალი გონების ყმაწვილი ხარბად დაეწევა ცოდნას. სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა წარუშლელი გავლენა იქონიეს მართალი გულის ჭაბუკზე და ახალი, უჩვეულო გზები დაუსახეს.

ჩვიდმეტი წლისა იყო სანდრო, როდესაც რუსეთში ჩაგრულთა რისხვა მძვინვარებდა და მიუღს იმპერიაში 1905 წლის რევოლუციური კოცონი დაინთო. შავი ღრუბელივით დააწვა ქვეყანას რეაქცია, მსოფლიო ომი, მენშევიკების ბატონობა; თუკანტების თარეში და შრომელთა აჯანყებებით ერთმანეთს ცვლიდნენ, ვიდრე საკრთველოში საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარდა. შემდეგ კი დაიწყო ძველის ნგრევა და ახლის შენება...

სანდრო შანშიაშვილის პირადი ცხოვრება არც თუ უხვია სათავგადასავლო ფაქტებით. სამაგიეროდ, ისევე მდიდარია და მწვითარე მისი ლიტერატურული გზა, როგორი გრანდიოზული და ქართველობით აღსასყევია მისი დროი. სანდრო, როგორც მოქალაქე და მწერალი, მუდამ აქტიურად იდგა ცხოვრების მოვლენათა ცენტრში და თანდათანობით ყოველ მნიშვნელოვან საკითხს ესმარებოდა. სწორედ ეს არის მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი.

1905 წელს გიმნაზიელი სანდრო შანშიაშვილი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. საბრძოლო ლექსებისათვის იგი დაპატიმრეს, სამართალში მისცეს და სამი თვით მეტტებში გააბოგვეს. მაგრამ რეპრესიას არ შეუშინდა და მისი მომდევნო ლექსი კვლავ მოწოდებდა გაისმა:

„ამებო, ხმაღს ხელი და ტყვია თოფში!
დილაზე გაავალთ გადაწყვეტ ომში“.

რეაქციის მიმე წლებში პოეტს ასე მიმართავს ხალხს:

„ცეცხლსა და მახვილს
ხელში გაძლევ სისხლს დაფერილს,
იყავ სასტიკი, გზას შეუღდექ ეკლით დაფენილს,
თავის განწირვის
გრძნობა ერთგულთ ვავიზიარებ,
გასრისე შენი
მოძულე და — გადაიარე!
შენ შემოგზაბო,
როს ხარ მტყიცე და სულით ურნი.
მუდამ შენ ვიძღვრე,
შენთვის ბრძოლას თუ გადაეურჩის“

1908 წელს გამოდის შანშიაშვილის ლექსების პირველი კრებული „ბატი სევდისა“. 1909 წელს იგი აქვეყნებს მოთხრობას და მისსავე საფუძველზე ქმნის ერთმოქმედებიან პიესას „ლეო ლანდია“, რომელიც ამხელს ფუჭ, მოცნებე ინტელიგენტებს. შემდეგ ჟურნალ „ერში“, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი რედაქტორობდა, იბეჭდება შანშიაშვილის დრამატული პოემები: „ბედი მგოსნისა“ — შთაგინებული ნიკოლოზ ბარათაშვილის გენით და „შოთა“,

რომელიც პოეტმა რუსთაველის შესახებ არსებული ლეგენდის მიხედვით შექმნა. ამ პიესის საფუძველზე 1911 წელს შანშიაშვილი წერს ლირიკოს დიმიტრი არაყიშვილის ოპერისათვის „თქველზე შოთა რუსთაველი“.

შანშიაშვილის პოპულარობა თანდათან იზრდება. საზოგადოებრივად ინტერესით უღის მის ყოველ ახალ ნაწარმებს, ხოლო კრიტიკა, განსაკუთრებით კი კიტა ანატოლი ქევის სტირითვის უძღვინის მას. დიდიძე იწობს და იხვეწება მწერლის შემოქმედება. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეაქციის წლებში გამოფეხულმა დაბნელობამ და გულგატეხილობამ ერთგვარად მაიქც ირინა თავ შანშიაშვილის შემოქმედებაში. სასოწარკვეთა ისმის 1911 წელს დაწერილ მის ლექსში „ბატონიშვილს გული უწუხს“:

„ბატონიშვილს გული უწუხს,
მარტო ვეღარ სძლებს!
უგვირგვინოდ ბაღში დადის,
რჩეულს სედა სძლავს.
იღუმს ხუმარა, აღარ ამობს
იგავ-არაკებს,
თვის ყოჩანი დასტრიალებს
შავი, შვად ყვეს!“

ლექსში მკაფიოდ აისახა თავდაზნაურობის სოციალურ ფენის განწირულება და შალვა დადიანსაც აკი ამიტომ არჩია ეს ლექსი „გუმინდელთა“ დასახასიათებლად თავის მისწინაშე პიესაში.

1911 წელს ვალერიან გუნიას დახმარებით სანდრო შანშიაშვილი ცოდნის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება. გუნიას ჩვენი კულტურის არა ერთი დაწვევა მოღვაწისათვის შეუწყვია ხელი. ამჯერადაც მისი შემოწოდებით დაგინება სტიკებნდა ხელმოქვე ახალგაზრდას... შანშიაშვილის მოსვლა ლიტერატურაში ბევრად არის დაკავშირებული გუნიას სახელთან. სწორედ მან დაბეჭდა შანშიაშვილის პირველი ლექსები და მიიწვია ჭაბუკი მწერალი თავის ჟურნალ „ნიშნადურში“ კარიკატურების სახატავად.

თითქმის თოხი წელი დაჰყო სანდრო შანშიაშვილმა საზღვარგარეთ. იგი ცხოვრობდა ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ — გერმანიაში. ამ ხნის განმავლობაში წარმატებით დაეუფლა გერმანულ ენას, ისმენდა ლექსციებს ბერლინისა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში და ინტენსიურად ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში შანშიაშვილს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია კავშირი თავისი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასთან. ამას მოწმობს საქართველოს ლიტერატურულ და თეატრალურ მუხეუმებს და მწერლის პირად არქივში დაცული მდიდარი კორესპონდენცია: ეკატერინე გაბაშვილთან, ნინო ნაკაშიძესთან, იროდიონ ევლოშვილთან, შალვა დადიანთან, გეორგი ქიტოქისთან, ალექსანდრე აბაშელთან და მის ახლო მეგობრებთან — იოსებ გრიშაშვილთან, დავით კასრაძესთან და აგრეთვე ის ტაქტიც, რომ სანდრო შანშიაშვილი არაერთგზის გუავინდა საშობლოში თავის ახალ ლექსებს რომელიც მიღებისთანავე იბეჭდებოდა.

1912 წელს უცხოეთში მან თავგანა ფრიდრიხ ში

ლერის „დონ კარლოსი“ და დაწერა სუთმოქმედებიანი დრამა „უგვირგვინო მეფენი“, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოაწვევს მისი თანამედროვენი. ვასილ ბარნოვის მოთხოვნებთან ემტობა მან „სახალხო გაზეთის“ პრეზია მიიღო, როგორც იმ წლების საუკეთესო მხატვრულმა ნაწარმოებმა, ხოლო დაბეჭდვამდე იგი ისეთი წარმატებით დაიდგა ალექსანდრე იმედიაშვილის საბუნებისლოცო, რომ დიდი ხნით დამკვიდრდა ჩვენი თეატრების რეპერტუარში. პიესის „უგვირგვინო მეფენი“ პოპულარობა გასცილდა საქართველოს საზღვრებს და იგი წარმოდგენილი იქნა ბაქოში შალვა დადიანის რეჟისორებით. თვითონ ავტორიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამ დრამისადმი და წლების განმავლობაში არაერთხელ უბრუნდება დასახვეწად. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ვარიანტთაგანი, სახელწოდებით „იტირია სავაკაძე“, 1940 წელს დაიდგა რუსეთის სსრ-ის ატრში და მასურებელთა დიდი მოწონება დამსახურა. პიესას „უგვირგვინო მეფენი“ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შანშიაშვილის შემოქმედებაში და სახვებით სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ დრამამ დაუღწო სათავე შანშიაშვილის რეალისტურ დრამატურგიას. კერძოდ კი, ისეთ პიესებს, როგორცაა „როდამა“, „სპარტაკი“, „მათახის პანაშვილი“, „ამბოკარი“, „ანზორი“, „ფოლადაური“, „სამნი“, „ყაშირი“, „არსენა“, „კრწანისის გმირები“, „იმერეთის ღამეები“, „არსენა ჯორჯიაშვილი“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, შანშიაშვილის შემოქმედებაში რეალიზმიდან გადასვლებსაც ჰქონდა ადგილი და ასეთ შემთხვევაში იგი მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იყენებდა მხატვრულ ხერხებს სიმბოლურ ლიტერატურის არსენალში. ასეა დაწერილი, მაგალითად, მისი ცნობილი პიესა „ბერლი შანია“, იგი დაიბეჭდა 1916 წელს ჟურნალ „მერანში“, ხოლო 1920 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე სანდრო ახმეტელის რეჟისორებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდის მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ვაჟაკაციური შემართების ნაწარმოებებს:

„იგი ჩონგური აღარა მარგებს,
უწინ რომ ნახად დაიკენესადა,
ხან შეაქვდა მიჯნურს, ხან ვარდებს,
და შედებდ მუღღროლ განისვენებდა,
ჩემს სულს წყურია ბოძოლა მედგარი...“

ამავე პერიოდში გაზეთმა „საქართველომ“, რომელსაც სანდრო შანშიაშვილი და სანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობდნენ, გამოაქვეყნეს შანშიაშვილის მეორე ცნობილი პიესა „ივერიკო“, რომელმაც მისივე მიქიტა დიდი ყურადღება, მაგრამ ეტყობა, თვითონ ავტორი არ ყოფილა დრამით კმაყოფილი, ამიტომ, რამდენიმე წლის შემდეგ, მიუბრუნდა მას და ძირფესვიანად გადაამუშავა. ახალი ვარიანტი „ლატავის“ სახელწოდებით 1924 წელს დაიდგა ახმეტელმა რუსთაველის თეატრში; მთავარ როლებს ვერიკო არაგვარძი და უსუნია ჩხეიძე ასრულებდნენ. პიესის

ამავე ვარიანტის საფუძველზე შანშიაშვილმა შექმნა ლირიკული ზაქარია ფალიაშვილის თეატრისთვის „ლატავა“.

მსალვრი შემოქმედებითი აღმავლობა სანდრო შანშიაშვილის ცხოვრებაში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამარების შემდეგ. ამ დროისთვის მისი შემოქმედება ღრმად იდგურდა, მხატვრულად, ფართოდება თეატრულად და ჟანრობრივად.

1922 წელს შანშიაშვილი მუშაობდა იწყებს პასუხისმგებელ მდივნად ჟურნალ „დროშაში“ და აქტიურად ემეება მშობლიური ქვეყნის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავდაპირველად შანშიაშვილი მხოლოდ სოფელს უმღერის:

„ვიცოცხლებ, მუღამ ვიმღერებ,
შეაქვებ ჭიხებს ალიზებს,
სოფლის ფერადი ცხოვრება
მუღამ გულს წამახალისებს!..“

მაგრამ მალე მისი პოეზიის თემატიკა მნიშვნელოვნად ფართოვდება. ლექსი „ელექტრის არმაზი“ ეძღვნება ზაქარის მშენებლობას, რომელიც პოეტისათვის ახალი საქართველოს სიმბოლოდ ქვეყლა:

„ცხიბი დასწილა ბედნიერი შრომელი ხალხი,
ზემო ავჯალა ძველი მცხეთა — ქართლის ცხოვრება,
კვლავ ნიჟურ იღებს და ირთვება სხივი ვაჟაძი,
და გამარჯვება საქართველოს ეგმობრება!
ყველას ახარებს დღეს ელექტროს ღმერთი არმაზი —
დიდი ზაქარი — საბჭოს თვალი — ქართლის ცხოვრება...“

მისი ბალადები „ლენინი ჯავშანოზე“ და „განსაკუთრებით, „დღისებურა ლენინთან“, რომლებშიც პოლიტიკური სიმბოლო და უნაწესი ლირიკა ორგანულად ერწყმის ურთიერთს, ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნებიან.

საბჭოთა პერიოდში შანშიაშვილის პოეზია მდიდარია შესანიშნავი მხატვრული სახეებით.

„ტყე ჰეაური ჰქოტრ ჭიღად უღდა აღზანს —
ბვილუშას მზეზე ვაზობრებულს და უცვიბობროს,
კაბალს და აფენს შეიტბობებს მღორე თანამჯავრთ,
რომ მათთან ერთად დაღესტანის ცრეშლით ბირისს...“

ბრწყინვალედ ეხერხება პოეტს პეიზაჟის აღწერაც. მისმა ლექსებმა ათქმენეს ნიკოლოზ ტიხონოვს, შანშიაშვილის სიმბოლო მიღწეული ლექსში:

„და რომ კახეთი აღზანის ველით
არ ყოფილიყო, — მის ტრეფა იერს
შემკმინდნენ სანდროს ლექსები მწველი
და უმერებდნენ მრავალმოტირს...“

სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში შემართებული საბრძოლო ლექსის გვერდით ვხვდებით ლირიკულ-სატრფილო სტრიქონებსაც, მახვლოგონიერულ იგავ-არაკებს და გულწრფელობით, მიამიტობით სავეს, სხარტ საბავშვო ლექსებს. სანდრო შანშიაშვილი დღესაც ნაყოფიერად მუშა-

ობს პოეზიაში, მაგრამ უპირველესი დამსახურება მაინც ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის შექმნა-დავაჯიკების საქმეში მიუძღვის.

1922 წლიდან მოყოლებული მწერალი დაუღალავად შრომობს თეატრისათვის, როგორც დრამატურგი და მთარგმნელი. რიგი მისი პიესების უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იკუთრებს ჩვენი თეატრის ისტორიაში და რაკი თეატრის საფუძველი დრამატურგიაა, სანდრო შანშიაშვილი საბჭოთა თეატრის ფუძემდებელთა რიცხვს მიეკუთვნება.

გავიძინებლბა დაავასახლოთ ქართული თეატრის რომელიმე თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც სანდრო შანშიაშვილთან ერთად არ ეთანამშრომლოს. ქართული მუსიკის კლასიკოსები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი ოპერებს ქმნიდნენ მისი ლიბრეტოების მიხედვით; მიხეილ ჭიაურელია ერთად შანშიაშვილი სცენარს სწერს ფილმისათვის „არსენა“. კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, აკაკი ფაღავა და ალექსანდრე წუწუნავა, დღოლ ანთაძე და სერგო ჭელიძე, ირაკლი გამრეკელი და სოლომონ ვირსალაძე, თამარ ზვებანიშვილი და ვანო გოგიელი — აი არასრული სია ქართული ხელოვნების მოღვაწეებისა, რომლებთან ერთად მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაში არა ერთი ჩინებული სპექტაკლი შეუქმნია ნიჭიერ დრამატურგს. აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვასო გომიაშვილის, გიორგი დავითაშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მსახიობთა სახელები მჭიდროდ ადის დაკავშირებული შანშიაშვილის დრამატურგიასთან.

ჯერ კიდევ 1922 წელს, როდესაც ჩვენი თეატრი „შიშში-ლობდა“ (რის გამოც მარჯანიშვილი იძულებული გახდა რევოლუციური თემატიკის ძიებაში „ცხრილის წყაროსათვის“ მიემართა), შანშიაშვილი წერს, ხოლო წუწუნავა დგამს სახალხო სახლში ხუთმოქმედებიან დრამას „სპარტაკი“, რომლისთვისაც ავტორმა, მართალია, ჯიოვანოლის ცნობილი რომანი გამოიყენა, მაგრამ ნაწარმოებში გადაშუშავებისას ყოველი ღონე ისმარა, რათა იგი ჩვენი ეპოქის თანახმიერად გავსადა, რაც შეიძლება მეტად განეწყველა თანამედროვეობის რევოლუციური პათოსით. ეს პიესა არ იყო უნაქლო, მაგრამ, უდავოდ, პასუხობდა მიზანს, რომელსაც მას ავტორი და თეატრი უსახავდა.

„სპარტაკი“ მიღებული გამოცდილება ზედმიწევნით გამოიყენა შანშიაშვილმა და მისი შემდგომი, ხალხთა ბრძოლის ამსახველი პიესა „ჭერეთის გმირები“, რომელიც მან მარჯანიშვილის თხოვნით დაწერა, უკვე სასყვებით გამართული ნაწარმოებია. მარჯანიშვილის მიერ სცენაზე ოსტატურად განხორციელებული, იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რუსთაველის თეატრის ისტორიაში

შანშიაშვილის მიერ რიგი ორიგინალური და თარგმნილი პიესები დიდი წარმატებით იდგმება ქართულ თეატრში, მაგრამ უდიდესი გამარჯვება შანშიაშვილს მაინც „ანზორმა“ მოუპოვა. განსაკუთრებით ნათელი გახდა ეს რუსთაველის თეატრის გასტროლები დროს მოსკოვში 1930 წელს, როდესაც „ანზორის“ სპექტაკლი ტრიუმფად

იქცა. ამ პიესამ საუკებო მნიშვნელობა იქონია როგორც მწერლის, ასევე თეატრის შემოქმედებაში. სპექტაკლმა სრულად გამაოგნებდა რუსთაველის თეატრის გმირულ-რომანტიკული სახე და ამაღლებულად ასახა თანამედროვეობის რევოლუციური როლი. და, როცა გათვინა „იხვესტიამ“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის საერთო აზრი, რომ რუსთაველის თეატრი უდიდესი შემოქმედებითი მოვლენაა და მისი მხატვრული მნიშვნელობა ეროვნულ-რესპუბლიკურ ფარგლებში სცილდება, — ამაში უდავოდ დიდი წილი მიუძღვის სწორედ სანდრო შანშიაშვილის „ანზორს“.

არანაკლები წარმატება ხვდა წილად შანშიაშვილის სახალხო დრამას „არსენა“, რომელიც 1936 წელს განხორციელდა რუსთაველის თეატრში აკაკი ვასაძის რეჟისორობით.

„არსენა“ შანშიაშვილის ორიგინალურ დრამატულ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თავისი დიორიული წარსულის სწორი შეფასებით, ხასიათებისა და დრამატული სიტუაციების განსაკუთრებული ექსპრესიულობითა და ისეთი მონუმენტურობით, რომელიც კი არ ანელებს ადამიანურ სიბოძს, არამედ შთამბეჭდავ ძალას მატებს მას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რეჟისორსა და მსახიობებს, შესანიშნავი იერსახეები შეექმნათ, ხოლო ხორავას არსენა — მისსვე ანზორის, კარლ მთორის, ივანე მრისხანისა და ოტელოს გვერდით დამდგარიყო.

თუ თვალს გადავავლებთ სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებას, შესამჩნევია გახდებდა, როგორ იზიდავს დრამატურგს ძლიერი, სკულპტურულად ნაკვეთი სახეები: სპარტაკი და ანზორი, გიორგი სააკაძე და არსენა, მუფე ერეკლე და მრავალი სხვა. ამასვე მოწმობს მის მიერვე თარგმნილი დრამების უმრავლესობა. საკამოსისა დაავასახელოთ მიღების „დონ კარლოსი“, „ყაბაღები“ და „ვიოლკლმ ტელი“, ანდა სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, კირიშინის „ქართა ქალაქი“ და მალიარესკის „ქარიშხლის წინ“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება შეიმჩნევა შანშიაშვილის დრამატურგიაში: მისი პიესების უმრავლესობა საუკეთესოდ პასუხობს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. სწორედ ეს თვისება ანიჭებს შანშიაშვილს შემოქმედებით ახალგაზრდობას. ეს თვისება აძლევს მას უფლებას დაღრმავებად ატაროს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

ახლა მსცოვანმა მწერალმა 80 წელს გადააბიჯა. იგი კვლავ ნაყოფიერად განაგრძობს მოღვაწეობას და მთელი ძალით შეუძლია გაიმეოროს 60 წლის იუბილეზე თქმული სიტყვები:

„და კიდევ ვიმღერ თავისუფალ საქართველოში, დაძაბვებ მაყრულს, წლოვანებით თუმცა ბერი ვარ, თქვენს სურვილებში თვისტობი და ახლობელი ვარ, თქვენს ანარებლებში, შირისატვის კიდევ მიქმელი ვარ.“

ა. ჯინჯოლია.

ტყვარჩელი.





ბუხუმის შენობა.

გეგმავთქორის მხარეთმცოდნეობის

გივი ელიავა

გეგმავთქორის მხარეთმცოდნეობის ბუხუმის სტაციონარული ექსპოზიცია 1960 წლის ივლისში გაიხსნა. ბუხუმს მდიდარი ფონდი — 23 000-მდე ნივთი და მასალა გააჩნია. რაც უპირველეს ყოვლისა ბუხუმის მცირერიცხოვანი კოლექტივის მუშაობითა და მშრომელთა დახმარებით შეიქმნა.


გეგმავთქორის, აბაშის, ცხაკაიასა და ჩხორწყუს რაიონები დიდი ისტორიული წარსულის რაიონებია. აქ 390 ისტორიული ძეგლი და ადგილია აღრიცხული და შესწავლილი. ჯორწყუს, ყელიჩონას, დოშაყეს და ორულეს ქვაბებში, აღმოჩენილია პალეოლითის ხანის ადამიანის კვალი და მრავალი საინტერესო მასალა.

მარტო ჯორწყუს გამოქვაბულში ნაპოვნი იარაღები და ცხოველთა ძვლები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ეპოქის ადამიანის ცხოვრების მრავალ საკითხზე. იგივე ითქმის ნეოლითის ეპოქის თაიას, შხეფის, ალანის, გას, საელიას, დიხაგუძეებს, ნახუნას, „ნაცაცვერას“ და სხვა გორა საცხოვრისებზე. აქ აღმოჩენილი ნამღის პირები, კერამიკულ ჭურჭელთა შესანიშნავი ფრაგმენტები, ხელკულები, მრავალგვარი სამკაული და ფირფიტა, საფეხკები, შუალა საჭრისები და სასრესი ქვები მოგვითხრობენ ნეოლითის ხანის ადამიანთა ცხოვრების განვითარების დონესა და ხასიათზე.

კერამიკულ ჭურჭელთა მრავალ

ფრაგმენტზე გამოსახულია პურის თავთავი, რაც გვარწმუნებს, რომ ნეოლითის ეპოქაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი ეწეოდა მიწათმოქმედებას. შესანიშნავად მოხატული სურები, ჯამები, სასმისები და ორნამენტული ფილები იმას მეტყველებენ, რომ მევენახეობა საკმაოდ განვითარებული დარგი ყოფილა ამ ხალხის სამეურნეო საქმიანობაში. მასათის ნეოლითურ კერამიკაზე აღმოჩნდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი სურები და ფილები, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ნიშნისანი ქვებია. რიყის ჭადა ქვები ორმხრივ საკმაოდ გახეხილ-გაპირილებულია და ორივე მხარეს თითო ხაზობრივი ნიშნისა ამოღარული. ეს

გიორგი კჳონდიდელი.



ე უ ზ ე უ ე ი

ეპიგრაფიული ძეგლი მარტილის მონასტრიდან. მარმარილოს სვეტისათვის წარწერით „დადიანი შერგილ“ (XII-XIII სს.).

უკვე იეროგლიფი კი არა, საკმაოდ განვითარებული ხაზობრივი ნიშანია. ნოქალაქევის, აბედათისა და ვუდიდარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ეპოქის ჭურჭლები, სამკაულები და მონეტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენი ხალხის ისტორიის, კერძოდ, იმ ეპოქის დიდ სამეურნეო და კულტურულ დაწინაურებაზე.

მარტილის მონასტრის კედლებზე აღბეჭდილი ფრესკები: „წმინდა მათე“, „წმინდა ლუკა“, „ქრისტეს შესვლა იერუსალიმში“ XIV-XVI საუკუნეების ფერწერული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია. ჩვენი წინაპრების მაღალ მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებენ ვერცხლის ხატე-



ბი და ჯერები (X-XV სს), ტანსაცმელი (XIX ს.) და სხვ.

მარტვილში დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფი და პოეტი იოანე მინჩხი. აქ მისი მემკვიდრეობა მინდინარეობდა წიგნების გადაწერა და გავრცელება. ეს ტრადიცია XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა მარტვილში. მუზეუმში დაცულია 120 მეტად საინტერესო ხელნაწერი წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია XVI საუკუნეში ეტრატზე დაწერილი წიგნი „იკბე“, XIX საუკუნის ბოლოს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ლექსიკონები, სახარებები, სახელმძღვანელოები და სხვ.

აქვეა წარმოდგენილი მეტად საინტერესო დოკუმენტი იმის შესახებ, რომ 1830 წელს სამეგრელოში პირველად აქ გაიხსნა სასწავლებელი, სადაც აღიზარდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: თ. ჟორდანი, ი. მუხარბია, თ. სახიკია, მ. ცხაკაია, გამოჩენილი მწერლები და პოეტები.

მუზეუმის ექსპოზიციამ დატოვია 1905 წლის რევოლუციის ამხვევი საინტერესო მასალები.

მარტვილის რაიონული ბოლშევიკური კომიტეტი, რომელიც საშა გეგეჭკორმა შექმნა 1917 წლის შემოდგომაზე, სათავეში ჩაუდგა რაიონის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1918 წლის აპრილში ბანძასა და ნაოღალევი ერთი კვირის განმავლობაში, არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება, დამარცხების შემდეგ სამხარეთ კომიტეტის განჯარგულებით ბოლშევიკთა ერთი ნაწილი იქვე დარჩა ახალი შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. მეორე ნაწილი საშა გეგეჭკორის მონაწილეობით გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, შეურთდა ლეჩხუმისა და რაჭის აჯანყებულ გლეხებს ქ. იშუში. რის შედეგადაც შეიქმნა

„დასავლეთ ამიერკავკასიის სოციალისტური წითელი არმია“. ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში შემოვიდა რაში და დაესმარა აჯანყებულ დუშეთს.

1921 წლის თებერვალ-მარტში მხარეში საბჭოთა ხელისუფლება განიცხადდა. ამ ისტორიულ დოკუმენტებს მუზეუმის ექსპოზიციამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიციის ყველაზე წამყვანი და დიდი ნაწილია საბჭოთა პერიოდის განყოფილება, სადაც ექსპონირებულია მასალები მხარის სოციალისტური რეკონსტრუქციის, მთლიანი კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის, სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

მუზეუმს აქვს განსაკუთრებული განყოფილება, სადაც გამოფენილია ხალხური თვითშემოქმედების ნიმუშები.

მუზეუმს ახალგაზრდა ხელოვანის ჯემელ ბვალავას საინტერესო ნამუშევრები ამუშვენებს, აქედან განსაკუთრებით ყურადღებას იმეორებს „მიჯაჭვული ამირანი“, „დღის პორტრეტი“, „აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის პორტრეტი“, „მეზობელი გოგონა“, „ვეფხისტყაოსნის“ ბარელიეფურად ამოთლილი ილუსტრაცია კაკლის ხის ფიგურაზე ასევე მიმზიდველია მუზეუმის აღზრდილის რეზო ინჯავას ხეზე ამოკვეთილი ნამუშევრებიც.

გეგეჭკორის მუზეუმი არ კმაყოფილდება მხოლოდ მშრალი, კედელზე და სტელაებზე განფენილი პირველადი მასალებით. 1964 წელს რესპუბლიკაში პირველად აქ მოეწყო მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგება: მეგრული გლეხების კარიბამო, ვენახი ოქტომბრის რევოლუციამდე. კარმიდამოში გადმოტანილია ფაცხა, სასინინდე, ბეღელი, მარა-

ნი, საღორე, საქათმე, მუწეხილია საჩხეცე. ყუთ და ყველა ინტერესი ნატურალური ზომისაა.

ექსპოზიცია დიდძალ დამთავლიერებელს იზიდავს. ყოველწლიურად აქ 25-30 ათასი დამთავლიერებელი მოდის.

საგამოფენო მუშაობის გარდა მუზეუმის თანამშრომლები სამეცნიერო-კლავიტი მუშაობასაც ეწევიან. დღემდე მუზეუმში ჩატარდა შვიდი სამეცნიერო სესია (42 მოხსენებით). მუზეუმის თანამშრომლებმა შეადგინეს ტოპონიმიკური ატლასის I ტომის ორი ნაწილი, 38 რუკით, რომელსაც დაურთეს ხალხური განმარტების ნუსხა 6000 ტომონიმი; შეადგინეს მხარის ეთნოგრაფიული ატლასი ოთხი რუკითა და ამდენივე სქემით. შედგა რიონისპირეთის ისტორიული ძეგლების რუკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარე ფაზისისა და ქალაქ ფაზისის დისლოკაციის საკითხისათვის. მუზეუმის მუშაკებმა დაწერეს 35 შრომა, აქედან გამოქვეყნებულია 21. შინაარსიანად ჩატარდა VII სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. სესიაზე, გარდა მუზეუმის მუშაკებისა, მოხსენებით გამოვიდნენ მწვერალი ლევან გოთუა, პროფესორები ან. აფაქიძე, ვ. ბაქრაძე, ი. კაჭარავა, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური პრეზიდიუმის სწავლული მდიური ირ. ზაქარიაშვილი. სესიის წინ მუზეუმმა მოაწყო შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა, სადაც 20 პირველადი მასალა გამოიტანა.

გეგეჭკორის მუზეუმი რაიონის მშრომელთა საყვარელი დაწესებულებაა. იგი ცდილობს კიდევ უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახადოს თავისი მუშაობა.

სოფელში მოდვაჯე სენისემოყვარე



ვასილ ჭიბლაძე.

ვლადიმერ აბრამიშვილი

პასილ ისიდორეს ძე ჭიბლაძე ქართულ საზოგადო მოღვაწეთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც ღირსეული წვლილი შეიტანა ფშავ-ხევსურეთში განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ვ. ჭიბლაძე მუშაობას იწყებს თიანეთის მაზრის განათლების განყოფილების გამგედ. მისი უშუალო ინიციატივით თიანეთის მაზრის 25 სოფელში გაიხსნა დაწყებითი სკოლები. ამ საშვილიშვილო საქმეს იგი 45 წელიწადს ემსახურე-

ბოდა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მისი ღვაწლი სათანადოდ შეაფასა და ვ. ჭიბლაძე დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. მასვე მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ვ. ჭიბლაძის მოღვაწეობა მხოლოდ პედაგოგიური მუშაობით არ ამოიწურება. მას დიდი დამსახურება მიუძღვის კულტურის დარგშიც. იგი იგონებს: „მე, როგორც სენის მოყვარული, სიამოვნებით გაეხდი აღნიშნული წრის წევრი, შემდეგ კი სულ მალე მისი ხელმძღვანელიც.“

სენისმოყვარეთა წრეში კაცებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ქალბიც — კატო და მანანა გოჯიაშვილები, ლუბა ჯინჭველაძე და სოფიო ნამორაძე. მომდევნო წლებში შემოგვემატნენ ილიკო და მამო ფიცხელაურები, საშა წიკლაური, ლელე ჩიბლაშვილი, ვლადიმერ ბუნაკაური, ქეთო გუგუტიშვილი, არჩილ ფიცხელაური, შაქრო დედებარიშვილი, შემდეგში გამოჩენილი მომღერალ-საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნიკო ქუმსიაშვილი, გრიმა გამრეკელი, მიტო მაღალაშვილი და მიხეილ სულთანაშვილი.

1910 წლის ზაფხულში ჩემი ინიციატივით და მონაწილეობით დადგით პ. ირეთელის პიესა „დამარცხებული“.

მაყურებელმა ჩვენი დადგმა მოიწონა და იგი რამდენჯერმე გავიმეორეთ. ამან კი სცენისმოყვარენი ძალზე წაგვახალისა.

გარდა „დამარცხებულისა“, ხშირად ვდგამდით აგრეთვე ი. გედევანიშვილის პიესას „მსხვერპლს“, ვ. გუნიას „და-ძმას“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელს“, „ხანუმას“ და სხვა პიესებს... ასეთი საღამო-წარმოდგენების მომზადება-ჩატარება ადვილი როდი იყო იმ დროისათვის. სცენისმოყვარეებს გვიხდებოდა დიდი წინააღმდეგობის გადალახვა. არ გვექონდა ბინა წარმოდგენების ჩასატარებლად, არ გაგვანდა ტანსაცმელი პიესებში მონაწილეობისათვის და სცენისათვის საჭირო მოწყობილობა...

დადგა 1918 წელი, მენშვეიკების ბატონობის ხანა. სცენისმოყვარეთა ჩვენი წრის წევრები წავიდ-წამოვიდნენ. დაერჩით მხოლოდ მე, საშა და ლევან დოლიაშვილები. სწორედ ამ პერიოდში ჩამოვიდა თიანეთში ნიკო ქუმსიაშვილი და მაშინვე აქტიურად ჩაება წრის საქმიანობაში. ჩემი, საშა და ლევან დოლიაშვილების ინიციატივით გაავარდითანეთ დაქირავებული ბინის ოთახები და იმ დროისათვის საუკეთესო დარბაზი შეეკმეინა...

1922-1923 წლებში ზაფხულობით ჩამოდიოდა და სცენისმოყვარეთა წრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხოლმე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის არტისტი დიმიტრი მჭავიაძე... საღამო-წარმოდგენებიდან მიღებულ შემოსავალს ვაზმარდით უშთავრესად ბიბლიოთეკას, თვით თეატრის ხარჯებს, ზოგჯერ კი ვენმარებდით ხელმოკლეს, გაჭირვებულ ოჯახებს...
ვასილ ჯობლაძის სასცენო მოღვაწეობა საკმაოდ დროით შემოიფარგლებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა თეატრის განვითარების საქმეში.

ქველი სურათების გაგოფინაზე

გიორგი ერისთავი

ჩემმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესით დააოვალიერა ბაბო დადიანი-მასხარაშვილის მიერ მოწყობილი ძველი ფოტოსურათების გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო გასული საუკუნის ადამიანთა პორტრეტები, მათი ცხოვრების ამსახველი ფოტოები.

შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ძვირფასი და იშვიათი კოლექციის შეგროვებისა და დაცვისათვის გამოყენების მომწყობს მადლიერებითა და პატივისცემით იხსენიებენ. ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების გვერდით გამოფენილი იყო უბრალო მშრომელ ადამიანთა პორტრეტებიც. ადამიანების, რომელთაც აღუშვებდათ ქართველი ერის მომავალი. გამოფენა მრავალფეროვან მასალას იძლეოდა მწერლის, მხატვრის, თეატრისა და კინემატოგრაფის მუშაუბათათვის, ისტორიკოს-ეთნოგრაფებისათვის. ეს გამოფენა მათ დახმარებათ სწორი წარმოდგენა იქონიონ გასული საუკუნის ტიპებზე, მათ გა-

რეგობაზე, ჩაცმულობაზე. გამოფენამ ნაოლად გვიჩვენა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფაცხოვრება ახლო წარსულში. წარმოდგენილ პირთა შორის არიან უცხო ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, რომელნიც ჩამოსიძებულნი იყვნენ დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ: თავად ფერდინანდ ვიდენშტეინი და გრაფი რაზმორკონსტანტინე ოლდენბურგი.

მსახველებმა დათავალიერეს აგრეთვე პორტრეტები: გიორგი შარვაშიძე, მამია გურიელი, ნუსტორ წერეთელი, იასონ აბაშიძე, ასლან წულუკიძე, დავით მიქელაძე (მეველი) და კონსტანტინე ერისთავი.

ცხადია, ასეთი ადამიანების პორტრეტები მეტად საინტერესოა ჩვენი საზოგადოებისათვის.

მსახველი უთუოდ გამოთქვამს კამოფილებასა და მადლობას ამ კოლექციის შემკრებ-დაცველასადმი.

მ მ ლ ს მ ი ს

მ უ ს ი კ ა ს ლ უ რ ი

ს კ მ ლ ს

5 0 წ ლ ი ს ს ა



შაქარია ჩხიკვაძე.

მერი შალვაშვილი

იშბა 1919 წელი. იმსხერეოდა კაპიტალიზმის ბორკილი, იყო ბრძოლა, ფარული და აშკარა, ბრძოლა სამკვიდრო-სასიცოცხლო ძველსა და ახალს შორის. ამ დაძაბულ ორთაბრძოლაში ფეთქავდა ეროვნული კულტურის მაკისცემა. ახალმა ძალამ აამოძრავა თელავის შემოქმედებითი ენერჯია... თბილისის კონსერვატორიის დაარსებიდან ორი წლისთავზე თელავის ქუჩაბანდებში გაჩნდა აფიშა, რომელმაც მოსახლეობას მუსიკალური სკოლის გახსნა აუწყა. ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ ქართველი სამუსიკო საზოგადოების თელავის განყოფილება, ეროვნული მუსიკალური კულტურის მოამაგე შაქარია ჩხიკვაძე და თელავის მოწინავე ინტელიგენცია: არჩილ ციხისთავი, ალექსანდრა ციციშვილი, ანტონ ყაზახაშვილი, თამარ შიუკაშვილი, ნესტორ ქაშაყვილი, არჩილ იაკაშვილი და სხვები.

ახალფუნადგმულ სკოლას თელავის ერობის პროდუქტების შესანახი შენობის სარდაფში ორი თოხანი გამოუყვეს.

არ იყო საჭირო ინსტრუმენტები, შესარჩევი იყო მოსწავლეთა კონტინგენტი, მაგრამ ამ საქმის ენთუზიასტები გულს არ იტეხნენ და საქმეც ნელ-ნელა მიიწვედა წინ.

პირველ დღეებშივე მოსწავლეთა რიცხვმა ორმოცდაათს გადააჭარბა, სკოლის მესვეურმა შაქარია ჩხიკვაძემ კი ახალი კლასის გახსნაზე იწყო ფიქრი. მაგრამ სკოლის შემოსავალი — მოსწავლეთა ჭირა, საწვერო გადასახადები და კონცერტებიდან შემოსავალი ძლივს აუდიოდა სკოლის მოკრძალებულ ხარჯებს. ამას იყო შაქარია ჩხიკვაძის თხოვნა-მუდართი საესე წერილები მთავრობის წარმომადგენლებთან ფინანსურ დახმარებასა და პედაგოგთა შტატის გაზრდის თაობაზე. სკოლაში ერთადერთი პედაგოგი — ოლა გარაყანიძე მიღეაწეობდა. მოსწავლეთათვის მხოლოდ ერთი რთილი იყო განკუთვნილი. ცხადია, ყოველივე ეს ართულებდა აღმზრდელით მუშაობას. ამიტომ სკოლის ხელმძღვანელობამ დასახმარებლად მიმართა საზოგადოების



საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი შ. კიკიაძე.

ფართო ფენებს, რათა გადაერჩინათ სკოლა ლტოვიდან დასახლებულნი. ამ მხრივ საინტერესოა ზ. ჩხიკვაძის სახელზე მოსულ წერილი:

„დიდად პატივცემულ ზაქარია ივანეს ძვე, — ჩემთვის როგორც თქვენი ძველი მოწაფისათვის, მეტად სასიამოვნოა რომ სიბერის დროს ისევ კახეთში მოღვაწეობთ და სათავეში უდგახართ თქვენს საყვარელ საქმეს, თქვენს სასიამოვნოებლად და თქვენი გულის მოსაგებად, ნება მომეცით მომავალი 1920 წლის 1 იანვრიდან დაეააროს სტიპენდიის თქვენს მოწაფეთათვის, რომელიც თანახმად მასწავლებელთა საბჭოს დადგენილებისა, იქნება ცნობილი ყველაზე უფრო ნიჭიერად და ღირსეულად. ამასთან ვარდგენ 600 მანეთს...“ ექიმი გ. რუსიშვილი ყორჩიბაში.

მართლაც, საზოგადოების მხარდაჭერით სკოლამ განაგრძო მოღვაწეობა. გამოცდებს დიმიტრი არაყიშვილი დაესწრო, მას დადებითად შეუფასებია სკოლის მუშაობა. აღუთმავამ დახმარება. მაგრამ სკოლას კვლავ ახალ-ახალი წინააღმდეგობები ელოებოდა. იგი მხოლოდ მუსიკალური განათლების დიდი ენთუზიასტების შეუდრეკელი და დაძაბული საქმიანობით იხანგრძლივებდა სიცოცხლეს.

საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დაყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი თელავის მუსიკალური სკოლისათვის სათანადო პირობების შექმნა. სკოლის ყოფილი დირექტორის ზ. ჩხიკვაძის, ლ. ფალიაშვილის, რ. გონიშვილის, ი. აბაბადარის, ე. რუსიშვილის, ვ. დოლიძის და



პედაგოგი ე. ქობულაშვილი და III კლასის მოსწავლე ნ. ზაქაიძე.

ულაღვი მუშაობით საფუძველი ყვებოდა თვალსაჩინო მუსიკალურ ტრადიციებს. თანდათან წაიწოა წინ ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმემ. მოსახლეობაში დაიწყო ქართული თუ საზღვარგარეთული მუსიკის პროპაგანდაც. სამაშულო იმის მიძიმე დღეებმა და იმის შემდგომმა რთულმა პერიოდმა ვერ შეანელეს სკოლის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ამიტომ არის, რომ თელავის მუსიკალური სკოლა ღირსეულად შეხვდა თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, იგი სამართლიანად ამაყობს მრავალრიცხოვანი აღზრდილებითა და ნიჭიერი, სამიწველი ცვლით.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც სკოლის მრავალმხრივ საქმიანობას ხელმძღვანელობს სსრ დამსახურებული მასწავლებელი შალვა კვიციანი. უნებელი დიმილი იწყებდა ასაკოლო ინვეტირების მიღება-ჩაბარებებს ინდრონიდული საქმით. „თითი სკამი გატეხილ მდგომარეობაში, 793 მანეთის სანოტო ბიბლიოთეკა (ფულის ძველი კუთხით), თითი კლავიშებიანი ინსტრუმენტი...“ რამდენი უძილო დამე, დაძაბული დღე ახსოვს შალვა კვიციანს, მანამ სკოლა დღევანდელ დონეზე მიაღწევდა. თავდაუზოგავად, სიყვარულით ემსახურებოდა მუსიკალური განათლების კერას და ამიტომაც ყოველ დღეს ახალი წარმატებები მოჰქონდა როგორც მოსწავლე-თათვის, ისე პედაგოგიური კოლექტივისათვის.

1952 წელს სკოლას სახელოვანი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის სახელი მიენიჭა. 1957 წელს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის შ. კვიციანე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაობა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. 1964 წლიდან ამავდარი პედაგოგი და ნიჭიერი ორგანიზატორი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ატარებს. ადრე, 1946-49 წლებში შ. კვიციანე თელავის დრამატული თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ და დირიჟორად მუშაობდა, მის მიერ მუსიკალურად 44 პიესაა გაფორმებული.

კვიციანე ენერგიულად მონაწილეობს რაიონის ყველა კულტურული ღონისძიების ორგანიზაციაში, აქტიურად მუშაობს სახალხო უნივერსიტეტში, რის გამოც სახალხო უნივერსიტეტის საკავშირო დათვლიერებაზე საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. მაგრამ შ. კვიციანე განსაკუთრებით ახარებს თელავის მუსიკალური სკოლის აღზრდილთა წარმატებები (თვითონაც ხომ ამ სკოლის აღზრდილია), ბევრმა მათგანმა დამათავრა მუსიკალური სასწავლებელი, კონსერვატორია და ახლა მშობლიურ სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.

მიღწევებმა განაპირობებს ის სასიამოვნო ფაქტი, რომ თელავში 1962 წელს სკოლის ბაზაზე გაიხსნა მუსიკალური სასწავლებელი. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ 1965 წელს, სასწავლებლის დაარსებიდან მხოთხვ წლისთავზე, მისწავლეთა ძალებით თვალსაჩინო დონეზე დაიდა ზ. ფალაშვილის ოპერა „დაისა“, ხოლო 1968 წელს — გ. დოლიძის „ქეთი და კოტე“.

დღეს სკოლაში 500-მდე მოსწავლე ირიცხება, მათ განაგრავლებშია 23 კლავიშებიანი ინსტრუმენტი. ფორტე-

პიანოსა და ვიოლინის კლასებში 50 პედაგოგი მოღვაწეობს, რომელთა შორის 47 ამ სკოლის აღზრდილია.

აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან სასწავლო ნაწილის გამგე ქეთევან მაღალაშვილი, პედაგოგები ელენე ქობულაშვილი, ელსაბედ თუმბალიშვილი, ლედა ტერეხიძე, მია ავალიშვილი. ისინი ყოველწლიურად უწყობენ ხელს აღსაზრდელების კანონზომიერ განვითარებას, მათში პროფესიული ჩვევების გამომუშავებას. აქვე მიიღეს პირველდწვევითი მუსიკალური განათლება და პედაგოგიური გამოცდილება ახალგაზრდა პედაგოგებმა დალი გრიშიაშვილმა, ელზა თორაძემ, ნუნუ კვიციანემ, გალინა ანისიმოვამ, ლარისა ფიფინოვამ, ნათელა გრიშაშვილმა და სხვ. ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები ლეილა კიკნაძე, გვიჩ ჩარბაძე, ცისანა ბოჭორიანი და სხვ. ჩვენი რესპუბლიკის სხვა მუსიკალურ სასწავლებლებში ნაყოფიერად მუშაობენ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თავის გამოცდილებას უზიარებს კახეთის სხვა რაიონებში ახლახან დაარსებულ ამავე ტიპის სკოლებს.

1954 წლამდე თელავის სკოლას ფილიალი ჰქონდა ყვარელში. დღეს ყვარლის სკოლა დამოუკიდებლად მოღვაწეობს და აგრძელებს თელავის სკოლის საუკეთესო ტრადიციებს. აღრ დახმარება გაუწიეს თელავის სკოლის პედაგოგებმა დირექტორ ახმეტის, გურჯაანის, ველისციხის მუსიკალურ სკოლებსაც.

თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა მუსიკალური სკოლის 50 წლის იუბილე. ამ საღამოს დაესწრნენ ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რაიონის პარტიული, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. საუბრობო საღამო გახსნა საქართველოს კ თელავის რაიონის მდივანმა ნ. იანვარაშვილმა. მან სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს მხურვალედ მიულოცა სახელოვანი იუბილე და ახალ-ახალი წარმატებები უსურვა მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის საქმეში.

მიხსენება — „სახელოვანი 50 წელი“ — გააკეთა საქართველოს კ თელავის რაიონის თანამშრომელმა გ. ყარაულაშვილმა. მისასმენებელი სიტყვით გამოვიდნენ და იუბილარს სამახსოვრო საწვავი გადასცეს თელავის კ. ოგბეაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა, დოცენტმა ალ. გვენცაძემ, გურჯაანის მუსიკალური სკოლის დირექტორმა ვ. კობინაშვილმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტმა თარ ჩივაჭავაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა თ. ბურბუთაშვილმა, მუსიკალური სასწავლებლის დირექტორმა ალ. მამუკელაშვილმა, კულტურის მუშაობა პროფკავშირის რაიონის თავმჯდომარე გ. დავითაშვილმა და სხვ.

განსაკუთრებით ამაღლებელი იყო თელავის მუსიკალური სკოლის ფუძემდებლის ზაქარია ჩხიკვაძის შვილის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის გრიგორ ჩხიკვაძის მოვინება. სიმთხ და უშუალოდ იყო ჩაქსოვილი იუბილარისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც სამხატვრო სკოლის მოსწავლემ მერი შავაძემ წაიკითხა.



საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი ქ. მაღალაშვილი

საკონცერტო განყოფილება დაიწყო დებიუსის „პრელუდით“, რომელსაც სკოლის აღზრდილი, თელავის სასწავლებლის პედაგოგი გივი ჩარბაძე ასრულებდა. ამავე სკოლის აღზრდილმა, თბილისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლემ ლეილა კვიციანი კი ო. თაქაიშვილის „ტოკატა“ ააქვრდა. შესრულდა აგრეთვე ფალიაშვილის, არაგვისვილის, ბახის, შოპენის, ლისტის, კაბალევესკის ნაწარმოებები. ესტრადაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ძმები ზურაბ და გელა შიშმანიშვილები, ნანა ზაქაიძე, მარინე მოსიძე, თამარ ოკოლოტი, ნინო ჯეჯილაშვილი, თამარ დერევიანკო, ნანა სპარსიაშვილი, ლელა წიკლაური, ოლა პოდმარიოვა, მადეა ჯაფარიძე, მარინე სარქისოვი, ფიქრია დავითაშვილი, ლიანა ხეჩოვეი, მადეა ავალიშვილი... ეს გოგონები და ვაჟები პირველად წარსდგნენ ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე. იქნება პატარა შემსრულებლებს ლალატობათ ზომიერების გრძნობა, ან მღელვარებისაგან გაუბედავად გამოიყურებოდა ესა თუ ის ნაწარმოები, მაგრამ თვალსაჩინო იყო ის შემოქმედებითი უნარი, რომელიც უდავოდ მეტყველებს მათს ნიჭსა და შრომასზე, საინტერესო მომავალზე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგმა ოთარ ჩიჯავაძემ კარგად შენიშნა: „თელავის მუსიკალური სკოლა იმ წელს გაიხსნა, როცა გარდაიცვალა ამ ქალაქის მკვიდრი, ქართული კლასიკური მუსიკის მოამაგე და დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი ნიკოლოზ სულხანიშვილი. ახალგაზსნილმა თელავის სკოლამ გააგრძელა დიდი ნიჭისა და ამოუწურავი მუსიკალური შესაძლებლობების კომპოზიტორის ნაადრევად ჩაფერხილი სიცოცხლე“...



მეორე კლასის მოსწავლე
ნანა სპარსიაშვილი.

ე ქ ი ე ი —

ე რ ქ ე ნ ჯ ე ქ ე

გიორგი სამხარაძე

ქუთაისში, კიროვის ქუჩაზე № 108 სახლში, ცხოვრობს ცოლ-ქმარი ზინა ცაგარელი და გოგი ფუტკარაძე. ორივე გამოცდილი ექიმია. საზოგადოებაში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ.

გოგი ფუტკარაძე ბავშვობიდანვე იყო გატაცებული ძერწვითა და სატვივით, სკოლაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქანდაკებისადმი. მას-

წავლებლები ყურადღებით ეპყრობოდნენ მას. დედა შიშობდა: სამედიცინო ინსტიტუტში შესვლაზე უარ არ თქვასო. გაკვეთილების შემდეგ, თავისუფალ დროს აყალო მიწისაგან ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების ძერწვას ანდობებდა.

1935-36 სასწავლო წელს გოგიმ წარმატებით ჩაატარა მისაღები გა-

მოცდები სამედიცინო ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებშიც, არდადეგების დროს, გატაცებით მუშაობდა, ძერწავდა, ახალ-ახალ სახეებს ქმნიდა.

ინსტიტუტის დამთავრება ზეიმით ვერ აღნიშნეს. ერთად სურათიც კი ვერ გადაიღეს. დაიწყო დიდი სამამულო ომი. ახალკურსდამთავრებული ყმაწვილები ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგნენ.

გოგი ფუტკარაძე ჩრდილო კავკასიის ფრონტზე მოხვდა ექიმად. იქ მან ბევრი რამ ნახა და განიცადა. სამამულო ომიდან 1945 წელს დაბრუნდა და სამუშაოდ გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში გაამწესეს, სადაც მალე მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. რამდენიმე წლის შემდეგ გადმოიყვანეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საავადმყოფოში. სულ მალე, უკვე გამოცდილი ექიმი, მიღის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და სპეციალდება ნევროპათოლოგიის განხრით. 1950 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად.

თავისი ძირითადი პროფესიის პარალელურად გ. ფუტკარაძე ჭეშმარიტი შემოქმედებითი გატაცებით მუშაობს ქანდაკებაში, ძერწავს და აქანდაკებს საინტერესო პორტრეტებს, კომპოზიციებს, მონაწილეობს გამოფენებზე, ეძებს ორიგინალურ გამოსახვით ხერხებს.

თვითნასწავლი მოქანდაკე გიორგი ფუტკარაძე უდავოდ ნიჭიერი და თვითმყოფი ხელოვანია, იგი გამოირჩევა იმეათი შრომისმოყვარეობით, პატარა სახელოსნოში თავისუბური შემოქმედებითი სამყარო აქვს შექმნილი.

მისი ნამუშევრები გვარწმუნებენ, რომ ავტორი კარვად გრძნობს მასალას, ესმის მისი საიდუმლოება.

გოგი ფუტკარაძის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია ქვაში გამოკვეთილი მამის ბოუსტი. ამ პორტრეტში მოქანდაკემ დამახასიათებე-

ლი ნიუანსებით აღებუდა მამის — მღვდელი მუშის — სახე.

მას მოჰყვა „მეცხვარის სკულპტურა“, რომელიც გაიგზავნა ხალხური შემოქმედების ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ კი საკავშირო გამოფენაზე. ეს იყო მოქანდაკის ნიჭის აღიარება. მან ახალი იმპულსი მისცა გოგი ფუტკარაძეს და ისიც მეტი ენერჯიუტად და დაძაბულობით განაგრძობს მუშაობას. თვითნასწავლი ხელოვანი დიდი მოთინებებითა და დაკვირვებით შეუდგა ახალ თემებზე მუშაობას. გულმოდგინებით, ნიჭით, ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდილზე დაკვირვებამ, თანდათანობითმა დაოსტატებამ სასურველი შედეგი გამოიღო. მისი „ქალიშვილის ბიუსტი“ რესპუბლიკურ გამოფენაზე იქნა გატანილი. ამ ბიუსტმა ფიურისა და დამთვალეირებულთა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამიტომაც იყო, რომ ამ საინტერესოდ გააზრებული ქანდაკებისათვის გოგი ფუტკარაძე 1962 წელს დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სიგელით. ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკრეტში თვითნასწავლამ მოქანდაკემ დიდი წარმატებას მიაღწია და გაიმარჯვა კარდებზე.

გოგი ფუტკარაძის ნამუშევრები გამოირჩევიან ხელოვნებით, დახვეწილი ხელწერითა და ფაქიზი გემოვნებით.

მისი პერსონაჟები ჩვენი თანამედროვენი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები — მუშები, ინჟინერები, სტუდენტები, მეცნიერები, მწყემსები — არიან. ყველა ნამუშევარში იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა, ეროვნული ტემპერამენტი და პატრიოტული სულისკვეთება. ეს აქტუალობა კიდევ უფრო ამაღლებს მოქანდაკის ნამუშევართა ღირსებას.

ჩვენ უფრო გვხიბლავს ის გარემოება, რომ გოგი ფუტკარაძეს გააჩნია მიზნის სიცხადე. პორტრეტზე მუშაობისას მრავალ თავისებურებას თვალისწინებს, ქმნის დიდი შემოქმედებითი შთაგონებით, შენაგანი

რწმენის კარნახით, პრინციპით — არ უღალატოს შემოქმედების რეალისტურ ტრადიციებს, იყოს ბუნებრივი, მარალი და თავისთავადი; გამოკვეთოს ადამიანის შინაგანი ბუნება, ხასიათი, ნაწარმოებში ჩაქსოვოს პოეტური სიფაქიზე, კოლორიტულობა, გამოავლინოს საკუთარი ხელწერა.

ირინე უსნაძე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1966 წ. № 6). კვალდიციურ შეფასებას აძლევს ხალხური გრაფიკის, ქედური ხელოვნებისა და ქანდაკების ნიმუშებს, რომლებიც რესპუბლიკურ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მსჯელობს თვითნასწავლი ოსტატების შ. მარი-დაშვილის, ა. ხაბურზანიას, ვ. ზიარელაშვილის, დ. მამადაშვილის, ბ. რაჭველიშვილის, დ. ქადაგიშვილის, კ. ცანავას, რ. ნათაძის, ლ. მოდებაძის, ს. მირიანაშვილის, თ. თავართქილაძისა და სხვათა ნამუშევრებზე. აქვე ქებით იხსენიებს გოგი ფუტკარაძის ქანდაკებებს და ამბობს: „ყურადღებს იკყრობს ექიმ გ. ფუტკარაძის ქანდაკებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისებურად გადაწყვეტილი „ფიროსმანის პორტრეტი“.

მართლაც, ეს ქანდაკება მთელი სიხუსტით აღადგენს ნიჭი ფიროსმანის სახეს — ღრმად ჩაფიქრებულს, ოცნებით სადღაც შორს აუხრება, სახეზე აღებულება მწარე ნაღველი, მალული კაემანი და მწუნარება.

შესანიშნავია გოგი ფუტკარაძის სკულპტურული კომპოზიცია „აფრიკა იბრძვის და იმარჯვებს“. აქ გამოკვეთილია ოთხი ფიგურა — სამი მამაკაცი და ერთი ქალი, რომელთა სახეებზე აღებულებია მრისხანება, ნებისყოფის სიმტკიცე, შუბუგვრობა, გაბებულობა და ბრძოლის პაოსი. ისინი მტკიცედ დგანან მშობლიურ მიწაზე, იარაღი მოუმარჯვებით, ერთ-ერთ მათგანს მაჯაზე გაწყვეტილი ჯაჭვი შერჩენია, მეორეს წინგაშვერილ ხელისგულზე მტრედ დაუსვამს, აზრიანად ჩაფიქრებული და

ხორცმცხმული კომპოზიცია ხალხთა თავისუფლების იდეითაა გამსჭვალული.

მოქანდაკეს თავის სახელსწილში ამაგამდ რამდენიმე ბიუსტი აქვს უკვე დამთავრებული: „აკაკი წერეთელი“, „ვაჟა-ფშაველა“, „მხატვარი მაისურაძე“, „გოგონა მტრედით“, „პროფესორი ევტიხი გობრონიძე“, „სპორტსმენი“, „ვაჟა-ფშაველას მედალიონი“, „მწველავის პორტრეტი“, „ლალი ბოლქვაძე“, „სტუდენტი ქალიშვილი“ და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ თვითნასწავლ ხელოვანთა საიუბილეო გამოფენაზე გოგი ფუტკარაძემ გამოიტანა ბიუსტები „ლადო ასათიანი“, „მებეტონე ოთარ სურცილავა“, „პროფესორი ევტიხი გობრონიძე“, „ემანუელ ნე რევაზ გაჩეჩილაძე“ და სხვ.

— ჩემი ძირითადი თემა, — მითხვრება მან, — ქუთაისის მოწინავე ადამიანთა ცხოვრება. ხშირად დავდინვარ საავტომობილო ქარხანაში, ვეცნობი სამკეროთა საქმიანობას, ვესაუბრები შრომის ნოვატორებსა და სახელოვან რაციონალიზატორებს. მინდა შევარჩიო ტიპები, სუვერედები მათს ფსიქიკას, ქცევებს, ხასიათებსა და განწყობილებებს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვითნასწავლ ხალხურ შემოქმედით, საჭიროა გამოიყვას ხალხური სახეითი ხელოვნების ალობები, ხალხურ შემოქმედითა ნამუშევრებზე იმსჯელონ კრიტიკოსებმა, ადგილზე გაეცნონ მათ ნამუშევრებს, მისცენ შენიშვნები, საჭიროა ეწყვიროდეს თვითნასწავლ მხატვართა და მოქანდაკეთა თათბირ-სემინარები კვალიფიკაციის ამაღლებისა და სრულყოფის მიზნით.

საჭიროა კულტურის სამინისტროს სათანადო განყოფილებამ და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ხელმძღვანელებმა იზრუნონ ყოველზე ამაზე. ეს დიდად შეუწყობს ხელს ხალხური სახეითი ხელოვნების განვითარებას.

ს ტ უ ლ ე ნ ბ ტ ი ა
ს ა ლ ი კ ლ ო ზ ო
ს ჰ ე მ ტ ა კ ლ ი

რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის ოცდაათი წლის იუბილეს დაემთხვა ამავე ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის II ჯგუფის პირველი სადიპლომო წარმოდგენა — მოლიერის კომედია „ჭუნწი“ (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალ. მიქელაძის კლასი).

მოლიერის ამ კლასიკურმა ნაწარმოებმა გამოავლინა ნიჭიერ სტუდენტთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

სპექტაკლში თავიანთი უშუალოდით ყურადღება მიიპყრეს დ. დვალისვილიმა (პარპაგონი), ა. ტყაბლაძემ (ფროზინა), გ. გუდიაშვილმა (ელიზა), ზ. გამყრელიძემ (ვალერი), მ. ლომიძემ (ლაფლეში) და სხვ.



სცენები თეატრალური ინსტიტუტის სადიპლომო სპექტაკლიდან „ჭუნწი“.



გორაკობელი
ხელოვანი

თ ვ ი თ ნ ა ს წ ა ვ ლ ი

ალექსანდრა არობელიძე

ბავშვობიდანვე იტაცებდა გიორგის განცდილის ასახვის შუენობელი სურვილი. მთელი დღის განმავლობაში ხის ტოტებს ჭირდა, ფხვკდა და ათასგვარ ფორმასა და სახეს აძლევდა. მერე თიხის ზელა დაიწყო. უფროსების შენიშვნას — ნუ ითხუპნებიო — გიორგი ყურს არ უგდებდა, გატაცებით ძერწავდა. თანდათან უფრო იტაცებდა ძერწვა. იბადებოდნენ ახალ-ახალი კომპოზიციები და სახეები.

ძნელი გზა გაიარა გიორგიმ, სანამ ხეზე კვეთა და ძერწვა მოხსოვნილებად გადაექცეოდა. ეს სახეებით ბუნებრივია, რადგან გიორგის თვითონ უნდა გაეკვლია გზა ხელოვნებაში. თავისით უნდა მიეგნო ჩანაფიქრის სწორი გადაწყვეტისათვის, რადგან

სპეციალური განათლება არ მიუღია და დამოუკიდებლად სწავლობდა. ამაში იყო სიძნელეც და სიხარულიც. ბორჯომ-პარკში, კინოთეატრ „ბორჯომის“ პირდაპირ, პატარა ფარდულში ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები — სურები, ფიალები, თასები, საყვავილეები იყიდება. აქ მუშაობს სპილოს ძვალზე ამოკვეთის ოსტატი „ოქროსხელიანი“ გრიგოლ სხილაძე.

დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესათვის გ. სხილაძემ შექმნა პოეტის პორტრეტი სპილოს ძვლისაგან. მიკრობიედესტალზე მოთავსებულია ყანწისმაგვარი საყვავილე, რომელშიაც ცოცხალი ყვავილების მსგავსი ტოტებია გამოკვეთილი. ყვავილებში ჩასმულია ოვალური ბარე-

ლიფი, რომელზეც გამოსახულია შოთა რუსთაველი პროფილში. ძალზე ნატიფადაა გამოკვეთილი ყვავილები, ფოთლები და კვირტები, ძვალზე გამოყვანილია რთული, დამახასიათებელი ხაზ-ჭრილები. მნახველი ნაწარმოების ერთი თვალის გადავლენითაც კი შეიგრძნობს უაღრესად თავისებურ ხელწერას, ხაზთა რიტმს, რაც ზედაპირს დეკორატიულ დამუშავებასთან ერთად თავისებურ გამომსახველობასაც ანიჭებს. ნაცადმა ხელმა ძვალშიაც მშვენივრად გადმოსცა ყველა ეპოქისა და ხალხის ჰუმანური მისწრაფებათა მხატვრული განზოგადების სითბო და სიძლიერე. იგრძნობა, ხელოვანი კარგად არის დაუფლებული მასალასა და მხატვრული გამოსახვის ხერხებს. პორტრეტში

ბ რ ა ვ ი ო რ ი

მთავარი ყურადღება ექცევა გამოსახულებების აზრობრივ მხარეს. იგი ყოველი წერტილიდან ერთნაირად აღიქმება. პორტრეტმა თვითშემოქმედებით დათვალა იერებაზე დიდი მონაწილეობა დაიმსახურა.

უფრო ადრე, 1957 წელს, თვით-შემოქმედებით დათვალა იერებაზე წარდგენილი იყო სხილაძის მიერ სიზუსტითა და დამაჯერებლობით შესრულებული მინიატურული ნაწარმოები — „კრემლი, წითელი მოედანი, ნავზოლეუმი“. — ეს არის არქიტექტურული ანსამბლი სპილოს ძვალზე, რისთვისაც გიორგი სხილაძის ქების სიგელი მიეკუთვნა.

მრავალმხრივია შემოქმედის ინტერესები, რადგან მრავალფეროვანია მისი შთაგონების წყარო. არქიტექ-

ტურული ანსამბლის ჩანაფიქრთა გახორციელებისას შემოქმედის წინაშე ბევრი საინტერესო ამოცანა დაისახა, ბევრი იყო გადასაწყვეტი და დასაძლევნი.

ახალი სამყაროს შემოქმედის — დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად გიორგიმ სპილოს ძვალზე დიდი სიყვარულითა და სიზუსტით ამოკვეთა ლენინის პორტრეტი. დიდი ბელადის სახის ნაცნობი ნაკვთები ამ ყველაზე ადამიანური ადამიანის სულიერ სიძლიერეს გვაგრძნობინებს. ძვლის ფაქტურის ბუნებრივი მეტყველება ზედმიწევნით არის გამოყენებული შინაგანი ხასიათის გამოსავლენად.

თვითნასწავლმა ოსტატმა მიაგნო

ახალ, მხატვრულ-ტექნიკურ ხერხს. იგი ორგანულად დაუკავშირა თავის ჩანაფიქრს და შექმნა საინტერესო პორტრეტი.

რთულია დიდი ადამიანის სახის ისე ასახვა, რომ მხახველის ალტაცება გამოიწვიო. ამას საქმის ცოდნა, გამოცდილება, დაკვირვება და უდიდესი შრომა სჭირდება.

თითოეული ნაკეთის შესრულებას ოსტატი რამდენიმე დღეს, ზოგჯერ კი თვესაც ანდომებდა, შეუსვენებლივ მუშაობდა წვრილი, სადგისისმავარი საჭრისით და საჭირო ფორმას აძლევდა ძვალს. პატარა შეცდომაც და სამუშაო თავიდან უნდა შესრულიყო, ამონაკეთს არაფერი ეშველება, შესწორება შეუძლებელია.

სპილოს ძვლისაგან გაკეთებულია ლენინის თხზულებათა ტომები. მასზე დამაგრებულია ლენინის ბარელიეფი, იასამნის ყვავილებში ამოკვეთილია ორი მტრედი — მშვიდობის სიმბოლოდ. ერთ-ერთ მათგანს ნისკარტით უჭირავს ციფრი 100 — საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, მეორეს კი სიტყვა „მშვიდობა“.

ნაწარმოების მეორე ნაწილი შესრულებულია პლასტმასისაგან. კოსმოსურ რაკეტაში გაყვანილია ელემენტროდენის ხაზი — ელნათურა 2 მმ მოცულობისაა. მოედანზე ინთება 15 მინიატურული წითელი ვარსკვლავი, რაც 15 მოკავშირე რესპუბლიკას გამოხატავს.

გიორგი სხილაძე ამავე დროს კარგი გონიორიცაა. მრავალი ქვეყნის ქალაქებისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, აღფრთოვანებულნი მისი ნახელავით, მადლობას გამოთქვამენ შობაგმდილობის წიგნში. ბევრ უცხოელსაც უქია ზ. სხილაძის ოსტატობა. დაულალავი მუშაკი გვემებს სისტემატურად ასრულებს; 1967 წელს გიორგი საკართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დააჯილდოვეს, ზოლო ამას წინათ მას კომუნისტური შრომის დამკვირვლის წოდება მიენიჭა.



სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელეწიფების დამსახურებულა მოღვაწე ვაიოხ ქართველიშვილი დამსწრეთ ენობს კონცერტის პროგრამის შანარსს.

ქართული საესტრადო და სატირკო ხელოვნების სკოლა



სცენა საესტრადო მინიატურიდან
„შემთხვევა ტროლეიბუსში“.

გოკალური ანსამბლი. სიმღერა ცეკვით „შეცარი კაპრალი“.


სამსტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა, რომელიც ვასულ წელს შეიქმნა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ბაზაზე, ახლანდელ სტენაზე წარმოადგინა თავისი პირველი სემესტრის ნამუშევრები. ხსენებული სასწავლებელი საბჭოთა კავშირში შეორვა. მოსკოვში უკვე ორმოცი წელია, რაც ახეთი ტიპის სასწავლებელი არსებობს. საგულისხმოა ისიც, რომ ისეთი სახელგანთქმული კლოუნები, როგორც არიან პოპოვი, კარანდაში, ნიკოლინი და სხვ. ამ სასწავლებელში აღიზარდნენ.

თბილისის სახტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი, რომლის დირექტორია საქართველოს კულტურის დამსახურებელი მუშაკი გივი სერგია, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გაიოზ ქართველიშვილი, ოთხწლიანია და ესტრადისა და ცირკისათვის ამზადებს მსახიობებს. აღსაზრდელები სასწავლებელში ეუფლებიან სიმღერას, ცეკვას, აკრობატიკას, პანტომიმას, მხატვრულ ტანვარჯიშს, სხვადასხვა მუსიკალურ, მათ შორის ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე (ჩონგური, ფანდური, სალამური, ჩანგი...) დაკრას. ცხადა, ყველა თანრის შესატყვისად სისტემატურად ტარდება ჭგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები გამოცდილი პედაგოგების (კომპოზიტორი გ. ცაბაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. შილდელი, ც. ციციშვილი, რუსთაველისა და გრიბიედოვის სახელობის თეატრების მსახიობები მ. ეგუტია და ვ. კილოსანიძე და სხვ.) ხელმძღვანელობით. ამჟამად სასწავლებელში ინ სტუდენტი ირიცხება და მათი უმრავლესობა ქართული ესტრადისა და ცირკის საიწმედო ძალას წარმოადგენს. ეს ადვილი შესამჩნევი იყო პირველივე სემესტრის ნამუშევრების ჩვენების დროს, როცა სტუდენტებმა პროფესიონალურ დონეზე გამოავლინეს სიმღერის, ცეკვის, პანტომიმის, აკრობატიკის, სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკრის, მინიატურების შესრულების, კლოუნადობის... მრავალმხრივი უნარი.



სტენა საესტრადო მინიატურიდან „შემოხვევა ტროლიბუსში“.





დ. ნოდია.

სერიიდან „საქართველოში“.

დ. ნოდია.

სერიიდან „საქართველოში“.



— ნორჩი მუსიკოსი დალი ებრა-ლიძე! — გამოაცხადა კონფერანსიემ ბათუმის პიონერთა პარკის თვითმოქმედი კოლექტივის ერთ-ერთ კონცერტზე... დამსწრე საზოგადოება გაოცდა, როცა მათ წინაშე ოთხიოდე წლის გოგონა წარსდგა. იგი გაბედული ნაბიჯით გაემართა როიალისაკენ, მიუჯდა მას და თამამად ამმოძრავა პატარა თითები...

მქუხარე ოვაციები პატარა მუსიკოსის პირველი ნათლობა იყო, მას შემდეგ წარმატება მუდამ თან სდევს ნორჩ შემსრულებელს.

იმ ხანებში პატარა დალის ნოტებზე წარმოდგენაც არა ჰქონდა, მაგრამ არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი ერთი-ორი მოსმენით სრული სიზუსტით აწყობდა მელოდიებს. ამ ასაკს ეკუთვნის მისი პირველი ნაბიჯები კომპოზიციაშიც. მსმენელებს ანცვიფრებდა მუსიკის ის საზოგანებო, ფორმის შეგრძნება, რომელიც ახასიათებდა ნორჩი კომპოზიტორის პირველსავე „ოპუსებს“. რამდენი გრძნობაა ჩაქსოვილი მის პირველ ნაწარმოებებში — „შვლის ნუკრის ნაამბობისა“ და „წითელქუდას“ თემებზე დაწერილ მუსიკაში...

სუთი წლის დალის საკუთარი ნაწარმოებებით უკვე იცნობენ ქუთაისის, თბილისის, მოსკოვის მსმენელები. სულ მეტი და მეტი თაყვანის-



დალი ებრალიძე.

გზა ღილი ხელოვნებისაკენ

ნონა მუსხელიშვილი

მცემელი უნდებდა ნიჭიერ მუსიკოსს, ხოლო ექვსი წლიდან იგი ზ. ფალიაშვილის სახელობის საპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეა (დოც. ე. მანდენოვას კლასი). აქედან იწყება დალი ებრალიძის ნამდვილი პროფესიული ცხოვრება.

შესანიშნავ მუსიკალურ მონაცემებთან ერთად იგი დიდ შრომის-მოყვარეობასაც იჩენს, რაც ხელს უწყობს მისი ნიჭისა და ოსტატობის ინტენსიურ განვითარებას.

ნორჩი მუსიკოსი ხშირად გამოდის რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონკურსებზე, მუდამ განსაკუთრებულ ჯილდოებს იმსახურებს, საგულისხმობა, რომ თბილისის მუსიკალური სასწავლებლების მუსიკოს შემსრულებელთა საქალაქო კონკურსზე, რომელიც მოაწყო საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა საქარ-

თველოს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის გამო, დალი ებრალიძემ დამსწრეთა ერთსულოვანი აღიარება მოიპოვა. იგი დაჯილდოებულ იქნა დიპლომით და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სპეციალური პრიზით.

ამას წინათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სიმფონიური კონცერტი, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯემალ გოციელი დირიჟორობდა. სოლისტები იყვნენ სპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეები. კონცერტის დასასრულს გამოვიდა მუხუთეკლასელი დალი ებრალიძე, რომელმაც ბეთჰოვენის № 1 კონცერტის II და III ნაწილები შესარულა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ნორჩი შემსრულებლის პირველი გამოსვლა სიმფო-

ნიურ ორკესტრთან ერთად, შეიქმნა სრული შთაბეჭდილება იმისა, რომ როიალთან ზის გამოცდილი პროფესიონალი, რომელმაც პირველივე აკორდებიდან შეძლო მსმენელთა და ორკესტრთა დაპყრობა.

უკვე შეიძლება აღინიშნოს ის ლამაზი ბგერა, სიმღერა, მუსიკალობა და პოეტურობა, რომელიც გამოავლინა ნორჩმა მუსიკოსმა კონცერტის II ნაწილის შესრულებისას, ხოლო მაღალი ტექნიკური გაწაფულობა III ნაწილში.

ბეთჰოვენის ეს საკმაოდ რთული ნაწარმოები დალი ებრალიძემ შესარულა უმუშალობით, გატაცებით, კონცერტის უკანასკნელი აკორდები შთანთქმავდა დარბაზის მკუხარე ტაშმა.

პატარა დალის დიდი ნიჭის თავიანთსმეცმლები მისგან სულ ახალ-ახალ წარმატებებს ელიან.



საქართველოს
წიგნწერის კავშირი

მ. კილაძე.

← ლახტი (სერიიდან — ხევისურეთი).

ე ქ ვ ს ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა

ზენონ კოსიდოვსკი

პოლონელი ავტორის ზენონ კოსიდოვსკის წიგნმა, „ბიბლიური თქმულებები“, მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ თქმულებათა მისეულმა კრიტიკულმა, ანტირელიგიურმა კომენტარებმა მოწონება დაიმსახურა.

კოსიდოვსკი მიზნად ისახავს ძველი აღთქმის ტექსტის ანალიზს. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ბიბლია არის უძველესი ხალხური თქმულებებისა და გადმოცემების კონკლამირატი.

ავტორი ჯერ საანალიზო მასალის ტექსტს აცნობს მკითხველს, მერე კი — მის მახვილგონივრულ მეცნიერულ კომენტარებს. იგი მარჯვედ იყენებს მდიდარ ისტორიულ-არქეოლოგიურ მონაპოვარს, და შეპირისპირების მეთოდით ცხადყოფს ბიბლიური ტექსტის რაობას.

ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიურ თქმულებებს“ (მთარგმნელი ფილიპე ბერიძე) გამოსცემს გამომცემლობა „ნაკადული“. მკითხველს ვთავაზობთ ამ წიგნის ნაწყვეტს — თქმულებების ერთ ციკლს და მის მეცნიერულ კომენტარებს.

ივლითი ზმირობა

იუდეველთა ქალაქ ბეთილეთში ცხოვრობდა ძალიან მდიდარი ქერიანი -- ივლითი. იგი ფლობდა ნოყიერ სახნავებს, ჯოჯს და მრავალი მსახური ჰყავდა. ივლითი სილამაზითაც სახელგანთქმული იყო, მაგრამ ცხოვრებამ, ესოდენ ბევრ სიკეთეს რომ ჰპირდებოდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ მისთვის სრულიად დაჰკარგა მიმზიდველობა. ღრმად დამწუხრებულმა სამნახევარი წელი ლოცვასა და თვითგემაში გაატარა; ღვთისმოსაობითა და სანიმუშო ქცევით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. იუდეველებმა წინასწარმეტყველადაც კი აღიარეს.

მაგრამ ახ, ქანაანში შეიჭრა ნაბუქოდონოსორის უზარმაზარი არმია ოლომფრეს მეთაურობით. ბეთილეთის მცხოვრებლებმა პირველ ხანებში ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს; მაგრამ ოცდღიანი აღყის შემდეგ წყალი გამოილია; ქალაქის უფროსის ოზიას სასახლის წინ ბრბო შეიკრიბა და ტირილითა და გოდებით ეხვეწებოდა დანებებოდნენ ოლომფრეს. ოზიას გული უსკდებოდა, ასეთ ტანჯვას რომ უყვრებდა, მაგრამ დაქინებით სთხოვდა ხალხს, ხუთ დღეს კიდევ გამაგრებულიყვნენ, არწმუნებდა იაჰვე მოგვეშველებაო.

ივლითმა სამგლოვიარო ტანსაცმელი გაიხადა, პირი დაიბანა, ტანი ნელსაცხლებით დაიზილა და თმები



დაიხვია; მერე სადღესასწაულო ტანსაცმელი ჩაიცვა და მოიკაზმა ყველაზე ლამაზი სამკაულებით, რაც კი მის ზარდახშაში მოიპოვებოდა. მირთხი და მოკაზმურს ერთი მსახური ქალითურთ მტრის ბანაკისაკენ გაემართა. მსახურს ტკიპით ღვიწი მიჰქონდა, საგანგებო ჭურჭლით ზეთუნის ზეთი, ტომრით ფეკილი, ხმელი ხილი და ნა-კურთხი პური. გათენებისას ივდილი ჩამოდიდა ბორცვი-დან, რომელზეც ქალაქი ბეთილუა იყო გადაჭიმული. იგი მტრის ყარაულებმა შეაჩერეს, წაიყვანეს და ჰკითხეს: ვისი ხარ, საიდან მოდიხარ და საით მიემგზავრები? მან თქვა: მე ებრაელთა ასული ვარ და მათგან მივმობივარ, რადგან ვიცი, რომ მათ თქვენ შემუსრავთ. ივდილი ყარაულებმა ისრის ბანაკში მიიყვანეს. ოლომფრე წამოწოლილი იყო ბადეს იქით, რომელიც კოლომბისკან იცავდა; მას პორფირი ემოსა, ოქროს სამკაულებში, ზურმუხტისა და სხვა ძვირფას თევლებში ბრწყინავდა.

ივდილი მუხლგზზე დაეცა და თყვანი სცა. უცნობი ქალის სილამაზით განცვიფრებული სარდალი კი უხმოდ ტკებოდა მისი გვერით. ბოლოს გონს მოვიდა და აღერ-სიანად ჰკითხა, აქ რამ მოგიყვანათ. ქალმა აუხსნა თავი-სიანებისგან წამოსვლის მიზეზი და თქვა: „მე შენი ძინა ვარ. როცა ყოველივე შევიტყვე, მათ გამოვექეცი. ღმერთმა მომაგლინა, შენთან ერთად გავაკეთო ისეთი საქმეები, რომ-ლებიც განაცვიფრებს მივლ დედამიწას, სადაც კი გაი-გებენ მათ“.

ოლომფრეს მოეწონა მისი სიტყვები და მსახურთ უბრ-დანა — წამოაყენეთო. ივდილი გაიბარათა და წამოდა.

კარავში მოყოლი დიდებულები გაოცდნენ მისი უჩვეუ-ლო სილამაზითა და მომზებულეობით. მათ აღტკცებით წამოიბახეს: „ვინ არ სცემს პატავს ისეთ ხალხს, რომელ-საც ასეთი ქალები ჰყავს!“ ივდილმა ითვალთვალა — თით-ქოს შთაგონება ეწვიათ — ისეთი ხმით უწინასწარმეტყვე-ლა დამპყრობლებს სრული გამარჯვება იუდეველებზე. ოლომფრე აღტკცებამ მოიცვა და თქვა: „თუ ისე იქმ, რო-გორც სთქვი, მაშინ შენი ღმერთი ჩემი ღმერთი იქნება“. შემდეგ ბრძანა ქალი კარგ კარავში წაეყვანათ;

სამ დღეს ზედიზედ იწვევდა დიდებულთ ნადიმზე. ივ-დითმა არ ისურვა უწინდური საჭმელი და იკვებებოდა მხოლოდ იმით, რაც მას მსახურმა ბეთილუიდან წამოუ-ღო. ოლომფრე სულ უფრო დაიქნებოდა ვარპიკებოდა ქალს. ივდილი მიხვდა, რომ მეთოხე დღეს, ვახშმის შემ-დეგ, ოლომფრე მას თავისთან დარჩენას სთხოვდა. ძილის წინ მან მსახური დაითხოვა, მთელ დამეს იაკვეს ლოცუ-ლობდა და ტირილით შესთხოვდა — გამამხევე, რომ გან-ზრახვა აღვასრულო.

მეორე დღეს ოლომფრემ წინანდელზე უფრო დიდებუ-ლი ნადიმი გამართა. მომავალ ტკებობათა სასიხარულო მოლოდინში უზომოდ დალაია, კარტმა თავის საწოლში და ღრმად დაიძინა. ივდითმა საარდალს თავისივე ხმლის ორი დაკვრით მოკვეთა თავი, შეახვია კოლომბისკან თავ-დასაცავ ბადეში და სამგზავრო ჩანთაში ჩამალა. ჩუმად გავიდა ბანაკიდან, ბეთილუისაკენ გასწია და თანამემა-

მელებს საუფლებელი დამპყრობლის თავი უჩვენებდა. ლაქი ზეიმობდა. ყველა მადლს სწირავდა იაკვეს გამარჯ-ვებისათვის და ადიდებდნენ ასირ ქალს, რომელმაც მტრის თავი მოკვეთა. გამთენიისას გმირებმა ოლომფრეს სიკ-ვდილი გაიყვეს. შემწინებულმა მიატოვეს ბანაკი, ურცხვი განძი, იუდეაში მოპოვებული დავლა და მოკურცხლეს. ქალაქის დამცველები გამჭინვარებულები დაედევნენ და მუსრის გააგლეს მტერს. მხოლოდ ცოტადა გადარჩა ცოც-ხალი. გამარჯვებულებს დარჩათ უზარმაზარი ალავი: მრავალრიცხოვანი ცხვრის ფრა, სახედრებისა და აქლემე-ბის ჯოგი, დიდძალი ოქრო, ვერცხლი, იარაღი და ტან-საცმელი. ყველაფერი, რაც პირადად ოლომფრეს ეკუთვ-ნოდა — ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები და მიღირდელი ტანსაცმელი — ივდილის გადარცეს გმირობის ჯილდოდ.

ქალაქის მცხოვრებნი სამ თვეს ზეიმობდნენ გამარჯ-ვებას; ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლოცულობდნენ და ქნა-რებს უკრავდნენ. იერუსალიმიდან თვით მღვდელთმთავარი ითავით მოვიდა, რათა პატრი მივეთ გმირი ქალისათვის და მონაწილეობა მიეღო საერთო მხიარულებაში.

ივდითმა ას ხუთი წელი იცოცხლა. იგი გარემოცული იყო ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით. ხოლო მისი დიდი გამარჯვების დღე შეუტანეს საიში ებრაელთა დღე-სასწაულებისა, რომელსაც ყოველ წელს აღნიშნავენ.

საბარსამთის დედოფალი ესთერაი

საბარსამთის მეფემ ართაქსერქსმა თავისი მეფობის მესამე წელს დიდი ნადიმი გამართა და მოიწვია საბარსე-თა და მიდიის ყველა თავადი და დიდებული, აგრეთვე მმართველი მის მიერ დამორჩილებული ქვეყნებისა ინ-დოეთიდან დაწყებული ეთიოპიამდე. ნადიმი გრძელდე-ბოდა ას თოხმოცი დღე შეუსვენებლად; ბოლოს კი მეფემ შეიღდიან ნადიმზე მიიწვია ქალაქ სუსის ყველა მცხოვ-რები განურჩევლად სიმდიდრისა და სასოფალითმრავი მდგომარეობისა.

მაგიდები გაწყობილა იყო ეზოში და მეფის სასახლის ბაღში; მზისგან თავდასაცავად ეშო და ბაღი გადახურეს თეთრი, მწვანე და ოქროსფერი სქოილებით, რომლებიც მიმაგრებულნი იყო მარმარილოს სვეტებზე. სტუმრები მხართმძოზე წამოწოლილიყვნენ მაგიდების ახლო ზურმუ-ხტისა და თეთრი მარმარილოს ფილებზე განლაგებულ ოქროსა და ვერცხლის საწოლებზე, მსახურთ ღვინო და საჭმელები მოქონდათ ოქროს სინებითა და თასებით. დე-დოფალი ასტინი უმასპინძლებოდა თავადთა, დიდებულთა და კარისკაცთა ცოლებს.

ნადიმის მეშვიდე დღეს ართაქსერქსმა მოისურვა სტუმ-რებისათვის ეწვენიბინა მზეთუნახავი დედოფალი; მეფემ მოითხოვა ასტინი სამეფო ვეზიკავიერი გამოცხადებული-ყო მის წინაშე. დედოფალი გაკვირდა და ბრძანების შეს-რულება არ ისურვა. აღშფოთებულმა ართაქსერქსმა იქვე გამართა თათბირი საბარსეთისა და მიდიის შვიდ თავად-თან; უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქციოდნენ თავნება

ქალს. დარბაისელი დიდებულები ძალიან შემოფთებულნი იყვნენ დედოფლის თავმჯდომით. ისინი შიშობდნენ, რომ მის მავალით სხვებიც მიბაძავდნენ და მათ ოჯახებშიც დაირვეოდა მყუდროება. ერთმა მათგანმა თქვა: „დედოფლის საქციელს გაიგებენ ქალები, პატრის ადარ სცემენ ქმრებს და იტყვიან: „მეფე ართაქსერქსმა ბრძანა. ასტრინი მასთან მიუყვანათ, მაგრამ დედოფალი არ მივიდა“. ამიერიდან საბასელი და მიდიელი ქალბატონები არავრად ჩაავადებენ თავიანთ ქმრებს — მეფის თავადებს და უპატივცემლობა და უსამიგონებია არ ავცვდებია“.

მეფემ გადაწყვიტა სამუდამოდ გაეგდო თავისი მეუღლე. ამავე დროს მან ქვეყნის ყველა კუთხეში დაგზავნა მიმართვა, რომელშიც მეფის ყველა ქვეშევრდომს მასსავე ენაზე შთავაზუნდა — ქალები ვალდებული არიან თავიანთი ქმრების მორჩილნი იყვნენ. ამან აიარა დასაბამ-შივე ჩაქურტეს ქალთა ამბოხების საფრთხე.

მაღე მეფემ ბრძანა მთელ სახელმწიფოში შეერჩიათ და სასახლეში მოეყვანათ ყველაზე ლამაზი ქალონიები. შერჩეული ქალონიები ნდობით აღჭურვილი საჭურისის მეთვალყურეობის ქვეშ თორმატი თვის განმავლობაში იზღუდნენ სხეულს ზომირინითა და სხვა ნელსაცხებლებით, იღებავდნენ სახეს და რიკრიკობით წვეთოდნენ მეფის სარეცელზე. ოთხი წლის შემდეგ ლამაზი ესთერის რიგი მოვიდა. იგი იუდეველი იყო, მაგრამ ის ამბავი არავინ იცოდა, რადგან მას არაისთვის არ გაუმხელა; შიშობლები ჯერ კიდევ ბავშვობაში დაკარგა, ზრდითა ბიძაშვილი მარდოხე, რომელიც იერუსალიმიდან გადმოსახლებული იუდეველების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. ესთერი ისე მოეწონა ართაქსერქსს, რომ ყველა ცოლმეტად შეუყვარდა და სამეფო გვირგვინი დაადგა.

მარდოხე, მისი აღზრდილის თხოვნის თანახმად, სასახლის მეკარედ დანიშნეს. მან მაღე ისეთი ნდობა მოიპოვა, რომ მეფის საწოლის ყარაულუნა მიანდნენ, რამაც ყხრა ორი მეკარედ ძალზე გაანაწყინა. ერთხელ მარდოხემ ყური მიუვდო მათ ლაბარაკს და შეიტყო, რომ მეფის მოკვლას აპირებენ. ყველაფერი მამინევე აცნობა ესთერს, რომელმაც დაუყოვნებლივ გააფრთხილა მეფე. შეთქმულნი ჩამოხარჩნეს. მეფეს კიდევ უფრო შეუყვარდა თავისი სატრფო.

მარდოხემ სასახლეში ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ პირველ მინისტრს ამანსაც კი არ უხრდა თავს; ამანი ყოვლისშემძლე დიდებული იყო. მისი ყველას ეშინოდა. დაიანბავდნენ თუ არა, იჩიქებდნენ. მხოლოდ მარდოხე არ ეცემოდა მუხლებზე და არ სცემდა თავკანს. ცოფობრეული ამანი უძლური იყო მის წინაშე, რადგან მარდოხეს პირადად მეფე მფარველობდა. ამანმა შეთხზვევით გაიგო, რომ მარდოხე იუდეველი იყო და მასთან ანგარიშის გასწორების ხერხები იძულებული მინისტრის დაჟინებით ართაქსერქსმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც ითვალისწინებდა სპარსეთში მცხოვრები ყველა იუდეველის განადგურებას, რადგან ისინი თავიანთ

საგანგებო ზნეწვეულებებს, კანონებს და რელიგიურ სწესებს იცავდნენ.

ეს რომ გაიგო, მარდოხემ ტანსაცმელი შემოიხია, ძაძები ჩაიკვია, თავზე ნაცარი გადაიყარა და ხმაშალალი, სასოწარკველილი გოდებით წალასდესა სურის ქმრებში.

ესთერმა გადაწყვიტა ემოქმედა. მეორე დღეს მან ნადინი გამართა, მოიწვია მეფე და მისი პირველი მინისტრი. სიამაყითა და გამორჩეული პატივისცემით გაყოყონებული ამანი უფრო თავდაჯერებული გახდა და ბრძანა აღემართათ ორმოცდაათი წყრის სიმაღლის სახრჩობელა, რომელზეც მარდოხეს ჩამოხრჩობა უნდოდა.

ღამით მეფეს ძილი გაუკრთა და ბრძანა მოეტანათ სა-მასხორო წვინი. აქ მან ითვია ძველი ჩანაწერი — თუ როგორ იხსნა ერთხელ მარდოხემ მისი სიცოცხლე. საქმეებში გართულ მეფეს ეს ამბავი სულ გადავიწყებოდა, მაგრამ სა-მაგიეროდ, ახლა გადაწყვიტა ერთგული მსახურის და-ჯილდოება.

მეორე დღეს ამანი მეფესთან გამოცხადდა, რათა მას მარდოხეს სიკვდილით დასჯის განაჩენი დაემტკიცებინა. ართაქსერქსმა ჰკითხა: როგორ უნდა მოექცე კაცს, რომლისთვისაც განსაკუთრებული პატივისცემა გინდა? ამან მტკიცედ სწამდა, რომ მეფე მას გულისხმობდა და უპასუხა: „დაე, იმ კაცს, რომლის წარჩინებაც მეფეს სურს, მოუტანონ მეფის მასოსი, მოუყვანონ ცხენი, რომლითაც მეფე დადის და დაადგან მეფის გვირგვინი; დაე, მეფის ერთ-ერთ პირველ თავადს მისცენ ხელში მეფის მასოსი და ცხენი, შემოსონ ის კაცი, რომლის წარჩინებაც მეფეს სურს, ცხენზე ამხედრებული გაიყვანონ ქალაქის მოედანზე და გამოაცხადონ: „ასე ექცევიან იმ კაცს, ვისი წარჩინებაც მეფეს სურს!“ ამან თავზარი დაეცა როცა გაიგო, რომ მეფე მარდოხეს გულისხმობდა. მას კი საკუთარი რწმენის თანახმად, თავის მტერი უნდა შეესვა ცხენზე, გაეტარებინა ქალაქში და მეფის გაკვირვებული ქვეშევრდომებისათვის ეცნობებინა: „ასე ექცევიან იმ კაცს, ვისი წარჩინებაც მეფეს სურს“.

ის იყო დამცირებთ გაცოფებული ამანი სახლში დაბრუნდა, რომ მასთან საჭურისები გამოცხადდნენ და აუწყეს მეფის ბრძანება, ნადიმზე წასულიყო. სთთერი ჯერ კიდევ ადრე გამოეტყდა მეფეს, რომ ებრაველი და მარდოხეს ნათესავი იყო. ცრემლობრეული ეხვეწებოდა — ჩემი ერთმორწმუნეების განადგურების განაჩენი გააუქმეო. ართაქსერქსი მიხვდა ამანის უნამუსობას. გამონდა თუ არა სასახლეში, ბრძანა, დაუყოვნებლივ ჩამოეხრჩობო მარდოხესათვის გამზადებულ სახრჩობელაზე; ესთერის თხოვნით მეფემ არა მარტო გააუქმა საშინელი დეკრეტი, არამედ იუდეველებს იმის ნებაც კი მისცა, რომ მთელ სპარსეთში ერთად შური თავიანთ მტრებზე.

ასე დაიღუპა სამოცდათხუთმეტი ათასი კაცი, მათ რიცხვში ამანის ათი ვაჟი. მარდოხემ, ამანის სიკვდილის შემდეგ, მეფის სასახლეში პირველი მინისტრის პოსტი დაიკავა; მან იუდეველთა ყველა თემს დაუგზავნა წერილი

და მოუწოდა — გადარჩენის უკვდავსაყოფად ყოველ წელს საზეიმოდ აღენიშნათ დღესასწაული პურიმისა, რაც ნიშნავს „ბედის დღესასწაულს“, რადგან იუდეველი ხალხის ბედი მაშინ გადაწყდა.

მერთაული ისრაელი ტომის სპარსეთის მიწაზე

ბაბილონის ერთ პატარა ქალაქში, ნეფთალიმის ტომის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაიბადა ტობია. იგი იზრდებოდა ისეთი ოჯახის რელიგიურ ატმოსფეროში, რომელიც წინაპართა რჯულისა და ტრადიციების ერთგული იყო. ასეთივე ხელისკვეთებით აღზარდა მან შვილი — ტობია. ასურეთის ტყვეობაში ტობიამ როგორღაც მოახერხა ცხოვრების მოწყობა. ბედმა გაუმართლა და გამძიდრდა, მაგრამ სიმძიდრეს თავისთვის არ იყენებდა; უყოფდა ყველაზე გაჭირვებულ თანამემამულეებს, რომლებსაც სასტიკად ტანჯავდნენ ასურელები. განსაკუთრებული თვადღებით იხდიდა ტობია უკანასკნელ ვალს თანამემამულეთა წინაშე და ასაფლავებდა მათ მოსეს რელიგიური რიტუალების შესაბამისად, რისთვისაც იმ დროს მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული.

ერთხელ, მიცვალებულთა დასაფლავების შემდეგ დაღლილი ტობია ეზოში ღობის ძირას წამოწვა. გალავანზე ბეღურები იხსდნენ. ჩიტის სკინტილი თვალეში მოხდა და ბისტკი გადაეკარა. ტობია უდრეწინეველად იტანდა სიბრძნის, ღმერთს არ უჩიოდა და უნიჭროთა და ციცივნასა და აბუჩად ავტებას უდიდესი სიმშვიდით ხვდებოდა.

სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მიხუცმა შვილი გაგზავნა ღარიბ ჰავილთან, რომლისთვისაც ვალი, ათი ტალანტი ვერცხლი, უნდა გამოეთმია და გატანჯული მამისათვის მოეტანა. გამოუცდელი ყმაწვილის მეგზურობა, თვით ანგლოზმა რაფაილმა იკისრა. მან ადამიანის სახე მიიღო. ისინი მიდიის შორეულ ქალაქ რაგიში უნდა წამოგზავნიყვნენ. ასალგაზრდა ტობიამ ანასულად შენიშნა სამგზაური ტანსაცმელში გამოწყობილი ლამაზი ქაბუკი და ჰკითხა: „მითხარი, ძმაო, რომელი ტომიდან და მოდგმიდან ხარ?“ მან უპასუხა, რომ ისრაელთა ჩამომავალია და მიდიის რაგიში მიემგზავრება. სიხარულით გაოცებულმა ტობიამ ეს სასიამოვნო ამბავი მამას აცნო. მან კი შვილს ურჩია — მიეგზავნა გატყვეული. ასალგაზრდა ტობიას იმედი არ გაუცრუვდა. ანგლოზმა რაფაილმა იგი მიდიის რაგიში მიიყვანა, საცოლედ გამოუტყებნა ტობიას მოდგმის ქალი, რაგულის ასული, ხოლო ტობიასთან ერთად სახლში რომ დაბრუნდა, მის მოხუც მამას თვალები აუხლია. უსაზღვროდ მაღლიერმა მოხუცმა ტობიამ შვილს უთხრა: „შვილო ჩემო, მოაშაღე საზღაური თანამგზავრისათვის. საჭიროა კიდევ დაუმატო“. მან უპასუხა: „მამაო ჩემო, არ ვიზარალებ, თუ მას იმის ნახევარს მივცემ, რაც მივოტანა“. მაგრამ რაფაილმა გასამრჯელოზე უარი თქვა და თავისი ვინაობა გამამჯღანა.

არაბატიის მიწაზე უცში ცხოვრობდა ღვთისმოსავი და წინდანი კაცი იობი. იგი ყოველმხრივ ბედნიერი იყო; შვიდი ვაჟისა და სამი ასულის გარდა ჰყავდა შვიდი ათასი ცხვარი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი უღელი სასაპალნო ხარი, ხუთასი სახვადარი და მრავალი მსახური; ერთხელ, როცა მისი შვილები დამბობდნენ და იგი თავის მიწა-ღორზე მსხვერპლს სწირავდა, ღმერთთან შეიკრიბნენ ანგლოზები, რომელთა შორის ეშმაკიც შეჰპარა. როცა ღმერთმა ჰკითხა — აქ საიდან განჩნდი, ეშმაკმა უპასუხა — მთელი დედამიწა შემოვიარე და აქ მოვხვდით. ღმერთმა ჰკითხა — ხომ არ გინასავს იობი — კაცი ღვთისმოსავი, წინდანი, რომელსაც არავისთვის ავი არ გაუკეთებია? ეშმაკმა ღვარძლიანად უპასუხა — ღვთისმოსავლეთა ადვილია, თუ მიღღარი და ბედნიერი ხარ — და გამომწვევად დაუმატა: „აბა გაიღე ხელი და საჩიაროდ შეაგ მის ქონებას — თუღა დაგლოცავს?“ ღმერთი დათანხმდა გამოეცადა ღვთისმოსავი იობი და ეშმაკს ნება დართო თავისუფლად ემოქმედა.

მაღე იობს თავს დაატყდა უბედურება — საველებმა მოპარეს საქონელი და მწყემსები დახოცეს, ზეციურმა ცეცხლმა შთანთქა ცხვარი და მსახური, ქალღველებმა აქლემები გაირეკეს, უღაზნოდან მოვარდნილმა ქარიშხალმა სახლი დაუქცია. მის ნანგრევებში მოჰყვნენ იობის ვაჟები და ასული. მიხუცმა ტანსაცმელი შემოიხია, გადაიპარსა თმა და ქედმობილმა ღმერთს თინიერად მიმართა: „შიშველი გამოვედი ღვდის საშოდან და შიშველივე დავბრუნდები. უფალმა მომცა, უფალმავე წამართვა. კურთხეულ იყოს მისი სახელი“.

ღმერთი ძალიან კმაყოფილი იყო ღვთისმოსავ იობის სიკეთეში რომ არ მოტყუვდა და ეშმაკს უსაყვედურა — შენი რჩეული უდანაშაულო კაცი განსაცდელიმ ჩავადგეო. ეშმაკი იხტირებდა იმ იტყვდა და ბოროტად თქვა: „გაიღე ხელი და შეეეე მის ძეგებსა და ხორცს, აბა თუღა დაგლოცავს?“

ღმერთმა ეშმაკს კვლავ დართო მოქმედების ნება და მან საშინელი კეთრი შეჰპარა იობს. ყოველივე ამასთან ერთად, დარღისაგან დამოკლულმა ცოლმა ლანძღვა-გინებით აიკლო იგი. გაცოფებული უვეეროდა: „შენ ახლავ ჯოტლად მისდევ უმიწოებას. შეურაცხყავი ღმერთი და ისე მაინც მოკვდი“. იობმა მშვიდად უპასუხა: „შენ შემლიოვიტი ლაპარაკობ, ნუთუ ღმერთისაგან მხოლოდ სიკეთე უნდა მივიღოთ და ბოროტებაზე უარი ვთქვათ“.

იობის ტანჯვისი ამბავი მისმა სამმა მეგობარმა — ელიფასმა, ვილადამა და სოფარმა გაიგო. მათ მაშინვე გასწიეს ავადმყოფთან. სასოწარკვეთილი იობი რომ დანიახეს, ატირდნენ, ტანსაცმელი შემოიხიეს და თავზე ნაცარი გადაიყარეს; მერე გვერდით მოუსხდნენ, შვიდ დღე და ღამეს დადუმებულები იზიარებდნენ მეგობრის ტანჯვას. ავადმყოფობისაგან ქანცმცლულმა იობმა, როგორც იქნა მოიხვდა, ჩასლქილი ხმით გოდებდა და კრულავდა თავის ბედს: „წყველიობი ცნოს ჩემი განჯნის დღე, ის ღამე, როცა ითქვა: „ჩაისახა ადამიანი!“ რატომ არ

მოგვიდ დედის მუცელში, ან შობის დროს არ ამოხსდა სული?... საშინელებაა, რაც თავზარს მცემდა, სწორედ ის მზეყარა, რისზეც მეზობლა, ის დამეშინათა, დაკვარევი სიმშვიდე და მოსვენება. უბედურება მეყია“.

შეშოთებულმა ელიფასმა მოისმინა გოდება და იოზს უსაყვედრო: „ნუთუ ნუგეშად ის არ გყოფნის, რომ ღვთის-მოსავი ხარ, ნუთუ შენი სასოება არაა შენი ცხოვრების უმანკობა?“ იოზი მაინც ჩიოდა: „ღმერთმა უკანონოა და უსინდისის ხელში ჩამაგდო. მშვიდად ვცხოვრობდი და ამბობრგა, ყელში მწვანე და სული შემჩხუთა, თავის სა-მეწეველს და მისი ისრები გარს მახვევია, გულ-ღვიძლს მიღრღნის და არა მშოგავს. ნადგელი ჩემი მიწაზე დაათიხა და ნადგულთ-ნადგულთად აქცევს ჩემს სხეულს. ყველგან დამდევს და მერყინება, ძაძები შევიმისე და მიწასთან გაგვსროლი. წამწამებზე სიკვდილის არდლი დამტარიალეს და სახე ცრემლებისაგან გამიღებოვანდა; მაშინ, როცა ჩემს ხელს ავი არა უქნას რა, მხოლოდ წმინდა ლოცვას აღვაგებნი“.

მეგობრები დიდხანს ესაუბრნენ და თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს — ალბათ რაიმე დასაშვე, თორემ უღანაშუალო ადამიანები არ ისჯებიანო; იოზმა დაიფიცა — არაფერი დამიშვებიაო; ღმერთი დამიშვეს, რომ ბოროტება არ ჩაუდენია და უღანაშუალოდ იტანჯება. მათ საუბარს კარგა ხანს უსმენდა ჭაბუკი ელიუი. ბოლოს და ბოლოს იგი თვით მეგობრის საუბარში ჩაერია და თქვა: ჩემი აზრით, არც ერთი არც ხართ მართალი. ტანჯვა ყოველთვის როდია შეცოდების მისაგებელი სასჯელი. ხანდახან ღმერთი სწორედ ერთგულებს მოუხდის ხოლმე მძიმე განსაცდელს, რათა შემოწმოს ისინი, დარწმუნდეს მათ სასიძოვებას და სიკეთესი. მართალია, იოზს მეგობრებთან საუბარში თავისი ბედის წყველა-კრულვა არ შეუწყვეტია, მაგრამ ღვთის განგების მიუწვდომელი სიბრძნე მაინც სწამდა.

